ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

რუსეთის ისტორიის კათედრა

მამუკა მჭედლიძე

# თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის იდეოლოგია

რუსეთისმცოდნეობის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

**დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

ასოც. პროფესორი დალი კანდელაკი

თბილისი

2017

## სარჩევი

**შესავალი** ------------------------------------------------------------------------------------------ 3

**თავი I. რუსული კონსერვატიზმის არსი და გენეზისი**

§1. კონსერვატიზმის ცნება და არსი ------------------------------------------------ - 24

§2.დასავლეთ ევროპის კონსერვატიზმი ---------------------------------------------- 26

§3.რუსული კონსერვატიზმი ----------------------------------------------------------------- 38

§4.რუსული კონსერვატიზმის სათავეები ------------------------------------------ 46

§5.რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუცია --------------------- 63

**თავი II. თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებები**

§1. მართლმადიდებლური კონსერვატიზმი -------------------------------------- 84

§2.სახელმწიფო-პატრიოტული კონსერვატიზმი -------------------------------- 97

§3.ევრაზიული სკოლა ------------------------------------------------------------------ 106

§4.ლიბერალური კონსერვატიზმი------------------------------------------------- 121

**თავი III. ძირითადი ცივილიზაციური მიდგომები**

§1.რუსული ცივილიზაციის სათავეები --------------------------------------------- 134

§2.პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია ------------------------ 144

§3.ძირითადი ცივილიზაციური მოდელები -------------------------------------- 154

**დასკვნა** ------------------------------------------------------------------------------ -------- 181

**წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა** ------------------------------ -------- 188

# შესავალი

## კვლევის აქტუალობა

თანამედროვე რუსეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები თავისი სირთულით, სიღრმითა და მასშტაბურობით, ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს. ქვეყანაში ახალი, ისტორიული ანალოგიის არმქონე საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, ახალი სოციალური ფენებისა და ჯგუფების ფორმირება, საგარეო და შიდა გეოპოლიტიკური პრიორიტეტების არსისა და მიმართულებების შეცვლა, გლობალიზაცია და რუსეთის ინტეგრაცია თანამედროვე სამყაროში – ყოველი ეს პროცესი უნივერსალისტური, სისტემის განმსაზღვრელი ხასიათისაა და განაპირობებს რუსეთის განვითარებას მომდევნო ათწლეულებში. რუსეთის სახელმწიფოებრივი პოტენციალი და გეოგრაფიული სივრცე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიულ პროცესზე.

ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რუსეთში მიმდინარე შიდა პროცესების კვლევა. სწორედ ეს მოვლენები განსაზღვრავენ ქვეყნის მომავალს მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

საზოგადოებრივ ცვლილებებს ყოველთვის თან სდევს პოლიტიკური იდეოლოგიის პლურალიზმი. რუსეთი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩამოყალიბდა პოლიტიკური მიმდინარეობები, რომლებსაც რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში თავისი ადგილი უკავიათ. მათ შორის გამოირჩევა ლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიისა და რადიკალიზმის იდეოლოგიური სკოლები. ყოველ მათგანს გააჩნია თავისი საკვანძო პოლიტიკური დებულებანი და ცივილიზაციური პრიორიტეტები. ამასთანავე მათ ახასიათებთ შიდა პლურალიზმი. შესაბამისად, ძირითადი იდეოლოგიური პოსტულატების სუპრემატია არ გამორიცხავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრაქტიკაში მათი რეალიზაციის მრავალფეროვანი გზების დისკურსს.

თანამედროვე რუსეთში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია კონსერვატიზმს, რომელიც ისტორიული ფესვებით, მასშტაბურობითა და ცივილიზაციური ფასეულობებით ყველა სხვა პოლიტიკურ მიმართულებაზე ფართოა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რუსული კონსერვატიული პოლიტიკური იდეოლოგიის არსის კვლევა, თანამედროვე რუსულ საზოგადოებაზე მისი ზეგავლენის შესწავლა. აუცილებელია დღეს არსებული კონსერვატიული იდეოლოგიის ყველა ძირითადი კონცეფციის იდენტიფიკაცია, მათი სისტემური ანალიზის ჩატარება, საზოგადოებრივი მენტალიტეტისა და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მათი როლისა და ადგილის განსაზღვრა. ყველაფერი ეს საჭიროა კონსერვატიული იდეოლოგიის არსის, მნიშვნელობის, როლისა და ადგილის გამოსავლენად.

დღეისათვის კონსერვატიზმი რუსეთში წამყვან საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალად დამკვიდრდა. იგი გვევლინება როგორც ზოგადი პოლიტიკური იდეოლოგია და ძირითადი პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების პოლიტიკური პლატფორმა.

შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კონსერვატიზმი თანამედროვე რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს. კონსერვატიზმისადმი ერთგულებას ღიად დეკლარირებენ ისეთი პოლიტიკური ძალებიც კი, რომლებიც თავისი დოქტრინის დებულებებით მის იდეოლოგიურ ჩარჩოებს სცდებიან.

თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის პრობლემატიკა, ჩატარებული კვლევების მიუხედავად, თავად რუსეთში არ არის საკმაოდ შესწავლილი. დღემდე არ ჩატარებულა კონსერვატიზმის ცნების ფილოსოფიურ-პოლიტიკური იდენტიფიკაცია. არ არის შემუშავებული კონსერვატიზმის საკითხისადმი სტრუქტურირებული მიდგომა. არ არის კონცეპტუალურად განსაზღვრული კონსერვატიზმის მნიშვნელობა, ადგილი და როლი თანამედროვე რუსულ საზოგადოებაში. არ არის შემუშავებული რუსული კონსერვატიზმის თეორიული ბაზისის, არსის, ზოგადი და სპეციფიური თვისებების მეცნიერული ხედვა. არ არის ჩატარებული რუსული კონსერვატიზმის გენეზისის, ქრონოლოგიისა და ძირითადი მიმართულებების სამეცნიერო კვლევა. შესასწავლია რუსული კონსერვატიზმის ტრანსფორმაციისა და ისტორიული მემკვიდრეობითობის საკითხები სხვადასხვა ფორმაციულ პირობებში. საჭიროა კონსერვატიზმის, როგორც რუსეთის თანამედროვე პოლიტიკური ლანდშაფტის იდეოლოგიური და პოლიტიკური ფაქტორის კონცეპტუალიზაცია. ტიპოლოგიური კლასიფიკაციისა

და სისტემატიზაციის მრავალი მცდელობის მიუხედავად, ადგილი აქვს დასკვნების ურთიერთწინააღმდეგობრიობას. ეს აიხსნება იმით, რომ დღემდე არ არის შემუშავებული საყოველთაოდ აღიარებული ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური მიდგომები კონსერვატიზმის მიმართ. დღემდე არ ჩატარებულა რუსული კონსერვატიზმის სიღრმისეული შიდა კომპარატივისტული ანალიზი. ანალოგიური მდგომარეობაა რუსული კონსერვატიზმისა და თანამედროვე დასავლური ნეოკონსერვატიზმის შედარებითი ანალიზის საკითხში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის თემის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- რუსული კონსერვატიზმის, როგორც ფართო რუსული ცივილიზაციური ტრადიციის იდეოლოგიური კომპონენტის გნოსეოლოგიური განსაზღვრა;

- რუსული კონსერვატიზმის გენეზისისა და ისტორიული ევოლუციის ძირითადი ეტაპების შესწავლა;

- თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმზე სხვადასხვა პოლიტიკური სკოლების ზეგავლენის შესწავლა;

- რუსული კონსერვატიზმის ფილოსოფიური არსისა და სტრუქტურის გამოვლენა;

- რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებების კონცეპტუალური კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია;

- რუსეთის თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში კონსერვატიზმის მნიშვნელობის, როლისა და ადგილის განსაზღვრა;

- თანამედროვე რუსული კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის კომპარატივისტული ანალიზი;

- რუსული კონსერვატიზმის ძირითადი ცივილიზაციური მიდგომების კლასიფიკაცია და დასაბუთება.

**საკითხის წყაროთმცოდნეობის ბაზა და ისტორიოგრაფია.**

სამეცნიერო წრეებში დამკვიდრდა აზრი, რომ კონსერვატიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის პირველწყაროები სათავეს იღებენ დასავლეთ ევროპაში, ანგლოსაქსური ცივილიზაციის წიაღში. ქრონოლოგიური ათვლა იწყება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ევროპაში გამოიცა პირველი ნაშრომები კონსერვატიულ თემატიკაზე. საგულისხმოა, რომ კონსერვატიული

მიმართულების ჩამოყალიბება დასავლეთში წარმოადგენდა საპასუხო რეაქციას საფრანგეთის რევოლუციითა და ლიბერალიზმის გავრცელებით გამოწვეული ევროპული მონარქისტული წესწყობილების ნგრევასა და გლობალურ დესტაბილიზაციაზე.

რაც შეეხება რუსეთის ისტორიულ-პოლიტიკურ ტრადიციებს, მათში ფუნდამენტალური კონსერვატიული პრინციპები (ტრადიციონალიზმი, არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის ხელშეუხებლობა) ჩამოყალიბებულ იქნა ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ წარმართულ ხანაში. ასეთ ლიტერატურულ ძეგლებს განეკუთვნებიან "ზოიანეს ჰიმნი" (ზოიანე 1810), "ველესის წიგნი", "რუსული ვედები", რუსეთის ხელშეკრულებები ბიზანტიასთან X საუკუნის დასაწყისში და "რუსული სამართალი" (Русская правда) (ძეგლები 1956:IV). ერთობლიობაში ეს ნაწარმოებები შეადგენენ წარმართული რუსეთის სულიერ-ზნეობრივ ბაზისს და ცნობილი არიან როგორც "რუსული კანონი" (Закон Русский). ამ პირველწყაროების ტექსტოლოგიური და ისტორიოსოფიული ანალიზი ჩატარებულია ლ.ვ. ჩერეპნინის (ჩერეპნინი 1965), ა.ა. ზიმინის (ზიმინი 1965), მ.ბ. სვერდლოვის (სვერდლოვი 1988), ა.ი. ასოვის (ასოვი 2005) ნაშრომებში.

რუსული საზოგადოების საბაზისო ტრადიციონალისტურმა საფუძვლებმა შემდგომი განვითარება ჰპოვა მართლმადიდებლობის საფუძველზე, რომელიც იქცა და დღემდე რჩება რუსული საზოგადოების სულიერ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ფენომენად. ამის კონკრეტული დადასტურება გვაქვს ქრისტიანული ხანის რუსულ მატიანეებში და ცალკეული საეკლესიო მოღვაწეების ნაშრომებში (რუსული 1872). მართლმადიდებლური იდეოლოგიის თეორიული ბაზისი შემუშავებულ იქნა ჯერ კიდევ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პირველმოღვაწეთა ნაშრომებში. მათ რიცხვს განეკუთვნებიან მიტროპოლიტი ილარიონი (ილარიონი 1994), ნესტორ-მემატიანე (თქმულება 1950), ნილუს სორელი (ლიხაჩოვი 2000), იოსებ ვოლოცკელი (წერილები 1959), ბერი ფილოფეოსი (წერილი 2007), ვალაამის ბერები სერგი და გერმანი (საუბარი 1895:I-XXIV), ი.ს. პერესვეტოვი (პერესვეტოვი 1956), მიტროპოლიტი ფილარეტი (ფილარეტი 1997). მართლმადიდებლური ფასეულობების განმარტება და აპოლოგეტიკა მოცემულია უცნობი ავტორების ისეთ ნაშრომებში როგორიც არიან "თქმულება თეთრ თავსაფარზე" (თქმულება 1861) და "თქმულება

ვლადიმერის დიდ თავადებზე" (თქმულება 2000). აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ცალკეულ თეორიულ ფრაგმენტებთან, არამედ რუსული ღვთისმეტყველების ჩარჩოებში შემუშავებულ ერთიან იდეოლოგიურ კოსტრუქტთან. ამ ხანის რუსული კონსერვატიზმის ძირითადთავისებურებად გვევლინება საკითხების ერთიან მსოფლმხედველობის სივრცეში დამუშავება. რუსი ავტორების ნაშრომები არ შემოიფარგლება მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიის ჩარჩოებით. კონსერვატიზმი გაიაზრება როგორც საზოგადოებრივი წესწყობილება, როგორც რუსეთის არსებობის ერთადერთი შესაძლებელი ცივილიზაციური ფორმა. ფაქტიურად აღნიშნული რუსი ავტორები კონსერვატიულ პრინციპებსა და ფასეულობებს ერთობლიობას განიხილავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველ ცივილიზაციურ სივრცეში. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია როგორც საეკლესიო იდეოლოგიისათვის, რომელიც გადმოცემულია მემატიანე ბერების ფილოსოფიურ-თეორეტიკულ და ისტორიულ ნაშრომებში, ასევე აღნიშნული ისტორიული ეპოქის წარჩინებული მოღვაწეების ნაშრომებში რუსი დიდი თავადებისა და მეფეების ჩათვლით (ლურიე 1979). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან "ვლადიმერ მონომახის დარიგება" (მონომახი 2005) და ივანე მრისხანეს თეორეტიკული მემკვიდრეობა (მიმოწერა 1979).

დღეისათვის არსებობს საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფია, რომელშიც შესწავლილია იმ ხანის კონსერვატიული თემატიკა. ძველი რუსეთის კონსერვატიული აზრის გენეზისი, გნოსეოლოგიური არსი, თავისებურებები, მიმართულებები და მეთოდოლოგიური საფუძვლები გამოკვლეულია ვ.ე. ვალდენბერგის (ვალდენბერგი 2006), ა.ა. ვასილიევის (ვასილიევი 2011), ვ.ა. ტომსინოვის (ტომსინოვი 2003), ა.ს. უსაჩოვის (უსაჩოვი 2015), დ.ე. ლეტნიაკოვის (ლეტნიაკოვი 2012), ა.ი. კარპოვის (კარპოვი 2006) ნაშრომებში. ეს ავტორები კონსერვატიზმის საწყისების შესწავლისას კომპლექსურ მიდგომას მიმართავენ, აანალიზებენ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობას და აღიქვავენ მათ რუსული კონსერვატიული სკოლის არსის, მიმართულებებისა და პრიორიტეტების მთავარ განმსაზღვრელ გარემოებად.

წყაროების ცალკეულ ჯგუფს შეადგენენ პეტრე პირველის რეფორმებით დაწყებული რუსეთის ვესტერნიზაციის დროინდელი ავტორების ნაშრომები. ეს ნაშრომები რუსული პატრიარქალური კონსერვატიული ტრადიციის ევროპულ

სამეცნიერო რაციონალიზმად გარდაქმნის პირველ მაგალითებს წარმოადგენენ. ამ ხანიდან რუსული კონსერვატიული აზრი გაიყო ორ ძირითად მიმართულებად: ტრადიციონალისტურ-მართლმადიდებლური და ევროპულ-რაციონალისტური. აღსანიშნავია, რომ ევროპული სკოლის მიმდევარი რუსი კონსერვატორების ნაშრომებმა ბევრად დაასწრეს დროისა და პრობლემატიკის კონცეპტუალიზაციის თვალსაზრისით დასავლელი კოლეგების კვლევებს. მათ შორის გამოირჩევიან მ.მ. შჩერბატოვის (შჩერბატოვი 1770:I-VII), ი.ტ. პოსოშკოვის (პოსოშკოვი 1951), ნ.მ. კარამზინის (კარამზინი 1991) ნაშრომები.

შემდგომში ეს მიმართულება ჩამოყალიბდა სლავიანოფილების სკოლის სახით, რომელმაც შეიმუშავა რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის ცივილიზაციური პრინციპები.

საუბარია ა.ს. ხომიაკოვის (ხომიაკოვი 1886:I-VIII), დ.ა. ხომიაკოვის (ხომიაკოვი 2011), კ.ს. აქსაკოვის (აქსაკოვი 1889:I-III), ი.ს. აქსაკოვის (აქსაკოვი 1886:I-VI), ი.ვ. კირეევსკის (კირეევსკი 2007), ი.თ. სამარინის (სამარინი 2013:I-V), თ.მ. დოსტოევსკის (დოსტოევსკი 1988:I-XV), ა.ა. გრიგორიევის (გრიგორიევი 1918:I-XII), ნ.ნ. სტრახოვის (სტრახოვი 1895:I-III). კ.პ. პობედონოსცევის (პობედონოსცევი 1996), ვ.პ. მეშჩერსკის (მეშჩერსკი 2010), მ.ნ. კატკოვის (კატკოვი 2012:I-VI), ლ.ნ. ტიხომიროვის (ტიხომიროვი 1998), ბ.ნ. ჩიჩერინის (ჩიჩერინი 1869:I-V), ნ.ი. დანილევსკის (დანილევსკი 1995), კ.ნ. ლეონტიევის (ლეონტიევი 2000:I-XII), ნ.ი. ჩერნიაევის (ჩერნიაევი 2011) ნაშრომებზე.

XX საუკუნე რუსული კონსერვატიული სკოლისათვის წყალგამყოფი აღმოჩნდა. ისტორიული კატაკლიზმების მასშტაბებმა და ცივილიზაციური ორიენტირების შეცვლამ რუსული კონსერვატიული სკოლა ახალ ფორმაციულ პირობებში ტრადიციული ფასეულობების განსაზღვრისა და რუსული ცივილიზაციური საწყისების შენარჩუნების აუცილებლობის წინაშე დააყენა. ასეთი კვლევები მიმდინარეობდა როგორც საზღვარგარეთ, ემიგრაციის გარემოში ი.ლ. სოლონევიჩის (სოლონევიჩი 2010) მიერ, ასევე თვით რუსეთშიც, რაც დასტურდება პ.ე. კაზანსკისა (კაზანსკი 1913) და პ.ა. ფლორენსკის (ფლორენსკი 1991) ნაშრომებით. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტური ექსპერიმენტის პირობებშიც კი რუსულმა კონსერვატიულმა სკოლამ არამხოლოდ შეინარჩუნა თავისი ტრადიციები, არამედ შეიმუშავა მთელი რიგი ახალი

მიდგომები, რომლებიც თანამედროვეე რუსული კონსერვატიზმის სახეს განაპირობებენ.

თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის სოციალურ-ფილოსოფიური აზრისა და გნოსეოლოგიური ფესვების გამოვლენა სამეცნიერო კვლევის საკვანძო ამოცანას წარმოადგენს. ეს ამოცანა ასახულია მთელი რიგი ავტორების ნაშრომებში. მათ რიცხვს განეკუთვნებიან მ. რემიზოვი (რემიზოვი 2005), ნ.პ. ანდროსენკო (ანდროსენკო 2013), ბ.ა. მანტიკოვი (მანტიკოვი 2012), ა.ვ. რეპნიკოვი (რეპნიკოვი 2001), ა.ა. შირინიანცი (შირინიანცი 2014), დ.გ. მიულერი (მიულერი 2003), ვ.ა. გუსევი (გუსევი 1994). ეს მკვლევარები ატარებენ კონსერვატიზმის ფილოსოფიური საფუძვლების სისტემურ ანალიზს, შეისწავლიან მის ადგილს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში.

აღსანიშნავია რომ კონსერვატიული პრობლემატიკისადმი მრავალფეროვანი მიდგომა განაპირობებს პოლიტიკური სკოლების სიმრავლეს რუსეთის იდეოლოგიურ სივრცეში.

ეს ეხება პირველ რიგში თანამედროვე მართლმადიდებლური სკოლის წარმომადგენლებს, რომლებიც ინარჩუნებენ და ავითარებენ რუსული ტრადიციონალიზმის კლასიკურ კანონებს. არსებითად, მართლმადიდებლური კონსერვატიზმი, როგორც რუსული მენტალიტეტისა და სოციალური თვითორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი ინარჩუნებს მემკვიდრეობითობასპირველი თეორეტიკოსების ნაშრომებთან. თანამედროვე ავტორებს შორის გამოირჩევიან მიტროპოლიტი იოანე (სნიჩოვი) (სნიჩოვი 2005), არქიმანდრიტი ტიხონი (შევკუნოვი) (შევკუნოვი 2008), არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი) (კარელინი 2001), მღვდელი ოლეგი (სტენიაევი) (სტენიაევი 2010). მართლმადიდებლური დოგმატიკის საფუძვლებზე შეისწავლიან კონსერვატიულ პრობლემატიკას ო.ა. პლატონოვი(პლატონოვი 1997), ტ.ვ. გრაჩოვა (გრაჩოვა 2013), ა.მ. ვერხოვსკი (ვერხოვსკი 1995).

თავის მხრივ, სახელმწიფო-პატრიოტული კონსერვატზმის თეორეტიკოსები ამოცანად ისახავენ სავსებით ახალი პოლიტიკური მოდელის კონსტრუირებას, რომელშიც შერწყმული იქნება იმპერიული და საბჭოური ხანის საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოდელები. ეს კონცეპტუალური ხაზი გატარებულია ისეთი ავტორების ნაშრომებში, როგორიც არიან: ს.ი. გლაზიევი (გლაზიევი 2016), ნ.ა.

ნაროჩნიცკაია (ნაროჩნიცკაია 2015), დ.ო. როგოზინი (როგოზინი 2003), ა.ი. პოდბერიოზკინი (პოდბერიოზკინი 2011), ბ.ი. კაგარლიცკი (კაგარლიცკი 2007), ა.ე. ვოლოხოვი (ვოლოხოვი 2003), ა.ნ. ტარასოვი (ტარასოვი 1999), ლ.პ. ორლენკო (ორლენკო 2007), ა.ი. სოლჟენიცინი (სოლჟენიცინი 1995), ვ.გ. რასპუტინი (რასპუტინი 1994:III), ი.რ. შაფარევიჩი (შაფარევიჩი 2009).

თანამედროვე რუსული ევრაზიული სკოლის წარმომადგენლები რუსეთის გეოსტრატეგიულ სივრცეს შეისწავლიან სოციოკულტურული და ისტორიული ფაქტორების ერთობლიობაში. ევრაზიული მასშტაბით რუსეთის ცივილიზაციური პოტენციალის თეორიული კვლევა ჩატარებულია ა.ს. პანარინის (პანარინი 2014), ვ.ვ. კოჟინოვის (კოჟინოვი 2002), ა.გ. დუგინის (დუგინი 1997), ს.ე. კურგინიანის (კურგინიანი 1995), ა.ვ. კოსტინას (კოსტინა 2016), ო.ვ. ლუშნიკოვის (ლუშნიკოვი 2008), მ.ა. მასლინის (მასლინი 2015), ი.ფ. კეფელის (კეფელი 2014), ი.ვ. პოპკოვის (პოპკოვი 2010) ნაშრომებში.

ლიბერალური კონსერვატიზმის კლასიკოსებად რუსეთში გვევლინებიან პ.ბ. სტრუვე (სტრუვე 2001), ს.ლ. ფრანკი (ფრანკი 1967), ს.ნ. ბულგაკოვი (ბულგაკოვი 2004). ჩამოაყალიბეს რა თავისი თეორიული ოსტულატები ჯერ კიდევ წინარევოლუციურ ხანაში ისინი ცდილობდნენ გონივრულ ფარგლებში შეეთავსებიათ ტრადიციონალიზმის მკაცრი წესები ლიბერალური მოდერნიზმის გარკვეულ ელემენტებთან. ამ გზით ისინი გეგმავდნენ რუსული საზოგადოებისათვის მისაღები კომპრომისის გამოძებნას. მაგრამ რუსეთის რევოლუციის შემდეგ ისინი აღმოჩნდნენ სავსებით სხვა რეალობის წინაშე და გადახედეს თავის ძირითად შეხედულებებს. თანამედროვე რუსულ ლიბერალურ კონსერვატიზმს არ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული გნოსეოლოგიური ბაზისი, რაც კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის არსებითი ანტაგონიზმით აიხსნება. მრავალი ავტორი ცდილობს იპოვოს მათ შორის შეხების წერტილები და შეიმუშავოს ერთიანი ლიბერალურ-კონსერვატიული კონცეფცია. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ნ.ა. ბარანოვი (ბარანოვი 2011), ა.ა. ვინოგრადოვი (ვინოგრადოვი 2004), ე.ა. რევიაკინა (რევიაკინა 2013), მ.ა. ტარუსინი (ტარუსინი 2004), ზ.დ. დინაევა (დინაევა 2005), მ.ა. პონომარიოვა (პონომარიოვა 2011), პ.დ. გვოზდევი (გვოზდევი 2006), ვ.თ. პუსტარნაკოვი (პუსტარნაკოვი 2001), ა.ა. ხმელინინი

(ხმელინინი...2014), ე.ა. პრიმაკოვი (პრიმაკოვი 2012), ს.ს. სულაკშინი (სულაკშინ 2014).

წყაროების ცალკეულ ჯგუფს შეადგენენ ნაშრომები, სადაც შეისწავლება რუსული სოციუმის ტრადიციონალიზმის ცივილიზაციური ასპექტები. აღნიშნული მიმართულების ჩამოყალიბება აიხსნება რუსეთის ისტორიულ განვითარებაში ცივილიზაციური და ფორმაციული ფაქტორების მჭიდრო ურთიერშერწყმით.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთის კონსერვატიული საწყისების ჩასახვასა და განვითარებას. ამ კუთხით ინტერესს წარმოადგენენ ა.მ. ბუროვსკის (ბუროვსკი 2013), ი.ი. ფროიანოვის (ფროიანოვი 1980), ვ.ლ. იანინის (იანინი 2008), ს.ვ. ალექსეევის (ალექსეევი 2009), ლ.ა. დმიტრიევის (დმიტრიევი...1969), ლ.ე. შაპოშნიკოვის (შაპოშნიკოვი 2015) კვლევები.

ცივილიზაციისა და ფორმაციის პოტენციალების საზოგადოებრივი არსის, როლის, ადგილისა და ურთიერთქმედების გააზრება რიგი ავტორების მიერ განიხილება თანამედროვე ცივილიზაციური გამოწვევებისადმი შესაბამისი იდეოლოგიის შემუშავების აუცილებელ პირობად. ამ მიმართულებით მუშაობენ ლ.ვ. მილოვი (მილოვი 2003), ე.ვ. მირონოვი (მირონოვი 2011), ტ.ვ. კაშანინა (კაშანინა 2004), ა.მ. კადიროვი (კადიროვი 2011), ა.ვ. ლუბსკი (ლუბსკი 2013), ი.ვ. კონდაკოვი (კონდაკოვი 2010), ა.მ. სელეზნიოვი (სელეზნიოვი 2003), ე.ვ.ლისტვინა (ლისტვინა 2007), ი.ა. ვდოვინი (ვდოვინი 2008), ა.ი. შერშნიოვი (შერშნიოვი 2008), ო.ბ. ნემენსკი (ნემენსკი 2008), ა.ს. ბარსენკოვი (ბარსენკოვი 2008), ვ.ე. ჟურავლიოვი (ჟურავლიოვი 2008), ნ.მ. მოროზოვი (მოროზოვი 2014), ა.ნ. პოლიაკოვი (პოლიაკოვი 2007), დ.ა. ურსული (ურსული 2016), ნ.გ. კოზინი (კოზინი 2011).

არსებულ თემატიკაზე ბოლო წლებში დაცულია დისერტაციები, რომელთა ავტორები კონსერვატიზმს შეისწავლიან როგორც ახალი რუსული ფორმაციის პოლიტიკურ იდეოლოგიას. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ს.ა. შესტაკოვი (შესტაკოვი 2003), ე.ა. პოპოვი (პოპოვი 2006), ვ.გ. გრომოვიკი (გრომოვიკი 2005), ა.ი. მინაკოვი (მინაკოვი 2011), მ.ი. ჩერნავსკი (ჩერნავსკი 2009), ა.ა. ხმელინინი (ხმელინინი 2016), ტ.ს. კინევა (კინევა 2009),ა.ვ. ბელოშაპკო (ბელოშაპკო 2005).

კონსერვატიზმის საზღვარგარეთის ისტორიოგრაფია წარმოდგენილია ნაშრომთა ვრცელი სპექტრით, რომელთა ავტორები პრობლემას იკვლევენ სხვადასხვა ფილოსოფიური მიდგომებიდან. დასავლური კონსერვატიზმის არსებობის შედარებით მოკლე ვადების მიუხედავად, მან ძალზედ რთული ევოლუციის გზა განვლო. დაიწყო რა სოციალური პროცესების რელიგიურ-ფილოსოფიური გააზრებით იგი გარდაიქმნა თანამედროვე ტიპის ტრადიციონალისტურ რაციონალურ-ლიბერალურ მოდელად.

ქართველი მკვლევარები რუსეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და საზოგადოებაში გამოკვეთილ კონსერვატიულ ტენდენციებს დასავლური კონსერვატიული სკოლის დისკურსში განიხილავენ. ალექსანდრე დავითაშვილი თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმს იმპერიული მისწრაფებების გეოპოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და დიდმპყრობელური ტრადიციების აღდგენის იდეოლოგიურ ბაზისად მიიჩნევს. ამასთანავე ავტორი აღიარებს, რომ რუსული კონსერვატიზმი ეყრდნობა “არსებული ღირებულებებისა და ტრადიციების შენარჩუნებას დასავლეთის ლიბერალური ღირებულებების საწინააღმდეგოდ” (დავითაშვილი 2015). ავტორი აკეთებს ფუნდამენტურ დასკვნას რუსული კონსერვატიზმის არა აბსტრაქტულ, არამედ კონკრეტულ ანტიგლობალისტურ, ანტიდასავლურ ბუნებაზე (დავითაშვილი 2015). მის აზრს ეთანხმება გიორგი გუშარაშვილი, რომელიც რუსეთში კონსერვატიზმის აღზევებას პირდაპირ უკავშირებს რუსეთის მმართველი წრეების მიერ ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნების სტრატეგიულ ამოცანას. საყურადღებოა ავტორის დასკვნა საბჭოთა კავშირში კომუნისტური ატრიბუტიკის მიუხედავად კონსერვატიული ტრადიციების შენარჩუნების შესახებ, რაც დასავლური სამყაროს ცივილიზაციური პრინციპების უარყოფაში გამოიხატებოდა (გუშარაშვილი 2014). ევროპულ კონსერვატიზმთან მჭიდრო ფილოსოფიურ კავშირში განიხილავს ქართული კონსერვატიზმის საკითხს დავით მაღრაძე. მისი აზრით ახალი ქართული კონსერვატიზმი შემოქმედებითი ბუნებისაა და შესაძლოა დახასიათდეს მოდერნისტულ კონსერვატიზმად. ფაქტიურად ავტორი ევროპული სკოლის ლიბერალური კონსერვატიზმის პრინციპების მომხრეა (მაღრაძე 2011). ზვიად ავალიანი რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის

პრიორიტეტად საბჭოთა ეპოქის კონსერვატიული ტრადიციების შენარჩუნებას მიიჩნევს. მისი აზრით, ეს ტენდენცია ყველაზე მეტად გამოკვეთილი იყო სტალინის მმართველობის ხანაში, რის გამოც პოსტსაბჭოურ სივრცეში (საქართველოს ჩათვლით) მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა სტალინიზმს მიიჩნევს “ტრადიციონალიზმის, ტრადიციული მორალური ფასეულობებისა და თითქმის კონსერვატიზმის სიმბოლოდაც კი ლიბერალური “მორალური რელატივიზმის” საპირწონედ” (ავალიანი 2016).

ლაშა ბაქრაძე სტალინიზმისა და უშუალოდ სტალინის პიროვნების საკითხს ეროვნულ-კულტურული კონტექსტში განიხილავს. მისი აზრით, რუსეთში სტალინიზმის ფესვები სწორედ მის მტკიცე პატერნალიზმში მდებარეობს, რაც რუსეთის სახელმწიფოებრივ ძლიერებაში და საერთაშორისო ავტორიტეტში გამოიხატება (ლიპმანი ... 2013).

ყურადსაღებია ლევან ოსიძის მიერ გლობალიზაციის შეფასება კონსერვატიული ტრადიციებისადმი მოწინააღმდეგე პროცესად. ავტორის აზრით, გლობალიზაცია მკვეთრად გამოხატულ ვესტერნიზაციას წარმოადგენს და ქართულ ეროვნულ ფასეულობებს ემუქრება (ოსიძე 2012).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლური კონსერვატიზმის კლასიკოსების ნაშრომები წარმოადგენენ რეაქციას იმ ხანის ისტორიულ კატაკლიზმებზე. მათ რიცხვს განეკუთვნებიან ფ.რ. დე შატობიანი (შატობრიანი 1814:I-IV), ე. ბერკი (ბერკი 1993), ჟ. დე მესტრი (მესტრი 1884:VII), ლ.გ. დე ბონალდი (ბონალდი 1854:II). სოციალური ცვლილებების სიღრმისეულობამ და მასშტაბებმა საუკუნოვანი წესწყობილების ნგრევა გამოიწვია, საზოგადოებრივი ფორმაცია შეცვალა და დასავლური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნას დაუდო საფუძველი. ყოველივე ეს დასავლური პოლიტიკური აზრისათვის აღმოჩნდა სავსებით მოულოდნელი. ლიბერალიზმის არსებობის მიუხედავად იგი ჯერ ისევ თეორიული პროექტების დონეს არ სცდებოდა. ვითარება სრულიად შეცვალა საფრანგეთის რევოლუციამ, როდესაც ძალადობრივი გზით დაიწყო ლიბერალური პრინციპების განხორციელება. ტირანიისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის გზებისა და საშუალებების ძიება იმდენად კატასტროფული აღმოჩნდა, რომ გამოიწვია დასავლური კონსერვატიული სკოლის ჩამოყალიბება. სკოლის ფუძემდებლები ცდილობდნენ მომხდარი

კატაკლიზმების ბუნების გამოკვლევასა და შედეგების განსაზღვრას. ახალ ცივილიზაციურ პირობებში დასავლური სამყაროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფასეულობების განსაზღვრა გრძელდება დღესაც, რაც ასახულია კ. მანჰეიმის (მანჰეიმი 1953), რ. კერქის (კერკი 1960), ა. სალივანის (სალივანი 2006), გ. რორმოზერის (რორმოზერი 1996), ე. ნორბერტის (ნორბერტი 2001:I-II), უ. მაქნეილის მაკნეილი 1963), ჯ. დაიმონდის (დაიმონდი 1999), ი. ვალერსტაინის (ვალერსტაინი 1976), პ. კენედის (კენედი 1989), ს. ჰანტინგტონის (ჰანტინგტონი 1957), ლ. ჰარცის (ჰარცი 1957), ჟ. შევალიეს (შევალიე 1984:III), ი. გრაფის (გრაფი 2017) ნაშრომებში.

ზოგადად დასავლელი მკვლევარებისათვის დამახასიათებელია მრავალმხრივი მიდგომა როგორც საერთოდ კონსერვატიზმის, ასევე რუსული კონსერვატიზმის მიმართ.

რუსული და დასავლური წყაროებისა და ისტორიოგრაფიის სიუხვის მიუხედავად კონსერვატიული თემატიკა გნოსეოლოგიური და ცივილიზაციური თვალსაზრისით არასაკმარისად არის შესწავლილი. დღემდე არ არსებობს აზრთა ერთიანობა კონსერვატიზმის არსისა და ისტორიული როლის შესახებ, არ არის განსაზღვრული მისი ევოლუციის ქრონოლოგია, ყურადღების მიღმა რჩება მისი ისტორიული ტრანსფორმაციის სიღრმისეული მიზეზები და შედეგები. ყველა ამ გარემოებამ განაპირობა აღნიშნული კვლევის ჩატარება..

**კვლევის ობიექტია** რუსული კონსერვატიული პოლიტიკური იდეოლოგია.

**კვლევის საგანია** კონსერვატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი თანამედროვე რუსეთში.

**კვლევის მიზანია** თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის, როგორც ისტორიულად განპირობებული დამოუკიდებელი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენისა და რუსული სოციუმის ცივილიზაციური კოდის იდენტიფიკაცია; თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის არსისა და ძირითადი მიმართულებების გამოვლენა; რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში კონსერვატიული იდეოლოგიის მნიშვნელობის, როლისა და ადგილის განსაზღვრა.

**დისერტაციის კვლევის ამოცანები:**

- კონსერვატიული იდეოლოგიის არსისა და მეთოდოლოგიის შესწავლა;

- რუსული კონსერვატიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის არსის გამოკვლევა, რომელშიც კონსერვატიული იდეოლოგია ისტორიულად ჩამოყალიბებული სლავური საზოგადოებრივი წყობის სულიერ ბაზისს წარმოადგენს;
- რუსული კონსერვატიზმის ისტორიული წყაროების გამოვლენა, მათი ფილოსოფიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია;
- რუსული კონსერვატიზმის ევოლუციის არსისა და ძირითადი ეტაპების გამოვლენა;
- თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებების გამოვლენა და შესწავლა;
- თანამედროვე რუსული კონსერვატიზმისა და დასავლური კონსერვატიზმის შედარებითი ანალიზის ჩატარება;
- რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებების როლისა და ადგილის შესწავლა;
- თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმში ძირითადი ცივილიზაციური მიდგომების გამოვლენა და შესწავლა;
- რუსეთის ისტორიული წარსულის, აწმყოსა და მომავალის ისტორიოსოფიული გააზრების ასპექტში სხვადასხვა კონსერვატიული ცივილიზაციური მიდგომის როლისა და ადგილის განსაზღვრა.

**კვლევის მეთოდოლოგიას წარმოადგენს.**

- *სისტემური ანალიზის მეთოდი,* რომლის საფუძველზე ჩატარებულია რუსული კონსერვატიზმის კვლევა და დადგენილია, რომ იგი წარმოაგენს დამოუკიდებელ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას, რომელსაც გააჩნია თავისი სტრუქტურა და ფუნქციონალური დატვირთვა; გამოვლენილია კონსერვატიული ელემენტების ბუნება და ლოგიკური ურთიერთკავშირი, რაც რუსული საზოგადოების ერთიან მსოფლმხედველობას შეადგენს;
- *ისტორიზმის მეთოდი,* რომლის საფუძველზე გამოკვლეულია რუსული საზოგადოების კონსერვატიული არსი და განვითარების დინამიკა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ძველი დროიდან დღემდე;

- *ისტორიულ-გენეტიკური მეთოდი,* რომლის მეშვეობითაც გამოვლენილია რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის ძირითადი მიმართულებების ჩასახვისა და განვითარების პროცესი;

- *სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი,* რომლის საფუძველზე გამოვლენილია რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის ძირითადი პრინციპები, განსაზღვრულია მათი ადგილი თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში;

- *აქსიოლოგიური მეთოდი,* რომლის საფუძველზე გამოვლენილია რუსული საზოგადოების კონსერვატიული ფასეულობების არსი და სტრუქტურული ურთიერთკავშირი, გამოკვლეულია და დასაბუთებულია მათი ისტორიული მემკვიდრეობა რუსეთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე;

- *ცივილიზაციური მიდგომა,* რომლის მეშვეობითაც შესწავლილია რუსული საზოგადოების კონსერვატიული ევოლუციის გლობალური ტენდენციები, მისი ურთიერთობა სხვა მსოფლ-სისტემებთან, გამოვლენილია რუსეთის ცივილიზაციური როლი ევრაზიულ გეოსტრატეგიულ სივრცეში;

- *დედუქციური მეთოდი,* რომლის საფუძველზე ჩატარებულია კვლევის საგნის პირველწყაროებისა და ისტორიოგრაფიის ანალიზი, გამოვლენილია და განსაზღვრულია რუსული კონსერვატიზმის ყველა მიმართულების შემადგენელი ელემენტი; მოცემულია მათი კონცეპტუალური შეფასება;

- *ინდუქციური მეთოდი,* რომლის საფუძველზე ჩამოყალიბებულია თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის, როგორც ერთიანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის სურათი; განსაზღვრულია მასში იდეოლოგიური კომპონენტის ადგილი და მნიშვნელობა;

- *კომპარატივისტული მეთოდი,* რომლის საფუძველზე ჩატარებულია რუსული და დასავლური კონსერვატიზმის ანალიზი;

- *კლასიფიკაციის მეთოდი,* რომლის საფუძველზე ჩატარებულია რუსული კონსერვატიზმის სხვადასხვა მიმართულებების სისტემატიზაცია და ქრონოლოგიზაცია

- *ფორმალიზაციის მეთოდი,* რომლის საფუძველზე კვლევის შედეგები ჩამოყალიბებულია კონკრეტულ კონცეპტუალურ დასკვნებად და განსაზღვრებად.

**სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე:**

- რუსული კონსერვატიზმი განიხილება როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა და რუსული საზოგადოების ცივილიზაციური ბაზისი, ხოლო კონსერვატიული იდეოლოგია სლავური საზოგადოებრივი წეს-წყობილების სულიერ-ზნეობრივ კონსტრუქტს წარმოადგენს;
- გამოკვლეულია რუსული კონსერვატიზმის სათავეები სახელმწიფო ინსტიტუტების ჩასახვის ხანიდან;
- გამოკვლეულია რუსული წარმართული საზოგადოებრივი წყობისა და მსოფლმხედველობის კონსერვატიული ბუნება;
- გამოკვლეულია და დასაბუთებულია რუსული საზოგადოების კონსერვატიული ბაზისის ისტორიული ევოლუცია და მემკვიდრეობითობა წარმართობიდან მართლმადიდებლობაზე გადასვლის პროცესში;
- მართლმადიდებლობა პირველად განიხილება რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის სისტემურ საფუძვლად;
- გამოკვლეულია რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუცია, მოცემულია მისი ფილოსოფიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია;
- დასაბუთებულია კონსერვატიზმის ახალი ფილოსოფიური ცნება როგორც ერთიანი რელიგიური და სოციალურ-პოლიტიკური მსოფლმხედველობისა, რომელიც ემყარება არა აბსტრაქტულ ტრადიციონალისტურ შეხედულებებს, არამედ მონარქიული სახელმწიფოებრიობის კონკრეტულ ცივილიზაციურ და ფორმაციულ პრინციპებს;
- ჩატარებულია რუსული კონსერვატიზმის შედარებითი ანალიზი ანალოგიურ დასავლურ იდეოლოგიურ სისტემებთან, რის საფუძველზეც გამოტანილია დასკვნა რუსული კონსერვატიული ტრადიციის დამოუკიდებლობის შესახებ;
- შესწავლილია თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებები, დასაბუთებულია თეორიულ-პრაქტიკული ურთიერთქმედება ფორმაციულ დონეზე;
- გამოკვლეულია რუსული კონსერვატიული ცივილიზაციური ტრადიციის ისტორიული მემკვიდრეობითობა უძველესი დროიდან დღემდე;

- გამოკვლეულია რუსული კონსერვატიზმში ევრაზიული მიმართულების ჩასახვა და განვითარება “მესამე რომის” თეორიული პოსტულატების სახით, რომლებმაც იდეოლოგიურად დაასაბუთეს რუსეთის როგორც ევრაზიული ცივილიზაციის არსი და დანიშნულება;
- გამოვლენილია თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი ცივილიზაციური მიდგომები, მოცემულია მათი ისტორიოსოფიული შეფასება;
- გამოვლენილი და დასაბუთებულია საზოგადოებრივი ყოფის ცივილიზაციური და ფორმაციული კომპონენტების ლოგიკური ურთიერთკავშირი, განსაზღვრულია მათი დანიშნულება, როლი და ადგილი ისტორიულ პროცესში;
- შემუშავებულია ცივილიზაციის უნივერსალისტური განსაზღვრა, როგორც მრავალპოლარული ადამიანური სოციუმის ძირითადი განზომილებისა.

**კვლევის ძირითადი დებულებები.**

სოციალურ-პოლიტიკურ დისკურსში არსებობს კონსერვატიზმის, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის მრავალმხრივი აღქმა. თანამედროვე სოციუმში კონსერვატიზმის არსის, მნიშვნელობის, როლისა და ადგილის აღქმა მოიცავს პოლიტიკური სკოლებისა და მიმდინარეობების ფართო სპექტრს. კონსერვატიზმი წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც ეყრდნობა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ფასეულობებს. ამ ფასეულობათა ნაირსახეობა მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სახელწიფოებრივ-სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ-ზნეობრივ ინსტიტუტებს. შესაბამისად, კონსერვატიზმი ეფუძნება ფუნდამენტალურ თეორიულ და პრაქტიკულ ბაზას, რომელიც განსაზღვრავს როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მთელი საზოგადოების ცხოვრებას.

- კონსერვატიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა წარმოადგენს არამხოლოდ ისტორიული პროცესის შემადგენელ ნაწილს, არამედ მის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს. ფაქტიურად კონსერვატიზმი არის ისტორიის მამოძრავებელი ძალა;
- კონსერვატიზმი თავის სხვადასხვა გამოვლინებაში წარმოდგენილია ევროპული ან აზიური ტიპის ყველა თანამედროვე ცივილიზაციურ მოდელში, რადგან თავისი ბუნებიდან გამომდინარე იგი ასახავს კონკრეტული საზოგადოების ნაციონალურ და რეგიონალურ სპეციფიკას;

- კონსერვატიზმის ძირითად პრინციპებს განეკუთვნებიან: საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცივილიზაციური ფასეულობების ხელშეუხებლობა; ძლიერი სახელმწიფოს ინსტიტუტი, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის უარყოფა; ეროვნული ინტერესების პრიმატი ჯგუფურსა და ინდივიდუალურ ინტერესებზე; რაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმის უარყოფა. კონსერვატიზმი არ წარმოადგენს რაიმე აბსტრაქტულ დამცველ კოსტრუქტს, არამედ არის კონკრეტული ისტორიული და ფილოსოფიური დატვირთვის მქონე იდეოლოგიური სისტემა, რომლის დანიშნულებაა მართლმადიდებლური მონარქიის ცივილიზაციური და ფორმაციული საწყისების დაცვა;

- რუსული კონსერვატიზმი წარმოადგენს დამოუკიდებელ ეროვნულ სოციალურ-პოლიტიკურ ტრადიციას, რომელიც ჩაისახა რუსული საზოგადოების ცივილიზაციურ საფუძვლებთან ერთად. თანამედროვე რუსული კონსერვატიული სკოლა იმყოფება განვითარების ახალ ფორმაციულ პირობებში. მისი მთავარი ამოცანებია რუსული კონსერვატიზმის ცნების, აქტუალობის, არსის, ტიპოლოგიის, წარმომავლობის, ისტორიული მემკვიდრეობისა და პერსპექტივების განსაზღვრა. შეხედულებებისა და მიდგომების მრავალფეროვნებისა და ურთიერთწინააღმდეგობების მიუხედავად, რუსულ პოლიტიკურ სკოლაში ჩამოყალიბდა კონსერვატიზმის ტრანსცენდენტური აღქმის ორი ძირითადი მიმართულება. პირველი არის ტრადიციონალისტური, რომელიც ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში შესაბამისი სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის შემუშავებისას სრულიად გამორიცხავს რაიმე ლიბერალურ საწყისს.მეორე მიმართულება პროდასავლური ხასიათისაა და აღიარებს კონსერვატიული და ლიბერალური პრინციპების ერთობლიობის აუცილებლობას, რაც საშუალებას იძლევა წარმატებით გადაწყვიტოს ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მშენებლობის ამოცანები.

- რუსული კონსერვატიზმი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც ეყრდნობა ეროვნულ ტრადიციონალისტურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებს და წარმოადგენს საზოგადოებრივი წესწყობილების, პოლიტიკური იდეოლოგიის, აზროვნებისა და ქცევის სტილის ერთობლიობას. რუსული კონსერვატიზმის ძირითად პრინციპად ისტორიული განვითარების ყველა ეტაპზე

იყო და რჩება რუსული თავყრილობის, იგივე სახალხო კრების პრინციპი (соборность);

- რუსული კონსერვატიზმის სათავეები დასაბამს იღებს სლავური ცივილიზაციის წარმართული ხანიდან. შემდგომი განვითარება მათ ჰპოვეს რუსული სოციუმისმართლმადიდებლურ ტრადიციაში. თავის ფუნდამენტალურ დებულებებში ისინი დღემდე უცვლელნი რჩებიან. მათ შორის გამოირჩევიან: ისტორიის მსვლელობით განპირობებული რუსეთის მესიანური როლი, რომელიც გამოიკვეთა ორი ქრისტიანული ცივილიზაციის, რომისა და ბიზანტიის, დაცემის შემდეგ, და მოსკოვის რუსეთის გადაქცევა მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯად - მესამე რომად; საერო და სულიერი ხელისუფლების წარმოშობის, ბუნებისა და ფუნქციონალური დატვირთვა; რუსული სახალხო კრების ტიპი, ხასიათი, ფორმები და მნიშვნელობა, როგორც თვითმპყრობელი მეფისა და საზოგადოებრივ თვითმმართველობას შორის ბალანსის შენარჩუნების ერთადერთი რეალური გზა; საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცალკეული ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის როლის, ადგილისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრა; ძირითადი ცივილიზაციური ფასეულობების სულიერი საწყისების მატერიალურზე ცალმხრივი უპირატესობით;

- XVIII საუკუნის დასაწყისში ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლმადიდებლური ცივილიზაციური ორიენტირების ჩანაცვლებამ ევროპული რაციონალიზმით მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა რუსულ საზოგადოებრივ აზრზე. ამის შედეგად კონსერვატიული პოლიტიკური იდეოლოგია დამოუკიდებელი სამეცნიერო მიმართულების სახით გამოიყო კონსერვატიზმის საერთო სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენიდან. რუსული კონსერვატიზმის განვითარება ამ პერიოდიდან მიმდინარეობს დასავლური ტიპის რაციონალისტური აზროვნების ფარგლებში და დასავლური სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძველზე. ამაში შედგება რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუციის გნოსეოლოგიური არსი;

- კონსერვატიზმის განვითარება XVIII საუკუნიდან მიმდინარეობს რუსული კონსერვატიული და დასავლური ლიბერალური მიმართულებებს შორის ბრძოლის ფონზე. 1917 წელს რუსული მონარქისსტული წყობის მოშლამ ვერ შეწყვიტა კონსერვატიული სულიერ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივ-

სამართლებრივი ტრადიცია, რომელიც შეცვლილი სახით შენარჩუნებულ იქნა საბჭოთა პერიოდშიც. კონსერვატიული ტრადიციის მემკვიდრეობითობა რუსეთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე და განსხვავებულ ფორმაციულ პირობებში განპირობებულია უშუალოდ რუსული კონსერვატიზმის არსითა და საზოგადოებრივი მენტალიტეტით.

- თანამედროვე რუსული კონსერვატიზმი წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: მართლმადიდებლური კონსერვატიზმი, სახელმწიფოებრივ-პატრიოტული კონსერვატიზმი, ევრაზიული სკოლა, ლიბერალური კონსერვატიზმი.

- ევრაზიული მიმართულება რუსული კონსერვატიული ტრადიციის შემადგენელ ნაწილად გვევლინება მოსკოვის რუსეთის ევრაზიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დროიდან. ამ კუთხით მართლმადიდებლური კონცეფცია "მოსკოვი – მესამე რომი" უნდა განვიხილოთ არამხოლოდ კონსერვატიული აზრის ნიმუშად, არამედ მართლმადიდებლურ ბაზისზე ჩამოყალიბებულ პირველ და ყველაზე სიცოცხლისუნარიან ევრაზიულ დოქტრინად. ევრაზიული იდეოლოგია ჩამოყალიდა ევრაზიულ რუსეთთან ერთად XVI საუკუნეში.

- რუსული ცივილიზაციის სათავეები დასაბამიდანვე კონსერვატიული ხასიათისაა, რამაც განაპირობა რუსული სოციუმის სიცოცხლისუნარიანობა და კონსერვატიული ტრადიციების შენარჩუნებისა და განვითარების აუცილებლობა. მრავალპოლარული რუსული ცივილიზაცია თავდაპირველადვე გასცდა ცალკეული რეგიონის სახელმწიფოებრივ ფარგლებს და წარმოადგენდა მრავალი ცივილიზაციური ცენტრების ერთობლიობას. ისტორიული პროცესის მრავალხაზოვანი კონცეფციის ფარგლებში საჭიროა ჩატარდეს მრავალხაზოვნობის ფაქტორის მკვეთრი გამიჯვნა საერთაშორისო და შიდა რეგიონალურ დონეზე. შესაბამისად, ჩვენ უნდა განვასხვავოთ მრავალპოლარულობა გლობალურ და შიდა ცივილიზაციურ დონეზე.

- ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორი ცივილიზაციური იდენტურობის საკვანძო ფაქტორს წარმოადგენს. ეს მითუმეტეს მნიშვნელოვანია რუსული სამყაროსათვის, რომელიც ჯერ კიდევ წარმართობის ხანიდან მრავალეროვნული და მრავალკონფესიურია. არცერთი ცივილიზაცია არ არის აბსტრაქტული.

ყოველი ცივილიზაციური ტიპი ჩაისახება და განვითარდება ცივილიზაციური საწყისების მატარებელი კონკრეტული ერის არსებობის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების საფუძველზე. ძირითადი ერის ეთნიკური და ფსიქოლოგიური თვისებები ცივილიზაციური იდენტურობის საფუძველს წარმოადგენენ. ამასთანავე სოციალური და კონფესიური ფაქტორების თავისებურებები სწორედ ძირითადი ერის ეროვნული და ფსიქოლოგიური თვისებებით არის განპირობებული.

- პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია ახალი რუსული ფორმაციის იდეოლოგიური ბაზისის ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ მხრივ ეკუთვნის ისეთი საკითხების გააზრებას, როგორიცაა: საზოგადოებრივი თვითმმართველობის წოდებრივ-წარმომადგენლობითი მოდელის ტრადიციები, რომლებიც ემყარება ხელისუფლებისა და ერის ინტერაქტიულ ურთიერთქმედებას; საფუძვლიანი კონსერვატიული იდეოლოგიური ბაზისი ნორმატიულ-სამართლებრივი ლიტერატურის სახით, რომელიც სათავეებს იღებს კიევის რუსეთის დროიდან; საზოგადოების ორგანიზაციის საბჭოთა მოდელი, როდესაც რუსული ტრადიციებისათვის აბსოლუტურად უცხო კოსმოპოლიტური ფორმაციული წესწყობილება გარდაიქმნა მტკიცე რუსული ვექტორის მქონე ავტორიტარულ სახელმწიფოდ.

- თანამედროვე რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის უნივერსალისტური ხასიათი განაპირობებს ახალი ფორმაციის ჩამოყალიბებას რუსული საზოგადოების ყველა ეროვნული და კონფესიული სუბიექტების ცივილიზაციური ერთობის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა მრავალპოლარულ ცივილიზაციურკოდს. რუსული სახელმწიფოს ევრაზიულ საყრდენს შეადგენს ევროპული რუსულ-სლავური ეთნიკური და მართლმადიდებლური სულიერ-ზნეობრივი ფაქტორი, რომლის მთავარი საყრდენია აზიური თურქულ-მუსლიმური ფაქტორი. აღნიშნული ცივილიზაციური მოდელის მთავარ კომპონენტებად გვევლინება ორი მსოფლიო რელიგია: ქრისტიანობა და ისლამი, რომლებიც კონფესიული განსხვავების მიუხედავად ერთნაირი ფუნდამენტალისტური მიდგომით გამოირჩევიან საზოგადოებრივ-პოლიტიკური და

სულიერ-ზნეობრივი საკითხების მიმართ. სწორედ ეს უნდა გახდეს სლავური და თურქული კომპონენტების მშვიდობიანი თანაარსებობის იდეოლოგიური საწყისი ერთიანი ევრაზიული ცივილიზაციის ფარგლებში.

- "ცივილიზაციის" ცნება გეოგრაფიული და დროის მასშტაბების თვალსაზრისით ბევრად აღემატება "ფორმაციის" ცნებას. ერთი ცივილიზაციის ფარგლებში შესაძლოა შეიცვალოს რამდენიმე ფორმაცია, მაგრამ სოციუმის ცივილიზაციური საწყისები უცვლელი რჩება. კონკრეტული ცივილიზაციის ისტორიულ გზაზე გადამწყვეტ ფაქტორად ყოველთვის რჩება ეროვნულ-კულტურული წყობა, რომელიც ინარჩუნებს და ავითარებს ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური თვითორგანიზაციის პრინციპებს. ცივილიზაცია წარმოადგენს საკვანძო გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, მენტალური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობას. ფორმაცია კი ამ ფაქტორების ურთიერთქმედების ფორმებსა და გზებს სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთზე. აქედან გამომდინარე, ცივილიზაციად უნდა მივიჩნიოთ ისტორიულად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი ეროვნულ-კულტურული საზოგადოება, რომელიცგანვითარდება კონკრეტულ სივრცობრივ-დროებით განზომილებაში.

**კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა**

თანამედროვე რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის კვლევის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს მეცნიერული ცოდნის ხარისხობრივ ზრდაში. ძირითად დებულებებსა და დასკვნებს შეაქვთ გარკვეული წვლილი თანამედროვე რუსული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების შესწავლაში. კვლევის მასალები შესაძლოა გამოყენებულ იქნას სასწავლო-მეთოდური მიზნებით რუსეთის თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სასწავლო კურსების მომზადებისას.

კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას წარმოადგენს მისი შედეგების გამოყენება რუსეთის შიდასაზოგადოებრივი პროცესების პოლიტიკური ანალიზისა და პროგნოზირებისათვის; რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო ინსტიტუტების შიდა და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისათვის; რუსეთის ცივილიზაციური და ფორმაციული ტრანსფორმაციის მიმართულებების შემუშავებისათვის.

ნაშრომის გამოყენება შესაძლებელია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - პოლიტოლოგიის, რუსეთისმცოდნეობის, ისტორიის -

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამის სასწავლო კურსებში დამატებითი ლიტერატურის სახით.

**ნაშრომის აპრობაცია**

სადისერტაციო კვლევის ძირითადი დებულებები და დასკვნები წარმოდგენილია გამოქვეყნებულ სტატიებში:

“Концептуализация постсоветских процессов в современном русском консерватизме”, Интернаука: научный журнал. № 1(5). Часть 1. – М., Изд. «Интернаука», 2017, გვ. 56-62. https://www.internauka.org/authors/mchedlidze-mamuka-solomonovich

“Истоки русского консерватизма”, «Universum: общественные науки» № 1 (31), М., 2017, გვ. 35-44. http://7universum.com/ru/social/archive/item/4195

დისერტაციის მასალები განხილულ იქნა XIX- XX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე: «Актуальные вопросы общественных наук: социология, политология, философия, история» (Россия, г. Новосибирск, 1-2(62), 2017г.) და გამოქვეყნებულია კონფერენციის ნაკრებში სტატიის სახით “Историческая эволюция русского консерватизма”, გვ. 30-47. https://sibac.info/conf/social/lxii/67465

დისერტაციის მასალები გამოცემულია ცალკე წიგნად “Актуальные вопросы современного российского консерватизма” (ISBN978-3-330-06504-8) გამომცემლობა: LAMBERT Academic Publishing, Gamburg, Germany, 2017, გვ. 1-72.

https://www.morebooks.de/store/gb/book/Актуальные-вопросы-современного-российского-консерватизма/isbn/978-3-330-06504-8

**ნაშრომის სტრუქტურა:**

დისერტაცია შედგება შესავალის, ძირითადი ნაწილის, დასკვნისა და ლიტერატურის სიისგან. ძირითადი ნაწილი შედგება სამი თავისგან. პირველი თავი: “რუსული კონსერვატიზმის არსი და გენეზისი” შედგება ოთხი პარაგრაფისაგან. მეორე თავი: “თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებები” შედგება ოთხი პარაგრაფისგან. მესამე თავი: “ძირითადი ცივილიზაციური მიდგომები” შედგება სამი პარაგრაფისგან.

# თავი I. რუსული კონსერვატიზმის გენეზისი და არსი

## §1. კონსერვატიზმის ცნება და არსი

კონსერვატიზმი, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთერთ ყველაზე რთულ ფენომენს წარმოადგენს. კონსერვატიზმის სხვადასხვა მიმართულებების მრავალფეროვნება, ურთიერთწინააღმდეგობრივი ბუნება და რადიკალიზმი, ფართო და დღემდე ჩამოუყალიბებელი კონცეპტუალური ბაზისი, სხვადასხვა პოლიტიკური სკოლების მეთოდოლოგიური მიდგომების, ცალკეული კონსერვატიული მიმართულებების ჩასახვისა და განვითარების ქრონოლოგიური ჩარჩოები და გნოსეოლოგიური თვისებები, თეორიული საფუძვლების შემუშავებისას ცივილიზაციური ფაქტორის გადამწყვეტი როლი და ადგილი – ყველაფერი ეს განაპირობებს კონსერვატიული იდეოლოგიის კვლევის აქტუალობასა და სირთულეს.

მჭიდროდ დაკავშირებულია რა პოლიტიკურ პრაქტიკასთან, კონსერვატიზმი რჩება იდეოლოგიად, რომელიც ეყრდნობა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ცივილიზაციურ ფასეულობებს. ამ ფასეულობათა სპექტრი ძალზედ ვრცელია და მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და სულიერ-ზნეობრივ ინსტიტუტებს. შესაბამისად, კონსერვატიზმი ეფუძნება ფუნდამენტალურ თეორიულ და პრაქტიკულ ბაზისს, რომელიც განსაზღვრავს ცალკე ინდივიდისა და მთელი სოციუმის ცხოვრების წესს.

სამეცნიერო წრეებში შემუშავებულია კონსერვატიზმის არსისა და პრინციპების მრავალი განსაზღვრა. ამ პრინციპების უმრავლესობა უნივერსალისტური ხასიათისაა და აღიარებულია ძირითადი პოლიტიკური სკოლების მიერ.

ამ პრინციპების რიცხვს განეკუთვნებიან:

- საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ცივილიზაციური ინსტიტუტების ხელშეუხებლობა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება სოციალურ იერარქიას, რომელიც განპირობებულია მასში შემავალი ყოველი სოციალური ჯგუფის ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობებით;

- ძლიერი სახელმწიფოს ინსტიტუტი, ასახული თვითმპყრობელი მონარქის ხელისუფლებაში;

- საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის უარყოფა. დაშვებულია თანმიმდევრული და ხელისუფლების მიერ მართვადი სოციალური ევოლუცია თუ იგი არ ეხება საზოგადოებრივი ყოფის საფუძვლებს.

- ერთიანი მთლიანის (სახელმწიფოსა და ნაციის სახით) აბსოლუტური პრიორიტეტი ცალკეულზე (სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის სახით). საერთო ეროვნული ინტერესების პრიმატი ჯგუფურსა და ინდივიდუალურზე შენარჩუნდება კონკრეტული ისტორიული ეპოქის ცვალებადი პირობების მიუხედავად.

- რაციონალიზმისა და ინდივიდუალიზმის უარყოფა. სამყაროს გონებრივი აღქმა დასაშვებია მხოლოდ საუკუნების მანძილზე შემუშავებული კოგნიტიური კატეგორიების სახით, უპირველეს ყოვლისა – რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ფარგლებში.

ამასთანავე, თანამედროვე კონსერვატიზმის მთელი რიგი დებულებები კლასიკურ კონსერვატიულ კანონებს ეწინააღმდეგება და მძაფრი დისკუსიების საგანს წარმოადგენს.

საუბარია ლიბერალური კონსერვატიზმის კონცეპტუალურ დებულებებზე, რომლებიც ძალზედ ახლოს არიან კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებთან:

- დემოკრატიის, როგორც საზოგადოებრივი მმართველობის უნივერსალური ფორმის აბსოლუტიზაცია;

- იდეოლოგიური დეტერმინიზმი. სოციალურ-პოლიტიკური სწავლებების მრავალფეროვნება მიჩნეულია საზოგადოების სრულფასოვანი ფუნქციონირების აუცილებელ პირობად;

- ფილოსოფიურ-რელიგიური აგნოსტიციზმი, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს დადგენილ იდეოლოგიურ დოგმატებს და დაუშვებს მათ ფართო ინტერპრეტაციას;

- ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სახელმწიფოს ფუნქციების მინიმიზაცია.

კონსერვატიული იდეოლოგიის მიმართულებების ასეთი მრავალსახეობა და ურთიერთწინააღმდეგობრიობა პირდაპირ განაპირობებს კონსერვატიზმის ერთიანი საყოველთაოდ აღიარებული ცნების არქონას.

ძირითადი პოლიტიკური სკოლების კონცეფციების სისტემური ანალიზი კონსერვატიული იდეოლოგიის შინაარსისა და პრინციპების ფართო სურათის შემუშავების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

## §2. დასავლეთ ევროპის კონსერვატიზმი

დასავლეთ ევროპული კონსერვატიზმის პირველმა წარმომადგენლებმა მისი მთავარი პრინციპები ჩამოაყალიბეს, რომელიც დღემდე რჩება დასავლური კონსერვატიული იდეოლოგიის საფუძვლად.

უშუალოდ ტერმინი "კონსერვატიზმი" შემოთავაზებულია ფრანგი ფილოსოფოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ფრანსუა რენე დე შატობრიანის მიერ, რომელიც 1818-1820 წლებში გამოსცემდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალს "კონსერვატორი". ჟურნალში გამოქვეყნებული მასალები ასაბუთებდნენ კონსერვატიზმის კლასიკურ პრინციპებს სახელმწიფოს ხასიათისა და როლის შესახებ, სოციალური იერარქიის ფორმებისა და ლეგიტიმურობის შესახებ, რელიგიის - როგორც მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების სისტემისა და პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძვლის შესახებ.

შატობრიანის კონსერვატიზმი ეყრდნობა სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების ტრადიციონალიზმს. იდეოლოგიური ტრადიციონალიზმი განიხილება საზოგადოებრივი სტაბილურობის მთავარ პირობად. ძირითადი სოციალური ჯგუფების მსოფლმხედველობის შეცვლა აუცილებლად გამოიწვევს არსებული წესწყობილების საფუძვლების მოშლას. ყველაზე საშიში ამ მხრივ არის "ერის სულისკვეთების შეცვლა", ანუ საზოგადოების დაბალი და ყველაზე ფართო ფენების მენტალიტეტის ტრანსფორმაცია (შატობრიანი 2017:8). ამ პროცესის წინაპირობები გამომდინარეობს ქრისტიანული რელიგიის წამყვანი როლისა და ზეგავლენის შესუსტებიდან რაც, თავის მხრივ გამოწვეულია ზემდგომი სოციალური ფენების გადაგვარებით (შატობრიანი 1817:294). აქედან გამომდინარე სოციალური კატაკლიზმების მიზეზები ჩამალულია მმართველი კლასების

თავისი სოციალური მდგომარეების საზოგადოებრივი ინტერესების გამოყენების უუნარობაში. ფრანგული განათლების იდეოლოგიას არ ექნებოდა ასეთი დამანგრეველი ზეგავლენა საზოგადოებაზე, თუ მას მხარს არ დაუჭერდა არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი (შატობრიანი 1814:12-13). ამასთანავე შატობრიანი კომპრომისის სახით დასაშვებად მიიჩნევს კონსტიტუციურ მონარქიას, რადგან მხოლოდ მას შეუძლია რევოლუციური ცვლილებების შედეგად ჩამოყალიბებული ახალი სოციალური იერარქიის ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინება (შატობრიანი 1814:12-13). მონარქისტული სახელმწიფოებრივი წყობის პირობებში კონსტიტუციით დაცული სოციალური იერარქია საზოგადოების ყოველ წევრს მიანიჭებს სრულყოფილ თავისუფლებას, მაშინ როდესაც ტოტალური თანასწორუფლებიანობა სინამდვილეში მასობრივ მონობას აღნიშნავს (შატობრიანი 1878:2).

კონსერვატიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკური პრაქტიკის მჭიდრო კავშირის განსაზღვრა შატობრიანის მნიშვნელოვანი დამსახურებაა. განიხილავს რა ქრისტიანობას საზოგადოების მთავარ სულიერ საყრდენად, შატობრიანი მჭიდროდ აკავშირებს მას ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ასპექტებთან, პოლიტიკური იდეოლოგიისა და ეროვნული კულტურის ჩათვლით (შატობრიანი 1816:1-4). მისი აზრით, სწორედ ამ კუთხით უნდა შეფასდეს მონარქისტული სახელმწიფოებრიობის, როგორც ერთადერთი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის ისტორიული აუცილებლობა.

ინგლისელი პუბლიცისტისა და პოლიტიკური მოღვაწის ედმუნდ ბერკის ფილოსოფიურ-პოლიტიკური სისტემა კონსერვატიზმის ძირითადი პოსტულატების კონცენტრირებულ გადმოცემას წარმოადგენს. თავის მთავარ ნაშრომში “ფიქრები საფრანგეთის რევოლუციის შესახებ” (ბერკი 1993:7-9), ბერკი დეტალურად იკვლევს სოცალური კატაკლიზმების წინაპირობებსა და ბუნებას; თეორიულად ასაბუთებს საზოგადოების ძალადობრივი გზით გარდაქმნის დამღუპველობას და საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სოციალური ორგანიზაციის უპირატესობას ქადაგებს. საკვანძო ფასეულობებად ავტორს მიაჩნია შემდეგი:

- ისტორიულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების, კულტურისა და მორალურ-ზნეობრივი საფუძვლების აბსოლუტური პრიმატი განათლების თეორეტიკოსების მიერ წარმოდგენილ აბსტრაქტულ ფასეულობებზე. ამ

ფასეულობებს შორის ბერკი გამოარჩევს ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც ყველა მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების (ოჯახის, ტრადიციების, განათლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის) საფუძველია (ბერკი 1993:10-12). საზოგადოების თვითმყოფადობის შენარჩუნების მთავარ ფაქტორად ეროვნული ტრადიციების მრავალფეროვნების დაცვა მოიაზრება. ამ პრინციპებისაგან ნებისმიერი განდგომა იწვევს საზოგადოების სულიერ დეგრადაციას დაგადაიზრდება მის ფიზიკურ თვითგანადგურებაში.

- პატრიოტიზმი განიხილება როგორც აპოდიქტიკური ჭეშმარიტება, რომელიც ყველა ინდივიდუალურ ინტერესს აღემატება;
- სახელმწიფო გვევლინება საზოგადოების სტაბილურობის მთავარ დამცველად და მისი თანმიმდევრული განვითარების გარანტად. სახელმწიფო იცავს მთელ საზოგადოებას, ამიტომ მისი ყველა წევრის ინტერესები უნდა დაემორჩილოს სახელმწიფო ინტერესებს. სახელმწიფოსთან დაპირისპირება, მისი ნგრევის მცდელობა და სოციალური წყობის შეცვლა არალეგიტიმურია და საყოველთაო კატასტროფის გამომწვევი(ბერკი 1993:15-18).
- ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება არის მონარქისტული, რომელიც კურთხეულა ქრისტიანული ეკლესიის მიერ, საუკუნეების მანძილზე იცავს საზოგადოების წეს-წყობილებას და ყველა სოციალური ფენის მიერ აღიარებულია უზენაეს ხელისუფლებად. აღნიშნულ დებულებას ბერკი ასაბუთებს არამხოლოდ საეკლესიო დოგმატებით, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობითაც, კერძოდ, 1688 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული "ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების და ტახტის მემკვიდრეობის უფლების დაწესების აქტით" (ბერკი 1993:20-24).
- სახელმწიფო სისტემისა და საზოგადოებრივი საწყისების რევოლუციური ნგრევის კატეგორიული უარყოფა. საზოგადოებაში არსებული თუნდაც ძალზედ სერიოზული პრობლემები სულაც არ მოწმობენ მონარქისტული წყობის მანკიერების შესახებ. მონარქია უნივერსალურია და ყველა საზოგადოებრივი ფენის უფლებას იცავს. გამოსავალს ბერკი ხედავს ცალკეული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანმიმდევრულ და ფრთხილ მოდერნიზაციაში. თავად მონარქისტული წყობა ხელშეუხებელი რჩება. მისი განმარტებით,

“რევოლუცია- სიკეთისა და გონების ყველაზე უკანასკნელი რესურსია” (ბერკი 1993:17-19).

ბერკის უმთავრესი იდეოლოგიური პოსტულატი შედგება საზოგადოებრივი განვითარების მემკვიდრეობითობაში, წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთკავშირში. ყოველი მომდევნო ეპოქა გამომდინარეობს წინამორბედიდან, რაც ადასტურებს საუკუნოვანი ტრადიციონალისტური ფასეულობების უპირატესობას.

სწორედ ამ პრინციპიდან ბერკს გამოყავს პირადი და ზოგადი თავისუფლების პრინციპი, რომელიც მდგომარეობსსაზოგადოების ყველა ჯგუფისა და ფენის სამოქალაქო კანონმორჩილებაში, ინდივიდისა და სოციალური ჯგუფის სტატუსით განპირობებულ პასუხისმგებლობის დონეში, სოციალურ იერარქიაში ანტაგონიზმის არარსებობაში (ბერკი 1993:28-30).

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს საფუძველს ბერკის მსოფლმხედველობა განვიხილოთ ერთიან ტრადიციონალისტურ სისტემად, რომელიც კათოლიკური იდეოლოგიის საფუძველზე განმარტავს მონარქისტული სახელმწიფოებრიობის აბსოლუტურ უპირატესობას სხვა წყობაზე.

მსგავსი კონცეპტუალური სქემა გვხვდება ჟოზეფ დე მესტრის მოსაზრებებში, სადაც ტრადიციონალიზმის აპოლოგეტიკა მჭიდროდ უკავშირდება ლიბერალურ პრინციპებს.

აღიარებს რა მონარქისტული წყობის ხელშეუხებლობას, დე მესტრი დასაშვებად მიიჩნევს მისი კონსტიტუციური გზით მოდერნიზაციას. თავად კონსტიტუციას ენიჭება უზენაესი როლი, რომელსაც მონარქიც ემორჩილება. შესაბამისად, საფრანგეთის რევოლუციის პირველი ეტაპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, რომლებმაც შეზღუდეს მონარქის აბსოლუტური ხელისუფლება მას აუცილებელ მოვლენად მიაჩნია. შემდგომი მოვლენები, რომლებიც საყოველთაო ქაოსში გადაიზარდა და მონარქიასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების საფუძვლები გაანადგურა ისტორიულ ანომალიას წარმოადგენენ, რაც განპირობებული იყო ცალკეული მოღვაწეების ამბიციებით. დე მესტრი ვერ ხედავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მონარქისტული ხელისუფლების კონსტიტუციური ფარგლებით შემცირებასა და მის შემდგომ

სრულ დანგრევაში, განიხილავს რა ამ მოვლენებს არა ობიექტურ ისტორიულ კანონზომიერებად, არამედ სუბიექტური ფაქტორის მოქმედების შედეგად.

ამ ლოგიკური მოსაზრებიდან გამომდინარეობს დასკვნა რევოლუციური გადატრიალების შედეგების აღიარების აუცილებლობაზე და საზოგადოების ვალდებულებაზე შეეგუოს ახალ სახელმწიფოებრივ მოდელს. კლასიკური აბსოლუტური მონარქიის აღდგენა შეუძლებელია და საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგება, რადგან მან უკვე მიიღო ახალი ფასეულობები.

ძლიერი სახელმწიფოს ინსტიტუტი ეროვნული იდენტურობის შენარჩუნების მთავარი პირობაა და ამ მიზნის მისაღწევად დე მესტრი მზად არის იაკობინური დიქტატურის აღიარებაზე (მესტრი 1884ა:200).

განათლების თეორეტიკოსების მოღვაწეობის შედეგად განვითარებული საზოგადოების დეიდეოლოგიზაცია რევოლუციური ნგრევის მთავარ წინაპირობად იქცა. განმანათლებლების ფილოსოფიამ ეროვნული მსოფლმხედველობის დოგმატები ინდივიდუალური გონებით ჩაანაცვლა (მესტრი 1884ბ:305). ამის შედეგად მოიშალა ერთიანი ნაციონალური მენტალიტეტი, გაუფასურდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული და ყველა ფენის მიერ აღიარებული საზოგადოებრივი აზროვნების სულიერ-ზნეობრივი პარადიგმები. საგულისხმოა, რომ ცნება "ხალხი" დე მესტრთან მოიცავს ყველა საზოგადოებრივ ჯგუფსა და კლასს, და სოციუმი განიხილება ერთიან ორგანიზმად: "ერს გააჩნია საერთო სული და ჭეშმარიტი მორალური ერთობა, რომელიც მას აქცევს იმად, რაც არის" (მესტრი 1884ბ:325).

საზოგადოების ასეთი იდეოლოგიური და სულიერ-ზნეობრივი ერთობა შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის კატეგორიების ფარგლებში. კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტისა და გავლენის დაცემამ გამოიწვია ეროვნული მენტალიტეტის მოშლა, რასაც მოჰყვა ერის დაცემაც.

არისტოკრატია აბსოლუტიზმის მთავარ საყრდენს წარმოადგენს და ქვეყანაზე ისევე პასუხისმგებელია როგორც ეკლესია. პატრიოტულ პოზიციებზე მდგომი არისტოკრატია ინარჩუნებს ეროვნულ მსოფლმხედველობას და

საიმედოდ იცავს საზოგადოებრივ წეს-წყობილებას. არისტოკრატიას მონარქისტული წყობის დაცვის საკითხში თავად მონარქზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება (მესტრი 1997:29). მონარქი არის აბსოლუტური მბრძანებელი, ამიტომ მისი დამხობა ნიშნავს საზოგადოების მიერ სუვერენიტეტის დაკარგვას (მესტრი 1997:24).

ანალოგიურ კონცეფციას აყალიბებს ლუი დე ბონალდი თავის მთავარ ნაშრომში "სამოქალაქო საზოგადოებაში პოლიტიკური და რელიგიური ხელისუფლების თეორია" (ბონალდი 1854:II). საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბუნებრივი სისტემა ყოველი ერის ცალკეული ისტორიული გამოცდილებით არის განპირობებული. ერის გაერთიანება აბსოლუტური მონარქის ძალაუფლების ქვეშ ღვთის ნებად განიხილება, ამიტომ ინდივიდუალიზმი საფრთხეს უქმნის არამხოლოდ საზოგადოების ერთობას, არამედ ადამიანის სოციალურ ბუნებას ეწინააღმდეგება. ინდივიდუალიზმი იწვევს სოციუმის წევრების გაუცხოებას, რის შედეგად იშლება ერთიანი საზოგადოებრივი მსოფლმხედველობა, იწყება დესტაბილიზაცია და საზოგადოების ნგრევა (შევალიე 1984:73).

ქრისტიანობა არის საზოგადოების რელიგია, ხოლო განათლების იდეოლოგია ინდივიდუალიზმის რელიგიას წარმოადგენს. თითოეული ინდივიდის და სრულიად საზოგადოების მთავარი დანიშნულებაა საკუთარი სამოქალაქო ვალის მოხდა საზოგადოების წინაშე. სწორედ ამ პასუხისმგებლობის ხასიათისა და მასშტაბიდან გამომდინარეობს მათი ადგილი და უფლებები სოციალურ იერარქიაში.

სახელმწიფო წყობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხელისუფლების საშუალო და დაბალ/მცირე ორგანოების ფართო ავტონომიას. ამ საკითხში დე ბონალდი ფაქტიურად ლიბერალურ პრინციპებს ქადაგებს, როდესაც ხელისუფლების რეგიონალური სტრუქტურების მნიშვნელობას აბსოლუტური მონარქიის ინსტიტუტზე მაღლა აყენებს. ასეთი სახელისუფლო იერარქია აგებულია არა მონარქზე, არამედ მის ქვეშევრდომებზე.

როგორც ვხედავთ დასავლური კონსერვატიზმის ყველა ფუძემდებელი ერთი ფილოსოფიური სისტემის ფარგლებში აზროვნებს, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილების მოდერნიზაციას ითვალისწინებს. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია მათ მიერ

კონსტიტუციის უზენაეს კანონად აღიარება და მისი ჩარჩოებით მონარქისტული ხელისუფლების შეზღუდვა. ჩვენი აზრით, ამ მიდგომამ გამოიწვია დასავლური კონსერვატიზმის ტრანსფორმაცია თანამედროვე ლიბერალურ კონსერვატიზმში. ფაქტიურად ამ გარდაქმნის წინაპირობები ჩადებულია დასავლური კონსერვატიზმის დამფუძნებლების ნაშრომებში.

ამ მემკვიდრეობითობას ჩვენ ნათლად ვხედავთ კარლ მანჰეიმის ნაშრომებში, რომლის "ცოდნის სოციოლოგია" რამდენიმე გადამწყვეტი პარადიგმისაგან შედგება.

აზროვნების ფორმა და სტილი განსაზღვრავს როგორც ცალკეული ინდივიდის, ასევე მთელი საზოგადოებრივი დაჯგუფებების პოლიტიკურ ორიენტაციას. აზროვნების სტილი პირდაპირ არის განპირობებული კონკრეტული სოციალური ჯგუფის სოციალური სტატუსითა და მენტალიტეტით (მანჰეიმი 1953:127). ამ პოსტულატიდან მანჰეიმს გამოაქვს დასკვნა მმართველი წრეების კონსერვატიზმისა და მდაბიო ფენების რევოლუციური ბუნების შესახებ. ამით მანჰეიმი უარყოფს საზოგადოების ფართო წრეების კონსერვატიზმს და აღნიშნულ პრეროგატივას მიანიჭებს მხოლოდ არისტოკრატიას (მონარქიის დროს) და საფინანსო ელიტას (დემოკრატიული წყობის დროს).

ამ საფუძველზე აგებულია საზოგადოებრივი მენტალიტეტის ორი ძირითადი დომინანტის - იდეოლოგიისა და უტოპიის - ბუნების, როლისა და ადგილის განსაზღვრა. ორივე განიხილება როგორც სოციალური იერარქიის სუბიექტების აზროვნების სტილი. იდეოლოგია გამოხატავს გაბატონებული ფენის/ჯგუფის პოლიტიკურ ორიენტაციას. საბოლოო ჯამში იდეოლოგია ასაბუთებს ჩამოყალიბებული სოციალური იერარქიის ლეგიტიმურობას, მისი ყოველი სუბიექტის სტატუსსა და დანიშნულებას.

თავის მხრივ უტოპია წარმოადგენს უფლებებში შეზღუდვული კლასების აზროვნების ფორმას. უტოპიურ შეხედულებათა სისტემა ეყრდნობა არსებული წეს-წყობილების შეცვლის მისწრაფებას. თუ მდაბიო ფენები მოახერხებენ ხელისუფლების მოპოვებას, მათი უტოპია რეალობად, ანუ იდეოლოგიად იქცევა.

სუბსტანციური თვალსაზრისით მანჰეიმის ეს მოსაზრებები სწორია, მაგრამ გნოსეოლოგიური კუთხით მათთან დათანხმება შეუძლებელია.

"იდეოლოგიის" ცნებას გააჩნია მრავალი განმარტება. მათ შორის ერთერთია მანჰეიმის მიერ შემოთავაზებული "აზროვნების სტილის" დეფინიცია. აბსტრაქტული თვალსაზრისით იდეოლოგია წარმოადგენს იდეების ერთობლიობას, რომელიც გარკვეულ მსოფლმხედველობად გვევლინება. შესაბამისად იდეოლოგიის ცნება ვრცელდება ყველა სოციალურ-ფილოსოფიურ სისტემაზე, მათი პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად. ამრიგად იდეოლოგია წარმოადგენს ყველა სოციალური დაჯგუფების მსოფლმხედველობის ფორმას. ერთი და იგივე იდეოლოგია, მისი სოციალური სტატუსის მიუხედავად შესაძლოა მთელ საზოგადოებაში გაბატონდეს. ამ სოციალური ფენომენის უზენაეს გამოვლენას ჩვენ ვხედავთ რელიგიაში, რომელიც ათასწლეულების მანძილზე კაცობრიობის ყოფის სულიერ-ზნეობრივ კატეგორიებს განსაზღვრავს. სოციალური კატაკლიზმები გამოწვეულია არა არსებული წყობის მანკიერებით, არამედ საზოგადოებაში არსებული იდეოლოგიური და სულიერი დისბალანსით. ამ მხრივ გადამწყვეტი როლი ენიჭება მმართველ ფენებში რევოლუციური უტოპიზმის გავრცელებას.

მანჰეიმი მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს აზროვნების სტილსა და კულტურის სოციოლოგიას, რომელიც არსებითად არისთითოეული საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ მისი ადგილისა და როლის ფილოსოფიური გააზრების მთავარი საფუძველი (მანჰეიმი 2000:239).

ქრისტიანობა განიხილება საზოგადოების სულიერი თვითგამოხატვის გადამწყვეტ ფაქტორად. ქრისტიანულ ფასეულობებს გარდაუვალი ღირებულება გააჩნიათ, ამიტომ სწორედ მათ საფუძველზე უნდა ჩატარდეს თანამედროვე სამყაროში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების კონცეპტუალური ანალიზი. ქრისტიანული აზროვნების უნივერსალურობა მისაღებია ყველა სოციალური ფენისათვის, ამიტომ სულიერი ინსტიტუტი "სოციალური ტექნოლოგიის ნიმუში და სოციუმის შიდა ჰარმონიული თანაარსებობის საფუძველია" (მანჰეიმი 2010:7).

ორთოდოქსალური პრინციპების აღიარების მიუხედავად, მანჰეიმი რჩება ლიბერალურ კონსერვატორად, ხოლო მის მიერ კონსერვატიზმის "ცალკეული ისტორიული და სოციალური სიტუაციის ფუნქციად" განსაზღვრა მას ლიბერალიზმის აპოლოგეტად აქცევს. (მანჰეიმი 1953:98)

ამ პოზიციას იზიარებს სამუელ ჰანტინგტონი, რომელიც კონსერვატიზმად მიიჩნევსცალკეულ ისტორიულ პირობებში კონკრეტულ იდეოლოგიურ საფუძველზე განვითარებულ სოციალურ პროცესებს. კონსერვატიზმის განვითარებას იგი პირდაპირ უკავშირებს ისტორიული ეპოქების ცვალებადობას, რაც განსხვავებული იდეოლოგიების წარმოშობას იწვევს. ჰანტინგტონის აზრით, კონსერვატიზმი წარმოადგენს სოციალური ჯგუფის რეაქციას საზოგადოებრივ ცვლილებებზე და გამოარჩევს ოთხ ძირითად ისტორიულ პერიოდს, როდესაც მოხდა კონსერვატიული იდეოლოგიის აღზევება:

- რეფორმაციის ეპოქა, როდესაც აღმოცანდა სამყაროს აღქმის სავსებით ახალი ტრანსცენდენტური ფორმა – პროტესტანტიზმი. საგულისხმოა, რომ აქ ერთდროულად ჩაისახა ორი დიამეტრალურად საპირისპირო კონსერვატიული მიმართულება – პურიტანობა, რომელიც საკუთარ თავს მიიჩნევდა ჭეშმარიტი რელიგიური პრინციპების აღმსარებლად და მასთან დაპირისპირებული არისტოკრატია, რომელიც არსებულ წყობას იცავდა. ამ ორი კონსერვატიული ძალის დაპირისპირება დასრულდა ინგლისის რევოლუციითა და კონსტიტუციური მონარქიის დამყარებით;
- საფრანგეთის რევოლუცია, რომელმაც ხელისუფლების სათავეში საფინანსო-სამრეწველო წრეები მოიყვანა და სრულიად ახალი სოციალური სტრუქტურა ჩამოაყალიბა;
- სოციალისტური მოძრაობის ჩასახვა, რომლის მიზანი იყო საზოგადოებრივი წყობის შეცვლა და საფინანსო-სამრეწველო ოლიგარქიის ბატონობის დამხობა;
- სამოქალაქო ომი აშშ-ში, რომელიც პატრიარქალურ სოციალურ წყობასა და ინდუსტრიულ საზოგადოებას შორის უკანასკნელ დიდ დაპირისპირებას წარმოადგენდა (ჰანტინგტონი 1957:463-467).

კონსერვატიული იდეოლოგია ჰანტინგტონის მიერ დაყოფილია სამ ძირითად ტიპად:

- არისტოკრატიული კონსერვატიზმი, როგორც კონკრეტული ისტორიული მომენტის იდეოლოგია. იგი ეწინააღმდეგება არამხოლოდ სოციალურ ცვლილებებს, არამედ ახალ ეპოქასთან ერთად შემოსულ ყველა სულიერ-ზნეობრივ და სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებს;

- ავტონომიური კონსერვატიზმი, როგორც ნებისმიერი ისტორიული ეპოქისათვის აქტუალური და გარდაუვალი იდეოლოგიური ფასეულობების სისტემა;
- სიტუაციური კონსერვატიზმი, რომელიც ისტორიის გარკვეულ ეტაპზეშეიქმნება მმართველი კლასების შეკვეთით, რომელსაც ესაჭიროება არსებული წყობის დამცველი იდეოლოგია (ჰანტინგტონი 1957:454-455).

როგორც ვხედავთ კონსერვატიზმის სამივე ცნება ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მათ შორის სხვაობა პირობითი ხასიათისაა. ამ მიმართულებების მკვეთრი გამიჯვნა ჩატარებული არ არის. სწორედ ამიტომ თავად ჰანტინგტონი კონსერვატიზმს აღიქვამს არა კონკრეტულ საზოგადოებრივ წყობასა და აზროვნებაზე დამოკიდებულ იდეოლოგიურ სისტემად, არამედ აბსტრაქტული უნივერსალური სქემების ერთობლიობად, რომელიც ვარგისია ნებისმიერი სოციალური წყობის დასაცავად, ლიბერალურის ჩათვლით.

მსოფლიო ისტორია განიხილება როგორც ცივილიზაციებს შორის პერმანენტული დაპირისპირება, რომლის სახეობას, მიმართულებებსა და ქრონოლოგიას განსაზღვრავს ელიტების როლი და გავლენა. აქ ჩვენ ისევ გვხვდება ორი კონსერვატიული სისტემის დაპირისპირება. დასავლეთის ლიბერალური კონსერვატიზმი უპირისპირდება აღმოსავლეთის ტრადიციონალიზმს. გამომდინარე იქიდან, რომ ყოველი ცივილიზაცია არის კონკრეტული იდეოლოგიის მატარებელი, მათ შორის კონფლიქტი სწორედ იდეოლოგიურ დაპირისპირების სახით მიმდინარეობს (ჰანტინგტონი 1993:22-23).

ლიბერთარიანული სკოლის წარმომადგენელი რასელ კერკი კონსერვატიზმის სიცოცხლისუნარიანობასა და პოლიტიკურ პერსპექტივებს განიხილავს მხოლოდ ლიბერალიზმის ძირითად პრინციპებთან კავშირში. ავტორი გამოარჩევს სამი საკვანძო ფაქტორების ერთობლიობას, რომელსაც ძალუძს საზოგადოების სტაბილური და თანმიმდევრული განვითარების უზრუნველყოფა. ეს ფაქტორებია: ქრისტიანული რელიგია (კათოლიციზმი), ლიბერალიზმის დემოკრატიული ფასეულობები (პირველ რიგში – ინდივიდუალური თავისუფლება) და საბაზრო ეკონომიკა. არსებითად კერკმა ჩაატარა მთელი დასავლური კონსერვატიზმის შეჯამება და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, მისი დამფუძნებლებიდან დაწყებული. იმავე დროს კერკის მიერ შემუშავებულია ნეოკონსერვატიული იდეოლოგიის პრინციპები, რომლებიც

თანამედროვე ანგლოსაქსონური პოლიტიკური ელიტის ზნეობრივ და პოლიტიკურ ორიენტირებს განსაზღვრავენ (კერკი 1960:225). მათ შორის გამოირჩევა შემდეგი დებულებანი:

- აბსოლუტური მორალური წესრიგი, უზენაესი ჰარმონია, რომელიც არ შეიზღუდება არანაირი ეროვნული და ქრონოლოგიური ჩარჩოებით. საუბარია უნივერსალურ მორალურ ფასეულობებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ არამხოლოდ ცალკეული ცივილიზაციების, არამედ მთელი კაცობრიობის თვითგადარჩენას;
- კონსერვატიზმი აუცილებლად განაპირობებს არსებული ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ტრადიციების შენარჩუნებას, სოციალური იერარქიის ყველა სუბიექტის მშვიდობიან თანაარსებობას ყველა ისტორიულ ეტაპზე;
- გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სიძველის პრინციპს. ძირითადი საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ფასეულობები შესაძლოა ყოფილიყვნენ შემუშავებული მხოლოდ ხანგრძლივი და ყოვლისმომცველი შერჩევის საფუძველზე, რასაც არაერთი ისტორიული ეპოქა დასჭირდა;
- წინდახედულობის პრინციპი საჭიროა სახიფათო სოციალური ექსპერიმენტების თავიდან ასაცილებლად, რაც იწვევს საზოგადოების დესტაბილიზაციას და მისი საფუძვლების მოშლას;
- არსებული საზოგადოებრივი კონსერვატიული მოდელის ფარგლებში დასაშვებია მიდგომათა და კონცეფციათა ფართო სპექტრის გამოყენება, რადგან მიღწეული იქნას ოპტიმალური შედეგი;
- ადამიანური ბუნებას არასრულყოფილების გამო არ ძალუძს საზოგადოების რეალური მოთხოვნებისა და შესაძლებლობების ზუსტი განსაზღვრა. ამიტომ საზოგადოებრივი წყობის შეცვლის ნებისმიერი გეგმათავდაპირველადვე უტოპიური ხასიათისაა და გლობალური კატასტროფის გამომწვევი;
- თავისუფლება და კერძო საკუთრება ერთ მთლიანს შეადგენს, ცალ-ცალკე მათი არსებობა შეუძლებელია. ერთისშეზღუდვა მეორეს შეზღუდვასაც იწვევს,რაც საზოგადოებრივი საწყისების ნგრევაში გადაიზრდება;
- საზოგადოება უნდა იყოს ორგანიზებული ვოლუნტარისტულ საწყისებზე, რადგან თავიდან იქნას აცილებული ანარქიის წინამორბედი უმართავი

კოლექტივიზმი. კერკი არ ამახვილებს ყურადღებას მონარქისტულ მოდელზე. მისი იდეალია საზოგადოების მტკიცე ორგანიზაცია ლიბერალური დემოკრატიის საფუძვლებზე;

- ძალაუფლების მქონე ცალკეული პიროვნების ან სოციალური ჯგუფის დესპოტიზმის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა მათი მკაცრი კონტროლი დემოკრატიული ინსტიტუტების მხრიდან. სწორედ ეს ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ოპტიმალურ ბალანსს ანარქიასა და ტირანიას შორის;

- კონსერვატიზმი ნიშნავს მარადიული პრინციპებისა და ცვალებადი კომპონენტების შეთავსებას. შესაბამისად, საზოგადოებას შეუძლია სწორი რეაგირება მოახდინოს ახალ ისტორიულ პირობებზე და თავი აარიდოს სტაგნაციას (კერკი 1986:3-7).

სოციოლოგი ენდრიუ სალივანი ცდილობს შეათავსოს კონსერვატიული და ლიბერალური საწყისები კათოლიკური თეოლოგიის ფარგლებში (სალივანი 2006:73-119).

მკვლევარის აზრით, საზოგადოებრივი მოწყობის ანგლოსაქსონური მოდელი კონსერვატიული და ლიბერალური პრინციპების ყველაზე ჰარმონიულ შერწყმას წარმოადგენს და თანამედროვე სამყაროსათვის შესაძლოა ეტალონად ჩაითვალოს. დასავლური ცივილიზაციის უმთავრესი მისია შედგება ამ მოდელის საერთაშორისო გავრცელებაში, რაც იძლევა ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის საშუალებას. გადამწყვეტი როლი ამ პროცესში ეკუთვნის გლობალიზაციის პროცესს, რომელიც დასავლური ცივილიზაციის მიერ არის ინიცირებული და აგებულია მის იდეოლოგიურ ფასეულობებზე. თეოლოგიური ფაქტორი განისაზღვრება კონკრეტული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით. იგი წარმოადგენს სოციალური მენტალიტეტის მნიშვნელოვან ფაქტორს,რომელიც დასავლური ფასეულობების საფუძველზე უნდა იყოს მოდერნიზირებული. მსოფლიო ისტორიის თანამედროვე პერიოდი განიხილება როგორც კრიტიკული ზღვარი, რომელიც დასავლური ცივილიზაციის სამომავალო გლობალურ დომინირებას განსაზღვრავს.

დასავლური სამყაროს ცივილიზაციური პრინციპების მესიანურ შინაარსზე საუბრობს ლუის ჰარცი. ამერიკული სოციალური წყობა უნივერსალისტურია,

რადგანმისი სულიერი და მატერიალური მოთხოვნები ეროვნული და რელიგიური შეზღუდვების ფარგლებს სცდება (ჰარცი 1957:482-483).

**ამრიგად, დასავლეთ ევროპული კონსერვატიზმის ჩასახვისა და განვითარების მთელი პროცესი, დაწყებული მისი დამფუძნებლებიდან და დამთავრებული თანამედროვე თეორეტიკოსებით, მიმდინარეობს ლიბერალიზმთან მჭიდრო კავშირში.**

ჩატარებული ანალიზის შედეგების საფუძველზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ თანამედროვე დასავლური კონსერვატიზმის მიმართულებების (ნეოკონსერვატიზმის, ლიბერთარიანობისა და ტრადიციონალიზმის) ძირითადი დებულებები:

- ტრადიციონალისტური და მოდერნისტული საწყისების სინთეზი;
- ძლიერი სახელმწიფოსა და ინდივიდუალური თავისუფლების ერთობლიობა;
- ლიბერალური რევოლუციების შედეგების ხელშეუხებლობა და მათი დეფინიცია ეტალონურ სოციალურ წესწყობილებად;
- იდეოლოგიური დეტერმინიზმი; სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციების მინიმიზაცია და მათი გადაცემა კერძო სექტორის განკარგულებაში.

## §3. რუსული კონსერვატიზმი

რუსულ პოლიტიკურ მეცნიერებაში კონსერვატიზმის გააზრება მეთოდოლოგიური მიდგომებისა და კონცეპტუალური მიმართულებების მრავალსახეობითა და ურთიერთწინააღმდეგობებით ხასიათდება. სწორედ ამით აიხსნება თანამედროვე რუსული კონსერვატიული სკოლის ურთიერთწინააღმდეგობრივი ბუნება. კამათი მიმდინარეობს ძირითადი იდეოლოგიური პრინციპების გარშემო – კონსერვატიზმის ცნების, შინაარსის, ტიპოლოგიის, წარმოშობის, ისტორიული აქტუალობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ნაწილი არამხოლოდ აღიარებს ლიბერალური კონსერვატიზმის დასავლურ დოქტრინას, არამედ ზოგიერთ საკითხში უფრო შორსაც მიდის.

მ. რემიზოვი ეთანხმება რა კონსერვატიზმის დასავლურ აღქმას როგორც რეაქციას სოციალურ კატაკლიზმებზე, განიხილავს კონსერვატიულ

იდეოლოგიას იმთავითვე არასიცოცხლისუნარიან სისტემად, რომელიც აუცილებლად ამოწურავს საკუთარ თავს საზოგადოების მონარქისტული წყობიდან ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელზე გადასვლის შემდეგ (რემიზოვი 2005:151). კონსერვატიზმის ბუნება ჩანასახშივე განწირულია, რადგან იგი რეაგირებს უკვე მომხდარ ცვლილებებზე და ჩამორჩება ისტორიული პროცესის ობიექტურ ლოგიკას. ძირითადი ლიბერალური პრინციპების მიღება და არსებული რეალობისადმი შეგუება წარმოადგენს კონსერვატიული იდეოლოგიის თვითგადარჩენის ერთადერთ გზას. ამასთანავე მ. რემიზოვი უარყოფს ანტაგონიზმს კონსერვატიულსა და ლიბერალურ იდეოლოგიებს შორის და მიიჩნევს მას რადიკალიზმის გამოვლენად (რემიზოვი 2005:154). არსებითად ასეთი მსჯელობა არის კონსერვატიზმის მანკიერი ბუნების მტკიცებულების გაგრძელება რადგან საუბარია მისი სხვადასხვა მიმართულებების შიდა ანტაგონიზმზე.

თავად კონსერვატიზმი განიხილება არა ფილოსოფიურ-პოლიტიკურ მიმართულებად არამედ ცალკეული პიროვნებების სქოლასტური თეორიების კრებულად, მათ ინდივიდუალურ რეაქციად საზოგადოების რადიკალურ ტრანსფორმაციაზე. ამ კუთხით მ. რემიზოვი გამიჯნავს კონსერვატიზმის შემდეგ სახეობებს:

- სულიერი ანუ “ინტეგრალური” კონსერვატიზმი, რომელიც გამომდინარეობს დასავლეთევროპული კონსერვატიული სკოლის არისტოკრატიული ტრადიციებიდან და ხასიათდება საეკლესიო დოგმატების საფუძველზე ჩამოყალიბებული ტრადიციონალისტური საწყისებით;
- რეალისტური ანუ “სიტუაციური” კონსერვატიზმი, რომელიც ნებისმიერი სოციალური წყობის დამცველის როლს ასრულებს, მისი ბუნებისა და წარმოშობის მიუხედავად (რემიზოვი 2006:8);
- რადიკალური კონსერვატიზმი, რომელიც აღიარებს მხოლოდ თანამედროვე საზოგადოების ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელს.

მ. რემიზოვი გვთავაზობს დასავლური კონსერვატიზმის არსებული პრინციპების განსხვავებულ ინტერპრეტაციას და მიიჩნევს მას პერმანენტულ რეაქციადსოციალურ წყობაში მიმდინარე ისტორიულ ცვლილებებზე (რემიზოვი 2010:3). ავტორის აზრით, კონსერვატიზმი წარმოადგენს პოლიტიკურ უტოპიას,

რომელიც ლიბერალიზმის დახმარების გარეშე ჩასახვიდანვე განწირულია მარცხისათვის.

ამრიგად, მ. რემიზოვის კონსერვატიზმის განმარტება გამოირჩევა ცალმხრივი მიდგომით და სრულიად გამორიცხავს კონსერვატიზმის აღქმას სოციალურ-პოლიტიკური ბუნების მქონე მოვლენად.

ნ. ანდროსენკოს ეპისტემოლოგიური მიდგომის მთავარ კომპონენტს შეადგენს კონსერვატიზმის შემეცნების სისტემა (ანდროსენკო 2013:98). მისი აზრით, არ არსებობს კონსერვატიზმის უნივერსალური აბსტრაქტული მოდელი, რომელსაც გააჩნია აღიარებული პრინციპები. ყოველი კონსერვატიული მოდელი პროეცირებულია კონკრეტულ ეპოქასა და საზოგადოებაზე, რომელშიც იგი ჩაისახა და განვითარდა. ეთანხმება რა ჰანტინგტონის მოსაზრებას კონსერვატიზმის ისტორიული ტრადიციისა და ფესვების არარსებობის შესახებ, ანდროსენკოსგამოაქვს ანალოგიური დასკვნა რუსული კონსერვატიზმის შესახებ (ანდროსენკო 2013:99). ავტორის აზრით “არ არსებობს ცენტრალური იდეა, ცენტრალური კონსერვატიული პრინციპი, რომელიც შეკრავს მთელ კონსერვატიულ კონსტრუქციას ერთიან მთლიანობაში,” რის გამოც კონსერვატიზმი უნდა განიხილებოდეს არა პოლიტიკურ იდეოლოგიად, არამედ შემეცნების სისტემად (ანდროსენკო 2013:107). ამ მტკიცებულებას შესაძლოა მხოლოდ ნაწილობრივ დაეთანხმო. ნებისმიერი იდეოლოგია ობიექტურად ეპისტემოლოგიურ სისტემას წარმოადგენს და სისტემატიზირებული თეორიული პრინციპების ერთობლიობას ემყარება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ კონფორმიზმის მქონე დასავლური კოსერვატიზმისთვისაც მთავარ ბაზისი ქრისტიანული პრინციპები გახდა. მითუმეტეს ეს ფაქტორი აქტუალურია რუსეთისათვის, რომლის მართლმადიდებლური კონსერვატიული ტრადიცია ათასწლეულს ითვლის. რაც შეეხება ქრონოლოგიური და რეგიონალური ჩარჩოებით განპირობებულ ყოველი კონსერვატიული ტრადიციის ინდივიდუალიზმს, იგი ობიექტურ-ისტორიული ბუნებისაა და დამახასიათებელია სხვა პოლიტიკური მიმართულებებისთვისაც ლიბერალიზმის ჩათვლით.

ტრადიციონალისტური და ლიბერალური საწყისების ერთობლიობად განიხილავს თანამედროვე კონსერვატიზმს მ. პონომარიოვა. ამ ორი მიმართულების ურთიერთკავშირი არამხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი პირობაა რუსეთის სამომავლო მოდერნიზაციის პროექტის

შემუშავებისას. იკვლევს რა თანამედროვე რუსული პოლიტიკური იდეოლოგიის მიმართულებებს, ავტორი მიდის დასკვნამდე, რომ ყველა პოლიტიკურ სკოლას გააჩნია საერთო პრინციპები, რაც კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის სინთეზის საფუძველს შეადგენს (პონომარიოვა 2011:5).

თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის დამახასიათებელი თვისებების, ტიპოლოგიისა და ორიენტირების კომპლექსური კვლევა ჩატარებულია ბ. მანტიკოვის მიერ. აღიარებს რა კონსერვატიზმის პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის მრავალსახეობას, კონსერვატიული სკოლების მრავალფეროვნებას, მკვლევარი მათ ჰყოფს ორიძირითადი ცივილიზაციური კრიტერიუმის საფუძველზე: მემარჯვენე სლავიანოფილური, რომელიც ეყრდნობა მართლმადიდებლობას და მემარცხენე “დერჟავული,” რომელიც აღიარებს რუსულ სახალხო კრებაზე დამყარებულძლიერი სახელმწიფოებრიობის ნებისმიერ ფორმას (მანტიკოვი 2012:37).

ამ მიმართულებებს შორის არსებული ძირითადი სხვაობა მდგომარეობს საბჭოთა ეპოქისა და დასავლური სამყაროს პოტენციალის შეფასებაში. პოლემიკა მიმდინარეობს რუსეთის ისტორიულ თვითმყოფადობაზე საბჭოთა წყობის გავლენის შესახებ. ასევე განიხილება დასავლური ფილოსოფიურ-პოლიტიკური სისტემების უარყოფითი ზეგავლენა რუსულ ისტორიაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა პერიოდი მისი ხანმოკლეობის მიუხედავად ძალზედ არაერთფეროვანი იყო და ხელისუფლების უკიდურესი ცენტრალიზაციის გამო განიცდიდა ქვეყნის კონკრეტული ლიდერის ინტელექტუალურ და სულიერ-ზნეობრივი თვისებებისა და შესაძლებლობების მნიშვნელოვან ზეგავლენას. ამიტომ რუსეთის ისტორიულ ფასეულობებზე ავტორის მიერ სამართლიანად აღნიშნული კომუნისტური იდეოლოგიისა და პრაქტიკის ნეგატიურ ზეგავლენას ადგილი ჰქონდა მხოლოდ საბჭოთა ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე (მანტიკოვი 2012:39). სწორედ ამით აიხსნება საბჭოთა ეპოქის პარადოქსი, როდესაც კოსმოპოლიტური იდეოლოგიისა და სახელმწიფო წყობის ბატონობის პირობებში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირში მცხოვრები რუსი და სხვა ხალხის ეროვნული განვითარება. ფაქტიურად, საბჭოთა სისტემაში კოსმოპოლიტიზმი ჩანაცვლებული იყო რუსული სახალხო კრებით. როგორც ისტორიულმა პრაქტიკამ გვიჩვენა, მართლმადიდებლობის სულიერ-ზნეობრივი საფუძვლების დათრგუნვის პირობებშიც კისახალხო კრების ტრადიციებმა რუსი ხალხის

დერჟავულ ტრადიციებთან ერთად უზრუნველყვეს რუსეთის, როგორც ცივილიზაციური ერთეულის განვითარება.

ამასთანავე რუსეთის ცივილიზაციური დამოუკიდებლობისა და ძლიერი სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხში ბ. მანტიკოვი ცალმხრივად მიუთითებს სხვადასხვა კონსერვატიული მიმართულებების პოზიციების ერთსულოვნებაზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს ავტორის მიერ წარმოდგენილი "ბიუროკრატიული კონსერვატიზმის" კონცეფცია, რომელიც შეგვიძლია განვიხილოთ ინტელექტუალური ელიტის კონსერვატიზმად. გამოარჩევს რა ცალკეულ ნომენკლატურულ ჯგუფებს, რომლებიც ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოებაში ბიუროკრატიული კონსერვატიული ფენის სახით, ბ. მანტიკოვი ხაზს უსვავს მათ საკვანძო როლს ქვეყნის განვითარებაში და კონსერვატიული ფასეულობებისადმი მათ ქვეგონებრივ ფსიქოლოგიურ მიდრეკილებას (მანტიკოვი 2012:49-50). "ბიუროკრატიული კონსერვატიზმი" ინტელექტუალური ელიტისა და მმართველი ხელისუფლების შეგნებული არჩევანია, რაც მას განასხვავებს ფართო საზოგადოებრივი წრეების სტიქიურ კონსერვატიზმისაგან.

ამავე დროს ავტორი იზიარებს დასავლური პოლიტიკური სკოლის აზრს კონსერვატიზმზე, როგორც სოციალური ტრანსფორმაციებით გამოწვეულ რეაქციაზე.

ა.ვ. რეპნიკოვის აზრით, საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნებისადმი რუსული სოციუმის ორგანული მიდრეკილება თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის საზოგადოებრივ ბაზას შეადგენს. მისი აზრით, საჭიროა აბსტრაქტული ევოლუციის მკვეთრი გამიჯვნა კონკრეტულ რეალობაზე პროეცირებული პროგრესისაგან. საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლებამ კონტრ-რეფორმებსაც უნდა მიმართოს (რეპნიკოვი 2001:9). ამ თვალსაზრისით მკვლევარი ამოცანათა მთელ სპექტრს მოხაზავს, რომელთაგადაჭრის გარეშე კონსერვატიზმი ვერ ჩამოყალიბდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სრულფასოვან მოვლენად. ამ ამოცანათა რიცხვს ეკუთვნის:

- კონსერვატიზმის ცნების, არსისა და ძირითადი პრინციპების განსაზღვრა;
- თანამედეროვე რუსული კონსერვატიზმის მიმართულებების დეფინიცია;
- რუსული კონსერვატიული ტრადიციის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა. გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნიაარამხოლოდ რუსული

კონსერვატიზმის იდეოლოგიურ მხარეს, არამედ მის დამკვიდრებას რუსული სოციუმის აზროვნების სტილად;

- კონსერვატიზმის ფართო სოციალური ბაზის დეფინიცია, რაც გამომდინარეობს რუსული საზოგადოების ცივილიზაციური თავისებურებებიდან (უპირველეს ყოვლისა, რუსული სახალხო კრებიდან) დაგანსაზღვრავს ყველა სოციალური ჯგუფის ერთობლიობას, მათი იერარქიული მდგომარეობის მიუხედავად;

- საბჭოთა პერიოდის როლისა და ადგილის განსაზღვრა რუსული კონსერვატიული ტრადიციის გაგრძელებაში (რეპნიკოვი 2001:15-17).

ამ დებულებათა ანალიზის საფუძველზე ავტორს გამოაქვს დასკვნა რუსული კონსერვატიზმის ისტორიული საფუძვლებისა და პერსპექტივების შესახებ.

კონსერვატიული იდეოლოგიის სრტუქტურული ანალიზი ჩატარებულია ა. შირინიანცის მიერ, რომელიც განიხილავს მას აზროვნების სტილის, პოლიტიკური იდეოლოგიისა და ბიჰევიორისტული პრინციპების ერთობლიობად (შირინიანცი 2014:1-9). კონსერვატიზმის ძირითად ბაზას შეადგენს არა მხოლოდ სოციალური და ისტორიული ფაქტორები, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნება. მკვლევარის აზრით აბსტრაქტული, გარდაუვალი კონსერვატიული პრინციპები ყოველ საზოგადოებაში კონკრეტულ ისტორიულ ფორმას იღებენ. კონსერვატიზმის ყველა ფუძემდებლური პრინციპების საყრდენს შეადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი ტრადიცია. ყურადღება უნდა მიექცეს "განვითარებისა" და "პროგრესის" მცნებების განსაზღვრას. ლიბერალურ-დემოკრატიული გაგებით პროგრესი ყოველთვის უტოპიურია, რადგან საუბარია მანამდე უცნობი საზოგადოების მშენებლობაზე. ამის საპირისპიროდ, კონსერვატიზმს არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ფარგლებში სავსებით ძალუძს ძირითადი ცივილიზაციური მაჩვენებლების განვითარება. ა. შირინიანცის აზრით, კონსერვატიზმის ბუნება გამოიხატება შემდეგ პრინციპებში:

- ადამიანების ფაქტიური და იურიდიული არათანასწორობის აუცილებლობა, რაც ეკლესიის მიერ კურთხეულ ადამიანების ჰარმონიული თანაცხოვრების წესი და საზოგადოების დადებითი განვითარების მთავარი პირობაა;

- ისტორიული ობიექტურობა, რომელიც გამომდინარეობს სოციუმის ეროვნული თვითმყოფადობიდან და კულტურული თავისებურებებიდან. ეს ობიექტურობა უპირისპირდება ლიბერალური ბანაკის უტოპიურ ნიჰილიზმსა და კოსმოპოლიტიზმს;

- სულიერი დებულებების საფუძველს რეალური ისტორიული პრაქტიკა წარმოადგენს. ფართო კონსერვატიული კონცეფცია ყოველთვის ეყრდნობა კონკრეტულ ისტორიულ ბაზისს და არაფერი აქვს საერთო ლიბერალიზმის აბსტრაქტულ სქემებთან (შირინიანცი 2014:4).

ამასთანავე კონსერვატიზმი ყოვეთვის ინარჩუნებს შიდა ოპოზიციურობას ისტორიული და პოლიტიკური მეცნიერების ტრადიციებზე დაყრდნობით, რაც საზოგადოების ყველა ფენის განვითარების საშუალებას იძლევა.

დასავლეთ ევროპული კონსერვატიზმის ტრანსფორმაციის კანონზომიერებას ხაზს უსვავს დ.გ. მიულერი (მიულერი 2003:290). ეს პროცესი განპირობებულია პირველი დასავლური კონსერვატორების იდეოლოგიით, რომელთათვის მისაღები იყო კონსერვატიული და ლიბერალური ცნებების თანაარსებობა. აღიარებს რა თანამედროვე რუსული კონსერვატიული სკოლის არასრულყოფას, მიულერი ხსნის ამ ფაქტს რუსეთში კონსერვატიული ტრადიციის არარსებობით. გარდა ამისა, იგი აცხადებს, რომ პოლიტიკურ კონსერვატიზმს მისი კლასიკური გაგებით რუსეთში არ გააჩნია არც საკუთარი ისტორია, არც პრაქტიკული გამოყენება" (მიულერი 2003:293). ასეთ მტკიცებულებასთან დათანხმება ძნელია. რუსეთის მთელი ისტორია უწყვეტი კონსერვატიული ტრადიციის სახით გვევლინება, ხოლო XX საუკუნემდე შემორჩენილი ათასწლოვანი მონარქია ამ ტრადიციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. რუსული საზოგადოების კონსერვატიული ბუნება, კიევის რუსეთის ხანიდან დაწყებული, ყოველთვის ვითარდებოდა დიდი თავადებისა და სამეფო ხელისუფლების მჭიდრო კავშირში კლასობრივ იერარქიაზე აგებულ სახალხო წარმომადგენლობასთან. სწორედ ეს სინთეზი ასრულებდა რუსული სახალხო კრებისმთავარი საყრდენის როლს და განსაზღვრავდა რუსული ისტორიის შიდა და საგარეო გეოპოლიტიკის ვექტორს. ამგვარ ვითარებას ჩვენ ვხდებით რუსული სამყაროს ყველა ძირითად ცენტრში, ნოვგოროდის რესპუბლიკის ჩათვლით, სადაც სახალხო ყრილობა "ვეჩე" სრულიად განაგებდა სახელმწიფო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური

ცხოვრების ყველა მხარეს, მმართველი თავადების მოწვევისა ან ჩანაცვლების ჩათვლით.

მიულერი არ აღიარებს საბჭოთა ეპოქის კონსერვატიზმს, რასაც ხსნის საბჭოთა სისტემის უუნარობით, გამოეძებნა კონსენსუსი სოციალისტურსა და ეროვნულ-რელიგიურ ფასეულობებს შორის.ჩვენი აზრით, საკითხის ამ კუთხით დაყენება მეთოლოგიური თვალსაზრისით მცდარია. სოციალისტური პრინციპები თავიდანვე ანტიეროვნული ხასიათისაა და ნაციონალური გარემოს დაშლაზეა მიმართული. აქედან გამომდინარე, რაიმე შერწყმა სოციალისტურ და ეროვნულ-რელიგიურ პრინციპებს შორის არსებითად შეუძლებელია, რადგან ანტაგონისტურ იდეოლოგიებს შორის ბრძოლა სრულდება მხოლოდ ერთის მეორეზე სრული გამარჯვებით და არა მათი ერთმანეთში ტრანსფორმაციით. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სისტემა ძალზედ არაერფეროვანი იყო და სტალინის ეპოქაში “რკინის ფარდით” დაცულ კლასიკური კონსერვატიული საზოგადოების ნიმუშს წარმოადგენდა.

საპირისპირო პოზიცია უკავია ვ. გუსევს, რომელიც კონსერვატიზმს განიხილავს საზოგადოების პერმანენტულ მდგომარეობად. ჟამთამსვლელობის მიუხედავად, კონსერვატიზმისძირითადი კატეგორიებიმუდამ უცვლელი რჩება. ეთანხმება რა მანჰეიმის განმარტებას კონსერვატიზმის ბუნების შესახებ გუსევი განასხვავებს მას ჩვეულებრივი ტრადიციონალზმისგან. მისი აზრით ტრადიციონალიზმი მხოლოდ კონსერვატიული იდეოლოგიის გნოსეოლოგიური ბაზისია. ტრადიციონალიზმი თავისი ბუნებით ტრადიციისადმი ქვეგონებრივი, ინსტინქტიური ლტოლვაა. კონსერვატიზმი არის ტრადიციების უკვე გააზრებული კატეგორიების ფარგლებში აღქმა. თითოეული რეგიონის ცივილიზაციური თავისებურებები მის ტრადიციონალისტურ ფასეულობებს შესაბამის დაღს ადებენ. ეს განაპირობებს მათ მრავალფეროვნებას არამხოლოდ ერთი სახელმწიფოს, არამედ ერთი კონსოლიდირებული ერის ჩარჩოებში. ამ დასკვნის საფუძველზე ვ. გუსევს მოაქვს მოსაზრება რუსული კონსერვატიული ტრადიციის სიძველის შესახებ (გუსევი 1994:134).

როგორც ვხედავთ, არსებული მიდგომების სიმრავლისა და ურთიერთწინააღმდეგობრიობის მიუხედავად, თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ სკოლაში მკვეთრად გამოირჩევა ორი ძირითადი მიმართულება: პროდასავლური, რომელიც აღიარებს კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის სინთეზს ახალი

ფორმაციის მშენებლობის საქმეში და ტრადიციონალისტური, რომელიც სრულიად გამორიცხავს რაიმე კავშირს ლიბერალიზმთან რუსეთის ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში დამკვიდრების პროცესში.

ამრიგად, კონსერვატიზმის დასავლური და რუსული კონცეფციების ანალიზის საფუძველზე, რუსეთში მიმდინარე შიდაპოლიტიკური პროცესებისა და გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით, ისტორიული ტრადიციებისა და კონსერვატიული ფასეულობების მჭიდრო კავშირიდან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია კონსერვატიზმის საკუთარი განმარტება ჩამოვაყალიბოთ.

**კონსერვატიზმი არის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც აერთიანებს საზოგადოებრივ წყობას, პოლიტიკურ იდეოლოგიას, აზროვნების სტილსა და ქცევას როგორც ინდივიდის, ასევე მთელი სოციუმის დონეზე. კონსერვატიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, ეყრდნობა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ტრადიციონალისტურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სულიერ-ზნეობრივ პრინციპებსა და ფასეულობებს.**

## §4. რუსული კონსერვატიზმის სათავეები

რუსეთის კონსერვატიზმის ისტორიული ფესვები დღემდე რჩება ერთერთ ყველაზე ნაკლებად შესწავლილ საკითხად. არსებობს ნაშრომები რუსეთის სამართლებრივ-პოლიტიკურ აზრის ისტორიის შესახებ, მაგრამ არ არის შემუშავებული რუსული კონსერვატიული ტრადიციის ბუნების, წარმოშობის,

ქრონოლოგიის, ძირითადი მიმართულებებისა და კონცეფტუალური შინაარსის სისტემატიზირებული ხედვა.

რუსი ღვთისმეტყველებისა და სახელმწიფო მოღვაწეების, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის თეორიული მემკვიდრეობის შესწავლა ცალმხრივად მიუთითებს მკვეთრი კონსერვატიულ ტრადიციის არსებობაზე, ძველი რუსეთის დროიდან მოყოლებული.

კონსერვატიზმის ჩვენ მიერ მოცემული განსაზღვრისა და თეორიული მემკვიდრეობის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსერვატიზმი სრულფასოვანი საზოგადოებრივი-პოლიტიკური მოვლენის სახით რუსეთში ჯერ კიდევ წარმართობის ხანიდან არსებობს.

**შესაბამისად, სამეცნიერო წრეებში დამკვიდრებული აზრი კონსერვატიზმის XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე წარმოშობის შესახებ მართებულია მხოლოდ დასავლური პოლიტიკური სკოლის მიმართ.**

უდავოა, რომ ევროპაში ამ ისტორიულ ხანაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმების მასშტაბი რუსეთისთვის უკვალოდ არ ჩაივლიდა. ეს ზეგავლენა იყო მრავალმხრივი და გავრცელდა ყველა პოლიტიკურ სკოლაზე. ამის შედეგად რუსეთში ჩამოყალიბდა პოლიტიკური აზრის ახალი მიმართულება, რომელმაც შეითავსა დასავლეთ ევროპის კონსერვატიული და ლიბერალური სკოლების ძირითადი დებულებები. მაგრამ ეს პროცესი წარმოადგენდა არა ჩასახვას, არამედ რუსეთში უკვე არსებული კონსერვატიული ტრადიციების განვითარებას ახალ ცივილიზაციურ გარემოში.

ამ დასკვნას ადასტურებს რუსეთის კონსერვატიზმის თეორიისა და პრაქტიკის ისტორიოსოფიული ანალიზი.

არსებითად კონსერვატიზმი ჩაისახა აღმოსავლეთის სლავურ სოციუმთან ერთდროულად. უკვე ამ პერიოდიდან კონსერვატიზმი სლავების მიერ სამყაროს აღქმის არამხოლოდ გონებრივ, არამედ ქვეგონებრივ ფორმას წარმოადგენს და ეყრდნობა მათ რასობრივ-ეთნიკურ და ფსიქოლოგიურ თვისებებს.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კონსერვატიული ტრადიცია რუსეთში დასაბამს იღებს აღმოსავლეთ სლავური საზოგადოების ტომობრივ და პროტოსახელმწიფოებრივ გაერთიანებებად ჩამოყალიბების დროიდან.

ძველი დროიდან მოყოლებული ყოველი ისტორიული ეპოქა რუსული კონსერვატიული ტრადიციის ცალკეულ ეტაპად გვევლინება. ეს განსაზღვრა

ვრცელდება საზოგადოებრივ წეს-წყობილებაზე, პოლიტიკურ იდეოლოგიაზე, აზროვნებისა და ქცევის ფორმებზე.

სწორედ ამიტომ საჭიროა რუსული კონსერვატიზმის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა, რაც ამ სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის თვისობრივი და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, რუსეთის ისტორიის ყოველ ეტაპზე მისი როლისა და ადგილის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

არსებული ისტორიული წყაროების საფუძველზე რუსეთის კონსერვატიული ტრადიციის ქრონოლოგია ასე წარმოგვიდგება:

**პირველი (წინაქრისტიანული, წარმართული) ეტაპი** - უძველესი დროიდან X საუკუნის ჩათვლით. ეს ყველაზე ხანგრძლივი ეტაპი ეყრდნობა აღმოსავლეთ სლავების კულტურულ-ისტორიული ტრადიციების სინთეზს.

**მეორე ეტაპი (ქრისტიანული) -** X საუკუნიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე და ეყრდნობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მართლმადიდებლობის აბსოლუტურ დომინირებას. ეს მნიშვნელოვანი ეტაპი იყოფა ორ დიდ პერიოდად, რომლებიც კიევისა და მოსკოვის რუსეთის ეპოქებს მოიცავენ.

**მესამე ეტაპი** - XVIII-XIX საუკუნეები. ხასიათდება პერმანენტული ბრძოლით პეტრე პირველის რეფორმების სახით რუსეთში დანერგილ დასავლურ ცივილიზაციურ მოდელსა და ისტორიულ რუსულ წყობას შორის. აღნიშნული პერიოდის სირთულე განპირობებულია როგორც კლასიკური რუსული კონსერვატიული საწყისების დასავლურ ლიბერალიზმთან ბრძოლით, ასევე თვით რუსულ კონსერვატიზმში არსებული შიდა დაპირისპირებით.

**მეოთხე ეტაპი -** 1917-1991 წლების საბჭოთა ეპოქა. აღნიშნულმა პერიოდმა მისი მოკლევადიანობის მიუხედავად უდიდესი ზეგავლენა იქონია რუსეთის ისტორიაზე. შიდა და საგარეო ცვლილებების მასშტაბითა და სიღრმისეულობით ამ პერიოდს არ გააჩნია ანალოგი რუსეთის ისტორიაში. სხვა ისტორიული ეპოქებისაგან განსხვავებით რუსეთმა სწორედ კომუნისტური ექსპერიმენტის ეპოქაში ჩააბარა ყველაზე მკაცრი გამოცდა სიცოცხლისუნარიანობასა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. თუ მანამდე მთავარ საფრთხეს წარმოადგენდა გარე ზეგავლენის ფაქტორი, ამ პერიოდში მას დაემატა შიდა კოსმოპოლიტური დაშლის საფრთხე.

**მეხუთე, თანამედროვე ეტაპი -** დასაბამს იღებს საბჭოთა სისტემის დაშლიდან. როგორც ყველა წინამდებარე პერიოდი, მას არ გააჩნია ისტორიული

ანალოგი და მოუწევს რუსეთის ცივილიზაციურ დონეზე შენარჩუნებისა და განვითარების ამოცანების გადაჭრა.

წარმართული ხანის რუსული პოლიტიკურ-სამართლებრივი აზრის შესწავლისას ჩვენ ვხვდებით მრავალ სირთულეებს პირველწყაროების სიმცირის თვალსაზრისით. მაგრამ შემორჩენილი ლიტერატურული ძეგლები ადასტურებენ სლავურ საზოგადოებაში უკვე ამ ადრეულ ხანაში სრულფასოვანი კონსერვატიული ტრადიციის არსებობას.

ძირითად წყაროებად გვევლინება რუსული სამართალის მოკლე და სრული ტექსტები, რუსეთსა და ბიზანტიას შორის IX საუკუნეში დადებული ზავები, სხვადასხვა მატიანეების კრებულები. შემორჩენილი ნაწარმოებების თეორიული დონე (ნაშრომის სტრუქტურა, განხილული საკითხების სპექტრი და მეთოდოლოგიური დასაბუთება, ავტორების ერუდიცია და მსჯელობის ლოგიკა, ასახული სოციალური ურთიერთობების ხასიათი და განვითარების დონე) ადასტურებენ წარმართული სლავური საზოგადოების მაღალ დონესა და სახელმწიფოებრიობის მკვეთრად გამოხატულ ნიშნებს. შემონახული ნიმუშების ინტელექტუალური და მხატვრული სიღრმე მიუთითებს სრულფასოვან ლიტერატურულ ტრადიციაზე, რომლის ჩამოყალიბებას თავის მხრივ ესაჭიროება ხანგრძლივი წინა პერიოდი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემორჩენილი ნაწარმოებები ჟამთამსვლელობის გამო დაკარგული ფართო ლიტერატურული მემკვიდრეობის ცალკეულ ნაწილს წარმოადგენენ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს “რუსულ კანონად” ცნობილი ძველი რუსული სამართლის წესების კრებული, რომელიც მოიხსენიება 911 და 944 წლებში დადებულ რუსულ-ბიზანტიურ ორმხრივ ხელშეკრულებებში.

ლ.ვ. ჩერეპნინი ამ ხელშეკრულებებს მიიჩნევს ძველი რუსული სამართლის განვითარების ეტაპებად, რასაც 911 წლის ტექსტში მხოლოდ “რუსული კანონის”, ხოლო 944 წელს “რუსული კანონისა და წესდების” მოხსენიებით ასაბუთებს (ჩერეპნინი 1965:141). მისი აზრით, პირველი ხელშეკრულება აფიქსირებს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული “რუსული კანონის” ზეპირ პრინციპებს, ხოლო მეორე ხელშეკრულებაში წარმოდგენილია მისი წერილობითი გადმოცემა წესდების სახით.

უფრო შორს მიდის ა.ა. ზიმინი, რომელიც 911 წლის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ “რუსულ კანონს” განიხილავს ჩვეულებრივ სამართლად, ხოლო

944 წლის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ “კანონსა და წესდებას” მიიჩნევს დიდი თავადის სახელმწიფო სამართლად. მკვლევარის აზრით, ეს გარემო ადასტურებს რუსეთში პოლიტიკურ-სამართლებრივი ტრადიციის განვითარებას (ზიმინი 1965:229).

ჩვენი აზრით “კანონისა” და “წესდების” ასეთი მკვეთრი გამიჯვნა არ არის მართებული მათში განხილული პრობლემატიკის იდენტურობის გამო. ამ შემთხვევაში “წესდება” შესაძლოა გამოხატავდეს საერთო “კანონის” გარკვეულ ნაწილს, რომლის წერილობითი სახით დაფიქსირების აუცილებლობა განპირობებული იყო კონკრეტული ისტორიული გარემოებებით.

მაგრამ ამ დოკუმენტების მთავარი მნიშვნელობა გამოიხატება სლავური საზოგადოების ძლიერი ტრადიციონალისტური საწყისების წერილობით დაფიქსირებაში. ისტორიული ეპოქა, რომელშიც მიმდინარეობდა სლავური სამართლებრივი სივრცის ჩამოყალიბება, ხასიათდებოდა უკიდურესი პოლიტიკური არასტაბილურობითა და ფართო მიგრაციული პროცესებით, რაცუზარმაზარ გავლენას ახდენდა არამხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიო ისტორიაზე. ასეთ პირობებში ცივილიზაციური თვითმყოფადობის (ენა, ტრადიციები, არსებობის გეოგრაფიული არეალი) შენარჩუნება ადასტურებს ძველი სლავური საზოგადოების ძლიერ კონსერვატიულ ტრადიციებს.

მ. სვერდლოვის აზრით, “რუსული კანონი” თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით ჩვეულებრივი სამართლის ფარგლებს სცდება, რადგან სოციალური იერარქიის ხასიათსა და მდგომარეობას, საზოგადოებრივ სისტემაში ყოველი სოციალური ჯგუფის როლსა და ადგილს. აქედან გამომდინარე, “რუსული კანონი” შეგვიძლია განვიხილოთ როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტების კრებული (სვერდლოვი 1988:8-12).

ჩვენი აზრით “რუსული კანონის” როლი და მნიშვნელობა ბევრად მეტია. ეს არის ყოვლისმომცველი ნორმატიული აქტების კრებული, რომელიც არეგულირებს არამხოლოდ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებს, არამედ სლავური საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს, საუკუნოვანი ტრადიციების როლს, ადგილსა და მნიშვნელობას, საზოგადოებრივი და ოჯახური ცხოვრების წესებს, მორალურ-ზნეობრივი ფასეულებების სისტემას, აზროვნებისა და ქცევის ფორმებს. ამის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია “რუსული კანონი” განვიხილოთ წარმართული სლავური ცივილიზაციის თეორიულ დასაბუთებად.

ამრიგად, “რუსული კანონი” წარმოადგენს ზეპირი და წერილობითი შემოქმედების ძეგლებში სისტემატიზირებული ძველი სლავური საზოგადოების ცხოვრების ცივილიზაციური ნორმებისა და წესების კრებულს.

ამ კუთხით სრული უფლება გვაქვს “რუსული კანონის” შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა “თქმულება იგორის ლაშქარზე”, “ბოიანეს ჰიმნი” და “ველესის წიგნი”.

“თქმულება იგორის ლაშქარზე” (1185წ.) უნიკალური ლიტერატურული ნაწარმოებია, რომელმაც შეითავსა მხატვრული, ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ჟანრი. “თქმულებაში” დიად არის დეკლარირებული ძლიერი სახელმწიფოსა და ძველი რუსეთის ერთიანობის პრინციპი. განსაკუთრებით ხაზგასმულია ორი დიდი რუსული ცენტრის ნოვგოროდისა და კიევის ერთიანი ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება აღიარებულია აბსოლუტურ ჭეშმარიტებად, რომლის გამო მთელი საზოგადოება მზად არის უკიდურეს თავგანწირვაზე.

წარმართული კულტის გავლენის მიუხედავად, “თქმულება” სრულდება მართლმადიდებლური სულიერების, როგორც რუსული საზოგადოების მსოფლმხედველობის ერთგვარი უპირატესობის დეკლარირებით. ფაქტიურად, უკვე ამ პერიოდიდან კონსერვატიზმი ეყრდნობა ეროვნული და ქრისტიანული პრინციპების ერთობლიობას (თქმულება 2000ბ:73). ყურადსაღებია, რომ ნაწარმოები შექმნილია 1185 წელს და მასში წარმართული ელემენტების არსებობა რუსეთის გაქრისტიანებიდან ორასი წლის შემდეგ ადასტურებს აღმოსავლეთ სლავების საზოგადოებაში ძლიერ კონსერვატიულ ტრადიციებს.

ასეთივე ტრადიციონალისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული “ბოიანეს ჰიმნი”, რომელშიც ნაციონალური და კულტურული იდენტურობა პირდაპირ უკავშირდება ძლიერი სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ პოტენციალს (ბოიანე 1810:39).

წარმართული ხანის ერთერთი ყველაზე მასშტაბური ლიტერატურული ძეგლია”ველესის წიგნი”, სადაც გადმოცემულიაძველ რუსული საზოგადოების ყოფა-ცხოვრების ყველა სფეროს გაშლილი სურათი. წიგნის სტრუქტურა, თხზულების ლოგიკა, სტილი და ინფორმატიულობა, ასევეგანხილული საკითხების სიმრავლე და საფუძვლიანობა მიუთითებენ წარმართული ხანის პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის მაღალი განვითარების დონეზე. ამ

ნაწარმოებში გადმოცემულია ძველი რუსული საზოგადოების ყველა ტრადიციონალისტური ფასეულობა. აღსანიშნავია, რომ წიგნი დაწერილია ნოვგოროდში, რაც ძველი რუსეთის ამ ცენტრის განვითარების მაღალ დონეზე მოწმობს.

"ველესის წიგნში" გადმოცემულ კონსერვატიულ ფასეულობებს შორის გამოირჩევა შემდეგი:

- სულიერი ფასეულობების აბსოლუტი. ყველაფერი მატერიალური, არსებობისათვის საჭირო მინიმუმის ჩათვლით მეორეხარისხოვანია;
- წინაპრებისა და ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციების კულტი. ტრადიციების უარყოფა უტოლდება სოციალურ კატასტროფას;
- სოციუმის ცხოვრების ყველა სფეროში საერთო ინტერესების პიროვნულზე აბსოლუტური დომინირება;
- მკაცრი დისციპლინა, საზოგადოებრივი ცხოვრების წესების უპირობო დაცვა;
- სამხედრო ფაქტორი არის ეროვნული და სულიერი თვითმყოფადობის შენარჩუნების ძირითადი პირობა;
- სიმართლე და სამართლიანობა მიჩნეულია საზოგადოებრივი ყოფის უზენაეს სულიერ-ზნეობრივ განზომილებად (ასოვი 2005:19-27).

ამ წარმართულ ნაწარმოებში გვხვდება მთელი რიგი რელიგიური (თაყვანისცემა "триглав"-სადმი) და ზნეობრივი (მკაცრი ზნეობრივი ნორმები, ოჯახის კულტი) ხასიათის დებულებანი, რომელიც სულიერად ახლოა ქრისტიანობასთან. ამან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აღმოსავლეთ სლავების მიერ მართლმადიდებლობის აღიარებას. სწორედ მართლმადიდებლური სულიერება და უკიდურესად მკაცრი მორალურ-ზნეობრივი მოთხოვნები აღმოჩნდნენ მისაღები ძველი სლავების საზოგადოებრივი და ინდივიდუალური წყობისათვის, რამაც ლოგიკური დასასრული ჰპოვა რუსეთის გაქრისტიანებაში. ამის შედეგად წარმართული ხანის კონსერვატიზმმა ახალი საყრდენი შეიძინა მართლმადიდებლურ სულიერებაში.

სამართლებრივი ნორმების ყველაზე თვალსაჩინო კრებულს წარმოადგენს იაროსლავ ბრძენის "რუსული სამართალი". ამ დოკუმენტში "რუსული კანონების" ნორმატიული რეგულაცია გადმოცემულია ახალი,

მართლმადიდებლური სულიერების საფუძველზე (სვერდლოვი 2014:47-49). მაგალითად, მკვლელობისათვის შურისძიების წარმართული ხანის უფლება შენარჩუნებულია მხოლოდ პირველ ორ პუნქტში (ძეგლები 1956:232-261). როგორც "თქმულებაში იგორის ლაშქარზე", ამ დოკუმენტშიც შემორჩენილია წარმართული ელემენტების კვალი, რაც ძლიერ კონსერვატიულ საზოგადოებრივ ფსიქოლოგიაზე მიუთითებს.

1037-1050 წლებში შექმნილ მიტროპოლიტ ილარიონის თხზულებაში "სიტყვა კანონსა და მადლზე" ქრისტიანობის მიერ შემოტანილი ახალი ტრადიციონალისტური ფასეულობებია გადმოცემული. ამ ნაწარმოებში კონცეპტუალურად დასაბუთებულია ახალი საზოგადოებრივი მოდელი, რომელიც ჩამოყალიბდა მონოთეისტური რელიგიის ზეგავლენის ქვეშ (ილარიონი 1994:10-28).

ძველი და ახალი აღთქმის განმარტებისას ილარიონს გამოჰყავს ისტორიული ადათ-წესების როლისა და ადგილის სრულიად ახალი განსაზღვრა. მხოლოდ ტრადიციებისადმი ერთგულება არ არის საკმარისი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ამ ტრადიციების ქრისტიანული მორალურ-ზნეობრივი წესებისადმი ერთგულებას. სულიერი ფასეულობების მთავარ განზომილებად აღიარებულია "მადლი", რომელიც ილარიონის აზრით არის ღვთიური სიმართლე.

როგორც წინა პერიოდში ქრისტიანული წყობის ჩამოყალიბება მიმდინარეობს რუსული სახალხო კრების საფუძველზე ანუ რუსული საზოგადოება ნებაყოფლობით და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე აღიარებს ქრისტიანულ რელიგიას ახალ მსოფლმხედველობად.

ამრიგად, სიმართლე ანუ "პრავი" (Правь) იყო რა წარმართული რუსეთის სოციალური ფასეულობების მთავარი შინაარსი, ასეთივე საფუძვლად დარჩა ახალი, ქრისტიანული რუსეთისათვის. ქრისტიანული ახალი აღთქმის მიღება ნიშნავს უკვე არსებული ადათ-წესების განახლებას, ხოლო ზოგიერთ საკვანძო რელიგიურ და საერო საკითხში სავსებით ახალი საზოგადოებრივი ტრადიციის ჩამოყალიბებას (ილარიონი 1994:41-47).

ამ საკითხებს განეკუთვნებიან ილარიონის სწავლება უფლის მადლის ბუნების შესახებ. დიდი თავადის (იგივე – მონარქის) გარდაუვალი ავტორიტეტი

და ხელშეუხებლობა მავნე ფაქტორების დაძლევისა და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნების მთავარი წინაპირობაა.

ილარიონი პირდაპირ უკავშირებს ერთმანეთს საერო და საეკლესიო ხელისუფლებას, მიიჩნევს რა მათ ერთი მთლიანის ორ ნაწილად. დიდ თავადს ეკისრება არამხოლოდ საერო მმართველის, არამედ ქვეშევრდომთა სულიერი განმანათლებელისა და სარწმუნოების დამცველის ფუნქციები. როგორც ვხედავთ, ავტორის მიერ შემოთავაზებული ყველა პრინციპი ეყრდნობა წარმართული ხანის სლავური თვითმმართველობის ადათ-წესებს, ამიტომ მათი ფორმულირება ქრისტიანული ღვთისმეტყველების ჩარჩოებში ძველ რუსეთში არსებული კონსერვატიული მემკვიდრეობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

საერთო ჯამში ილარიონის თხზულებაში “სიტყვა კანონსა და მადლის შესახებ” ჩამოყალიბებულია რუსული მართლმადიდებლური თვითმპყრობელობის საბაზისო პოსტულატები.

ამასთანავე ილარიონი იძლევა რუსული ისტორიის ახალ ისტორიოსოფიულ განმარტებას და ხაზს უსვამს ქრისტიანული რელიგიის უნივერსალისტურ ხასიათს. ახალი ისტორიული რეალობის ჩამოყალიბების პირობებში ყველა ერის ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ქრისტიანობის საფუძველზე. აბსოლუტური სამართლიანობა ქრისტიანობის მთავარ შინაარსს შეადგენს. ქრისტიანობა კონსერვატიზმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ბაზისად გვევლინება.

ილარიონის მოძღვრებაში ყურადსაღებია შემდეგი დებულებები, რომლებმაც რუსული საზოგადოების ქრისტიანული მსოფლმხედველობის ბაზისი შექმნეს:

- საზოგადოების ნებაყოფლობითი თვითორგანიზაცია და ყოველი სოციალური ჯგუფისა და ინდივიდის თავისუფალი თვითგამორკვევა სახალხო კრების საფუძველზე (ილარიონი 1994:79).
- ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებში სიმართლე ცხადდება მთავარ ზნეობრივ კრიტერიუმად;
- ქრისტიანობა საზოგადოებრივი ყოფის ერთადერთი ჭეშმარიტი სულიერი საფუძველია. ქრისტიანული მადლი სამართლიანობის განსახიერებაა, რომელზეც სლავური საზოგადოება იმთავითვე იყო აგებული;

- თვითმპყრობელობის მთავარი იდეოლოგიური პოსტულატის დეფინიცია – სამეფო ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობა და მისდამი უდავო დამორჩილება. თვითმპყრობელური ხელისუფლება უკვე თავისი არსით ემსახურება ქრისტიანულ იდეალებს, ხოლო საზოგადოებრივი სტაბილურობის მთავარი გარანტი ძლიერი სახელმწიფოა.
- ტრადიციებისადმი ერთგულება და მემკვიდრეობითობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში;
- ქრისტიანული სარწმუნოების შენახვისა და გავრცელების საქმეში ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და მისიონერული როლის დასაბუთება (ილარიონი 1994:91).

ყოველივე ეს გვიჩვენებს რომ მიტროპოლიტ ილარიონის ნაწარმოებების მნიშვნელობა საღვთისმეტყველო ნაშრომის ფარგლებზე ვრცელია და შეიძლება განხილულ იქნას კონსერვატიული ქრისტიანული ცივილიზაციის ახალი ნორმებისა და წესების სრულფასოვან თეორიულ სისტემად.

საღვთისმეტყველო პრინციპების საფუძველზე შემუშავებულმა პოლიტიკურმა აზრმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ვლადიმირ მონომახის შემოქმედებაში. თავის “შვილებისადმი დარიგებაში” მონომახი თანმიმდევრულად ასაბუთებს ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივ მოწყობის პრინციპებს. განსაკუთრებით მონომახი ხაზს უსვამს ქვეყანაში ძლიერი ხელისუფლების არსებობის აუცილებლობას, რომელიც სხვადასხვა სამთავროების ნებაყოფლობით ერთიანობას უნდა ემყარებოდეს. სტაბილური სახელმწიფო წესრიგის ჩამოყალიბების საკვანძო ფაქტორებად სახელდება მართლმადიდებლობა და ტრადიციონალიზმი (მონომახი 2005:342-343).

მონომახი აყალიბებს ძალაუფლების საღვთისმეტყველო კონცეფციას, განიხილავს რა მას ერთპიროვნული მმართველის უმძიმეს ტვირთად და უდიდეს პასუხისმგებლობად უფლისა და ერის წინაში.

ილარიონის ტრადიციების გამაგრძელებელი მონომახი ღიად იცავს საერო და საეკლესიო სახალხო კრების პრინციპს, როგორც სოციალური სამართლის უმთავრეს მოვლენას. სამართლიანობის საფუძვლად ცხადდება სიმართლე და მოწყალება. მონომახი ეწინააღმდეგება სიკვდილით დასჯას, რაც თავისთავად მოწმობს იმ ხანის რუსეთში სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტების

განვითარების მაღალ დონეს და რუსულ საზოგადოებაში მტკიცე მართლმადიდებლური მენტალიტეტის ჩამოყალიბებას (მონომახი 2005:342-340).

მონომახის ნაშრომის მნიშვნელობას განაპირობებს ისიც, რომ ის შედგენილია არა სპეციალისტი-თეორეტიკოსის, არამედ სახელმწიფო მოღვაწის მიერ, რაც ძველი რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაღალ დონეს ადასტურებს.

კონსერვატიული აზრის ტრადიციები გრძელდება მოსკოვის რუსეთის ხანაში. სწორედ ამ ისტორიულ ეპოქაში მოხდა ძირითადი ტრადიციონალისტური დებულებების სისტემატიზაცია, მათიჩამოყალიბება ერთიან სტრუქტურირებულ მსოფლმხედველობად. მოსკოვის რუსეთის ეპოქაში შემუშავებული რუსული კონსერვატიზმის პრინციპები დღესაც რჩებიან სახელმწიფო იდეოლოგიის საფუძვლად. მათ შორის უმნიშვნელოვანესია:

- ისტორიის მსვლელობით განპირობებული რუსეთის მესიანური როლი, რომელიც მას დაეკისრა ორი ქრისტიანული იმპერიის – რომისა და ბიზანტიის – დაცემის შემდეგ. ამიერიდან სწორედ რუსეთი გახდა მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრი და იქცა მესამე რომად;
- საერო და საეკლესიო ხელისუფლების წარმოშობა, ბუნება და ფუნქციების განაწილება;
- რუსული სახალხო კრება (“Русская соборность”), როგორც სამეფო ხელისუფლებასა და საზოგადოებრივი თვითმმართველობას შორის ჰარმონიული ბალანსის შენარჩუნების ერთადერთი ძალის სახეობა, ხასიათი, ფორმა და მნიშვნელობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითოეული ინდივიდისა და ცალკეული სოციალური ჯგუფების როლი, ადგილი და პასუხისმგებლობა;
- ძირითადი ცივილიზაციური ფასეულობების განმარტება, სულიერი საწყისების მატერიალურზე უდავო უპირატესობა.

არსებითად, მოსკოვის რუსეთში ჩამოყალიდა მართლმადიდებლური კონსერვატიული იდეოლოგიის კანონიკური პოსტულატები, რომლებიც მთელი მომდევნო ისტორიის მანძილზე რუსული ცივილიზაციური კოდისა და რუსული მართლმადიდებლობლური იდეოლოგიის ბაზისად იქცა. ამ პრინციპების გადამწყვეტი ძალა და მნიშვნელობა დადასტურდა XX საუკუნეში, როდესაც

კომუნისტური ექსპერიმენტის პირობებშიც კი ისინი რუსული საზოგადოების არსებობისა და განვითარების რეალურ საყრდენად რჩებოდნენ.

მართლმადიდებლური კონსერვატიზმის ფუნდამენტალური პრინციპები გადმოცემულია ამ დროის პოლიტიკური სკოლების თეორიულ მემკვიდრეობაში, რომელთა შორის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია "стяжатель"-ებისა და "нестяжатель"-ების მოძღვრებას. დოგმატური საკითხების შეუთავსებლობის მიუხედავად ორივე მიმართულება მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების პოზიციებზე რჩება.

რაც შეეხება თავად მართლმადიდებლურ დოგმატებს, მათი უკიდურესი სიმკაცრის მიუხედავად ისინი მაინც მნიშვნელოვანწილად უნარჩუნებენ ადამიანს პირადთავისუფლებას. ეს ეხება პირადი არჩევანის თავისუფლებას. პიროვნების შიდა თავისუფლების რეალიზაციის თვალსაჩინო მაგალითია "стяжатель"-ებსა და "нестяжатель"-ებს შორის ერთიანი ქრისტიანული მსოფლმხედველობის ფარგლებში გამართულიპოლემიკა რომელიც მიმდინარეობდა ორი სხვადასხვა მიმართულებით.

"Нестяжатель"-ების მთავარი იდეოლოგი ნილოს სორელი ეკლესიის მთავარ ამოცანად მიიჩნევს საზოგადოების ყოველი წევრის სულიერი ჯანმრთელობის შენარჩუნებას (წერილები 2000: 245-248). სწორედ ეს სულიერი სიჯანსაღე არის საზოგადოების სრულფასოვანი ფუნქციონირების, შიდა თანხმობისა და პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების ბაზისი. გადამწყვეტ როლს თამაშობს ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის მორალურ-ეთიკური კოდექსის ერთფეროვნება, რაც ერთიანი მსოფლმხედველობით უნდა იყოს განპირობებული. ამის შედეგად საზოგადოებაში ქრება სოციალური კონფლიქტის მიზეზები.

მფლობელთა მიმართულების დამფუძნებელი იოსებ ვოლოცკელი მთავარ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო სამართლის საკითხებში საეკლესიო და საერო საწყისების ფუნქციების შეფარდებას. იდეალად მიჩნეულია გაეკლესიებული/ეკლესიური სახელმწიფო რომლის სტრუქტურა და სამართლებრივი სივრცე მთლიანად ეყრდნობა რელიგიურ პოსტულატებს. ასეთ სახელმწიფოში სამოქალაქო სამართალი, საეკლესიო წესები და ნორმები კონცენტრირებულია ერთ სტრუქტურაში. ეს როგორც იურიდიული, ასევე სასულიერო ამოცანების გადაჭრის საშუალებას იძლევა. ეკლესიასთან ერთად,

სახელმწიფომ და სამართალმა ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოების სულიერ სრულყოფას რადგან სოციალური სტაბილურობის მთავარი პირობა არის საზოგადოების ყოველი წევრის თავისუფალ არჩევანზე დამყარებული მორალურ-ზნეობრივი ფაქტორი (წერილი 1959:148-154).

„Стяжатели"ანუ „иосифляне"-ების სკოლის მთავარი დამსახურებაა "მოსკოვი – მესამე რომის" კონცეფციის შემუშავება, რომელშიც მოცემულია რუსეთის საერთაშორისო მესიანური როლის ისტორიოსოფიული, პოლიტიკურ-სამართლებრივი და თეოლოგიური განმარტება.

"მესამე რომის" თეორია ერთდროულად რამდენიმე იდეოლოგიურ კონსტრუქტს შეიცავს, რომელთაერთობლიობა რუსული სამყაროს ცივილიზაციურ სქემად არის აღიარებული.

ფილოფეი ფსკოველი თავის გზავნილებში პირველ ადგილს ანიჭებს ისტორიულ ტრადიციას, რომელიც მოსკოვის რუსეთმა მემკვიდრეობით მიიღო მართლმადიდებლური რომისა და ბიზანტიისაგან: "რამეთუ ორი რომი დაეცა, მესამე კი დგას, მეოთხე კი არა არს" (წერილი 2007:223-227). მოსკოვის მესამე რომის ხვედრი ღვთიური განგებით არის განპირობებული. ამ ღვთიური ნებით მოსკოვს გადაეცა მსოფლიო მართლმადიდებლობის დაცვისა და გაგრძელების მოვალეობა. ამასთანავე, ეს ისტორიული პროცესი მუდამ ვერ გაგრძელდება, მოსკოვი მისი უკანასკნელი ეტაპია და რუსეთში მართლმადიდებლობის დაცემა გლობალურ კატასტროფის კატალიზატორია.

"თქმულება თეთრ თავსაფარზე" მოსკოვის რუსეთის სახელმწიფო და სულიერ ძლიერებაზე საუბრობს, რამაც განაპირობა მისიგა დაქცევა მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრად (თქმულება 1861:17). მღვდელმთავრის თეთრი თავსაფარი მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმინდეს განასახიერებს. ღმერთის ნებით ეს თავსაფარი რომისაგან გადაეცა კონსტანტინოპოლისს, ხოლო იქიდან დიდ ნოვგოროდში გადავიდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ "მესამე რომის" კონცეფცია ქრონოლოგიურად ემთხვევა რუსეთის დიდი თავადების მიერ "მეფის" ტიტულის მიღებას, რაც მოსკოვის რუსეთის ბიზანტიასთან გატოლებული სახელმწიფო ძლიერების სიმბოლოა და საერთაშორისო მართლმადიდებლური ტრადიციის სამართლებრივი მემკვიდრეობითობის დასაბუთება.

“მესამე რომის” კონცეფციის განხვავებული განმარტება მოცემულია “თქმულებაში ვლადიმირის თავადებზე”, სადაც წარმოდგენილია მოსკოვის მეფეების გენეალოგიური შტო, რომელიც დასაბამს იღებს რომაელი იმპერატორი ავგუსტუსისაგან (თქმულება 2000ა:278-289). სწორედ ეს გენეალოგია ადასტურებს რუსეთის სამეფო ტიტულის სიძველესა და სამართლებრივ ხასიათს, რაც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მათთვის სამეფო რეგალიების გადაცემით აღინიშნა.

“მესამე რომის” კონცეფცია ემყარება რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიასა და საპატრიარქოს ინსტიტუტის შემოღებას, რამაც მოსკოვის მსოფლიო მართლმადიდებლური ცენტრის სტატუსი უზრუნველყო. ამრიგად, მფლობელთა და არამფლობელთა სკოლების მიერ შემუშავებულ პრინციპებს შორის უნდა გამოვყოთ შემდეგი:

- სულისა და პიროვნების კონსერვატიზმი; საეკლესიო წესების საფუძველზე ჩამოყალიბებული ტრადიციონალისტური ფასეულობების მკაცრი დაცვა და გაგრძელება;
- სარწმუნოების სიწმინდე საზოგადოების სულიერი და იდეოლოგიური ჯანმრთელობის მთავარი პირობაა. ნებისმიერი მწვალებლობა იწვევს საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის მოშლას და წარმოადგენს ქვეყანაში სიმშვიდისა და სტაბილურობის ძირგამომთხრელ ძალას, რომელიც უკომპრომისოდ უნდა მოისპოს (იოსები 1994:73);
- თვითმპყრობელი მბრძანებელის (მონარქის) შეუზღუდავ ძალაუფლებაზე დამყარებული სტაბილურობა;
- სახელმწიფოს დამცავი ფუნქციის უზენაესობა. ამ ძალის დანიშნულებაა ჟამთამსვლელობით გამოცდილი რელიგიური და ეროვნული საფუძვლების დაცვა, საზოგადოებაში წესრიგისა და სამართლის შენარჩუნება;
- საერო და საეკლესიო ხელისუფლება ერთი ღვთიური ნების ორი გამოვლენაა. საერო ხელისუფლებას საეკლესიო დატვირთვაც გააჩნია რამეთუ მას ქრისტიანობის დამცველის ფუნქცია ეკისრება;
- სულიერი ხელისუფლების უდავო პრიორიტეტი საეროზე განპირობებულია ქრისტიანობის სულიერი როლით. ქრისტიანობა საზოგადოებრივი მენტალიტეტის საფუძველია და სოციუმის ყოფის ყველა მხარე მის რეგულაციებს ემორჩილება;

- “მესამე რომის” კონცეფცია ასახავს რუსი ხალხისა და სახელმწიფოს მსოფლიო მესიანურ როლს.

მოსკოვის რუსეთის კონსერვატიულ იდეოლოგიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რუსული სახალხო კრების პრინციპს, რაც ამომწურავად დასაბუთებულია “ვალაამის სასწაულმოქმედი ნეტარი ბერების სერგე და გერმანის საუბარში” (საუბარი 1895:I-XXIV). ნაწარმოების უცნობი ავტორის აზრით, თვითმპყრობელური ხელისუფლების მთელი პოტენციალის გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ მბრძანებელისა და მისი ქვეშევრდომების მუდმივი თათბირის საფუძველზე. სათათბირო ორგანოების გრადაცია პირდაპირ დამოკიდებულია სოციალურ იერარქიაზე. თვითმპყრობელის ხელისუფლება დამყარებულია ორ მუდმივ სათათბირო ორგანოზე. პირველი ორგანო წარმოადგენს მთელი საზოგადოების ინტერესებს და სწორად მისგან მეფე იღებს ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე სრულყოფილ და დროულ ინფორმაციას. მოგვიანებით ეს პრინციპი რეალიზებული იქნა საერო კრებების ინსტიტუტში. მეორე ორგანო წარმოდგენილია ბოიარების ჯგუფით, სამოქალაქო და სამხედრო არისტოკრატიის სახით და ევალება ქვეყნის მართვის თეორიული და პრაქტიკული რჩევების შემუშავება და განხორციელება. არსებითად, აქ საუბარია ბოიარების სათათბიროზე. ისტორიულმა გამოცდილებამ “საუბარში” მოცემული პოლიტიკური მოდელის სისწორე დაადასტურა, რადგან იგი მართლმადიდებლობის საფუძველზე ძველი სლავური თვითმმართველობის ტრადიციების გაგრძელებას წარმოადგენს. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაშრომში შემოთავაზებული ხელისუფლებისა და საზოგადოების მშვიდობიანი ინტერაქტიული ურთიერთობის ფორმები უნივერსალისტური ხასიათისაა და დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ რუსეთის კონსერვატიული ტრადიციის დამახასიათებელ თვისებად უძველესი დროიდან დღემდე რჩება მისი სოციალური, ფაქტიურად ყოვლისმომცველი ხასიათი. შესაბამისად, კონსერვატიული წყობის თეორიული დასაბუთება იყო არამხოლოდ სასულიერო და საერო საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის პრეროგატივა. კონსერვატიზმის იდეოლოგიური ბაზისის განვითარებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს რუსეთის სახელმწიფო მოღვაწეებმა, უზენაესი სახელისუფლო

იერარქიის წარმომადგნლების ჩათვლით. რუსი მეფეები იყვნენ სახელმწიფო მართვის არამხოლოდ პრაქტიკოსები არამედ თეორეტიკოსებიც. მათ მიერ შემუშავებული ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი მართვის თეორიული საფუძვლები დღემდე ინარჩუნებენ აქტუალობას. თვალსაჩინო მაგალითია ივანე მრიხანეს ლიტერატურული მემკვიდრეობა, სადაც მან ჩამოაყალიბა სახელმწიფო მართვის იდეოლოგიისა და პოლიტიკური პრაქტიკის პოსტულატები. მათ რიცხვს განეკუთვნებიან შემდეგი პრინციპები:

- თვითმპყრობელური ხელისუფლების წარმომავლობის, ხასიათის, იდეოლოგიური ბაზისისა და ისტორიული განპირობებულობის დასაბუთება;
- საზოგადოებრივ იერარქიაში მონარქის როლი და ადგილი;
- სახელმწიფო სისტემის სრულფასოვან ფუნქციონირებაში ეკლესიისა და საეკლესიო მოძღვრების როლი და მნიშვნელობა;
- საერო და საეკლესიო ხელისუფლების პასუხისმგებლობის ფუნქციონალური გამიჯვნის ხასიათი და მიმართულებები.

ივანე მრისხანეს მიერ შედგენილი დოკუმენტების კვლევა ავლენს მის ფართო ერუდიციას, გამორჩეულ ანალიტიკურ თვისებებსა და საზოგადოების წინაშე სამეფო ხელისუფლების უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ივანე მრისხანის დროს დასრულდა თვითმპყრობელურ ხელისუფლებაზე დამყარებული მართლმადებელი მონარქიის კლასიკური პრინციპების ჩამოყალიბება.

ივანე მრისხანის შეხედულებათა სისტემატიზირებული გადმოცემა მოცემულია მის “მიმოწერაში’ ანდრია კურბსკისთან. ჩვენი აზრით, “მიმოწერის” ტერმინის გამოყენება მეფესა და გაქცეულ მოღალატეს შორის გზავნილების მიმართ არასწორია. უფრო მართებული იქნება ეს დოკუმენტები განვიხილოთ მართლმადიდებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ეროვნულ რუსულ იდეოლოგიასა და დასავლეთის კოსმოპოლიტურ პროტესტანტულ იდეოლოგიას შორის ბრძოლის ნიმუშებად. სამწუხაროდ, მკვლევართა ყურადღების მიღმა რჩება ივანე მრისხანეს პირველი წერილის მეტად მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომელშიც იგი კურბსკის ახასიათებს როგორც ერთ დროს მართლმადიდებლობისადმი ერთგულ კაცს, რომელიც ამჟამად ჯვრისა და ერის მოღალატე გახდა: “იყო რა ადრე ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ჩვენი თვითმპყრობელობის ბოიარინი, მრჩეველი და ვოევოდა

(მხედართმთავარი), ახლა კი უფლის ყოვლადწმიდა და ცხოველმყოფელი ჯვრის მოღალატე და ქრისტიანების დამღუპველი, ქრისტიანობის მტრების მომხრე, ღვთის ხატების თაყვანისცემას განდგომილი და ყველა წმიდა კანონის დამრღვევი, წმიდა ტაძრების დამანგრეველი, წმიდა ჭურჭელისა და ხატების შემლახველი და წამბილწველი ვითარცა ისავრე, ჩირქიანი სომეხი"[1] (მიმოწერა 1979:13). როგორც ვხედავთ, ივანე მრისხანე აქ ამხელს კურბსკის როგორც ხატმებრძოლთა მწვალებლობის მიმდევარს და ატარებს ანალოგიას ბიზანტიის ხატმებრძოლ იმპერატორთან ისავრე მესამე სომეხთან. ეს მწვალებლობა სრულიად შეესაბამება XV საუკუნეში ნოვგოროდში გავრცელებულ გნოსტიკურ მოძღვრებას, რომელთანაც ბრძოლა მოსკოვის რუსეთში უკვე ასწლეულის მანძილზე მიმდინარეობდა. უნდა გავითვალისწინოთ რეფორმაციის ზეგავლენაც, რომელმაც იმ დროისათვის უკვე მთელი ევროპა მოიცვა და დასაბამი დაუდო პროტესტანტულ იდეოლოგიას. ფაქტობრივად პროტესტანტობა და ნოვგოროდის მწვალებლობა ივანე მრისხანის მიერ აღიქმება დასავლეთის იდეოლოგიურ იარაღად რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო მათი მიმდევრები სამოქალაქო საზოგადოებიდან და სასულიერო წრეებიდან – სახელმწიფო წეს-წყობილების მოწინააღმდეგებად.

აქედან გამომდინარე აშკარაა ივანე მრისხანეს ისტორიული მართებულობა და იდეოლოგიური უპირატესობა არაიმდენად კურბსკიზე, რამდენადაც მის დასავლურ მფარველებზე.

თავის პოზიციას ივანე მრისხანე აგებს მართლმადიდებლურ დოგმატურ კანონებზე, რომლებიც მის მიერ სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მსოფლმხედველურ ბაზისად და ცივილიზაციურ განზომილებად არის აღიარებული.

სახელმწიფო მოწყობის ქვაკუთხედად ივანე მრისხანე მიიჩნევს სამეფო ხელისუფლების ღვთიურ წარმომავლობას: "ყოველი სული დაე მორჩილებდეს ხელისუფლების მქონემბრძანებელს. არა არს ხელისუფლება გარდა ღმრთისაგან და ვინც ეწინააღმდეგება ხელისუფლებას, ეწინააღმდეგება ღმერთის ბრძანებას"

[1]ორიგინალის ენაზე: "бывшему прежде православнаго истиннаго християнства и нашего самодержания боярину и советнику и воеводе, ныне же крестопреступнику честнаго и животворящаго Креста Господня, и губителю хрестиянскому, и ко врагом християнским слагателю, отступшему божественнаго иконнаго поклонения и поправшему вся священная повеления, и святыя храмы разорившему, осквернившему и поправшему священыя сосуды и образы, якоже Исавр, гноетезный, арменин."

(მიმოწერა 1979:14). თვითმპრყრობელობა საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარი რეგულატორია, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სოციალური ჯგუფის ინტერესების ჰარმონიულ შერწყმას და ქვეყანაში მშვიდობის დამყარებას.

ივანე მრისხანე თანმიმდევრულად ასაბუთებს ხელისუფლების დინასტიური და არა ძალოვანი გზით მემკვიდრეობის საკითხს. ეს გამორიცხავს ხელისუფლებისათვის ბრძოლას მსხვილი არისტოკრატიის გარემოში და საზოგადოებაში სტაბილურობის გარანტიას იძლევა. შეზღუდული მონარქიის დასავლური მოდელების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ივანე მრისხანე ასაბუთებს მათ პოტენციურ არასტაბილურობას, რომელიც გადაიზრდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საფუძვლების ნგრევაში. თვითმპყრობელობის სულიერი ფორმა ივანე მრისხანეს კიდევ ერთი სულიერი პოსტულატია. მეფეს, როგორც სახელმწიფო მართვის მთავარ ორგანიზატორს, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება. თვითმპყრობელობის სასულიერო-საგანმანათლებლო მისიას ორი ამოცანის გადაჭრა ეკისრებათ. ერთი მხრივ, მათ უნდა უზრუნველყონ საზოგადოებაში მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის აბსოლუტური ბატონობა, მეორე მხრივ, უზრუნველყონ საზოგადოებრივი სტაბილურობა არა ძალადობრივი, არამედ იდეოლოგიური საშუალებებით (მიმოწერა 1979:48-51).

ნიშანდობლივია, რომ ივანე მრისხანეს კონსერვატიული მსოფლმხედველობა არ შემოიფარგლება უზენაესი სოციალური იერარქიით და აღიარებულია მთელი რუსული საზოგადოების მიერ. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთში ძველი კონსერვატიული ტრადიციის არსებობას დამის ყოვლისმომცველ ხასიათს.

ამ დასკვნის კიდევ ერთ დადასტურებად გვევლინება ივანე პერესვეტოვის თხზულებანი, სადაც ჩამოყალიბებულია მოსკოვის რუსეთის მართლმადიდებლური იდეოლოგიის ისტორიოსოფიული ასპექტები (პერესვეტოვი 1956:82). ძირითად ფასეულობებად ცხადდება მართლმადიდებლური სარწმუნოების სიწმინდე და თვითმპყრობელი მბრძანებელის შეუზღუდავი ძალაუფლება. “მესამე რომის” კონცეფცია პერესვეტოვის მიერ განიხილება მოსკოვის სახელმწიფოს დამცავი ფუნქციების კონტექსტში. ამაზე დაყრდნობით დასაბუთებულია საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. გლობალური დებულებების ჩამოყალიბებასთან ერთად პერესვეტოვი გამოდის

რეფორმების ინიციატივით, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებას. საუბარია სასამართლო რეფორმაზე, რომელიც ითვალისწინებს კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობას და საფინანსო რეფორმაზე, რომლის მთავარი მიზანია ფინანსების ცენტრალიზაცია (ზიმინი 1982:46-50).

მოსკოვის რუსეთის თეორიული მემკვიდრეობის ანალიზი ნათლად გამოავლენს სრულფასოვანი კონსერვატიული ტრადიციის არსებობას, რომელიც რუსი ხალხის საზოგადოებრივი ყოფის ბუნებრივ ფორმას წარმოადგენდა. სახეზეა კონსერვატიული თეორიისა და პრაქტიკის შერწყმა სოციალური იერარქიის ყველა დონეზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამის საფუძველზე მოსკოვის რუსეთი სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისთ შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც მართლმადიდებლური ცივილიზაცია.

## §5. რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუცია

ისტორიული პროცესის კანონზომიერება გამოიხატება კონკრეტულ ეპოქაში მიმდინარე პროცესების მჭიდრო კავშირში წარსულსა და მომავალთან.

სწორედ ამგვარ კანონზომიერებას აქვს ადგილი რუსეთის ისტორიაში XVIII საუკუნიდან, როდესაც დასრულდა პატრიარქალური მოსკოვის რუსეთის ეპოქა და იგი გარდაიქმნა ევროპული ტიპის აბსოლუტურ მონარქიად.

ისტორიულად ჩამოყალიბებული მართლმადიდებლური რუსული საზოგადოებრივი წყობის ცივილიზაციური ორიენტირების ჩანაცვლება ევროპული რაციონალიზმით გარდაუვალად აისახა რუსულ საზოგადოებრივ აზრზე. პეტრე პირველის რეფორმების შედეგად რუსეთიძალოვანი გზით იქნა ჩამოცილებული მის ისტორიულ ორბიტას. გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ეს ნიშნავდა ქვეყნის განვითარების გზის გადამისამართებას უცხო მიმართულებით.

სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური მოდერნიზაციის სახით მიმდინარეობდა საუკუნოვანი წესებისა და ზნე-ჩვეულებების მოშლა, დასავლური საზოგადოებრივი მოდელის დანერგვა, ცივილიზაციურ დონეზე რუსული თვითმყოფადობის უარყოფა და აღმოფხვრა.

ყველაფერი ეს პირდაპირ უპირისპირდებოდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ კონსერვატიულ ტრადიციას, სლავური ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი წყობის არსს (ბაშილოვი 1957:389).

ამ რეფორმების შედეგად რუსეთში გაბატონდა პერმანენტული არასტაბილურობა, მოიშალა ზნე-ჩვეულებებია ზნე-ჩვევები. თვითმპყრობელობის მთავარი საყრდენი – დიდგვაროვანი არისტოკრატია ჩამოშორდა ცივილიზაციურ ორიენტირებს. საბოლოო შედეგად დაირღვა სოციალური იერარქიის სულიერი ერთიანობა და შეიქმნა რევოლუციური აფეთქებების წინაპირობები. კონსერვატიული პრინციპების ძალადობრივი გზით უარყოფამ გამოიწვია რუსული არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაგვარება და მისი გადაქცევა თვითმპყრობელობის მთავარ მოწინააღმდეგედ.

ისტორიული პროცესის ლოგიკამ პეტრე პირველის რეფორმების გრძელვადიანი ხასიათი განაპირობა და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სწორედ მათ შექმნეს რუსეთის 1917 წლის გეოპოლიტიკური კატასტროფის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბაზისი.

ისტორიული პროცესების კანონზომიერებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რომ პეტრე პირველის რეფორმების ნეგატიური შედეგების გავლენა რუსეთის ისტორიულ გზებზე სამომავლოდაც შენარჩუნდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსერვატიული ტრადიცია რუსეთში აღმოჩნდა იმდენად ძლიერი რომ რუსული ისტორიული წეს-წყობილების დაშლას სამასი წელიწადი დასჭირდა.

XVIII საუკუნიდან მოყოლებული რუსეთის მთელი ისტორია არსებითად წარმოადგენს რუსული კონსერვატიული საფუძვლებისბრძოლას ძალოვანი გზით შემოტანილ დასავლურ ლიბერალურ მოდელთან.

XVIII საუკუნის რეფორმისტული პროცესების სირთულემ და მასშტაბებმა იმ დროის მკვლევარების სერიოზული ყურადღება მიიპყრო. ისტორიული ფესვების არნახული ნგრევა მათი სისტემური ანალიზის ობიექტი გახდა.

რუსეთში განვითარებული გეოპოლიტიკური კრიზისის ძირფესვიანი გამოკვლევა ჩატარებულია მ.მ. შჩერბატოვის მიერ. ავტორმა მეტად ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, რომელშიც არ შემოიფარგლა მხოლოდ პრობლემატიკის ანალიზით და შეეცადა მის განხილვას გლობალურ ისტორიულ ასპექტში, წარსულის გამოცდილების საფუძველზე და მომავლის პერსპექტივასთან კავშირში.

ფუნდამენტურ ნაშრომში “რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან” შჩერბატოვი ისტორიული პროცესის სისტემატიზირებულ გადმოცემას იძლევა,

რასაც ასაბუთებს კონკრეტული მეთოდოლოგიური კვლევითი ბაზით. სხვადასხვა ეპოქების მოვლენები განიხილება მათი გამომწვევი სოციალურ-პოლიტიკურ პროცესების მჭიდრო კავშირში (შჩერბატოვი 1770:I-IV). სწორედ შჩერბატოვმა შემოიღო რუსულ მეცნიერებაში ისტორიზმის მეთოდი, განიხილავდა რა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ისტორიული პროცესის საფუძვლად. ამ მეთოდზე დაყრდნობით შჩერბატოვმა ჩაატარა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება და გამოიტანა დასკვნა მათი დესტრუქციული ხასიათის შესახებ.

არის რა კონსერვატიული ტრადიციების მტკიცე მომხრე, შჩერბატოვი რუსული საზოგადოების ორგანიზაციის იდეალურ ფორმად პატრიარქალურ მოსკოვის რუსეთსმიიჩნევს. მისი ნაშრომების საერო ხასიათის მიუხედავად, შჩერბატოვი მართლმადიდებლური რუსული კონსერვატიზმის პრინციპების მტკიცე მხარდამჭერია.

ეს გამოიხატება ზნეობის საზოგადოებრივი როლისა და მნიშვნელობის მისეულ განსაზღვრაში. ადამიანი – სოციალური არსებაა, მისი ქცევა განპირობებულია აზროვნებით და არა ინსტინქტებით. ამიტომ ზნეობა გონებრივ კატეგორიას განეკუთვნება. აქედან შჩერბატოვს გამოაქვს დასკვნა, რომ ზნეობის შენარჩუნება პირდაპირ კავშირშია ინდივიდის მიერ ადამიანური ბუნების შენარჩუნებაში და მისი შესაბამისი სოციალური ქცევის გარანტია. რელიგია საზოგადოებრივი მსოფლმხედველობისა და მაშასადმე, მისი სულიერი ჯანმრთელობის საფუძველია. რუსულ საზოგადოებაში ეკლესიის როლის ძალადობრივი დათრგუნვა და ცხოვრების დასავლური წესების დანერგვა ზნე-ჩვეულებების მოშლის კატალიზატორად იქცა, რაც სოციალურ დესტაბილიზაციაში გადაიზარდა (შჩერბატოვი 2010:415-422).

თვითმპყრობელური მონარქია მმართველობის ერთადერთი სწორი ფორმაა და მხოლოდ მას ძალუძს საზოგადოების დაცვა დამღუპველი ტენდენციებისაგან. მაგრამ პეტრე პირველის ძალისხმევით სწორედ სახელმწიფო გახდა დესტრუქციული პროცესების ინიციატორი და განმახორციელებელი. ისტორიულ რეალიებზე დაყრდნობით შჩერბატოვი, როგორც შეუზღუდავი მონარქიის მტკიცე დამცველი, თავად მონარქს უყენებს ძალიან მაღალ მორალურ-ზნეობრივ მოთხოვნებს. მონარქის პიროვნება მთლიანად განაპირობებს მეფობის მსვლელობას. მონარქს პირადად ეკისრება ჩაბარებული სახელმწიფოს მცველის

ფუნქცია. შჩერბატოვი განასხვავებს ორი ტიპის შეუზღუდავ მონარქიას: თვითმპყრობელობას და ერთპიროვნულ შეუზღუდავ მმართველობას. თვითმპყრობელობა დამყარებულია შიდა სულიერი თავისუფლების მქონე ყველა სოციალური ჯგუფის სულიერ ერთობაზე. თვითმპყრობელობის იდეოლოგიურ ბაზას მართლმადიდებლობა შეადგენს. თვითმპყრობელი მბრძანებელი თავის ძალაუფლებას ამყარებს სულიერ და იდეოლოგიურ საფუძველზე. ამ მხრივ ბატონყმობა ქვეყანაში არსებული სოციალური იერარქიის შენარჩუნების საშუალებად არის მიჩნეული, რადგან იგი ემყარება არისტოკრატიისა და გლეხობის ინტერესების ერთობას (შჩერბატოვი 2010:145-179). სახელმწიფოს ძალოვანი ფუნქცია შინაგან და საგარეო პოლიტიკაში ძირითადად საორგანიზაციო და დამცველ როლს ასრულებს. ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი ნებაყოფლობით მიიღებს და აღიარებს მმართველობის თვითმპყრობელურ ფორმას, რაც სოციალური სტაბილურობის მთავარი წინაპირობაა.

ერთპიროვნული შეუზღუდავი მმართველობა წარმოადგენს მმართველობის დესპოტურ ფორმას, რომელიც უარყოფს საუკუნოვან ტრადიციებს და არღვევს საზოგადოების სულიერ ერთობას. იდეოლოგიური საფუძვლების მოშლა იწვევს განხეთქილებას როგორც სოციალურ ჯგუფებს შორის, ასევე ცალკეული ჯგუფის შიგნით. ამას მოჰყვება საზოგადოების ჯერ სულიერი, შემდგომში კი პრაქტიკული მარგინალიზაცია, რაც შიდა დაპირისპირების წარმოქმნასა და ზრდას იწვევს (შჩერბატოვი 2010:117-132).

შჩერბატოვის აზრით რუსეთის თვითმპყრობელობა გარდაიქმნა ერთპიროვნულ შეუზღუდავ მმართველობად, რაც აშკარად გამოვლინდა XVIII საუკუნის სატახტო გადატრიალებებში, უცხოელთა გაბატონებასა და საზოგადოების შიდა სოციალური ჰარმონიის მოშლაში. ამავე დროს რუს ხალხში ურყევი დარჩა მართლმადიდებლობისა და თვითმპყრობელობისადმი ერთგულება. არისტოკრატიის ნაწილის მიერ რუსული ფესვების უარყოფის შემდეგ რუსმა ხალხმა საკუთარ თავზე სოციალურ-ეკონომიკური საყრდენის ფუნქციასთან ერთად თვითმპყრობელობის პოლიტიკური დამცველის ფუნქციაც იტვირთა. შჩერბატოვის ეს დასკვნა ისტორიის ჟამთამსვლელობით დასტურდება. სწორედ რუსი ხალხის მართლმადიდებლურმა კონსერვატიზმმა შემოინახა რუსული მონარქია შემდგომ საუკუნეებში.

საკითხის გადაჭრას შჩერბატოვი ხედავდა “ძირითადი კანონების” კრებულის მიღებაში, რომელთა შესრულება აუცილებელი იქნებოდა საზოგადოების ყველა წევრისათვის, მეფის ჩათვლით. მკვლევარი ხაზს უსვამს, რომ ამ თეზისს არაფერი აქვს საერთო კონსტიტუციური მონარქიის პრინციპთან. პირიქით, ეს ნიშნავს რუსული მართლმადიდებლური კონსერვატიზმის პრინციპების განმტკიცებას საკანონმდებლო გზით.

ამრიგად, შჩერბატოვმა შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი რუსული კონსერვატიზმის განვითარებაში, რაც გამოიხატება შემდეგში:

- დასაბამი დაედო კონსერვატიული პოლიტიკური აზრის ჩამოყალიბებას სამეცნიერო მიმართულებად. სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის ისტორიზმის პრინციპი. კვლევა აგებულია ისტორიული პროცესის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების სისტემურ ანალიზზე.
- მეცნიერულად არის დასაბუთებული რუსულ საზოგადოებში ისტორიულად ჩამოყალიბებული კონსერვატიული წყობის უპირატესობა ძალოვანი გზით შემოტანილ დასავლურ ლიბერალურ ფასეულობებზე.
- შემოთავაზებულია აბსოლუტური მონარქიის ახალი პოლიტიკური მოდელი, რომელიც ეფუძნება საუკუნეების მანძილზე გადამოწმებული და მთელი საზოგადოების მიერ აღიარებული მართლმადიდებლური კონსერვატიული ფასეულობების კოდექსს. ამით დეკლარირებულია სულიერი ხელისუფლების უპირატესობა საეროზე და სოციალური სტაბილურობის მისი მთავარი გარანტის როლი.

ყურადღებას იმსახურებენ ი.ტ. პოსოშკოვის ტრადიციონალისტური შეხედულებები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ სფეროზე (პოსოშკოვი 1951:13-14). პოსოშკოვი მეცნიერული გზით ასაბუთებს რუსული კონსერვატიზმის ყოვლისმომცველ სოციალურ-პოლიტიკურ ბუნებას, რომელშიც შერწყმულია ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები. საზოგადოებაში რუსული თვითმყოფადობის შენარჩუნების თვალსაზრისით საკვანძო როლს თამაშობს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში კონსერვატიული წყობის დამყარება. აგრძელებს რა “нестяжатель”-ების ხაზს, პოსოშკოვი განავითარებს აზრს მართლმადიდებლური პრინციპებისადმი ეკონომიკური საქმიანობის

დაქვემდებარების შესახებ. ამ გზით თავიდან იქნება აცილებული მართლმადიდებლური ინტერესების პრევალირება სულიერ მოთხოვნებზე. ეკონომიკაში კონსერვატიული წყობის მოშლა დაუყოვნებლივ გამოიწვევს ყველა სოციალური ჯგუფის სულიერი ბაზისის მოშლას. ამას მოჰყვება მთელი სოციუმის კონსერვატიული მენტალიტეტის ნგრევა და ტოტალური თვითგანადგურების პროცესი (პოსოშკოვი 1951:15-17).

რუსული საზოგადოების სულიერ საყრდენად მიჩნეულია მხოლოდ მართლმადიდებლობა. ეკლესიას ეკისრება არამხოლოდ ერის განმანათლებლის, არამედ აღმზრდელის ფუნქციაც. საზოგადოებრივი სიმშვიდის შენარჩუნების მთავარი პირობა არის ყველა სოციალურ ჯგუფს შორის ჰარმონიის დამყარება, რაც მიიღწევა სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი სივრცის მუდმივ სრულყოფაში (პოსოშკოვი 1951:18-20). საგულისხმოა, რომ პოსოშკოვი რუსეთის სულიერ და ეკონომიკურ კეთილდღეობას მჭიდროდ უკავშირებს იურიდიულ სამართალს, რომელშიც მკვეთრად განსაზღვრულიაყველა ჯგუფის ინტერესები. გვთავაზობს რა უნივერსალური კანონების კოდიფიცერებლ კრებულს, რომელიც შემუშავებული იქნება საუკუნოვანი კონსერვატიული ფასეულობების საფუძველზე, პოსოშკოვი ფაქტიურად უბრუნდება “რუსული სამართლის” ტრადიციებს (პოსოშკოვი 1951:47).

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსი კონსერვატორების შემოქმედება ქრონოლოგიურად წინ უსწრებს დასავლელ ავტორებს. გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შჩერბატოვისა და პოსოშკოვის შემოქმედება დასავლეთის კონსერვატორებზე უფრო თანმიმდევრული და სიღრმისეულია, რადგან მათი შეხედულებები გამორიცხავს ლიბერალიზმისადმი ტოლერანტობას. მათი ნაშრომები, უპირველეს ყოვლისა, მრავალსაუკუნოვანი კონსერვატიული ტრადიციის გაგრძელებაა და უკვეამ ბაზისზე დაყრდნობით ისინი აფასებენ ძალოვანი გზით დანერგილ ლიბერალურ სიახლეებზე. მათი თეორიული კვლევები ჩატარებულია ევროპაში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებზე ბევრად ადრე. დასავლელმა კონსერვატორებმა კონსერვატიულ-ლიბერალურ სინთეზზე დამყარებული კონცეფციები შეიმუშავეს მხოლოდ საფრანგეთის რევოლუციის კატაკლიზმების შედეგად და საპასუხოდ.

**ამრიგად, XVIII – XIX საუკუნის დასაწყისში რუსულ პოლიტიკურ აზრში მიმდინარეობს კონსერვატიული იდეოლოგიის საერთო კონსერვატიული**

**სოციალურ-პოლიტიკური სივრციდან ცალკეულ სამეცნიერო მიმართულებად გამოყოფა.**

თავად კონსერვატიზმის საზოგადოებრივი აზრის ცალკეულ მიმართულებად გაფორმება რუსეთის ვესტერნიზაციას ასახავს, რაც გამოიხატება დასავლური რაციონალისტური აზროვნების შემოსვლაში. ეს სავსებით ახალი მოვლენაა რუსული საზოგადოების მენტალურ სირცეში, რომელსაც ასეთი ფორმის აზროვნება მანადე არ ესაჭიროებოდა. ამასთანავე კონსერვატიული პოლიტიკური მეცნიერების გნოსეოლოგიური და ცივილიზაციური კატეგორიების ჩამოყალიბებისას რუსეთში არ მომხდარა ლიბერალიზმთან სინთეზი როგორც ამას ადგილი ჰქონდა დასავლეთში. რუსული პოლიტიკური მეცნიერების პრიორიტეტები კონსერვატიული წყობის ფარგლებში დარჩა.

ამრიგად, XVIII-XIX საუკუნეების მიჯნა რუსული კონსერვატიული სკოლის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს შემდეგი მიზეზების გამო:

- კონსერვატიზმი ცალკეული პოლიტიკური იდეოლოგიის სახით გამოეყო რუსულ საზოგადოებრივ კონსერვატიულ წყობას;
- დაიწყო კონსერვატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბება დასავლური აზროვნების სტილისა და გნოსეოლოგიური პრინციპების საფუძვლებზე;
- ამ პერიოდის რუსული კონსერვატიული იდეოლოგია ყალიბდება დასავლური იდეოლოგიური მოდელების ზეგავლენის ქვეშ, რამაც განაპირობა რამდენიმე მიმართულების ჩამოყალიბება და მათ შორის ბრძოლა;
- კონსერვატიზმის განვითარება რუსეთში მიმდინარეობდა რუსი არისტოკრატიის გამიჯვნის პირობებში ტრადიციონალისტებსა და პროდასავლურ ფრთაზე. მათ შორის მძაფრი თეორიული და პრაქტიკულ-პოლიტიკური ბრძოლა გაიმართა.

**შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული ისტორიული ეპოქიდან მოყოლებული რუსული კონსერვატიზმის განვითარება მიმდინარეობს დასავლურ რაციონალიზმზე დამყარებული აზროვნების სისტემის ფარგლებში, დასავლური სამეცნიერო მეთოდოლოგიის საფუძველზე. სწორედ ამაში მდგომარეობს რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუციის გნოსეოლოგიური არსი.**

აღნიშნული პროცესი პირდაპირ ეწინააღმდეგება ძველ რუსულ ზნეობრივ და სახელმწიფო ტრადიციების ფუძემდებლურ დებულებებს, თავად სლავების

რასობრივ-ეთნიკურ მენტალიტეტსა და წყობას, რომელშიც იმთავითვე ჩადებულია სულიერი ფაქტორის დომინირება რაციონალიზმზე.

იდეოლოგიური ბრძოლა ისტორიული რუსეთის მიმდევრებსა და ევროპული ორიენტაციის ლიბერალებს შორის გაფორმდა პოლიტიკური იდეოლოგიის ორ მიმართულებად – მედასავლეთეებად და სლავიანოფილებად.

მათ შორის გამართული ბრძოლა რუსული საზოგადოების ცხოვრებისა და განვითარების საკვანძო საკითხებს ეხებოდა. ამრიგად, ბრძოლა მიმდინარეობდა რუსეთის ცივილიზაციური არჩევანის გარშემო.

სლავიანოფილების შეხედულებათა ანალიზი სახელმწიფო წყობაზე, პოლიტიკურ ორიენტირებზე, ისტორიული წარსულის შეფასებაზე, ინდივიდისა და სოციუმის ურთიერთობების როლსა და ხასიათზე ცალმხრივად მითითებს მათზე როგორც რუსული კონსერვატიზმის ტრადიციების გამგრძელებლებზე.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სლავიანოფილები ევროპული რაციონალური შემეცნების ფორმების ფარგლებშიც კი დარჩნენ მოსკოვის რუსეთის იდეოლოგების სულიერ-ზნეობრივ პრინციპებზე. გარეგნული პარადოქსულობის მიუხედავად ეს გარემოება სიღრმისეულად კანონზომიერია, რამეთუ ემყარება ორ უმთავრეს პოსტულატს: კონსერვატიზმის ზოგად დამცველ ფუნქციას და რუსულ კონსერვატიულ ტრადიციას.

აღნიშნული ეპოქის რუსული კონსერვატიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია ნ.მ. კარამზინი. მის მიერ შემუშავებული თვითმპყრობელობის კონსერვატიული კონცეფცია წარმოადგენს ახალ ისტორიულ პირობებში რუსული საზოგადოებრივი წყობის ტრანსფორმაციის ერთიან სურათს. ფაქტიურად კარამზინი გვთავაზობს მონარქისტული რუსეთის ცივილიზაციურ დოქტრინას, რომელშიც თავმოყრილია საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის ძირითადი საკითხები, ინდივიდისა და სოციუმის თავისუფლებისა და ზნეობის ფასეულობრივი კატეგორიები.

კარამზინი ვერ აუვლიდა გვერდს მისი ეპოქის მთავარ დილემას – რუსეთის ცივილიზაციურ არჩევანს საკუთარ ისტორიულ ტრადიციასა და ევროპულ ლიბერალიზმს შორის. ამ კუთხით იგი მკაცრად აკრიტიკებს პეტრე პირველის რეფორმებს, რომლებმაც რუსეთი მოსწყვიტა მის ისტორიულ ფესვებს: “ჩვენ გავხდით მსოფლიოს მოქალაქეები, მაგრამ დავკარგეთ რუსეთის მოქალაქეობა” (კარამზინი 1991:35).

ყველაზე უარყოფითი შედეგი გამოიღო სულიერი (საეკლესიო) და საერო (მონარქისტული) ხელისუფლების ერთიანობის დარღვევამ, საზოგადოებაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციების ძალოვანი გზით მოშლამ და ამის შედეგად სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ერთმანეთისაგან გაუცხოებამ. ამ კუთხით კარამზინი თავის მოსაზრებებში რუსეთის მონარქიის განსაკუთერბული ხასიათის შესახებ სლავიანოფილების პირდაპირ წინამორბედად გამოდის. მისი აზრით, რუსეთის მონარქია ემყარება სულიერი ფასეულობებისა და ზნეობის დიქტატურას და არა ევროპული ტიპის აბსტრაქტულ-რაციონალისტურ სამართლებრივ სისტემას.

კარამზინის კონცეფციის ათვლის წერტილს წარმოადგენს აბსოლუტური მონარქია, რომელიც განსახიერებულია შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ერთპიროვნულ მმართველში.ეს ძალაუფლება ხორცშესმულია საზოგადოებრივი მენტალიტეტისა და მმართველობის სისტემის ერთიან სტრუქტურაში, რომელსაც სრულუფლებიანი მონარქი აგვირგვინებს. ევროპული მონარქიებისაგან განსხვავებით რუსული მონარქია არ ეფუძნება ზევიდან თავს მოხვეულ აბსოლუტურ ძალაუფლებას, არამედ რუსი ხალხის შეგნებული არჩევანია, რომელიც თვითმპყრობელობას განიხილავს შიდა და საგარეო საფრთხეებისაგან ერთადერთ დამცველ გარანტად.

სწორედ დამცავი ფუნქცია წარმოადგენს თვითმყრობელობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. არის რა სახელმწიფოებრივი სტაბილურობის გარანტი, თვითმპყრობელობა სთავაზობს ქვეშევრდომებს მაქსიმალურ ადგილობრივ თვითმმართველობას, რაც პოლიტიკური საზრუნავისაგან თავისუფალი პიროვნების ჭეშმარიტი სულიერი და ფიზიკური თავისუფლების გამოხატვაა.

კარამზინის თვითმპყრობელური კონცეფცია შეიცავს მოსკოვის რუსეთის თეორეტიკოსების ყველა ძირითად პრინციპს, რაც დასტურდება მის მიერ შემუშავებული შემდეგი დებულებებით:

- მონარქის ერთპიროვნული ძალაუფლება. მონარქის უფლებები და პასუხისმგებლობები ეკლესიის მიერ არის კურთხეული. თვითმპყრობელობა განსახიერებულია არამხოლოდ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ინსტიტუტებში, არამედ მემკვიდრეობის უფლებით აღჭურვილ ერთპიროვნულ მბრძანებელში. მონარქის პიროვნება ეკლესიის მიერ არის ხელდასხმული, ხოლო

მისი სოციალური სტატუსი გატოლებულია საეკლესიო მოღვაწეების სტატუსთან. როგორც საეკლესიო მოღვაწეები ყველაფერს შესწირავენ ღვთის მსახურებას, ასევე მონარქი მთელ ცხოვრებას შესწირავს მასზე ჩაბარებულ ქვეყანას. ეს ზეციური განგებაა და მონარქს სხვა არჩევანი არ გააჩნია. დაბადებიდანვე ღმერთის განგებით მას ეკისრება პასუხისმგებლობა ქვეყნასა და ერზე. ამით კარამზინი ეთანხმება ძველი რუსი ავტორების მოსაზრებას გვირგვინოსნის უმძიმეს ხვედრზე.

- შეუზღუდავი მონარქისტული ხელისუფლება. მონარქი არ ემორჩილება არანაირ იურიდიულ კანონებს, ხოლო ყოველ მის სიტყვას კანონის ძალა აქვს. მეფის ძალაუფლების სამართლებრივი ჩარჩოებით ნებისმიერი შეზღუდვა ნიშნავს საზოგადოებრივი სტაბილურობის ხელყოფას, რადგან უზენაესი მმართველის თავისუფალი ნებით მანიპულირების საფრთხეს შეიცავს. ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობა მონარქის ხელისუფლების შეზღუდვის ერთადერთი და ყველაზე ქმედითუნარიანი საშუალებაა. ამ პასუხისმგებლობის გათვიცნობიერებადა გათავისება მიმდინარეობს მბრძანებელის აღზრდის პერიოდში, როდესაც მას ამზადებენ ქვეყნის მართვისათვის.უნდა აღვნიშნოთ, რომ ზნეობრივი პასუხისმგებლობის იმპერატივი ეხება არამხოლოდ მეფეს, არამედ საზოგადოების ყველა წევრს, მისი სოციალური სტატუსის მიუხედავად.

- მეფის პირდაპირი და ცოცხალი ურთიერთობა ქვეშევრდომებთან, რუსული მონარქისტული ხელისუფლების პატრიარქალური ხასიათი. მონარქია გააზრებულია კონკრეტულ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურაში ხორცშეხმულ სულიერ-ზნეობრივ ინსტიტუტად. აქედან გამომდინარე, მონარქის ცოცხალი კავშირი ერის ფართო მასებთან წარმოადგენს ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთობის ორგანულ და სასიცოცხლო ფორმას. ხალხის თავისუფალი დაშვება მეფესთან, მასთან უშუალო საუბრის შესაძლებლობა უზრუნველყოფს მონარქიის სულიერ ავტორიტეტსა და პოლიტიკურ ძლიერებას. შესაბამისად, მონარქია ემყარება არამხოლოდ და არაიმდენად სახელმწიფო აპარატსა და ძალოვან ფუნქციებს, რამდენადაც სახალხო მასების თავისუფალ ნებას. ეს საზოგადოებაში გამორიცხავს ყოველგვარ არეულობასა და შუღლს, ხოლო მონარქიის სახელმწიფო (ძალოვანი) ფუნქციები მიმართულია სწორედ საზოგადოების დაცვაზე შიდა და საგარეო მტრებისაგან.

- თვითმპყრობელობა საზოგადოებაში საყოველთაო სიმშვიდისა და თანხმობის მიღწევის უნივერსალური საშუალებაა. მიუკერძოებელი უზენაესი მბრძანებელი, რომელმაც ბავშვობიდან აითვისა მკაცრი ზნეობრივი ნორმები და შეგნებული აქვს საკუთარ ქმედებებზე ღმერთის წინაშე პასუხისმგებლობა, ყოველთვის დაინტერესებულია თავისი ქვეშევრდომების კეთილდღეობით მათი აღმსარებლობის, სქესის, ეროვნებისა და სოციალური სტატუსის მიუხედავად. მონარქი არის უნიკალური არბიტრი, რომელსაც გააჩნია უფლება ქვეყნის ყველა შიდა პრობლემა გადაჭრას. მრავალეროვნული რუსეთის იმპერიისათვის ამ ფაქტორს სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნდა. ასეთი დიდი სახელმწიფო ვერ იქნებოდა დამყარებული მხოლოდ აღმოსავლური დესპოტიის პრინციპებზე ან ევროპული აბსოლუტიზმის პოლიციურ კონტროლზე. ესოდენ უზარმაზარი ტერიტორიისა და მოსახლეობის ერთიანი თვითმპყრობელური ხელისუფლების ქვეშ გაერთიანება შესაძლებელი იყო მხოლოდ თვითმართვადი საზოგადოების შეგნებული და ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე.

- თვითმპყრობელობა არის რუსული თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტი. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება რუსულ მართლმადიდებლობას. რუსული მართლმადიდებლური ეკლესია ერთადერთი სულიერ-ზნეობრივი ძალაა, რომელსაც შეუძლია საზოგადოების იდეოლოგიური კონსოლიდაცია, ხელისუფლებასა და ხალხს შორის ჰარმონიული ურთიერთობების უზრუნველყოფა, ინდივიდუალურ და სახელმწიფოებრივ დონეზეყველა სოციალური ჯგუფის მოთხოვნებისა და უფლებების მკვეთრი და სამართლიანი განსაზღვრა. ამით კარამზინი სრულიად იზიარებს სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების სიმფონიას, რომელიც ერთადერთი შეესაბამება სრულიად საზოგადოების სულიერ და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს (კარამზინი 2010:994-1013).

- კარამზინი უდიდეს ყურადღებას უთმობს საზოგადოების ზნეობრივი ჯანმრთელობის საკითხს. ზნეობრივი მოთხოვნები ყველასათვის სავალდებულოა, დაწყებული მონარქით და დამთავრებული რიგითი წევრით. ზნეობა ადამიანის ყოველი აზრისა და ქმედების მთავარი მოტივაციაა. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების ყოველი წევრი მასზე დაკისრებულ ფუნქციას ასრულებს, მისი ქმედების არსი და შედეგები პირდაპირ იქნება განპირობებული მისი ზნეობრივი იერით. საზოგადოებრივი ზნეობის ასეთი დონე შესაძლებელია მიღწეულ იქნას

მხოლოდ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი მოსკოვის რუსეთის დროინდელი სტატუსის დაბრუნების შემდეგ, საპატრიარქოს ინსტიტუტის აუცილებელი აღდგენით (კარამზინი 2010:990-1005).

ყოველივე ზემოაღნიშნული უფლებას გვაძლევს განვიხილოთ კარამზინი სლავიანოფილების წინამორბედად, რომელთაშორის გამოირჩევიან ა.ს. ხომიაკოვი (ხომიაკოვი 1886:I-VIII) და ი.ა. ხომიაკოვი (ხომიაკოვი 2011), ი.ვ. კირეევსკი (კირეევსკი 2007), კ.ს. აქსაკოვი (აქსაკოვი 1889:I-III) და ი.ს. აქსაკოვი (აქსაკოვი 1886:I-VI), ი.თ. სამარინი (სამარინი 2013:I-V).

სლავიანოფილების თეორიული კონსტრუქტები მრავალსახოვანია და საკითხების ფართო წრეს მოიცავს. ამ რთული კომპლექსისაგან ჩვენ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ერთიანი იდეოლოგიურისისტემა, რომელშიც გამოირჩევა შემდეგი საკვანძო მუხლები:

- რუსული თვითმპყრობელობის წარმოშობის საკითხი. ხელისუფლების ღვთაებრივი ბუნების შესახებ ეკლესიური განმარტებისაგან განსხვავებით, სლავიანოფილები განიხილავენ სამეფო ხელისუფლებას მხოლოდ რაციონალისტური თვალსაზრისით. მონარქია მათი აზრით არის საზოგადოების ნების გამოხატვა, რომელმაც კონკრეტულ დინასტიას მიანდო უზენაესი ხელისუფლება შიდა და საგარეო პოლიტიკური მართვის უღელისაგან გასათავისუფლებლად. ამ მხრივ, სლავიანოფილების მიერ მონარქისტული ხელისუფლების ღვთაებრივი საფუძვლების უარყოფა არსებითად ნიშნავს ევროპული რაციონალისტური სკოლის მიერ ჩამოყალიბებული და მათ მიერვე უარყოფილი საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის შეცვლილი ფორმით აღიარებას. ხელისუფლების უზენაეს მატარებლად აღიარებულია არა ღმერთი, არამედ ხალხი, რომელმაც საკუთარი მოსაზრებით გადასცა ხელისუფლება მის მიერ არჩეულ პირს. ეს ქმნის მონარქის თვითმპყრობელური ხელისუფლების შეზღუდვის თეორიულ წინაპირობას, რადგან ხელისუფლების მფლობელად გამოცხადებულიახალხი. საბოლოო ჯამში ეს თეორიული დებულება ეჭვქვეშ აყენებს შეუზღუდავი მონარქიის ინსტიტუტს და მასზე დაკისრებული დამცავი ფუნქციების წმინდა პრინციპებს. ჩვენი აზრით, ესარის სლავიანოფილური მიმართულების ერთერთი ყველაზე ურთიერთწინააღმდეგობრივი პოსტულატი, რომელიც თავდაპირველადვე იყო მიმართული რუსეთის ისტორიული ფესვების

წინააღმდეგ. აღნიშნული წინააღმდეგობრიობა ბევრად აიხსნება რუსულ საზოგადოებაში რაციონალიზმის შეღწევით.

- თვითმპყრობელობის შეუზღუდავი ხასიათი გამოვლინდება მონარქის ნების აღმატებულობაში ნებისმიერ იურიდიულ კანონზე. როგორც სამეფო ხელისუფლების, ასევე თავად მეფის ინსტიტუტის ნებისმიერი სამართლებრივი შეზღუდვა გამორიცხულია. სრულუფლებიანი მონარქის ხელისუფლება ემყარება საზოგადოების შეგნებულ არჩევანსა და ნდობას, ეს არის ცოცხალი კავშირი ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე. იურიდიული კანონები საჭიროა საზოგადოების შიგნით ურთიერთობების რეგულაციისათვის. მეტწილად მათი დანიშნულებაა საზოგადოების დაცვა ცალკეული წევრების უზნეო საქციელისაგან. უშუალოდ თვითმპყრობელობასთან მათ არანაირი შეხება არ გააჩნიათ. თვითმპყრობელი მბრძანებელის ხელისუფლება სინამდვილეში შეზღუდულია მხოლოდ ორი ფაქტორით: ზნეობითა და მოვალეობით. თვითმპყრობელი არ ეკუთვნის საკუთარ თავს და მისი ძალაუფლება არის მასზე დაკისრებული ტვირთი საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე. სლავიანოფილებმა ჩამოაყალიბეს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურაში იურიდიული სამართლის მკვეთრი განსაზღვრა როგორც მონარქისტული ხელისუფლების დამხმარე ინსტიტუტისა.

- თვითმპყრობელური ხელისუფლების მემკვიდრეობთი ხასიათი მისი მშვიდობიანი გზით გადაცემის გარანტიას იძლევა, რამეთუ აღკვეთავს ხელყოფის არალეგიტიმურ მცდელობებს. ეს დამცავი ფუნქცია უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის სულიერი და ზნეობრივი იმპერატივებით, რომლებიც ძალაუფლების ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ აღიარებენ კონკრეტული სამეფო დინასტიის წარმომადგენელს.

- სლავიანოფილები განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობენ თვითმპყრობელობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციების გამიჯვნას. თვითმპყრობელობას ეკისრება მხოლოდ შიდა და საგარეო საფრთხეებისაგან დამცავი ფუნქცია. მეფე პასუხისმგებელია მასზე ჩაბარებული ქვეყნის შიდა სიმშვიდეზე. თავად საზოგადოებას კი გააჩნია სულისა და ყოფის შეუზღუდავი თავისუფლება. სლავიანოფილების ეს პოსტულატი დასტურდება რუსეთის ისტორიის მთელი მსვლელობით. ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში სლავური საზოგადოება იმართებოდა საყოველთაო ნების საფუძველზე. რუსეთის

გაქრისტიანებამ დასაბამი დაუდო მართლმადიდებლობის საფუძველზე ერთიანი ნაციონალური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას; სახელმწიფო-სამართლებრივი წყობის სისტემატიზაციას; დიდი თავადებისა და შემდეგ მეფეების ერთპიროვნული ხელისუფლების ლეგიტიმაციას; უზენაესი მმართველსა და საზოგადოებას შორის ინტერაქტიული ურთიერთობის მაქსიმალურ განვითარებას (ხომიაკოვი 2011:127). მეფესა და ხალხის ცოცხალ ურთიერთობაზე დამყარებული საერო კრებების ინსტიტუტი საზოგადოების თვითმმართველობის უზენაეს ფორმას წარმოადგენს. მოსკოვის რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე საერო კრება უცვლელ საზოგადოებრივ ატრიბუტად რჩება.

- თვითმპყრობელობის იდეოლოგიურ ბაზად ცხადდება მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლური სარწმუნოება ჰარმონიულად ითავსებს თვითდისციპლინას, ზნეობრივ იდეალებსა და პირად თავისუფლებას. ისტორიის ჟამთამსვლელობამ აჩვენა, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება რუსული გენეტიკური კოდისათვის მსოფლმხედველობის ერთადერთი მისაღები ფორმა გამოდგა.

- მართლმადიდებლობა პირდაპირ განაპირობებს მონარქიის ხასიათს. სლავიანოფილები ძალიან მკვეთრ გამიჯვნას ატარებენ თვითმპყრობელობასა და აბსოლუტიზმს შორის. განსაზღვრა ეხება ხელისუფლების ხასიათსა და სოციალურ სტატუსს. მონარქია ეყრდნობა საყოველთაო აღიარებას, ამიტომ მისი სიძლიერე გარანტირებულია სახალხო მსოფლმხედველობის ლოგიკით. საზოგადოება თვითმპყრობელი ხელისუფლების მთავარი გარანტია და მასთან ცოცხალ სულიერ კავშირში იმყოფება. ევროპული ტიპის აბსოლუტიზმი გამორიცხავს ხელისუფლების რაიმე პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, იგი მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის არსებობს, ხოლო ხალხი მისი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტია. შესაბამისად, არ არსებობს არანაირი ცოცხალი კავშირი მმართველსა და მასებს შორის, რომლის ძალაუფლება ეყრდნობა მხოლოდ იურიდიულ ნორმებსა და ბიუროკრატიის კლასს. საბოლოო ჯამში ეს არის ჩიხი, რომელიც საზოგადოებაში მუდმივ დისჰარმონიასა და დესტაბილიზაციას იწვევს (აქსაკოვი 1889:87).

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სლავიანოფილების თეორიული კონსტრუქტი არ ატარებს უნივერსალისტურ ხასიათს და განისაზღვრება მხოლოდ რუსული საზოგადოების ცივილიზაციური ჩარჩოებით. მხოლოდ

რუსულ ეროვნულ ნიადაგზე შეეძლოთ მაქსიმალური თვითგამოვლენა მართლმადიდებლობასა და თვითმპყრობელობას; მათ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში რეალიზებულ პიროვნულ და სოციალურ უფლებებსა და მოვალეობებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმ ხანის რუსულ კონსერვატიზმში, შიდა მრავალფეროვნების მიუხედავად, აღინიშნება იდეოლოგიური, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და სულიერ-ზნეობრივი ფასეულობების მკვეთრი გრადაცია. ყველა კონსერვატიული კონცეფცია აგებულია მართლმადიდებლობის იდეოლოგიურ დომინანტაზე. ეს გარემოება რაციონალისტურად მოაზროვნე კონსერვატორებსაც ახასიათებს.

რუსული კონსერვატიზმის კიდევ ერთი თავისებურება მის ყოვლისმომცველ ხასიათში მდებარეობს, რაც გამომდინარეობს რუსული საზოგადოების კონსერვატიული ბუნებიდან. რუსული საზოგადოებრივი აზროვნების ამ ფორმის თვალსაჩინო გამოხატულებაა “почвенники-традиционалисты”-ების შეხედულებები. “Почвенничество”-ომ თავის წიაღში რუსი მოაზროვნეების მთელი პლეადის ლიტერატურული შემოქმედება და სოციალურ-ფილოსოფიური შეხედულებები გააერთიანა. მათ შორის უნდა დავასახელოთ თ.მ. დოსტოევსკი (დოსტოევსკი 1988:I-XV), ა.ა. გრიგორიევი (გრიგორიევი 1918:I-XII), ნ.ნ. სტრახოვი (სტრახოვი 1890:III).

განიხილავდნენ რა რუსეთს ცალკეულ ცივილიზაციად, “почвенник”-ებმა პირველად შეიმუშავეს “რუსული სამყაროს” კონცეფცია. ესარის უნიკალური გეოპოლიტიკური თანასაზოგადოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსული სულიერ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ფასეულობები.

არსებითად რუსეთის ვესტერნიზაციის პირობებში “почвенничество”-მ მაქსიმალურად გაითავისა და შემოინახა მოსკოვის რუსეთის მსოფლმხედველობის ყველა ძირითადი ფილოსოფიური პოსტულატი. “Почвенник”-ების მთავარი დამსახურებაა მათი შემოქმედების სახალხო მასების მენტალიტეტთან სიახლოვე. დასავლური ცივილიზაციური მოდელის ბატონობის პირობებში ეს ფაქტორი საგანმანათლებლო როლს ასრულებდა.

ყურადსაღებია, რომ მხატვრულ-პუბლიცისტურ ფორმაში გამოხატული "почвенник"-ების მსოფლმხედველობა სლავიანოფილების შეხედულებებთან ახლოსაა. ამასთანავე "почвенник"-ები ძალზედ ღრმად ჩასწვდნენ რუსული საზოგადოების ზნეობრივი საყრდენების საკითხს, განიხილავენ რა მათ საზოგადოებრივი ყოფის ფუძემდებლურ პრინციპებად. მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობაზე დამყარებული ზნეობის დიქტატურა სოციუმის სტაბილურობისა და მისი ყოველი წევრის ჭეშმარიტი შიდა და საგარეო თავისუფლების გარანტია. ამ კუთხით "почвенник"-ების "რუსული სამყარო" სრულიად განსხვავდება როგორც ევროპული, ასევე აზიური ცივილიზაციური პრინციპებისგან და წარმოადგენს საყოველთაო თანხმობისა და სულიერი თვითსრულყოფის ზეობას. ამ გზით "почвенник"-ებს გამოაქვთ ლოგიკური დასკვნა "რუსული სამყაროს" ცხოვრების ყველა სფეროში სულიერი საწყისების ჰეგემონიაზე, რაც ორგანულად გამორიცხავს მასში სიბოროტეს, გამომწვევი მიზეზების არარსებობის გამო.

რუსულ ისტორიულ საფუძვლებთან "почвенник"-ების მჭიდრო კავშირი აღნიშნული ტრადიციის მემკვიდრეობითი ხასიათით დასტურდება. XX საუკუნის "почвенник"-ებად გვევლინებიან ვ.დ. ივანოვი (ივანოვი 1991:133), ვ.ი. ბელოვი (ბელოვი 2012:I-VIII), ვ.გ. რასპუტინი (რასპუტინი 2007:I-IV), ვ.ა. სოლოუხინი (სოლოუხინი 2011:I-V), ვ.მ. შუკშინი (შუკშინი 1992:I-V), ვ.პ. ასტაფიევი (ასტაფიევი 1997:I-XV). ამ ავტორების ლიტერატურული მემკვიდრეობა შეგვიძლია რუსული კონსერვატიზმის ფენომენად განვიხილოთ, რამეთუ იგი შენარჩუნდა და განვითარდა საბჭოთა სისტემის პირობებში.

რუსული კონსერვატიზმის ევოლუციის გააზრებისას აუცილებელია "государственники-охранители"-ის მიმართულების თეორიული მემკვიდრეობის შესწავლა.

"Государственники"-ების კონცეფციის მთავარი შინაარსი დაცვის პრინციპის შემუშავებაში მდებარეობს. დაცვის პრინციპი განისაზღვრება ძალიან ფართო შემეცნებითი გაგებით. ფაქტიურად, იგი ყოვლისმომცველ ხასიათს ატარებს. შესაბამისად "государственники-охранители"-ებისათვის მონარქიული წყობის დამცავი ფუნქცია აბსოლუტური პრიორიტეტია, რომლის გარშემო აგებულია მთელი სოციალური იერარქია და ქვეყნის ისტორიული გზა. ამ პოლიტიკური

მიმართულების წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია ღრმა რელიგიურობისა და რაციონალისტური აზროვნების შერწყმა. ეს გარემო კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსული საზოგადოებისა და მასობრივი გონების ღრმა კონსერვატიულ ხასიათს, რომელიც დასავლური ფასეულობების მასიური დანერგვის პირობებშიც კი საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ეროვნული ფასეულობების ნიადაგზე დარჩა.

“Государственники-охранители”-ების აზრით საზოგადოებაში არასტაბილურობის ზრდა გამოწვეულია დასავლეთის მანკიერი ზეგავლენით. გამოსავალს ისინი ხედავენ ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსული პატრიარქალური წყობისა და თვითმპყრობელური ხელისუფლების გაძლიერებაში. **“Почвенники”-ებისგან განსხვავებით, “государственники-охранители”-ები პოლიტიკური წყობის საკითხებს უდგებიან მტკიცე რაციონალისტური აზროვნების ბაზისზე. თავის დასკვნებს ისინი ასაბუთებენ ისტორიოსოფიული ანალიზითა და ლოგიკური კონსტრუქტებით.**

“Государственники-охранители”-თა რიცხვს განეკუთვნებიან კ.პ. პობედონოსცევი (პობედონოსცევი 1996:174), ვ.პ. მეშჩერსკი (მეშჩერსკი 2010:150), მ.ნ. კატკოვი (კატკოვი 2012:I-VI), ლ.ნ. ტიხომიროვი (ტიხომიროვი 1998:243), ბ.ნ. ჩიჩერინი (ჩიჩერინი 1869:I-V), ნ.ი. დანილევსკი (დანილევსკი 1995:88), კ.ნ. ლეონტიევი (ლეონტიევი 2000:I-XII), ნ.ი. ჩერნიაევი (ჩერნიაევი 2011:189).

ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოება “государственники”-ებს მიაჩნდათ რუსული სახელმწიფოს მონარქიული საყრდენის გაძლიერების ერთერთ საკვანძო ამოცანად. მათი აზრით საერო კრებამ უნდა შეასრულოს არამხოლოდ წმინდა სახელმწიფო ფუნქცია. ამ ორგანოებმა იდეოლოგიური თვალსაზრისით უნდა უზრუნველყონ თვითმპყრობელობის ავტორიტეტი. ადგილობრივი თვითმმართველობის ფართო თავისუფლება რევოლუციური პროპაგანდის წინააღმდეგობის ძლიერი საშუალება იყო.

დამცველი ფუნქცია “государственники”-ების მიერ განიხილებოდა მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური წყობის მიმართ, რაც არამცთუ არ გამორიცხავდა, არამედ პირდაპირ განაპირობებდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ფორმებისა და საშუალებების დანერგვას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ "государственники"-თა დაცვის კონცეფცია ემყარება სახელმწიფო ძალაუფლების ბუნების ისტორიოსოფიულ გააზრებას. აქაც ნათლად აღინიშნება ისტორიულად რუსული (სულიერი) და დასავლური (რაციონალისტური) აზროვნების სტილის შერწყმა.

ლ.ნ. ტიხომიროვი ფუნდამენტალურ ნაშრომში "მონარქიული სახელმწიფოებრიობა" სახელმწიფო ხელისუფლების ორმაგ ბუნებასშეისწავლის. ხელისუფლება ღმერთის მიერაა ბოძებული, რომელიც მისი პირველწყარო და უზენაესი მატარებელია. მონარქიული ხელისუფლება კი იძულებითი ზომაა, რომელიც საზოგადოების აუცილებელ სტრუქტურულ-იერარქიულ წყობას უზრუნველყოფს. საზოგადოება, ადამიანური ბუნების სისუსტის გამო, ვერ ცხოვრობს ღმერთის მიერ ბოძებული სინდისის კანონებით და საჭიროებს სახელმწიფოებრივ დაცვას. ხელისუფლების სამართლიანობა სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე უზრუნველყოფილია მისი წარმომადგენლების პირადი ზნეობით და მხოლოდ ამის შემდეგ - არსებული კანონმდებლობით: "სიმართლის საზოგადოებრივი ცხოვრების უზენაეს ნორმად დაყენების ერდაერთი საშუალება მდებარეობს მის პიროვნულ მოძიებაში, რამეთუ კანონი კარგია მხოლოდ მისი გამოყენებიდან გამომდინარე, ხოლო გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, იმყოფება თუ არა პიროვნება უზენაესი სიმართლის ძალაუფლების ქვეშ" (ტიხომიროვი 1998:174).

ამ პოზიციას იზიარებს კ.ნ. ლეონტიევი, რომელიც რუსულ თვითმპყრობელობას მიიჩნევს ბიზანტიური ტიპის მონარქიის განვითარების თვითმყოფად და უზენაეს ფორმად (ლეონტიევი 1996:94-155). რუსი ხალხის უნარი აღიაროს თვითმპყრობელობა ღმერთის მიერ დადგენილ მმართველობის ფორმად ემყარება არამხოლოდ არსებულ ისტორიულ ტრადიციას, არამედ რუსი ხალხის ფსიქოლოგიურ წყობასა და აზროვნების ფორმას. ლეონტიევის აზრით ეს არის ჰარმონიული ადამიანური საზოგადოების უზენაესი ფორმა (ლეონტიევი 1996:90-140).

პ.ე. კაზანსკი მონარქიული ხელისუფლების ბუნებას განიხილავს ზოგადისტორიულ ასპექტში. მისი აზრით, ერთიანი რუსული თვითმპყრობელური წყობის ელემენტებს შეადგენენ ხელისუფლების საეკლესიო დასაერო საწყისების ერთობა, ისტორიულ პერსპექტივაში განსაზღვრული მონარქისტული ძალაუფლების როლი და ადგილი, რუსი თვითმპყრობელის ერთპიროვნული

მბრძანებლობა, მართლმადიდებლური მონარქიისა და ფართო მასების სულიერი ნათესაობა, ერთიანი მსოფლმხედველობა, ზნეობის აბსოლუტური პრიმატი საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსული თვითმპყრობელობა უნიკალური ბუნებისაა და მას ვერ შეედრება ევროპული აბსოლუტიზმი ან აღმოსავლური დესპოტია. რუსული თვითმპყრობელობა წარმოადგენს საერთოეროვნული საზოგადოებრივი თვითმმართველობის ნიმუშს, რომლის გარანტად გამოდის შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე მართლმადიდებლური თვითმპყრობელი მონარქი (კაზანსკი 2013:2-10).

კონსერვატიული ტრადიციის ისტორიული მემკვიდრეობა ასახულია რუსული ემიგრაციის ისეთ თვალსაჩინო წარმომადგენლის ნაშრომებში, როგორიც არის ი.ლ. სოლონევიჩი. სოლონევიჩმა შეიმუშავა “სახალხო მონარქიის” კონცეფცია, რომელიც არამხოლოდ უარყოფს რუსეთში დამყარებულ კომუნისტურ წყობას, არამედ მოიაზრება ძალოვანი გზით დანერგილი დასავლური მოდელის ალტერნატივად. სოლონევიჩი პირდაპირ აცხადებს, რომ სწორედ დასავლური საზოგადოებრივი მოდელი გახდა 1917 წლის თებერვალში რუსეთში გამართული ცივილიზაციური კატასტროფის კატალიზატორი. რუსული თვითმპყრობელობის დამცველ ფუნქციას სოლონევიჩი გამოხატავს ლაკონური განმარტებით: “იმპერია არის მშვიდობა” (სოლონევიჩი 2010:26). აღიარებს რა თავისი წინამორბედი კონსერვატორების აზრს, სოლონევიჩი ყოველი ერის განვითარების ისტორიას განიხილავს როგორც ცალკეულ ცივილიზაციურ გზას, რომელსაც ვერ მოერგება აბსტრაქტული უნივერსალისტური პოლიტიკური მოდელი. მართლმადიდებლური რუსული ელემენტის ორგანულ შერწყმას მის ისტორიულ ორბიტაში შემავალ არასლავურ ელემენტებთან სოლონევიჩი მიიჩნევს რუსული ცივილიზაციური ასპარეზის დამახასიათებელ თვისებად. რუსებს ამ საერთო სახელმწიფოებრივ მშენებლობაში არ გააჩნდა არავითარი პრივილეგიები მათ სახელმწიფოში შემავალი სხვა ხალხების წინაშე. ისტორიული ხვედრი ყველასათვის ერთი იყო, რაც მსოფლიოში ყველაზე დიდი იმპერიის შექმნის მთავარი წინაპირობა გახდა (სოლონევიჩი 2010:27-28). ამის საფუძველზე სოლონევიჩი დაასკვნის, რომ რუსული ცივილიზაცია ატარებდა არაიმდენად ეთნიკურ, რამდენად სოციალურ-კულტურულ რუსულ ხასიათს,

რომელიც ემყარებოდა რუსი ხალხის სულიერ სიძლიერესა და სახელმწიფო მენტალიტეტს (სოლონევიჩი 2010:391-397).

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XVIII საუკუნიდან დაწყებული რუსეთის ვესტერნიზაციის ფონზე რუსული კონსერვატიზმის ისტორიული ევოლუციის შინაარსი გამოვლინდა საერთო სოციალურ-პოლიტიკური წყობიდან მის გამოყოფაში ცალკეულ რაციონალისტურ იდეოლოგიად. ამის შედეგად მოხდა კონსერვატიზმის სხვადასხვა მიმართულებად დაყოფა, რომელთა საერთო მაჩვენებელი იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციონალისტური ფასეულობებისადმი ერთგულება და პოლიტიკური სკოლის ორიენტირების შესაბამისი ისტორიოსოფიული ინტერპრეტაცია.

* * *

პირველ თავში ჩატარებული კვლევის შედეგები შეგვიძლია შევაჯამოთ შემდეგ კონცეპტუალურ დასკვნებში. კონსერვატიზმი წარმოადგენს ფართო სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას, რომელშიც გაერთიანებულია საზოგადოებრივი წყობა, პოლიტიკური იდეოლოგია, ინდივიდუალური და საზოგადოებრივი აზროვნებისა და ქცევის ფორმები და კანონზომიერები. სოციალური ფაქტორების ეს ერთობლიობა დამყარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ (ტრადიციონალისტურ) საზოგადოებრივ და სულიერ-ზნეობრივ ფასეულობებზე. კონსერვატიზმი არის სლავური (ჩვენს შემთხვევაში – რუსული), რასობრივ-ეთნიკური და ფსიქოლოგიური ტიპის ორგანული ნაწილი. ამის გამო კონსერვატიზმი დომინირებს სლავურ (რუსულ) საზოგადოებაში მისი ცალკეული ცივილიზაციური ერთეულის ჩამოყალიბების დროიდან. სოციალური ბუნებიდან გამომდინარე რუსული კონსერვატიზმი დასაბამიდანვე აგებული იყო ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების მჭიდრო კავშირსა და ურთიერთქმედებაზე. წარმართული ხანიდან მოყოლებული რუსული საზოგადოების კონსერვატიული სათავეები აღმოჩნდა იმ უნივერსალურ ბაზისად, რომელმაც შეითვისა და განავითარა ცივილიზაციის ახალი – ქრისტიანული ფორმა. მართლმადიდებლური სულიერ-ზნეობრივი პრინციპების მტკიცე იერარქია თვითმპყრობელი მონარქიის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებული ახალი რუსული კონსერვატიული წყობის იდეოლოგიურ და სოციალურ ბაზისად იქცა. რუსული საზოგადობის კონსერვატიული ბუნება

დამყარებული იყო შეუზღუდავი მონარქიისა და ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის სინთეზზე. სოციალური სტაბილურობის მთავარ პირობად გვევლინება ყველა სოციალური ჯგუფის სულიერი ნათესაობა და მონარქსა და ხალხს შორის ცოცხალი ურთიერთობა. მართლმადიდებლური კონსერვატიზმის სულიერ-ზნეობრივმა პოსტულატებმა რუსული საზოგადოების მსოფლმხედველური ბაზისი შეადგინეს, რომლის იდეოლოგიური ალტერნატივა დღემდე ვერ მოიძებნა. ამავე დროს რუსული კონსერვატიზმი იყო სოციალური წყობის ასახვა და არა რეაქცია სოციალურ კატაკლიზმებზე, როგორც დასავლეთ ევროპაში. პეტრე პირველის რეფორმების სახით დაწყებულმა ვესტერნიზაციამ რუსეთში დასავლური საზოგადოებრივი მოდელი დანერგა, რამაც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრს შესაბამისი დაღი დაასვა. XVIII საუკუნიდან მოყოლებული დასავლური რაციონალისტური აზროვნების ფარგლებში იწყება რუსული კონსერვატიზმის ჩამოყალიბება საზოგადოებრივი აზრის დამოუკიდებელ სამეცნიერო მიმართულებად. ამ ხანიდან მოყოლებული კონსერვატიზმის განვითარება რუსეთში მიმდინარეობს ტრადიციონალისტური რუსული და პროდასავლურ ლიბერალურ მიმართულებებს შორის ბრძოლის ფონზე. 1917 წელს რუსული ისტორიული საფუძვლების მოშლის მიუხედავად, საზოგადოებამ შეინარჩუნა კონსერვატიული სულიერ-ზნეობრივი და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ტრადიცია, რომელიც შეცვლილი ფორმით არსებობდა მთელი საბჭოთა პერიოდი. ამავდროულად, რუსეთის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე კონსერვატიული ტრადიციის ისტორიული მემკვიდრეობითობა განპირობებულია უშუალოდ რუსული კონსერვატიზმისა და საზოგადოებრივი მენტალიტეტის ბუნებით.

## თავი II. თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებები

კონსერვატიზმის შემეცნება კომპლექსურ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენად, ხოლო კონსერვატიული იდეოლოგიის აღქმა მისი გამოსახვისა და განვითარების მენტალურ ფორმად, საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ კონსერვატიზმის როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შევისწავლოთ მისი ზეგავლენა როგორც ცალკეულ ინდივიდებზე, ასევე ცალკეულ სოციალურ ჯგუფებსა და სრულიად სოციუმზე.

კონსერვატიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, წარმოგვიდგება არამხოლოდ მსოფლიო ისტორიული პროცესის შემადგენელ ნაწილად, არამედ მისი არსისა და ტენდენციების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად და ათასწლეულების მანძილზე ისტორიის მამოძრავებელ ძალად.

ამავე დროს კონსერვატიზმი სხვადასხვა სახით წარმოდგენილია ყველა ევროპულ და აზიურ ცივილიზაციურ მოდელში, რადგან მისი ბუნებიდან გამომდინარე იგი გამოხატავს კონკრეტული საზოგადოების ეროვნულ და რეგიონალურ სპეციფიკას.

აღნიშნული დასკვნა სრულიად მიესადაგება ამჟამინდელი რუსული საზოგადოების მდგომარეობას, რაც აუცილებელს ხდის თანამედროვე რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის მიმართ სისტემური მიდგომის შემუშავებასა და მის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას.

კონსერვატიზმი თანამედროვე რუსეთში სოციალურ მოვლენად იქცა და საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში წამყვანი როლი დაიმკვიდრა.

კონსერვატიული მიმართულებების მრავალსახეობების მიუხედავად სისტემური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მათი ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

კლასიფიკაცია ჩატარებულია შემდეგი ფუნდამენტალური მაჩვენებლების საფუძველზე:

- კონკრეტული მიმართულების კონცეპტუალური ანალიზი, ერთიანი იდეოლოგიური სისტემის არსისა და ფორმების განსაზღვრა;
- შემეცნების დამოუკიდებელი გნოსეოლოგიური ბაზისის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლების არსებობა;
- კონკრეტული მიმართულების ისტორიული მემკვიდრეობითობა;
- მკვეთრად შემოფარგლული სოციალური ბაზა.

აღნიშნული კრიტერიუმების საფუძველზე ჩვენ განვსაზღვრეთ თანამედროვე რუსული კონსერვატიული იდეოლოგიის ხუთი ძირითადი მიმართულება, რომლის საფუძველზე შეგვიძლია რუსული კონსერვატიზმის, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენის შესწავლა. ამ მიმართულებებს განეკუთვნებიან:

- მართლმადიდებლური კონსერვატიზმი;
- სახელმწიფო-პატრიოტული კონსერვატიზმი;

- ევრაზიული სკოლა;
- ლიბერალური კონსერვატიზმი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მიმართულების იდეოლოგიური სიახლოვის გამო მათ მიეკუთვნებიან განსხვავებული სოციალური ჯგუფები და პოლიტიკური სკოლები. ამასთანავე მკვლევარები არ შემოიფარგლებიან ერთი დარგით და კონცეპტუალურ კვლევას აწარმოებენ ერთდროულად რამდენიმე მიმართულების ფარგლებში. პირველ რიგში ეს ეხება ევრაზიული სკოლისა და სახელმწიფო-პატრიოტული კონსერვატიზმის წარმომადგენლებს.

ყველა ხუთი მიმართულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ისტორიული მომენტის სპეციფიკას. როგორც წინამორბედ კომუნისტურ ეპოქას, ასევე თანამედროვე პერიოდს არ გააჩნია ისტორიული ანალოგი რუსეთის წარსულში, რის გამოც მიმდინარე ისტორიული მომენტი განსაკუთრებით რთული და არაპროგნოზირებადი ხასიათით გამოირჩევა. ასეთ პირობებში მრავალსაუკუნოვანი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მშენებლობის მთავარი ბაზისი ხდება. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა თანამედროვე რუსული კონსერვატიული სკოლისათვის და სწორედ მის საფუძველზე მიმდინარეობს მათი განვითარება.

## §1. მართლმადიდებლური კონსერვატიზმი

ზემოაღნიშნული ფუნდამენტალური პარამეტრებიდან გამომდინარე მართლმადიდებლური კონსერვატიზმი წარმოადგენს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველაზე მძლავრ ტრადიციას. საზოგადოების ტრანსცენდენტული გააზრების სათავეები რუსეთის გაქრისტიანებისა და მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ეპოქიდან იწყება.

საზოგადოებაში ადამიანური ურთიერთობების რეგულაცია სადვთისმეტყველო კატეგორიების ფარგლებში მოიცავს პრობლემატიკის ფართო სპექტრს, დაწყებული სამყაროს შექმნის საკითხებით და დამთავრებული მართლმადიდებლური ესქატოლოგიის კანონიკური პოსტულატებით. დაარსებულია რა ღვთიურ ცენტრიზმზე (Богоцентризме), მართლმადიდებლობა

აღნიშნულ პრინციპს ავრცელებს საზოგადოებრივი მოწყობის მთელ მოდელზე, მათ შორის ხელისუფლების წარმოშობასა და ლეგიტიმურობაზე, სახელმწიფო და სოციალურ იერარქიაზე, ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მსოფლმხედველობაზე, სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების სისტემაზე.

ასეთი ფართო ისტორიულ-ფილოსოფიური ბაზისის არსებობა იმთავითვე განაპირობებს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების როლსა და ადგილს თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმში. წამყვანი როლი აქ ეკუთვნით საეკლესიო ღვთისმეტყველებს, რომლებიც საკითხს შეისწავლიან ქრისტიანული დოგმატების საფუძველზე.

ნიშანდობლივია, რომ ილარიონით (XIს.) დაწყებული ზემოაღნიშნული საეკლესიო მოღვაწეების რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემები, შემუშავებული იყო მართლმადიდებლობის, როგორც საზოგადოებრივი მსოფლმხედველობისა და ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის აბსოლუტური დომინირების პირობებში. ამგვარად, საუკუნეების მანძილზე თვით ისტორიის მსვლელობა კარნახობდა არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი სისტემის ფარგლებში მართლმადიდებლური კონსერვატიული კონცეფციის განვითარების აუცილებლობას. მართლმადიდებლური კონსერვატიული ტრადიციის ძირითად შიდა მოწინააღმდეგედ წარმოგვიდგება მწვალებლობა, ხოლო გარე მოწინააღმდეგედ – წარმართობა და სხვა ქრისტიანული მიმდინარეობები.

სრულიად განსხვავებლი გეოპოლიტიკური ვითარება შეიქმნა XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც მართლმადიდებლური კონსერვტიული ტრადიცია ახალი მეტოქის წინაშე აღმოჩნდა პეტრე პირველის დასავლური (კათოლიკური) ტიპის აბსოლუტიზმის სახით.პეტრე პირველის რეფორმებმა ბოლო მოუღო მართლმადიდებლობის დომინირებას, როგორც სახელმწიფო რელიგიისა. მართლმადიდებლური კონსერვატიული ტრადიცია ამიერიდან ღიად იდევნებოდა არა გარე მტრის, არამედ საკუთარი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, რომელიც შეუდგა რუსეთის ვესტერნიზაციის პროცესს.

ასეთ პირობებში საეკლესიო თეორეტიკოსებს მოუწევდათ საუკუნეების მანძილზე შემუშავეული რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემების შენარჩუნება და შემდგომი განვითარება.

რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს შორის, ვინც ძირფესვიანად შეისწავლა ახალი სოციალურ-პოლიტიკური რეალიების შინაარსი

და ტენდენციები, უნდა გამოვარჩიოთ მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი (XIX ს.).

სახელმწიფოს შექმნა ფილარეტის მიერ განიხილება როგორც საღვთო ნების აქტი, რომლის მიზანია ადამიანურ საზოგადოებაში შიდა ურთიერთობების სამართლებრივი რეგულაცია ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებით. რუსული თვითმპყრობელური ხელისუფლების ბუნება განისაზღვრება რუსი ხალხის ეროვნული ხასიათის თავისებურებებით. ამ ხელისუფლებას საფუძვლად უდევს მონარქისა და საზოგადოების ნდობითი ურთიერთობები. თვითმპყრობელობა ასრულებს უზენაესი მსაჯულისა და მშობელი მამის ფუნქციას, რომელიც იცავს საზოგადოებას შიდა და გარე მტრებისაგან. რუსულ თვითმპყრობელობასა და რუს ხალხს ფილარეტი განიხილავს ერთი თვითრეგულირებადი სისტემის ფარგლებში, რომელშიც საკვანძო ადგილი ეკუთვნის სამართლიანობის პრინციპს. მისი აზრით ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ურთიერთობების ასეთი უნიკალური სისტემის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ მართლმადიდებლური სულიერების საფუძველზე და ზნეობრივი სათავეების აბსოლუტური დომინირების პირობებში (ფილარეტი 2006:7).

ფილარეტი უკიდურესად უარყოფითად შეაფასებს სახელმწიფოებრივი მოწყობის ევროპულ რაციონალისტურ თეორიებს, პირველ რიგში საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიას[2]. მისი აზრით, ამ თეორიაში იმთავითვე ჩადებულია არასტაბილურობის წინაპირობები, რომლებიც გადაიზრდება ტოტალურ სოციალურ ქაოსში. სახელმწიფოებრივი მოწყობის რაციონალისტური გააზრების და ამის შედეგად შემუშავებული ლოგიკური მოსაზრებების საფუძველზე მისი შეცვლა პოტენციურად დამანგრეველია, რადგან ეჭვის ქვეშ აყენებს საუკუნეების მანძილზე დადგენილი მართვის სისტემას. მოვლენათა ამგვარი განვითარება სრულიად მიუღებელია რუსული საზოგადოების პატრიარქალური წეს-წყობილებისათვის, რომელშიც ცნება "ხელისუფლება-ხალხი" ერთიან სულიერ რეალობას წარმოადგენს, ხოლო მისი ადმინისტრაციული მხარე მეორეხარისხოვანია (ფილარეტი 1997:7-8).

---

[2]Теория общественного договора.

სახელმწიფო ხელისუფლების სტაბილურობის ერთერთი ქვაკუთხედია მართლმადიდებლურ ეკლესიასთან მისი თანასწორუფლებიანი სულიერი კავშირი (ფილარეტი 1997:10). სწორედ ეს კავშირია ყველა სოციალური ჯგუფის მიერ აღიარებული საზოგადოებრივი მენტალიტეტის საფუძველი. რუსეთის ისტორიის გადამწყვეტ ფაქტორად და რეალურ მამოძრავებელ ძალად ფილარეტი მიიჩნევს რუსული (მართლმადიდებლური) სულიერებისა და რუსული ეროვნული ხასიათის ერთობლიობას.

ამრიგად, ფილარეტმა განსაზღვრა კონსერვატიული ფასეულობების როლი და ადგილი ახალ ისტორიულ გარემოში. პირველ ადგილზე დაყენებულია ეკლესიისა და ერის სულიერი კავშირი, რომელსაც ემყარება სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგია.

ბევრად უფრო რთულ ვითარებაში მოუწია თავისი თეორიული კონსტრუქტის შემუშავება პავლე ფლორენსკის. 1917 წლის გეოპოლიტიკურმა კატასტროფამ გამოიწვია ისტორიული რუსეთის ნგრევა და გლობალური სოციალური ექსპერიმენტის დაწყება, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა მსოფლიო ისტორიის დინება. მართლმადიდებლობის როგორც რელიგიისა და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის ტოტალური დევნის პირობებში საჭირო იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი და ზნეობრივი ფასეულობების შენარჩუნება, ქვეყნის აწმყოსა და მომავლის ახალი ხედვის შემუშავება. ამასთანავე, ქვეყანაში მიმდინარე სოციალური კატაკლიზმების მასშტაბებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ხანის მოღვაწეთა თეორიული მოდელების ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი. პავლე ფლორენსკის კონცეფცია ამის თვალსაჩინო მაგალითია.

პ. ფლორენსკის შეხედულებათა თავისებურებანი გამოიხატება მონარქისტულისა და სოციალისტური მოდელებისაგან განსხვავებული ახალი სოციალური წყობის ძიებაში. რუსეთის ისტორიული წეს-წყობილების დაშლის ჭეშმარიტი მიზეზი მის გახრწნაში მდგომარეობს, ხოლო ომმა და რევოლუციამ ეს წინააღმდეგობები ისტორიის ზედაპირზე გამოიტანა (ფლორენსკი 1991:4). მონარქისტული წყობის სიცოცხლისუნარიანობას ბოლო მოუღო შიდა და საგარეო ნეგატიურმა ფაქტორებმა. სახელმწიფო მართვის დემოკრატიული და სოციალისტური ფორმების მანკიერმა ბუნებამ გამოიწვია საყოველთაო ქაოსი და ძირითადი სოციალური საწყისების - მორალისა და ოჯახის - მოშლა.

უარყოფდა რა მონარქიას, ფლორენსკი ხედავდა ხსნას ძლიერ პიროვნებაში, რომელსაც "გენიალური ნება" და ორგანიზატორის თვისებები გააჩნია, რის მეშვეობით იგი დაამყარებდა წესრიგს საზოგადოებაში და უზრუნველყოფდა მის თანმიმდევრულ პროგრესულ განვითარებას. ახალი საზოგადოების მშენებლობის სათავეში მდგომი დიქტატორის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია მისი გენიალურობითა და ახალი წყობის მშენებლობის უნარით (ფლორენსკი 1991:7-8).

ამ პიროვნებას უნდა შესწევდეს უნარი მოუსმინოს ყველას, მაგრამ იგი მოიქცევა მხოლოდ საკუთარი მოსაზრებების მიხედვით, რაც არის სახელმწიფო სიბრძნისა და პასუხისმგებლობის გამოვლინება (ფლორენსკი 1991:3).შესაბამისად, ამ პიროვნებისადმი მორჩილება არა მბრძანებლური, არამედ ნებაყოფლობითი ხასიათისაა, რადგან მხოლოდ მას როგორც უზენაეს მმართველს ძალუძს საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლიანი მოგვარება. არსებითად, ფლორენსკი შეცვლილი ფორმით იმეორებს მისი წინამორბედების პოსტულატებს რუსეთის თვითმპყრობელზე.

ფლორენსკი უნიტარული ტიპის სახელმწიფოს მომხრეა, თუნდაც იგი სოციალისტური იყოს. მთავარია რომ მას ერთიანი რუსული გეოპოლიტიკური სივრცის შენარჩუნების უნარი შესწევდეს. ამრიგად, ავტორი აღიარებს სტალინური საბჭოთა კავშირის ტრადიციონალისტურ დამცველ ფუნქციებს, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებშიც კი ემსახურებოდა ისტორიული რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს.

როგორც მართლმადიდებლური ფილოსოფოსი, ქვეყნის სტაბილური მომავლის საფუძველს ფლორენსკი ხედავს საზოგადოებრივ ზნეობაში, სადაც გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახალხო განათლებამ. ზნეობრივად ჯანსაღ საზოგადოებას გააჩნია თვითრეგულაციის ძლიერი უნარი. ამის შედეგად თვით საზოგადოებრივი წყობა შეზღუდავს ცალკეული წევრების ნეგატიურ ტენდენციებს, ხოლო სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებაში ხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

ისტორიული მომენტის სირთულემ არ მისცა ფლორენსკის საბჭოთა კავშირის შიდა პოლიტიკაში მომხდარი გარდატეხის ამოცნობის საშუალება. სტალინის პოლიტიკა ბევრად ემთხვეოდა ფლორენსკის ხედვას რუსეთის სამომავლო სახელმწიფოებრივ მოწყობაზე. ზოგიერთ საკვანძო საკითხებში სტალინის პოლიტიკა უფრო შორსაც წავიდა. კერძოდ, ფლორენსკის

მართებულად მიაჩნდა მოქალაქეთა არა სოციალური თანასწორუფლებიანობა, არამედ მათთვის სრულფასოვანი შემოქმედებითი თვითრეალიზაციის პირობების შექმნა (ფლორენსკი 1991:3). სტალინის საბჭოთა კავშირში კი სწორედ მოქალაქეთა სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე იყო შექმნილი ფართო საზოგადოებრივი მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების პირობები როგორც მშვიდობიან, ასევე ომის პირობებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფლორენსკის დამოკიდებულებას მართლმადიდებლური ეკლესიისადმი. ისტორიულმა კატაკლიზმებმა იმდენად შეზღუდვეს მისი სოციალური პოზიციები, რომ ახალ პირობებში თავად ეკლესიის შენარჩუნებაც კი ფლორენსკის შეუძლებლად მიაჩნია. ამავე დროს სოციალისტურ იდეოლოგიას არ ძალუძს რუსული საზოგადოების სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ასეთ ვითარებაში საჭიროა დაველოდოთ ფართო მასების რეაქციას ვიდრე მათთვის ნათელი გახდება ისტორიული მართლმადიდებლური სულიერებისადმი დაბრუნების აუცილებლობა.

ამრიგად, პავლე ფლორენსკის უმნიშვნელოვანესი დამსახურებაა უარყოფითი სოციალური ექსპერიმენტის პირობებში რუსეთის ისტორიული საფუძვლების შენარჩუნების კონცეფციის შემუშავება.

მართლმადიდებლური კონსერვატიზმის თანამედროვე იდეოლოგებს თვისობრივად ახალ ისტორიულ და სოციალურ პირობებში უწევთ კონცეპტუალური დებულებების შემუშავება. სოციალისტური ფორმაციის შეცვლამ რუსეთის ისტორიაში სავსებით ახალ ეტაპს დაუდო დასაბამი. როგორც ყველა წინამორბედ ფორმაციებს არც ამჟამინდელ ახალ წყობას გააჩნია ისტორიული ანალოგი. დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში რუსეთმა განვლო ცივილიზაციური ინსტიტუტების დაცემისა და აღდგენის, მისი სამხედრო-პოლიტიკური ძლიერების აღზევების ურთულესი გზა. ეს გარემოება უშუალოდ ადასტურებს რუსეთში ძლიერი კონსერვატიული ტრადიციების არსებობას, რომელიც უცვლელი რჩება ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის პირობებში. უფრო მეტიცრუსეთს გააჩნია უნარი გაანეიტრალოს და საკუთარ სამსახურში ჩააყენოს მისი ისტორიული ფესვებისადმი ყველაზე მტრული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები. სოციალიზმის ეპოქა ამის პირდაპირი დასტურია.

დასავლური დემოკრატიული ნიმუშის საფუძველზე მიმდინარე თანამედროვე რუსეთის რეფორმირების ანალიზი ადასტურებს, რომ ეს მოდელი გათავისებული იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეეფერება რუსეთის კონსერვატიულ პრინციპებს. ეს პრინციპები საუკუნეების მანძილზე რუსული საზოგადოების გენეტიკურ კოდად იქცა. ასეთ პირობებში მართლმადიდებლური თეორეტიკოსების ამოცანაა ამ პროცესის იდეოლოგიური საფუძვლების გააზრება. მათ მოუწევთ ახალი რუსული საზოგადოებრივი მოდელის სურათის შემუშავება. ეს მოდელი მხოლოდ გარეგნულად აითვისებს დასავლეთის სოციალური ორგანიზაციის ატრიბუტიკას, ხოლო შინაგანად შეინარჩუნებს საუკუნოვან საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ფასეულობებს, რომლებიც ქვეშემეცნების დონეზე რუსული მენტალიტეტის ორგანულ შემადგენელ ნაწილად იქცნენ.

ასეთი მოღვაწეობის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მიტროპოლიტ იოანე სნიჩოვის შემოქმედება, რომელმაც ფუნდამენტალურ ნაშრომებში წარადგინა რუსეთის ისტორიული წარსულის ანალიზი და მისი სამომავლო სახელმწიფო-საზოგადოებრივი წყობის ხედვა.

რუსეთის წარსული აღიქმება ისტორიული ეპოქების თანმიმდევრულ ჯაჭვად, რომელთა მთავარი გამყოფი ზღუდეა რუსული საზოგადოების გაქრისტიანება და მართლმადიდებლობის ჰეგემონიის სტატუსთან დაკავშირებული სოციალური პროცესები. მიტროპოლიტი იოანეს მიერ იმპერიული ტიპის სახელმწიფოს შემეცნება ეფუძნება რელიგიურ ფორმაში გამოხატულ იდეოლოგიურ ბაზისს. რუსული იმპერიის განმასხვავებელი ნიშანია ქრისტიანული ბუნების სახელმწიფოებრიობა: “ჭეშმარიტი იმპერია არს დიდი მსოფლიო სახელმწიფო, რომელშიც შემავალი სხვადასხვა ხალხი გაერთიანებულია უზენაესი კულტურით, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობითა და უზენაესი ხელისუფლებით” (სნიჩოვი 2005:179). ჭეშმარიტად იმპერიული პრინციპი მდგომარეობს რელიგიურ-ზნეობრივ პრინციპებზე დამყარებულ ხელისუფლების ერისადმი უანგარო სამსახურში (სნიჩოვი 2005:180). ამ თვალსაზრისით რუსი ხალხი იმპერიის სახელმწიფოებრივი ბირთვის მატარებელია, რადგან იგი შეგნებულად და ნებოყოფლობით გაერთიანდა სახელმწიფოებრივი იდეის გარშემო და იცავს მას როგორც უზენაეს სიწმინდეს. მიტროპოლიტ იოანეს კონცეფციის მიერ

მართლმადიდებლური იმპერიის შინაარსი განსაზღვრულია ინდივიდუალური, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი კრიტერიუმების ერთობლიობით, რაც მას "ზეციური სასუფეველის ამქვეყნიურ სახედ აქცევს" (სნიჩოვი 2005:179-180). შესაბამისად, იმპერიული სახელმწიფო წყობა განიხილება მართლმადიდებლობაზე დამყარებული საერო და საეკლესიო ხელისუფლების სიმფონიის კონტექსტში.

ამ რუსულ იმპერიულ წყობას წინ აღუდგება დასავლური ცრუიმპერიული მოდელი, რომელიც დამყარებულია მხოლოდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ბატონობაზე. ამ ბატონობის მიღწევის გზაზე არანაირი მორალურ-ეთიკური შეზღუდვები არ არსებობს, ხოლო მთავარი განმსაზღვრელი კრიტერიუმია უშუალოდ ამ ბატონობის დამყარება და შენარჩუნება. ასეთ იმპერიათა რიცხვს მიეკუთვნებიან ბრიტანული, ორივე ფრანგული, გერმანული და ავსტრო-უნგრული იმპერიები.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მიტროპოლიტ იოანეს მიერ მოცემული ხელისუფლების ბუნებისა და დანიშნულების შემეცნება ღვთიურ ძალად, რომელიც ნებისმიერი სოციალური თვითორგანიზაციისა და სახელმწიფოებრიობის საფუძველია (სნიჩოვი 2005:488). თანამედროვე რუსეთში დამყარებული ხელისუფლების დასავლური მოდელი სულიერების არმქონე სუბსტრაქტია, რომელსაც არ ძალუძს არამხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა, არამედ რუსული საზოგადოებისათვის უმთავრესი – საზოგადოების ყველა წევრის არა ქონებრივ, არამედ სულიერ ერთობაზე დამყარებული სოციალური ჰარმონიის მიღწევა (სნიჩოვი 2005:489).

ამრიგად, სახელმწიფოებრიობის სულიერი პრინციპი მდებარეობს მართლმადიდებლური იმპერიის პრინციპში, რომელიც გამოიხატება "ზნეობის წმინდა კანონში" (სნიჩოვი 2005:492). ამის შედეგად შიდა სოციალური ურთიერთობების ნორმატიულ-სამართლებრივი რეგულაცია და ზოგადად სახელმწიფო მართვა ხორციელდება არა ძალადობრივი, არამედ ნებაყოფლობითი გზით. სახელმწიფოს საკანონმდებლო ფუნქცია განსაზღვრულია უშუალოდ საზოგადოებრივი მენტალიტეტით, და არა მისგან დაშორებული თეორეტიკოსების ვიწრო ჯგუფით. კანონები უზრუნველყოფენ წესრიგს ზნეობრივი მაგალითით და არა სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის ძალით. ამის შედეგად მიღწეული სახელმწიფოსადმი საზოგადოების მორჩილება

და საკანონმდებლო შემოქმედება სოციუმის შეგნებული არჩევანია, რაც სოციალური სტაბილურობის მძლავრ ფუნდამენტს წარმოადგენს.

მართლმადიდებლურ სახელმწიფოს გააჩნია მთელი რიგი თვისებები, რომელიც მას განასხვავებს სახელმწიფოებრიობის სხვა ტიპებისაგან:

- სახელმწიფო განიხილება როგორც ერთი დიდი ოჯახი, სადაც გათვალისწინებულია ყველა წევრის ინტერესი. ეს განაპირობებს ყველა სოციალური ფენისა და ჯგუფის სულიერ ნათესაობას, რაც, თავის მხრივ რეალური სახალხო ერთობის საფუძველია;
- სახელმწიფო ხელისუფლება მსხვერპლშეწირვის ტოლფასია, რომელიც დასაბამს იღებს სამონასტრო მორჩილებიდან. ამის შედეგად ხელისუფლება გაცილებით მკაცრად არის შეზღუდული სულიერ-ზნეობრივი ნორმებით, ვიდრე კანონმდებლობით;
- “ხელისუფლებათა სიმფონია” საეკლესიო-სახელმწიფო ურთიერთობების აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს. ამრიგად, ეროვნულ სახელმწიფოებრიობას გააჩნია უკვე ორი საყრდენი – საერო და საეკლესიო. ამ მოდელის ეფექტურობა დადასტურებულია ისტორიის მსვლელობით (სნიჩოვი 2005:493-495).

დემოკრატია, როგორც იდეოლოგია და სახელმწიფო ინსტიტუტი იმთავითვე სიცრუეა. დემოკრატიის მიერ დეკლარირებული მიზნები და მათი მიღწევის გზები მოწყვეტილი არიან რეალობასა და ისტორიულ კანონზომიერებას. დემოკრატიული იდეების განხორციელება გადადის იოლად მართვადი უმრავლესობის მექანიკურ დომინირებაში (სნიჩოვი 2005:498). ნამდვილი ხელისუფლება განისაზღვრება არა ბრბოს რაოდენობით, არამედ ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი იდეალებით. შესაბამისად,მთავარი მნიშვნელობა აქვს არა რომელიმე იდეის მიმდევარი ხალხის უბრალო რაოდენობას, არამედ ჭეშმარიტ სულიერ-ზნეობრივი იდეალების აღმსარებელი ადამიანების არსებობას. ამ კუთხით მათი მნიშვნელობა განისაზღვრება არა რაოდენობით, არამედ მსოფლმხედველობით. თუ ისინი უმცირესობას წარმოადგენენ, მათი აზრი უნდა დომინირებდეს, იყოს სამაგალითო და წარუძღვეს საზოგადოებას სწორი მიმართულებით. რელიგიურ-ზნეობრივი კანონების მიხედვით მცხოვრებ საზოგადოებას არ ესაჭიროება უმრავლესობის მექანიკურ უპირატესობაზე

დამყარებული მართვა, რადგან იგი ემორჩილება საყოველთაოდ აღიარებულ სულიერ ფასეულობებს.

ამრიგად, მიტროპოლიტ იოანეს კონცეფციაში რუსეთის მთელ წინამორბედ ისტორიაში შემუშავებული სახელმწიფო მსოფლმხედველობის საკვანძო პრინციპების მემკვიდრეობა ადაპტირებულია ახალ თანამედროვე ისტორიულ გარემოსთან.

რუსეთის სახელმწიფო ტრადიციების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიოსოფიული გააზრება მოცემულია არქიმანდრიტ ტიხონ შევკუნოვის ნაშრომებში. განიხილავს რა მსოფლიო ისტორიას სიკეთისა და სიბოროტეს შორის ბრძოლის უწყვეტ ჯაჭვად, არქიმანდრიტი ტიხონი მჭიდროდ უკავშირებს ამ პროცესს მსოფლიო მასშტაბის ისტორიულ მოვლენებს.

კონცეფციაში “მოსკოვი – მესამე რომი” ავტორი ყურადღებას ამახვილებს ბიზანტიიდან რუსეთში მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრის გადასვლის ისტორიულ კანონზომიერებაზე, რის შედეგად რუსეთმაგაითავისა ბიზანტიის, როგორც მსოფლიო იმპერიის გეოპოლიტიკური როლი.

არქიმანდრიტი ტიხონი ხაზს უსვამს ანალოგიას ბიზანტიასა და რუსეთს შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ რელიგიური საკითხებით. არსებითად ავტორი ატარებს ისტორიულ პარალელებს ორ ცივილიზაციას შორის, რომლებსაც, ერთმანეთს შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, გააჩნიათ ერთი ისტორიული დანიშნულება – იყვნენ მსოფლიო სტაბილურობის გარანტები. შესაბამისად, პრობლემები, რომლებმაც გამოიწვია ბიზანტიის დაღუპვა, ინარჩუნებენ აქტუალობას თანამედროვე რუსეთისათვის. მათ შორის ავტორი გამოარჩევს შემდეგ ფაქტორებს:

- ქვეყნის ფინანსებზე სახელმწიფო კონტროლის დაკარგვა, რასაც მოჰყვა ბიზანტიის იმპერიის ეკონომიკური ნგრევა;
- სახელმწიფო ხელისუფლების დეცენტრალიზაცია, სახელმწიფო ფუნქციების ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე გადანაწილება, რამაც გამოიწვია სახელმწიფო მექანიზმის დეზინტეგრაცია და დაშლა;
- ეროვნული საკითხის გამწვავება. ბიზანტიის გეოპოლიტიკური ძალა მდგომარეობდა ბერძნული ეროვნული და კულტურული ბირთვის გარშემო გაერთიანებულ სხვადასხვა ხალხის ურთიერთთანხმობასა და თანასწორუფლებიანობაში. ცნება “ბიზანტიელი” ატარებდა არა ეთნიკურ

(ბერძნულ), არამედ ცივილიზაციურ ხასიათს. იმპერიის ნაციონალური ერთობის მოშლამ გამოიწვია შიდა დესტაბილიზაცია და გადაიზარდა თვითნგრევაში. საგარეო ფაქტორებმა მხოლოდ დააჩქარეს დაწყებული პროცესი.

- ცენტრსა და რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური კავშირების მოშლა, რამაც გამოიწვია მათი ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამოშორება ერთმანეთისგან. ამის შედეგად დაკარგულ იქნა იმპერიული პრინციპები და დასუსტდა მთლიანად სახელმწიფო აპარატი;
- დემოგრაფიული საკითხი. ბიზანტიის მოსახლეობა მუდმივად შეივსებოდა ჩამოსახლებული უცხო ტომებით, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლება უზრუნველყოფდა მათ თანმიმდევრულ ინტეგრაციას იმპერიის ცივილიზაციურ სივრცეში. იმპერიული ტრადიციების დაკარგვამ გამოიწვია უცხო მენტალიტეტის მქონე მოსახლეობის უკონტროლო შემოსვლა, რომელიც შიდა კრიზისში გადაიზარდა;
- მრავალსაუკუნოვანი მართლმადიდებლური ტრადიციების უარყოფა კათოლიციზმთან 1274 წელს დადებული უნიის სახით. სარწმუნოების სიწმინდის უარყოფის გამო ხელისუფლება ხალხს ჩამოშორდა. დაირღვა ისტორიული კავშირი საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, ელიტა და სახალხო მასები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის შედეგად მოიშალა საზოგადოების შინაგანი ერთობა (შევკუნოვი 2008:15-27).

სწორედ ბიზანტიასა და რომს შორის 1274 წელს დადებული საეკლესიო უნიით დაიწყო მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრის გადაადგილება კონსტანტინოპოლიდან მოსკოვში და მისი გარდაქმნა მესამე რომად.

ავტორის აზრით, ისტორიული ტრადიციები და ფასეულობები რუსეთის სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილურობის მუდმივი საფუძველია, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი თანმიმდევრული განვითარება. ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის იდეოლოგიურ ბაზისს მართლმადიდებლობა შეადგენს, რადგან მან შეითავსა რუსული სამყაროს სულიერ-ზნეობრივი და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი გამოცდილება. მართლმადიდებლობა აღიარებულია უზენაეს ცივილიზაციურ ფასეულობად. სწორედ ამ ღერძზეა დამყარებული რუსეთის ცივილიზაციური პოტენციალი. მთავარ სოციალურ ორიენტირად რჩება საზოგადოების სულიერი

ჯანმრთელობის საკითხები და ეროვნული ისტორიული ტრადიციებისადმი ერთგულება (შევკუნოვი 2014:78-83).

არქიმანდრიტი რაფაილ კარელინი კონსერვატიული ტრადიციის შენარჩუნებას უკავშირებს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიულ ღვაწლს. მართლმადიდებლური ეკლესია მთელი მისი პოტენციალის რეალიზაციას უზრუნველყოფს ეკლესიური ზნეობის ფარგლებში ინდივიდისადმი მაქსიმალური პირადი თავისუფლების მინიჭებით (კარელინი 1999:5). ამის შედეგად თითოეული ადამიანი,საზოგადოებაში ყველა წევრი ჩამოყალიბებული წეს-წყობილების აქტიური მონაწილე და მხარდამჭერი ხდება, რაც ყველა სოციალური ჯგუფის მჭიდრო ურთიერთკავშირსა და ხელისუფლების სტაბილურობას უზრუნველყოფს. სულიერების, ზნეობის, ურთიერთ მიმართ პასუხისმგებლობისა და მორჩილების იდეალად მიჩნეულია მთელი საზოგადოების ეკლესიასთან გაიგივება ანუ სოციუმის ეკლესიურობა. საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფს საეკლესიო პრინციპების მკვეთრი დაცვა.

საზოგადოების ეკლესიურობა დამყარებულია თითოეული ოჯახის ეკლესიურობაზე. ქრისტიანულ ტრადიციაში ოჯახი განიხილება “პატარა ეკლესიად” და თითოეულში არსებული მდგომარეობა განაპირობებს მთლიანად სოციუმში არსებულ მდგომარეობას. შესაბამისად, ყოველი ცალკეული ოჯახის კონსერვატიზმი უზრუნველყოფს მთელი საზოგადოების კონსერვატიული საყრდენების სიმტკიცეს (კარელინი 2001:7).

მაღალი სოციალური ზნეობის უზრუნველყოფის საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილს. ჭეშმარიტ ეროვნულ ელიტას შეადგენენ კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები. მათი ინტელექტუალური მონაცემები და საზოგადოებრივ მენტალიტეტზე ზეგავლენა სამაგალითოა დანარჩენებისათვის. მათი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული სულიერიფასეულობებისადმი მნიშვნელოვნად განაპირობებს ფართო მასების პოზიციას. ინტელიგენციის სულიერი დაცემა მთელი ერის სულიერ კატასტროფაში გადაიზრდება. ამიტომ ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახულია ზნეობრივად ჯანსაღი ინტელიგენციის აღზრდა, რომელიც მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კავშირში უზრნველყოფს

მთელი სოციუმის სწორი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას (კარელინი 2009:26-30).

საზოგადოების თვითორგანიზაციის მთავარ ძალად მონარქია გამოდის. მონარქიული სახელმწიფო წეს-წყობილების უნიკალურობა შედგება მის მჭიდრო სულიერ კავშირში მთელ საზოგადოებასთან. ეს კავშირი გამოიხატება თვითმპყრობელი მეფის ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული საზოგადოების ყველა წევრის ურთიერთთანხმობაში. მონარქია წარმოადგენს როგორც სახელმწიფოს, ასევე საზოგადოებრივი ორგანიზმის ღერძს. სწორედ ამაშია მისი მთავარი განსხვავება მართვის დემოკრატიული ფორმისაგან, რომელიც ორიენტირებულია მხოლოდ სამართლებრივ-პოლიტიკური სისტემის განვითარებაზე, საზოგადოება კი მხოლოდ მიზნების მიღწევის საშუალებაა და ზემოქმედების ობიექტი. მონარქისტული წყობის დროს საზოგადოება სახელმწიფო ხელისუფლების სუბიექტია, ხოლო მონარქის უზენაესობა დამყარებულია საყოველთაო აღიარებაზე. შესაბამისად, მონარქიის დაცემა, დემოკრატიული რეჟიმების ცვლილებისაგან განსხვავებით, ცივილიზაციური დონის კატასტროფას წარმოადგენს, რამეთუ ინგრევა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული შიდა სოციალური ურთიერთობების სისტემა, რომელიც დამყარებული იყო რელიგიურ ზნეობაზე (კარელინი 2004:93-96).

ზნეობაზე, როგორც საზოგადოებრივი სტაბილურობის მთავარ წინაპირობაზე, ამახვილებს ყურადღებას მღვდელი ოლეგ სტენიაევი. მისი აზრით, სწორედ ზნეობა არის ის მთავარი ძალა, რომელიც კვებავს ნაციონალურ ტრადიციებს და შეადგენს სულიერი კონსერვატიზმის საფუძველს (სტენიაევი 2010:28-30). თაობებს შორის სულიერი მემკვიდრეობა პირდაპირ განისაზღვრება საზოგადოებრივი ზნეობის სიწმინდით, რამეთუ ტრადიციები ისტორიულად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიურ ფასეულობებს წარმოადგენენ. ეს ფასეულობები ერის ისტორიულ გზაზე უმკაცრეს გამოცდას გადიან. ამიტომ ჭეშმარიტად ეროვნულ ტრადიციებს მხოლოდ ის თაობა აითვისებს, რომელსაც შესწევს მისი დაფასების, შენახვისა და განვითარების უნარი. ამ პროცესის ერთადერთი საფუძველია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ზნეობა.

ხელისუფლების ჭეშმარიტ რუსულ ფორმას უზრუნველყოფს საზოგადოების სულიერი ჯანმრთელობა, რომელიც დამყარებულია მართლმადიდებლობაზე. ამის შედეგად საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ნებაყოფლობით საწყისებს

გააჩნიათ აბსოლუტური უპირატესობა ძალდატანებაზე და სწორედ ეს სოციალური ფენომენი უზრუნველყოფს თვითმპყრობელი მონარქისა და ფართო სახალხო მასების მჭიდრო კავშირს. ხელისუფლების ღვთაებრივი ბუნება მმართველი პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის საქმიანობის ერთადერთი კრიტერიუმია. სწორედ ეს კრიტერიუმი განსაზღვრავს მთელი საზოგადოების დამოკიდებულებასამ ელიტისადმი (სტენიაევი 2010:32-33).

ამრიგად, თანამედროვე რუსულმა მართლმადიდებლურმა კონსერვატიზმმა შეითავსა ისტორიულად ჩამოყალიბებული თეორიული მემკვიდრეობა, და ამ ძირფესვიან პოსტულატებზე დამყარებით განავითარა იგი მიმდინარე და სამომავლო ისტორიულ პერსქპექტივაში.

## §2. სახელმწიფოებრივ-პატრიოტული კონსერვატიზმი

თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ სკოლებს შორის "государственники"-ების როლი და ადგილი განისაზღვრება მათი პოლიტიკური ტრადიციის ხასიათითა და ხანგრძლივობით. არსებითად რუსული სახელმწიფოებრიობის თეორეტიკოსებს უწევთ სრულიად ახალი საზოგადოებრივი მოდელის შექმნა, რომელიც შეითავსებს იმპერიული და საბჭოთა სოციალური კონსტრუქტის კონსერვატიულ ელემენტებს. სწორედ ეს განაპირობებს სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მიმართულების მრავალფეროვნებასა და კონცეპტუალურ სირთულეს. მასში გაერთიანებულია სხვადასხვა, ხშირად დიამეტრალურად საპირისპირო პოლიტიკური დოქტრინები, რომელთა მთავარი პრიორიტეტია რუსეთის სახელმწიფოებრივი საწყისების უზენესობა. შესაბამისად, სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მიმართულება აერთიანებს რუსეთის იმპერიული ტრადიციების ყველა მიმდევარს წარმართობის ხანიდან საბჭოთა ეპოქამდე.

ყოველი პოლიტიკური სკოლის მთავარი ამოცანაა წინამორბედი ისტორიული ეპოქების ანალიზი და უნივერსალური კონსერვატიული პრინციპების გამოვლენა, რომლებიც ემსახურება რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს როგორც კეთილგანწობილ, ასევე ანტაგონისტურ გარემოში. ამ თეორიულ საფუძველზე მიმდინარეობს თანამედროვე საზოგადოებრივი

პროცესების ანალიზი, მუშავდება ახალი პოლიტიკური მოდელები, რომელთა დანიშნულებაა რუსეთის დიდმპყრობელური ტრადიციების შენარჩუნება და გაგრძელება.

რუსული კონსერვატიზმის სახელმწიფოებრივ-პატრიოტული მიმართულების ერთერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია თეორიულ ბაზისთან რეალიზაცია პრაქტიკულ პოლიტიკაში. დიდმპყრობელურმა მიმართულებამ მჭიდროდ დაიკავა ადგილი არამხოლოდ სხვადასხვა სოციოკულტურული მოდელების კონცეფციებში, არამედ თანამედროვე რუსეთის სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში. არსებითად, სწორედ "государственники"-ების პატრიოტების ფილოსოფიური კონცეფციები უდევს საფუძვლად თანამედროვე რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფო პატრიოტიზმის წამყვანი თეორეტიკოსების კონცეფციების ანალიზი, რომლებიც არამხოლოდ იდეოლოგიურად ასაბუთებენ დიდმპყრობელობის პრინციპებსა და მიზნებს, არამედ უშუალოდ მონაწილეობენ მათ პრაქტიკულ რეალიზაციაში და რუსეთის სახელმწიფო კურსის განსაზღვრაში.

"Государственники"-ების სკოლის წარმომადგენელთა შორის პირველ რიგში უნდა გამოვარჩიოთ სერგი გლაზიევი, რომლის ფილოსოფიური კონსტრუქტი წარმოადგენს ახალ ისტორიულ პირობების შესაბამისობაში მოყვანილ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის მოდელს. ამასთანავე, გლაზიევის თეორიული მოდელი მრავალსაფეხურიანია და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგს:

- სახელმწიფო მშენებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები;
- ევრაზიული ინტეგრაცია;
- რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესები და პრიორიტეტები ევრაზიულ და გლობალურ განზომილებაში.

გლაზიევის კონცეპტუალურ მოდელში რუსეთი წარმოგვიდგება არამხოლოდ ევრაზიულ ზესახელმწიფოდ, არამედ ევრაზიის გეოპოლიტიკურ ბირთვად. დიდმპყრობელური ტრადიციებიდან გამომდინარე, რუსეთის

გლობალური ძლევამოსილების აღდგენა განიხილება სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ აქსიომად.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას გლაზიევი ანიჭებს მიმდინარე ისტორიული მომენტის სპეციფიკას, განიხილავს რა მას რუსეთის ისტორიის ახალი ცივილიზაციური ეტაპის ათვლის საწყის წერტილად (გლაზიევი 2011:489-500). ახალი რუსული სოციუმის ჩამოყალიბების პროცესი უნდა ეყრდნობოდეს ისტორიულად ჩამოყალიბებულ რუსულ კულტურულ კოდს, რომლის ძირითადი შინაარსი შედგება საზოგადოების ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინებასა და დაფასებაში. პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა აწარმოებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ეფექტურ რეგულირებას მხოლოდ მტკიცე ზნეობის საფუძველზე (გლაზიევი 2011:490-491). ზნეობის გარეშე ნებისმიერი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა გარდაიქმნება საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებულ წარმონაქმნად, რომელიც თრგუნავს საზოგადოების ინტერესებს თავის სასარგებლოდ. ამის შედეგად მართვის სისტემა არამცთუ არ ემსახურება ხალხს, არამედ ხალხს აიძულებსრომ ჩადგეს მის სამსახურში. ეს იწვევს საზოგადოების დეჰუმანიზაციას, რის მაგალითად გლაზიევი მატერიალურ ინტერესებზე ორიენტირებულ თანამედროვე დასავლეთის მომხმარებლურ საზოგადოებას მიიჩნევს (გლაზიევი 2011:492).

რუსული საზოგადოების მრავალეროვნული და სპეციფიკური ხასიათი მისი სახელმწიფოებრივი ძლიერების მთავარი საფუძველია. ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ გაერთიანებული რეგიონები თავად უნდა გარდაიქმნენ რეგიონალური ძალების ცენტრებად. სწორედ მათი ერთობის საფუძველზე შეიქმნება ძლიერი სახელმწიფო. ამ გზით მიღწეულ იქნება ქვეყნის დინამიური, ურთიერთდაკავშირებული, და არა მექანიკური ერთობა.

მომავალი რუსეთის ფორმირებაში წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ახალი ტიპის მენეჯერების კლასმა, რომელთამენტალიტეტი დამყარებული იქნება რუსულ ცივილიზაციურ ფასეულობებზე. საუბარია სრულიად ახალი ტიპის სოციალურ ელიტაზე, რომელიც დაეუფლება თანამედროვე ცოდნასა და გამოცდილებას ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში. ამ ელიტას შეუძლია პრაქტიკულ საქმიანობაში შემოქმედებითად გამოიყენოს და განავითაროს ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ ელიტის ძალისხმევით სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი გადაიქცევა ახალი ტიპის

თვითაღმწარმოებელი რუსული კონსერვატიული ცივილიზაციის მშენებლობის მამოძრავებელ ძალად (გლაზიევი 2016 გ).

რუსეთის სულიერი და ეთნიკური ბირთვის გარშემო დიდმპყრობელური ინტერესების თანმიმდევრულ დასაბუთებას ეძღვნება ნატალია ნაროჩნიცკაიას ნაშრომები. ეროვნულ-კულტურული ვექტორის თვითმყოფადობა რუსეთის ისტორიის მთავარ შინაარსობრივ სუბსტრაქტს შეადგენს. სწორედ მის საფუძველზე შეინარჩუნა რუსეთმა ეროვნული იდენტურობა მას შემდეგ რაც იქცა ევრაზიულ ზესახელმწიფოდ (ნაროჩნიცკაია 2003:107-115). დასავლეთ ევროპის მონოეთნიკური ქვეყნებისაგან განსხვავებით, რუსეთის მრავალეთნიკური სახელმწიფოს ჩამოყალიბება დასაბამიდანვე იმპერიული გზით მიმდინარეობდა. საუბარია სახალხო კრების ბაზისზე დამყარებულ იმპერიაზე, რომელმაც უზრუნველყო მის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება (ნაროჩნიცკაია 2015:11-12).

რუსეთის იმპერიის საჯარო ბუნება ცივილიზაციური საწყისის მაორგანიზებელ ძალად გვევლინება და ცენტრისკენული გეოპოლიტიკური ბუნება გააჩნია. შესაბამისად, რუსული სახელმწიფოებრიობის ეგიდის ქვეშ ევრაზიული სივრცის შექმნა არა დამპყრობლური, არამედ საორგანიზაციო ხასიათისა იყო და შეესაბამებოდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ ინტერესებს, მათი რელიგიური და ეთნიკური თავისებურებების მიუხედავად.

ამრიგად, რუსეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოდელი უკვე წარმოშობიდანვე კონსერვატიული ხასიათისაა, რამეთუ ემყარება საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციონალისტურ საფუძველს, რომელმაც გააერთიანა სულიერი, ეთნიკური და სახელმწიფოებრივი ცივილიზაციური ფაქტორები. რუსეთის ისტორიის მთელ მანძილზე, კიევის რუსეთიდან მოსკოვის რუსეთამდე მოყოლებული, შემდეგ ევრაზიული რუსეთის იმპერიიდან საბჭოთა კავშირამდე, ხოლო საბჭოთა კავშირიდან თანამედროვე რუსეთამდე რუსული ეთნიკური ბირთვის ყველა თაობისათვის მთავარ განმსაზღვრელ მაჩვენებლად რჩებოდა ცნება “სამშობლოს” და “სახელმწიფოს” დაყოფა, რომელშიც პირველი ცალმხრივად დომინირებდა არამხოლოდ სულიერ, არამედ ქვეგონებრივ დონეზე (ნაროჩნიცკაია 2015:27).

კონსერვატიული ტრადიციების შენარჩუნებაში უდიდესი როლი ეკუთვნის საზოგადოებრივ ელიტას, რომელიც მისი სახელმძღვანელო სოციალურ-პოლიტიკური სტატუსიდან გამომდინარე, საზოგადოების მაორგანიზებელი ბირთვია. ამის მაგალითია მონღოლების ბატონობის ხანაში რუსი თავადებისა და მეფეების თავგანწირვა მართლმადიდებლური ფასეულობებისათვის. ამ თავდადებამ უზრუნველყო რუსული საზოგადოების სულიერი ღერძის შენარჩუნება. იგი მარადიულ მაგალითად იქცა ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენისათვის (ნაროჩნიცკაია 2003:109).

თანამედროვე პირობებში სწორედ ეროვნული ორიენტაციის მქონე ელიტას ძალუძს რუსეთის წარმართვა კონსერვატიული ფასეულობების შენარჩუნებისა და განვითარების გზით. ამ ახალი ელიტის შემადგენლობაში შევა ყველა სახის ინტელექტუალის შემცველი კლასი, ხოლო მისი შერჩევის მთავარი კრიტერიუმია მენტალიტეტის კონსერვატიული ჰუმანიტარული ბაზისი.

ნაროჩნიცკაია იძლევა ცნება “ელიტის” განსხვავებულ განმარტებას. ელიტის თანამედროვე განსაზღვრა ეხება ფინანსურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაჯგუფებებს, რომლებსაც მატერიალური ძალაუფლება გააჩნიათ. ნამდვილი ელიტა კი სულიერი, ზნეობრივი და ინტელექტუალური ძალაუფლების მქონე სოციალური ჯგუფია. სწორედ ეს პოსტულატია ათვლის წერტილი, საიდანაც ნაროჩნიცკაიას გამოყავს ელიტის, როგორც საზოგადოების მაორგანიზებელი ინტელექტუალური ბირთვის დეფინიცია. ამ თვისებების მატარებელი სოციალური ჯგუფები და ინდივიდები წარმოადგენენ რუსული სულიერების ნამდვილ საყრდენს, რომელიც უზრუნველყოფს თაობების ცივილიზაციურ მემკვიდრეობას. ნაროჩნიცკაიას აზრით, რუსი ხალხის ეს სულიერი კავშირი იმდენად ძლიერია, რომ რუსეთის ისტორიულ სარბიელზე ცივილიზაციური ბაზისის ნებისმიერ ტექტონიკურ ძვრებს გაუძლებს.

სახელმწიფოს გარდამავალი ხასიათი რუსებს ვერ ჩაუხშობს სამშობლოს ცნებას, რომელიც გაიგივებულია ისტორიულ სულიერ ფასეულობებთან და არსებობის გეოგრაფიულ არეალთან. სამშობლოს მუდმივი გრძნობა არის ის ძალა, რომელიც უნარჩუნებს რუსებს სიცოცხლის ნებასა და დიდმპყრობელურ მენტალიტეტს (ნაროჩნიცკაია 2015:17). ეს მემკვიდრეობა არამხოლოდ მენტალური ხასიათისაა. ფაქტიურად იგი რუსი ერის თანდაყოლილი გენეტიკურ თვისებაა და შენარჩუნდება საზოგადოებრივი ყოფის ნებისმიერი, თუნდაც ძირფესვიანი

ცვლილებების დროს. ამის თვალსაჩინო მაგალითია რუსეთის ისტორიის საბჭოთა პერიოდი.

ნაროჩნიცკაიასთვის ძალიან მნიშვნელოვანია უშუალოდ რუსული ეთნიკურ-კულტურული ვექტორი, რომელიც მრავალეროვნული სახელმწიფოს ისტორიული განვითარების წამყვან მამოძრავებელ ძალად რჩება. რუსული ეთნიკური და სულიერი ფაქტორი უზრუნველყოფს რუსეთის სახელმწიფოსა და ცივილიზაციის სიცოცხლისუნარიანობას (ნაროჩნიცკაია 2003:75-77).

დიმიტრი როგოზინის მიერ ჩამოყალიბებული რუსეთის საზოგადოების კონსერვატიული კონცეფცია ასევე ემყარება რუსულ ეთნიკურ და კულტურულ კოდს. მისი განმარტებით რუსეთი დამოუკიდებელი ევრაზიული ცივილიზაციაა, რომელსაც შესწევს უნარი აითვისოს აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების მაჩვენებლები, საკუთარი თვითმყოფადობის პერმანენტობის შენარჩუნებით. როგოზინის ისტორიოსოფიული მიდგომა ემყარება საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციონალისტური პრინციპების როლის აბსოლუტიზაციას.

საზოგადოების სულიერი ჯანმრთელობა ნებისმიერი პოლიტიკური მოდელის სიცოცხლისუნარიანობის საკვანძო ელემენტია (როგოზინი 2003:4). სოციუმის სულიერი ძლიერების შენარჩუნების ერთადერთი საშუალებაა რუსეთის დაბრუნება ისტორიულ გზაზე, სადაც გადამწყვეტი როლი ენიჭება რუსულ სახალხო კრებას, როგორც საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ჭეშმარიტ ფორმას. სწორედ სახალხო კრება უზრუნველყოფდა რუსეთის შიდა პოტენციალის მობილიზაციას სხვადასხვა ისტორიულ პირობებში. თვით ქრისტიანობის აღიარება და პირველყოფილი მართლმადიდებლური სახით შენარჩუნება შესაძლებელი გახდა რუსული სახალხო კრების თანდაყოლილი გრძნობის გამო, რომელიც სოციუმის საერთო ინტერესების სასარგებლოდ პირადი ინტერესების მაქსიმალურ შეზღუდვას მოითხოვს (როგოზინი 2003:7-8).

კონსერვატიული ცნებებისადმი ერთგულება თავისუფალი არჩევანის შედეგია, რაც გამოიხატება მკვეთრი ზნეობრივი იმპერატივების ჩამოყალიბებაში და პიროვნების ჭეშმარიტ თავისუფლებაში. ტრადიციონალისტურ ფასეულობებზე აგებული ინდივიდის შეუზღუდავი პირადი თავისუფლება არამხოლოდ არ ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს, არამედ პირდაპირ ემსახურება მათ დაცვასა და შემოქმედ განვითარებას. ამის ახსნა მდგომარეობს პირადი

თავისუფლების ზნეობრივ ბაზისში, რომელიც თვითკონტროლის ძირითადი საშუალებაა და ინდივიდის საქმიანობას წარმართავს შემოქმედებითი გზით.

სახელმწიფო მოწყობის ერთადერთი მისაღები მოდელია ისტორიულად ჩამოყალიბებული უნიტარული სისტემა, რომელიც მოსაზღვრე ტერიტორიებს განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს. ეს სტატუსი ნიშნავს მაქსიმალური ხელშეწყობის რეჟიმის შექმნას ამ რეგიონების ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მიზნით. რაც შეეხება ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხს, იგი უნდა გადაწყდეს არა უშუალოდ რეგიონების, არამედ ცენტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის ეროვნული უმრავლესობის მიერ.

სახელმწიფო წყობის ძლიერება ერის ერთობას ემყარება, რომლის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სახელმწიფო იდეოლოგიის შემუშავების შედეგად. ამ იდეოლოგიის პროპაგანდა უნდა წარიმართოს არამხოლოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. იგი შიდა და საგარეო პოლიტიკის შინაარსს უნდა შეადგენდეს. ამრიგად, სახელმწიფო იდეოლოგია უნდა იქცეს ყოველდღიურ რეალობად და საზოგადოებრივი მენტალიტეტის ფორმად (როგოზინი 2003:11-12).

სახელმწიფო იდეოლოგიის შინაარსი განისაზღვრება ორი სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორით:

- რუსული ეროვნული იდეა, დამყარებული რუსი ხალხის სახელმწიფოს შემქმნელ როლზე;

- რუსული სახელმწიფო იდეა, დამყარებული რუსული ცივილიზაციის პოლიეთნიკურ კოდზე.

ეროვნული თვით იდენტიფიკაციის საკითხი უნდა განისაზრვროს არა პოლიტიკური ან ეთნიკური მაჩვენებლებით, არამედ მსოფლმხედველური კატეგორიებით. ამ თვალსაზრისით ცნება “დიდი რუსი” (“великоросс”) წმინდა ეროვნულ ხასიათს ატარებს, ხოლო ცნება “რუსი” უკვე ცივილიზაციური კრიტერიუმია. “დიდი რუსები” რუსული ცივილიზაციის ეროვნულ და კულტურულ ბირთვს შეადგენენ (როგოზინი 2003:13-14).

როგოზინი ხაზგასმით აღნიშნავს კონსერვატიული ფასეულობებისა და მათი მატარებელი რუსი ეთნოსის ურთიერთკავშირის მნიშვნელობას. სწორად დაგეგმილი დემოგრაფიული პოლიტიკა აღიარებულია ახალი რუსული კონსერვატიული ცივილიზაციის მშენებლობის ქვაკუთხედად. მაგრამ აქაც

აბსოლუტურ პრიორიტეტად და წარმატების პირობად მოიაზრება სულიერი და ზნეობრივი მაჩვენებლები. კლებადი მოსახლეობის მექანიკური შევსება უცხოელი იმიგრანტების ხარჯზე ყოვლად დაუშვებელია, რადგან ისინი უცხო მენტალიტეტის მქონე კონტინგენტს წარმოადგენენ. ეს მნიშვნელოვნად ართულებს, ხოლო სახელმწიო სისტემის დასუსტების შემთხვევაში საერთოდ გამორიცხავს მათ ადაპტაციას რუსული საზოგადოების კონსერვატიული პრინციპებისადმი. აქედან გამომდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ეთნიკური რუსების, როგორც ტრადიციონალისტური საწყისების გენეტიკური მატარებლების რაოდენობის გაზრდას (როგოზინი 2006:5-7).

ამრიგად, როგოზინის კონცეფცია რუსეთის სახელმწიფო იდეოლოგიის ძირითადი პარადიგმების შემდგომი გაგრძელებაა. რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ყველა გეოპოლიტიკური პრიორიტეტები მისთვის აბსოლუტურ დომინანტს წარმოადგენენ.

როგორც იყო აღნიშნული, სახელმწიფო პატრიოტიზმის იდეოლოგიის მრავალფეროვნება ხელს არ უშლის მის შემადგენლობაში შემავალი კონცეპტუალურად საპირისპირო მიმართულებების ერთიან ხედვას რუსეთის დიდმპყრობელურ მომავალზე. ამ მხრივ ნიშანდობლივია რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის პროგრამულ დოკუმენტებში და მისი იდეოლოგების ნაშრომებში შემუშავებული პრინციპები, რომლებიც კონსერვატიული სოციალიზმის თეორიულ ბაზისს წარმოადგენენ (პროგრამა 2015). ოფიციალური პოზიციონირების მიუხედავად, რუსი კომუნისტების თანამედროვე იდეოლოგიას არაფერი საერთო აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის კოპსმოპოლიტურ სწავლებასთან, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოსა და ეთნიკურ ერთეულს გლობალური, ზეეროვნული მიზნების მიღწევის საშუალებად მიიჩნევს. რუსი კომუნისტების სახელმწიფო პატრიოტულმა იდეოლოგიამ შეითავსა სლავიოანოფილებისა და ნაროდნიკების იდეოლოგიური ფასეულობები, ისტორიული რუსული სახელმწიფო და სასულიერო სახალხო კრების საფუძვლები, რუსული სამყაროს მრავალფეროვანი წეს-წყობილების ძირითადი მაჩვენებლები. თანამედროვე რუსული კონსერვატიული სოციალიზმის ანალიზი ცხადყოფს მის ნათესაობას XX საუკუნის 30-50-იან წლებში ჩამოყალიბებულ სტალინიზმის ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებთან (სტალინი 1997:I-XVIII).

რუსი კომუნისტების პროგრამაში სხვადასხვა ფილოსოფიური პარადიგმების გაერთიანებამ მისი უკიდურესად ურთიერთწინააღმდეგობრივი ხასიათი განაპირობა. სახეზეა რუსული კონსერვატიზმის ისტორიული პრინციპების შეთავსების მცდელობა ანტაგონისტურ მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან.

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიის პროგრამა უარყოფს თანამედროვე დასავლური (კომუნისტების ინტერპრეტაციაში - კაპიტალისტური) სამყაროს ცივილიზაციურ საფუძვლებს, მის კოსმოპოლიტიზმს, არასულიერებას, ეგოიზმს, ტრადიციონალისტური ფასეულობების უგულებეყოფას. ამით იგი ფაქტიურად უარყოფს მარქსისტული თეორიის ძირითად პრინციპებს, რომლებიც დამყარებულია მატერიალიზმზე. სწორედ მატერიალიზმია მიჩნეული ისტორიის ევოლუციური და რევოლუციური გარდაქმნის მამოძრავებელ ძალად. ამავე დროს აღნიშნული მიდგომა სრულიად ემთხვევა ჯერ კიდევ ძველ ხანაში სლავურ სამყაროში ჩამოყალიბებულ სულიერებისა და სახალხო კრების თვისებებს (პროგრამა 2015). პროგრამა განმსჭვალულია ტრადიციონალისტური ფასეულობების დეკლარაციით, რომელიც ეხება სოციუმის არსებობის ძირითად საკითხებს.

რუსეთის ისტორიის სოციალუსტური ეტაპი აღიარებულია მარქსისტულ-ლენინური თეორიის განხორციელების კლასიკურ ნიმუშად. მაგრამ ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სწორედ კონსერვატიული ფასეულობები დომინირებდნენ როგორც იდეოლოგიურ სფეროში, ასევე სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში. უშუალოდ სტალინური სოციალიზმი იყო რუსული კონსერვატიზმის სახეშეცვლილი ფორმა, რომელიც ახალ ისტორიულ პირობებში მოერგო რუსეთის საწყის ცივილიზაციურ პრიორიტეტებს. სტალინური სოციალიზმი არსებითად წარმოადგენს უნიკალურ სოციალურ ექსპერიმენტს, რომლის ფარგლებში ერთ ცალკეულ ქვეყანაში ეროვნული ფასეულობების ნიადაგზე მოხდა კოსმოპოლიტური დამანგრეველი თეორიისა და პრაქტიკის ტრანსფორმაცია შემოქმედებით სულიერ და მატერიალურ ძალად. ყველა გარეგნული ატრიბუტის მიუხედავად (სახელწოდება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ფორმები, ოფიციალური იდეოლოგია) საბჭოთა კავშირი შიდა და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკური პრიორიტეტების

მემკვიდრეა. რუსი კომუნისტების პროგრამა ამ ფაქტს პირდაპირ აღიარებს როდესაც რუსეთის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვას აიგივებს სოციალიზმისა და საბჭოთა ფორმის სახალხო მმართველობისათვის ბრძოლასთან (პროგრამა 2015).

კომუნისტური პარტიის მოდერნიზაციის გეგმა დაყოფილია სამ ძირითად ეტაპად:

- სამართლიანი არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლა;

- სოციალისტურ (სტალინისტურ) პრინციპებზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გარდაქმნა;

- სოციალური და სახელმწოფოებრივი ორგანიზაციის ყველა ფორმის შემდგომი განვითარება და სრულყოფა; სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების დანერგვა და ამოქმედება; ტრადიციონალისტური ფასეულობების ხელშეუხებლობა და პოპულარიზაცია (პროგრამა 2015).

ასეთი მიდგომა პირდაპირ ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებებს ხელისუფლების შეიარაღებული გზით ხელში აღების შესახებ. საზოგადოებრივი ფორმაციის შეცვლის ნებისმიერი მშვიდობიანი გზა მარქსიზმის სიბრტყეში განიხილება ოპორტუნიზმად, ხოლო ექსპლუატატორულ საზოგადოებაში სამართლებრივ არჩევნებზე საუბარი – კაპიტალიზმის აპოლოგიად.

საგულისხმოა, რომ დასავლეთ ევროპის სოციალურ-პოლიტიკური რეგულაციის დახვეწილი სისტემის ფარგლებშიც კი, სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლამ ვერ შეცვალა საზოგადოებრივი წყობის არსი, რომელიც იმთავითვე ემყარება კერძო საკუთრებასა და მსხვილი საფინანსო-სამრეწველო წრეების კორპორატიულ ინტერესებს. სწორედ მათ ხელშია მსოფლიო ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი ნაწილი.

ამასთანავე, საზოგადოების გარდაქმნის სამივე ეტაპი რეალობაში წარმოადგენს კონვერგენციის მოდერნიზირებულ თეორიას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება მარქსისტულ დებულებას კაპიტალისტური საზოგადოებრივი მოდელის სრული მოშლისა და სოციალისტური სისტემის მშენებლობის შესახებ.

რაც შეეხება პროგრამა-მინიმუმს, იგი შეიცავს XX საუკუნის 30-50-იან წლებში რეალიზებული სტალინური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ყველა ძირითად პრიორიტეტს (პროგრამა 2015).

ცალმხრივად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე რუსი კომუნისტების იდეოლოგია სოციალიზმის სტალინური თეორიისა და პრაქტიკის გაგრძელებაა, რომელსაც გააჩნია კოსმოპოლიტური მარქსიზმ-ლენინიზმის მხოლოდ გარეგნული ატრიბუტები. მათ მიღმა მდებარეობს ეროვნულ-კონსერვატიული შინაარსი.

## §3. ევრაზიული სკოლა

ევრაზიული სკოლის კონსერვატიული იდეოლოგები მიზნად ისახავენ რუსეთის გეოსტრატეგიული სივრცის გააზრებას სოციოკულტურულ და ისტორიულ ერთიანობაში. რუსეთი განიხილება მრავალეროვნულ და მულტიკულტურულ საზოგადოებად, რომელიც აგებულია ევროპულ და აზიურ ცივილიზაციურ სათავეებზე. ამ ერთობის საფუძველია ევრაზიულ სივრცეში გეოპოლიტიკური ტრადიციების მქონე რუსი ხალხის ცივილიზაციური პოტენციალი. ამ მიმართულების წარმომადგენელთა შორის შეგვიძლია გამოვარჩიოთ ა.ს. პანარინი (პანარინი 1999), ვ.ვ. კოჟინოვი (კოჟინოვი 1997), ა.გ. დუგინი (დუგინი 1997), ს.ე. კურგინიანი (კურგინიანი 1995). ევრაზიულობის იდეოლოგებისათვის დამახასიათებელია რუსეთის მკვეთრად შემოფარგლული ფორმაციული ჩარჩოები; საზოგადოების პოლიტიკური მოდელის დახვეწილი დეტალიზაცია; მისი სტრუქტურის ყველა ელემენტის ერთიან სისტემად შერწყმა, რომელსაც გააჩნია მყარი რუსული ცივილიზაციური ცენტრი.

ს. გლაზიევის ევრაზიული პროექტი ეფუძნება ევრაზიაში მოსახლე ხალხების სოციალურ-ეკონომიკური, სახელმწიფო-სამართლებრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი ცივილიზაციური კრიტერიუმების ერთობლიობას. ეთნიკური და კონფესიური სხვაობები ურთიერთ შემავსებელ კონსტრუქციულ ფაქტორად აღიქმება, რომელიც გამყარებულია ერთიანი თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილებით. გლაზიევის აზრით, ეს განსაზღვრა ეხება პირველ რიგში იმ ხალხს, რომელიც საბჭოთა

კავშირის შემადგენლობაში შედიოდა. უფრო ვრცელი გაგებით საუბარია მთელი ევრაზიული კონტინენტის მოსახლეობაზე.

ისტორიული მომენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, გლაზიევი ევრაზიის ინტეგრაციის ათვლის წერტილს მის ეკონომიკურ სფეროში ხედავს. სწორედ ეკონომიკური ინტეგრაცია უზრუნველყოფს ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყნების ცივილიზაციური იდენტურობის შენარჩუნებას (გლაზიევი ... 2013:110). თანამშრომლობის ფორმები, ტემპები და ხარისხი განისაზღვრება ყოველი ქვეყნის განვითარების დონითა და დაინტერესებით (გლაზიევი ... 2013:118). სწორედ ამაში მდგომარეობს განსხვავება ევრაზიულ კავშირსა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას შორის, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრისაგან მკაცრ ზეეროვნულ უნიფიკაციას მოითხოვს მათი ცივილიზაციური თავისებურებების მიუხედავად. შესაბამისად, ევროატლანტიკური ინტეგრაცია მკვეთრად გამოხატულ დასავლური ტიპის იმპერიულ ხასიათს ატარებს, როდესაც საფინანსო-ეკონომიკური ან სამხედრო-პოლიტიკური დიქტატის გზით საზოგადოებას თავს ეხვევა უცხო ცივილიზაციური პრინციპები (გლაზიევი 2013:3-4). აქედან გლაზიევს გამოაქვს დასკვნა ცივილიზაციურ სხვაობაზე ინტეგრაციის ევრაზიულ და ატლანტიკურ მოდელებს შორის.

ცივილიზაციური იდენტურობა მოიაზრება ევრაზიული კავშირის ისტორიულ ბაზისად. მას ახასიათებს შემდეგი მაჩვენებლები:

- ერთიანი გეოგრაფიული სივრცე;
- ერთიანი კულტურული სივრცე;
- ერთიანი პოლიტიკური სივრცე (გლაზიევი 2016ა:1-3).

მთავარ ყურადღებას გლაზიევი ამახვილებს იმ ქვეყნებისა და ხალხების ისტორიულ გამოცდილებაზე, რომელთა გაერთიანება დაგეგმილია ევრაზიულ კავშირში. უკანასკნელი საუკუნეების მანძილზე ეს ხალხი განვითარდებოდა მჭიდრო ურთიერთკავშირში, ხოლო საბჭოთა პერიოდში იმყოფებოდა ერთი ცივილიზაციური სისტემის ფარგლებში. ევრაზიული კავშირის ბირთვად დასახელებულია ტრიადა “რუსეთი-ბელორუსი-ყაზახეთი”. ამ სახელმწიფოთა კავშირის მნიშვნელობა უკვე დღეისათვის ბევრად სცდება ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებს. ფაქტობრივად იგი განასახიერებს სლავური და თურქული საწყისების ერთიანობას არა საბჭოთა კავშირის, არამედ ევრაზიის მასშტაბით (გლაზიევი 2016ა:4-5). ევრაზიული კავშირი თავისუფალ არჩევანზეა

აგებული. რუსეთი, როგორც ეროვნული ცივილიზაციური ორიენტირების მქონე ევრაზიის წამყვანი ძალა, ევრაზიული კავშირის ერთადერთი ქმედითუნარიანი გამაერთიანებელი ძალაა.

პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი პრიორიტეტების დომინირება შეთავსებულია სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზმთან. სახელმწიფო ხელისუფლების მკაცრი ვერტიკალი გადამწყვეტ როლს შეასრულებს ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკურ მოდერნიზაციაში. სწორედ ამ გზით შეიქმნება შემდგომი ეკონომიკური ზრდის წინაპირობები, გაღრმავდება ინტეგრაციული პროცესები და ჩამოყალიბდება დამოუკიდებელი ევრაზიული ცივილიზაცია, რომელიც მაღალ დონეზე განვითარებული ხალხების თავისუფალი გაერთიანების სახით წარსდგება (გლაზიევი 2016ბ:8).

გლაზიევი ძალიან ფრთხილობს ჩინეთთან თანამშრომლობის საკითხში. ამ ქვეყანას უდიდესი ფინანსურ-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური და დემოგრაფიული პოტენციალი გააჩნია. ასეთი მასშტაბის ძალის ცენტრი გაამყარებს ევრაზიული კავშირის გეოპოლიტიკურ პოზიციებს, მაგრამ საჭიროებს დახვეწილი სტრატეგიის შემუშავებას რუსეთის გეოპოლიტიკური ლიდერობის შენარჩუნების მიზნით (გლაზიევი 2015). ამ გზით თავიდან იქნება აცილებული ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნა – ანგლოსაქსონური ცივილიზაციაზე დამოკიდებულების გადასვლა აზიური რეგიონისადმი.

ევრაზიული გეოპოლიტიკური პროექტი არ არის შეზღუდული ვიწრო ხელშეკრულების ან ბლოკური ინტერესების ჩარჩოებით. ასეთი სივრცე და მოქნილობა ხელს უწყობს ურთიერთ სასარგებლო ბაზისზე ახალი წევრების იოლ ადაპტაციას. პრიორიტეტს შეადგენს კონკრეტული ორმხრივი და რეგიონალური კავშირების დამყარება, რომელთა სათავეში იქნება ინტერესების თანასწორობა, ურთიერთ ხელსაყრელი თანამშრომლობა, საბაზრო და სოციალისტური წყობის თავისუფალი შეთავსება (გლაზიევი 2016ბ:5-8). ევრაზიული კავშირი გამორიცხავს რაიმე გლობალურ ზეეროვნულ შაბლონს შიდა და საგარეო პოლიტიკაში.

ნ. ნაროჩნიცკაიას ევრაზიული მოდელი დამყარებულია მართლმადიდებლურ ტრანსცენდენტურობაზე. სულიერების ფაქტორი სამართლიანი სოციალური წყობის მთავარი საყრდენია. თეორიული და პრაქტიკული უნივერსალურობის გამო ეს წყობა ევრაზიული მოდელის საფუძველია. რუსეთი წარმოადგენს

ცალკეულ სამყაროს, რომელიც აერთიანებს ევრაზიული ცივილიზაციის სამ ძირითად კომპონენტს – ქრისტიანულს, მაჰმადიანურსა და კონფუციანურს (ნაროჩნიცკაია 2008:27). რუსეთის მესიანური როლი განპირობებულია ფაქტორების ერთობლიობით, რომელთა შორის გამოირჩევა რუსული ხასიათის სოციო-ეთნიკური თვისებები. სულიერი ჭეშმარიტების მუდმივი ძიება, არსებობის აზრის შემეცნებისაგან მიღებული სულიერი კმაყოფილების ფასად მატერიალურ კეთილდღეობაზე უარის თქმა, სულიერი ფასეულობებისათვის საკუთარი სიცოცხლის თავგანწირვის უნარი – ყველაფერმა ამან განაპირობა რუსი ხალხის მიერ მართლმადიდებლობის არჩევა საზოგადოებრივი და ინდივიდუალური მენტალიტეტის ფორმად. ამ ცივილიზაციურ არჩევანს რუსეთი მისდევს ათასწლეულის მანძილზე, ისტორიულ სარბიელზე გადატანილი სოციალური ტრანსფორმაციების მიუხედავად. ამავე თვისებებმა განაპირობეს რუსი ეთნოსის ლიდერული როლი ევრაზიულ კონტინენტზე. რუსული ლიდერობის ქვეშ ხალხებისა და მიწების შეგროვება მიმდინარეობდა არა მათი დაპყრობის გზით, არამედ მათდამი არსებობის უკეთესი პირობების შეთავაზებით. მრავალი ერის თვითგადარჩენის საკითხი პირდაპირ კავშირშია მათ მიერ გაკეთებული ცივილიზაციური არჩევანით რუსეთის ევრაზიული სივრცის სასარგებლოდ, რომლის მხარდაჭერის გარეშე მათ მომავალი არ გააჩნდათ (ნაროჩნიცკაია 2008:28-30).

ნაროჩნიცკაია მკაცრად აკრიტიკებს რუსეთის თანამედროვე “ნეოევრაზიულ” სკოლას, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური თეორიების მექანიკური გროვაა და ძირფესვიანად განსხვავდება ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსული ნაციონალური იდეოლოგიის პრინციპებისაგან (ნაროჩნიცკაია 2002:3). ავტორთა რიგი ევრაზიულ ინტეგრაციას ე.წ. “კონსერვატიული რევოლუციების” ციკლისებურ ხასიათს უკავშირებს. მათ პირველ ადგილზე გამოაქვთ გლობალიზმთან დაპირისპირება, მაგრამ უგულებელყოფენ ანტიგლობალიზმის დოქტრინის შინაარსსა და ფორმებს. ამის შედეგად ბათილდება რუსეთის ევრაზიული მისიის მთავარი შემადგენელი ელემენტი – მართლმადიდებლური სულიერება, რომელიც რუსული თვითმყოფადობის ფუძემდებელ ფაქტორს წარმოადგენს (ნაროჩნიცკაია 2002:5). ანტიგლობალური ტენდენციებისადმი ბრმა მიდევნება და მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის უარყოფა იმთავითვე გაწირავს ევრაზიულ პროექტს

ისტორიულ მარცხზე, რამეთუ რუსული სამყაროს ისტორიული პრიორიტეტები ჩაინაცვლებიან სხვადასხვა იდეოლოგიური, სოციალურ-პოლიტიკური და ეთნო-კონფესიური ფაქტორებით. ამ ფაქტორებს არასოდეს არ გააჩნდათ დომინირება რუსეთის გეოპოლიტიკურ პოტენციალზე, რამეთუ ისინი ჩამოყალიბდნენ მის ცივილიზაციურ სივრცეში. ისინი ყოველთვის დამატებით ფუნქციას ასრულებდნენ რუსეთის ევრაზიულ სივრცეში (ნაროჩნიცკაია 2002:10).

ანა კოსტინა განიხილავს ევრაზიულ პროექტს რუსეთის ცივილიზაციურ იდენტურობასთან კავშირში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რუსულ საზოგადოებაში ტრადიციონალისტური ფასეულობების პერმანენტულ დომინირებას, თანამედროვე ეპოქის ჩათვლით, როდესაც ლიბერალიზმმა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია. კონსერვატიზმის მუდმივი დომინირება უზრუნველყოფს რუსეთისა და მასთან ურთიერთობაში მყოფი ევრაზიული ხალხების ცივილიზაციური იდენტურობის შენარჩუნებას (კოსტინა 2016:141). ატლანტიზმის კოსმოპოლიტური იდეოლოგიის ფარგლებში მიმდინარე გლობალიზაცია წაშლის ქვეყნების ეროვნულ თავისებურებებს, რასაც მოჰყვება ცივილიზაციური იდენტურობის დაკარგვა.

ამ თვალსაზრისით ევრაზიულ კავშირს არაფერი აქვს საერთო ატლანტიკურ გლობალიზაციასთან, რადგან მისთვის აბსოლუტური პრიორიტეტია მის შემადგენლობაში შემავალი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუბიექტების ტრადიციონალისტური მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. მეტი ამისა, სწორედ ევრაზიული პროექტი მოიაზრება ატლანტიზმის მთავარ შემაკავებელ ძალად, რამეთუ მის ფარგლებში ყალიბდება ეროვნული ორიენტაციის მქონე სახელმწიფოთა ერთიანი ფრონტი, რომელსაც ძალუძს წინ აღუდგეს მატერიალურ და ფინანსურ ინტერესზე დამყარებულ მსოფლიო ზეეროვნულ უნივერსალისტურ ტენდენციებს (კოსტინა 2016:143).

ავტორის აზრით, რუსულ კულტურულ კოდზე აგებული რუსეთის ცივილიზაციის მრავალეროვნული ბუნება ევრაზიული პროექტის ისტორიული ღერძია. სწორედ ეს გარემო განაპირობებს რუსეთის წამყვან და გამაერთიანებელ როლს ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში. რუსული ეროვნული თვითშეგნების ისტორიოსოფიულ ანალიზზე დაყრდნობით კოსტინას გამოაქვს დასკვნა ცივილიზაციური იდენტურობის შენარჩუნების კუთხით რუსეთის ცივილიზაციის უპირატესობაზე სხვა ცივილიზაციების მიმართ

(კოსტინა 2016:146-148). ჩვენი აზრით, კოსტინას კონცეფცია თუმცა ღიად არ აღიარებს რუსეთის ისტორიის მართლმადიდებლურ კონცეფციას, მაგრამ ისტორიოსოფიული მიდგომით ძალიან ახლოსაა მასთან. ეს თვისება დამახასიათებელია ყველა მკვლევარისათვის, რომელიც რუსულ ცივილიზაციურ კოდს მიიჩნევს ათასწლეული მართლმადიდებლური ტრადიციის საფუძველზე ჩამოყალიბებული კონსერვატიული ფასეულობების ერთობლიობად.

აღნიშნული ტენდენცია თვალსაჩინოდ არის გამოვლენილი ალექსანდრე პანარინის ნაშრომებში, რომელმაც არამხოლოდ შეიმუშავა რუსეთის კონკრეტული სოციალურ-პოლიტიკური მოდელი, არამედ ჩამოაყალიბა ევრაზიის გეოსტრატეგიულ განზომილებაში რუსეთის ისტორიული გზის კონსერვატიული ფილისოფიური კონცეფცია. პანარინის მართლმადიდებლური კონცეპტუალური ბაზისი მჭიდროდ დაკავშირებულია რუსული დიდმპყრობელობის პრინციპებთან და რუსეთის ისტორიულ გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან (პანარინი 2014:87).

პანარინი ასევე მიიჩნევს ევრაზიულ პროექტს კოსმოპოლიტური გლობალიზაციის მთავარ შემაკავებელ ძალად. დასავლური ცივილიზაციის ლიბერალური გლობალიზაციური კურსი იწვევს ისტორიულად ჩამოყალიბებული მსხვილი ერების დაშლას მცირე, ერთმანეთისგან გათიშულ, ეროვნული იდენტურობას დაკარგულ გაერთიანებებად. ეროვნული ორიენტირების დაკარგვა იწვევს ჟამთამსვლელობით გამობრძმედილი სულიერ-ზნეობრივი იმპერატივების დაკარგვას და მათ ჩაანაცვლებს მომხმარებლური საზოგადოების მატერიალური ინტერესებით (პანარინი 1994ა:130).

ლიბერალური გლობალიზაციის ბუნება იმ ეროვნული სახელმწიფოების (აშშ, დასავლეთ ევროპა) სულიერ დეგრადაციასაც იწვევს, რომელთა წიაღში უშუალოდ აღმოცენდა. უპირველეს ყოვლისა ეს გამოიხატება სულიერი ცივილიზაციური ორიენტირების მატერიალური ფასეულობებით თანმიმდევრულ ჩანაცვლებაში; საზოგადოების დეჰუმანიზაციაში; საზოგადოების წევრების შიდა მოტივაციის არასებობაში; ტოტალური საინფორმაციო და სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი კონტროლის დამყარებაში. ამის შედეგად საზოგადოებრივ მენტალიტეტში მკვეთრად იზრდება ინდივიდუალისტური ტენდენციები. ადამიანი სოციალური არსებიდან გარდაიქმნება ტექნოკრატიულ სუბიექტად, რომელიც აზროვნებს არა მორალური კატეგორიების ფარგლებში, არამედ მატერიალისტური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე (პანარინი 1994ა:141).

საერთაშორისო ურთიერთობების თვალსაზრისით ლიბერალურ გლობალიზაციას მსოფლიო მიჰყავს პერმანენტული დესტაბილიზაციისაკენ, რადგან არცერთი ეროვნული ბაზისის მქონე სახელმწიფო ნებაყოფლობით არ იტყვის უარს საკუთარ წარსულსა და თვითმყოფადობაზე. იმავე დროს, მათ არ ძალუძთ წინ აღუდგნენ არატრადიციულ პოლიტიკურ ტექნოლოგიებს, რომელთაზეგავლენა უსაზღვროდ იზრდება გლობალური ინფორმაციული საზოგადოების პირობებში. თანამედროვე სამყაროში რეგულარულად შემავალი ინფორმაციის უზარმაზარი მასივი გარეგნული ქაოტურობის მიუხედავად მკვეთრად არის ორგანიზებული და მართვადი, რის შედეგად ახდენს უძლიერეს ზეგავლენას საზოგადოებრივ მენტალიტეტზე. ამის შედეგად სოციუმში იწყება შინაგანი დამანგრეველი პროცესები.

მხოლოდ ევრაზიულ კავშირს შეუძლია წინ აღუდგეს ესოდენ მძლავრ გლობალისტურ ტენდენციებს. “აღმოსავლეთი-დასავლეთისა” და “ჩრდილოეთ-სამხრეთის” გეოსტრატეგიული ალიანსის თვალსაზრისით ევრაზიულ კავშირს ალტერნატივა არ გააჩნია. ცივილიზაციურ განზომილებაში ევრაზიულ პროექტს იგივე გლობალისტური დანიშნულება აქვს, მაგრამ მისი აბსოლუტური უპირატესობა ლიბერალურ გლობალიზაციის წინაშე გამოიხატება მასში გაწევრიანებული სახელმწიფოების ეროვნულ-კულტურული პოტენციალის შენარჩუნებაში (პანარინი 1994ა:180).

ევრაზიული პროექტის ეროვნულ-პოლიტიკური რუკის მრავალფეროვნების მიუხედავად, მას გააჩნია მტკიცე იდეოლოგიური ბაზისი, რომელიც ევრაზიის კონტინენტზე წარმოშობილი მსოფლიო რელიგიების სახით არის წარმოდგენილი. მსოფლიო რელიგიები კაცობრიობის ისტორიის მთავარ იდეურ და ზნეობრივ კრიტერიუმებად გვევლინება. კაცობრიობის სოციალური წყობის ეკონომიკური, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი, სამეცნიერო-ტექნიკური და სულიერ-ზნეობრივი ტრანსფორმაციის მიუხედავად, რელიგია იყო და დარჩება საზოგადოებრივი მენტალიტეტისა და ქცევის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად. ამ დასკვნიდან პანარინს გამოყავს რელიგიის განსაზღვრა, როგორც “კონტინენტის სულიერი ვერტიკალისა”. რელიგიის სულიერ-ზნეობრივი გამაერთიანებელი როლი მიჩნეულია იმ ძალად, რომელიც ლიბერალური გლობალიზაციის პირობებში შეინარჩუნებს სახელმწიფოთა ეროვნულ თვითმყოფადობას. სწორედ ეს გარემო ობიექტურად განაპირობებს რელიგიებისა

და მათი აღმსარებელი ხალხების მშვიდობიან თანაარსებობას. შესაბამისად, რელიგიური სულიერების ვერტიკალზე აგებულ ევრაზიულ პროექტს იმთავითვე სტაბილური საფუძველი გააჩნია. რაც შეეხება რელიგიის პირველყოფილი სახიერების შენარჩუნებას, ის შესაძლებელია მხოლოდ ამ რელიგიის აღმსარებელი ხალხების ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების გზით, რაც კვლავ აუცილებელს ხდის ევრაზიულ ინტეგრაციის განხორციელებას არა ლიბერალური, არამედ ეროვნულ-კულტურული მაჩვენებლის საფუძველზე (პანარინი 1994ა:210).

უშუალოდ გლობალიზაციას პანარინი პრობლემად არ მიიჩნევს. სხვადასხვა მასშტაბებით, ფორმებითა და მიმართულებებით გლობალიზაცია კაცობრიობის ისტორიის მუდმივი თანამგზავრია. იგი ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების განუყრელი პერმანენტული ელემენტია. სრული დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ გლობალიზაცია დასაბამს იღებს კაცობრიობის ისტორიასთან ერთად. პრობლემას წარმოადგენს თანამედროვე გლობალიზაციის ლიბერალური არსი, რომლის ხელოვნური და ძალადობრივი ხასიათი არ არის განპირობებული ისტორიული პროცესის ობიექტური ლოგიკით. ლიბერალური გლობალიზაცია ემსახურება მხოლოდ აშშ-ს ლიდერობის ქვეშ გაერთიანებული ანგლოსაქსონური სახელმწიფოების ვიწრო წრეს, რომლებიც წარმოადგენენ თანამედროვე სამყაროს ძალის მხოლოდ ერთ ცენტრს. საერთაშორისო სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტში გლობალიზაცია ნიშნავს დასავლეთში ცივილიზაციურ დონეზე განმტკიცებული ლიბერალური ფასეულობების ძალადობრივ გავრცელებას. ამ მიმართულებით გამოიყენება საშუალებათა ფართო სპექტრი დაწყებული საინფორმაციო ნაკადებით და დამთავრებული შეიარაღებული ძალის პირდაპირი ჩარევით.

პანარინი აღნიშნული პროცესის დასაბამს ხედავს ლიბერალიზმის ჩასახვისა და აღზევების ისტორიულ ლოგიკაში. ევროპაში სახელმწიფო-სამართლებრივი და ეროვნულ-კულტურული ჩარჩოებით შეზღუდულმა ლიბერალურმა პრინციპებმა მხოლოდ აშშ-ში, ემიგრანტულ მასაში მოიპოვა სრული თავისუფლება. ემიგრანტთა ეს ნაკადი ძირფესვიანად უარყოფდა ევროპის ძველი სამყაროს ყველანაირ შეზღუდვას. უარყოფილი იყო ევროპის მთელი ცივილიზაციური წყობა მისი სოციალური და რელიგიური ნორმებით (პანარინი 2002:100-105). მათ ნაცვლად დაიწყო თანასწორუფლებიანი “ღია

საზოგადოების" მშენებლობა, რომელშიც წამყვანი ადგილი დაიკავა თავისუფალი ადამიანის კულტმა. ასეთ საზოგადოებაში სწორედ ლიბერალური ფასეულობები აღმოჩნდა ყველაზე მისაღები, რამაც დასაბამი დაუდო მატერიალურ წარმატებაზე აგებულ სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბებას.

ლიბერალური ფასეულობების აბსოლუტური დომინირების პირობებში ტოტალიტარიზმად აღიქმება ნებისმიერი ეროვნულ-კულტურული იდენტურობის სისტემა, მისი შეზღუდვების კომპლექსის გამო. აქედან გამომდინარე, ტრადიციონალისტური პრინციპები თავიდანვე განიხილება დაბრკოლებად საყოველთაო ჰარმონიის საზოგადოების მშენებლობის გზაზე. თავდაპირველად მიმდინარეობს ამ დაბრკოლების მოშლა სოციუმის შიგნით, რის შემდეგ იგი სცდება სახელმწიფოს ფარგლებს. შესაბამისად, ამ პროცესის გავრცელების გეოგრაფიული სივრცე და ცივილიზაციური სიღრმე პირდაპირ დამოკიდებულია ინიციატორი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფის) გეოპოლიტიკურ ძლიერებაზე. შესაბამისად, ეროვნული შეზღუდვებისაგან განთავისუფლებული ცივილიზაციური ფასეულობების დანერგვა მთელ მსოფლიოზე გავრცელდა და დღევანდელი ლიბერალური გლობალიზაციის ხასიათი მიიღო (პანარინი 2002:108).

მომხმარებლური საზოგადოების მოთხოვნების პერმანენტული ზრდა ვერ იქნებოდა მუდამ უზრუნველყოფილი შიდა რესურსების საფუძველზე და აუცილებლად შევიდოდა სხვა სოციუმებთან კონფლიქტში მატერიალური რესურსების ფლობის გამო. შესაბამისად, ლიბერალიზმის მთელი იდეოლოგიური რევოლუცია ემსახურება რესურსების მოპოვებაზე პლანეტარული მასშტაბით მიმდინარე ბრძოლის თეორიულ დასაბუთებას (პანარინი 2002:109). ლიბერალური ცივილიზაციის კონფლიქტმა ეროვნულ სახელმწიფოებთან პერმანენტული ხასიათი მიიღო, რაც ტექნოლოგიების განვითარების თანამედროვე პირობებში შესაძლოა გლობალური კატასტროფით დასრულდეს.

ლიბერალური გლობალიზაციის ასპექტი სულ უფრო მეტად გადაინაცვლებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემიდან მასობრივი ქცევის სფეროში, რომელიც იმართება ერთიანი საინფორმაციო ცენტრით. ამ მასობრივი ფსიქოლოგიის დომინანტად იქცა მატერიალური ძალის კულტი ყველანაირი გამოვლენით, რაც იწვევს საზოგადოების დეჰუმანიზაციას.

ამრიგად, ევროპის საფინანსო ოლიგარქიამ, რომელიც იყო აშშ-ში ლიბერალური საზოგადოების მშენებლობის მთავარი ინიციატორი და სპონსორი, ხელთ იგდო უზარმაზარი ეკონომიკური ძალაუფლება. ამის შედეგად მან შეძლო საკუთარი ლიბერალური პრინციპები და ინტერესები ექცია დომინირებულ იდეოლოგიად შიდა სახელმწიფოებრივ ფარგლებში. დღეს ამ პროცესმა უკვე გლობალური ხასიათი მიიღო. ცალკეული და შედარებით მცირე სოციალური ჯგუფის ხელში აბსოლუტური ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის ობიექტურმა ლოგიკამ გამოაღვიძა სულიერი ძალაუფლებისადმი ლტოლვა. ტრადიციონალიზმის საუკუნოვანი პოსტულატები ჩაინაცვლა ზეეროვნული მმართველების ვიწრო კასტის მსოფლმხედველობით, რომელიც აგებულია ინდივიდის უსაზღვრო მატერიალურ ეგოცენტრიზმზე. ყველა სხვა სულიერი ფასეულობები და პრინციპები (უპირველეს ყოვლისა რელიგიური და ეროვნული) განიხილება სწორედ ამ აბსურდამდე დაყვანილი ინდივიდუალიზმის სიბრტყეში. ამის შედეგად ხდება ტრადიციონალისტური საწყისების შინაარსის დევალვაცია, რასაც მოსდევს მათზე ღია უარის თქმა (პანარინი 2002:125).

მაგრამ ყველაზე სერიოზული შედეგი ამ პროცესებს გამოაქვთ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტიბისათვის. საფინანსო ელიტის უსაზღვრო ეკონომიკური ძალაუფლება და კოსმოპოლიტიზმი მას სახელმწიფო ინსტიტუტებზე მაღლა აყენებს, რაც სახელმწიფოსადმი შიდა და საგარეო პოლიტიკის კურსის დიქტატში გამოიხატება. ამით იშლება სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია, როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების მთავარი რეგულატორისა. შესაბამისად, საზოგადოებრივ ურთიერთობების იერარქიაში ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული სახელმწიფო ვერტიკალი ჩაინაცვლება კერძო მმართველი სტრუქტურებით, რომლებიც ემორჩილებიან გლობალურ ფინანსურ ელიტას. ეს ნიშნავს სახელმწიფოს ინსტიტუციონალურ დაშლას და სრულიად ახალი ტიპის საზოგადოებრივი ფორმაციის ჩამოყალიბებას, რომელიც იმართება არა საყოველთაოდ აღიარებული სოციალური ორგანიზაციისა და წესრიგის გარანტის მიერ, არამედ ვიწრო პირთა ჯგუფით. ამრიგად, ლიბერალური თავისუფლებისა და დემოკრატიის მთელი იდეოლოგია იქცევა ფარსად და რეალობაში წარმოადგენს საფინანსო ოლიგარქიის გლობალური დიქტატურის იდეოლოგიას.

პანარინი რუსეთის ცივილიზაციურ სივრცეზე გლობალიზაციის პროცესების დამანგრეველი გავლენის პროეცირებას აკეთებს. მისი აზრით, რუსეთის საზოგადოებაზე ლიბერალური გლობალიზაციის ნეგატიურმა გავლენამ ბევრად გადააჭარბა საზღვარგარეთ მიმდინარე ანალოგიურ ტენდენციებს. რუსეთში ჩამოყალიბებულმა კომპრადორულმა სოციალურმა ფენამ უარი თქვა დამოუკიდებლობის თუნდაც ფორმალურ პრეტენზიაზე და მთლიანად გადასცა ქვეყანა გლობალური ელიტის კოსმოპოლიტურ მმართველობის განკარგულებაში. ქვეყნის მართვაზე მძიმე შრომისა და პასუხისმგებლობის აღების უუნარობამ, შიდა და საგარეო პოლიტიკაში ეროვნული პრიორიტეტების შეგნებულმა უარყოფამ, გადაწყვეტილების მიღების პროცესის უცხო ხელში გადაცემამ გამოიწვია გარდაუვალი ცენტრიდანული პროცესები. დაიწყო რუსეთის სახელმწიფოებრივი ინსტიტუების ნგრევა როგორც პოლიტიკურ, ასევე გეოგრაფიულ სივრცეში (პანარინი 2001:11).

ელიტის შეცვლილი ნაციონალური და სოციალური შემადგენლობა მჭიდროდ დაუკავშირდა მისი საზოგადოების სოციალური სტატუსის დევალვაციას, რომელიც მანამდე იყო წამყვანი ეროვნული ინტელექტუალური და ადმინისტრაციული რესურსი. ამიერიდან უცხო გავლენის გატარების უფლების მოსაპოვებლად მას ევალება საკუთარი ქვეყნის ეროვნულ-კულტურულ კრიტერიუმების უარყოფა. საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებელი სოციალური ავანგარდის როლის დაკარგვამ გამოიწვია ახალი ელიტის სულიერი დეგრადაცია უკვე საწყის ეტაპზე. ამან გამოიწვია დანარჩენ საზოგადოებასთან მისი ჯერ განხეთქილება, შემდეგ კი დაპირისპირება, რაც მწვავე სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა. რუსეთის მრავალეროვნულობის სპეციფიკიდან და გეოგრაფიული ზომებიდან გამომდინარე, აღნიშნული დაპირისპირება შესაძლოა გადაზრდილიყო თვითნგანადგურების გიგანტურ პროცესში.

ამრიგად ევრაზიული პროექტის ისტორიული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი გეოსტრატეგიული ამოცანებით:

- რუსეთის ცივილიზაციური თვითშენარჩუნება. ჩამოყალიბდა რა ევრაზიულ ზესახელმწიფოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეროვნული კულტურული კონსენსუსის საფუძველზე, რუსეთს შეუძლია იარსებოს მხოლოდ მის

ტერიტორიაზე ბინადარი ერთიანი სახლის ცივილიზაციურ ჩარჩოებში, რომელსაც წინ უძღვება სახელმწიფოს შემქნელი რუსი ხალხი;

- ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთის სახელმძღვანელო ეგიდის ქვეშ ტრადიციონალისტური საფუძვლების შენარჩუნება. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ რუსეთის შიდა დესტაბილიზაცია გარდაუვალად იწვევს მთელი ევრაზიის დესტაბილიზაციას;

- კაცობრიობის ცივილიზაციის ზოგადი ეროვნულ-კულტურული იდენტურობის შენარჩუნება, რაც განპირობებულია მსოფლიო ისტორიაზე ევრაზიული პროცესების ზეგავლენით. ეს კანონზომიერება დასაბამს იღებს უძველესი დროიდან და აქტუალობას ინარჩუნებს დღევანდელ დღემდე;

- წინააღმდეგობის გაწევა ნებისმიერი სხვა გლობალური პროექტებისადმი, რომელიც კონცეფტუალურად ითვალისწინებს ცალკეული სახელმწიფოთა ჯგუფის დომინირებას სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესების შეზღუდვის საფუძველზე. თანამედროვე ეტაპზე ამგვარ პროექტად მიჩნეულია ლიბერალური გლობალიზაცია.

პანარინის აზრით, ესოდენ მასშტაბური პროექტის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ დეტალურად შემუშავებული სტრატეგიის საფუძველზე, რომელშიც უნდა შედიოდეს შემდეგი კომპონენტები:

- ევრაზიული დოქტრინა, რომელიც კონცეფტუალურად დაასაბუთებს პროექტის ცივილიზაციურ ამოცანებს;

- კონკრეტული მიმართულებებისა და ვადებში გაწერილი ევრაზიული კავშირის თეორიული ბაზა.

ევრაზიული დოქტრინის ბაზისად რჩება მსოფლიო რელიგიები, რომელთა ცივილიზაციური პოტენციალი, ისტორიული ფესვები და ზეგავლენის ძალა რჩება საზოგადოებრივი მენტალიტეტისა და ქცევის ძირითად ბაზისად (პანარინი 1994ბ:214-216). ამ თვალსაზრისით ქრისტიანობისა და ისლამის იდეოლოგიურ კონსენსუსს ევრაზიული მასშტაბით სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რამეთუ სწორედ ისინი შეადგენენ რუსეთისა და ევრაზიის ძირითადი მოსახლეობის მსოფლმხედველურ ბაზისს. სამყაროს ტრანსცენდენტურ გააზრებაში არსებული განსხვავებების მიუხედავად, მათი მთავარი იდეოლოგიური იმპერატივია ადამიანის მორალურ-ზნეობრივი სრულყოფა. ეს ობიექტურად აქცევს

ქრისტიანობასა და ისლამს მოკავშირეებად საზოგადოებრივი სტაბილურობის მიღწევის საქმეში.

რაც შეეხება ევრაზიული კავშირის თეორიულ საფუძვლებს, იგი წარმოადგენს მასალების უკიდურესად ვრცელ კომპლექსს, სამეცნიერო კვლევებიდან დაწყებული და ნორმატიული ხასიათის სტრატეგიული სახელმწიფო დოკუმენტებით დამთავრებული.

ევრაზიული კავშირის პროექტის კონცეპტუალური სიღრმე და გეოგრაფიული მასშტაბები განსზაღვრავენ ლიბერალიზმისადმი მის ტოლფას გლობალურ ხასიათს. ამ პროექტების ანტაგონისტური ხასიათი ცივილიზაციების ისტორიული წინააღმდეგობის ახალ ეტაპზე მიასწავებს.

თანამედროვე სამყაროს ამ ახალ რეალობას განსაკუთრებით გამოარჩევს ი.ნ. პანარინი, რომელიც ევრაზიულ და ლიბერალურ პროექტებს შორის ბრძოლას პირდაპირ უკავშირებს ქრისტიანული სულისკვეთების ბრძოლას გლობალური ძალაუფლების მქონე ფინანსური ელიტის მერკანტილიზმსა და კოსმოპოლიტიზმთან (პანარინი 2006).

ევრაზიული პროექტის რუსული ვექტორის სასიცოცხლო მნიშვნელობა განპირობებულია მსოფლიო ისტორიის ლოგიკით. ავტორის მიერ შემოთავაზებული ევრაზიული რუსეთის განსაზღვრა ნიშნავს რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში ისტორიული ტრადიციონალიზმისა და ცივილიზაციური საფუძვლების ერთიანობას. მხოლოდ რუსეთია მიჩნეული ევრაზიის გამაერთიანებელ ძალად მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის, სულიერი ტოლერანტობის, ტრადიციებისა და სხვადასხვა ეროვნული კულტურების ურთიერთგამდიდრების გამო (პანარინი 2006).

თანამედროვე ევრაზიულ სკოლას კიდევ ერთი მეტად ნიშანდობლივი თვისება გააჩნია. საუბარია ევრაზიული პროექტის გლობალური მიზნების კავშირზე რუსეთის ისტორიულ გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან. ზემოთ უკვე განვიხილეთ ევრაზიულობის ძირითადი იდეოლოგების კონსტრუქტები, მაგრამ თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური პროცესების სისწრაფე და სიღრმე მუდმივ მოითხოვენ განახლებულ თეორიულ გააზრებას.

ამის კონკრეტულ მაგალითად წარმოგვიდგება ო.ლუშნიკოვის ნაშრომები რუსეთის სტრატეგიულ პერსპექტივებზე. მკვლევარის მიერ გეოპოლიტიკური მაჩვენებლების საფუძველზე ჩატარებულია ევრაზიული სკოლის ძირითადი

მიმართულებების კლასიფიკაცია. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევრაზიული სკოლის იმ თეორიულ განშტოებას, რომელშიც ევრაზიული ინტეგრაციის საკითხები განიხილება სხვადასხვა, ხშირად სრულიად საპირისპირო ფილოსოფიური პარადიგმების ფარგლებში (ლუშნიკოვი 2008:6-8). ამასთანავე, ევრაზიული ინტეგრაციის რუსული ბირთვი აღიარებულია ყველა მიმართულების მიერ. კვლავ ხაზგასმით აღნიშნულია რუსული სახელმწიფოს მიერ განვლილი ისტორიული გზა, რომელიც აღმოცენდა მონონაციონალური სლავური ცივილიზაციის სახით, ხოლო შემდეგ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი ძლევამოსილების გამო გარდაიქმნა მრავალეროვნულ ცივილიზაციურ ერთეულად (ლუშნიკოვი 2008:17). ესოდენ უნიკალური გაერთიანების ჩამოყალიბება შესაძლებელი იყო მხოლოდ ისეთი მძლავრი გამაერთიანებელი სახელმწიფოებრივი ძალის მიერ, რომელსაც რუსი ერი წარმოადგენს. სწორედ რუსი ხალხის სულიერი და ფიზიკური პოტენციალი უზრუნველყოფს რუსეთის ცივილიზაციურ ერთობას უძველესი დროიდან.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლუშნიკოვი ევრაზიულობის საწყისებად მიიჩნევს შუა საუკუნეებში განვითარებულ გლობალურ გამაერთიანებელ პროცესებს, რომლის ნიმუშად მონღოლთა იმპერია გვევლინება. ავტორი სავსებით სამართლიანად ათარიღებს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აზრში ევრაზიული სკოლის ჩამოყალიბებას XV საუკუნით (ლუშნიკოვი 2006:6-8). მაგრამ ამ პერიოდს იგი განიხილავს მხოლოდ ცალკეული ევრაზიული იდეების დაგროვების თვალსაზრისით, ხოლო სრულყოფილი ევრაზიული კონცეფციის ჩამოყალიბებას XX საუკუნეს მიაწერს.

მიმაჩნია, რომ ევრაზიული სკოლის ქრონოლოგიური ჩარჩოები და პერიოდიზაცია რჩება ყველაზე პოლემიკურ საკითხებად.

ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა ევრაზიული სკოლის ჩამოყალიბებას XX საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. ამის საფუძვლად მათ მოჰყავთ ემიგრაციაში მყოფი რუსი თეორეტიკოსების ფუნდამენტური ნაშრომები.

მ. მასლინი, აანალიზებს რა პ. სავიცკის, პ. სუვჩინსკის, ნ. ტრუბეცკოის, გ. ფლოროვსკის ნაშრომებს, მიდის დასკვნამდე რომ ევრაზიული მიმართულების გენეზისი დასაბამს იღებს რევოლუციის შემდგომ პერიოდში და თანაც რუსეთის გეოგრაფიული საზღვრების გარეთ (მასლინი 2015:362). ამასთანავე მკვლევარი აღიარებს რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში უფრო ადრინდელი ევრაზიული

ტრადიციის არსებობას, თუმცა XIX საუკუნის ფარგლებს მაინც არ სცდება (მასლინი 2015:363).

ანალოგიურ სურათს ჩვენ ვხედავთ ი. კეფელის შრომებში. კერძოდ, ნაშრომში "ევრაზიის როგორც იდეური მოძრაობის ჩასახვა", ავტორი ამ პროცესს ათარიღებს XX საუკუნის 20-იანი წლებით. ევრაზიული მიმართულების გნოსეოლოგიურ ფესვებად იგი აღიარებს XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეების ვ.ი. ლამანსკის, პ.ი. ჩაადაევის, ნ.ი. დანილევსკის, თ.ი. ტიუტჩევის ნაშრომებს (კეფელი 2013:50-51).

კოლექტიურ მონოგრაფიაში "ევრაზიული სამყარო: ფასეულობები, კონსტანტები, თვითორგანიზაცია" ევრაზიული სკოლის ჩასახვა და განვითარება განიხილება ორ ისტორიოსოფიულ სიბრტყეში: XX საუკუნის რუსული ემიგრაციის თეორიული მემკვიდრეობისა და რუსული ცივილიზაციური მოდელის ფილოსოფიური შინაარსის მხრივ (პოპკოვი 2010:20-22). ავტორები ერთსულოვნად აღიარებენ შუა საუკუნეების "სარმატიზმს" ევრაზიის ყველაზე ადრინდელ წყაროდ, რომელიც განასახიერებს სლავური და თურქული კულტურების ერთობაში შერწყმულ ევროპული და აზიური სარმატული საწყისების ერთობას. ევრაზიული სკოლის როგორც დამოუკიდებელი მიმართულების ქრონოლოგიის ათვლას ისინი იწყებენ XVIII საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძეგლებით, ანიჭებენ რა უპირატესობას უცხოელ ავტორებს (პოპკოვი 2010:22).

ჩვენი აზრით, ევრაზიული სკოლის საწყისებისა და ქრონოლოგიის ამგვარი განმარტება განპირობებულია რუსეთის იდეოლოგიურ სივრცეში კონსერვატიზმის ჩასახვისა და განვითარებისადმი დასავლური გნოსეოლოგიური მიდგომით. უკვე აღვნიშნეთ, რომ კონსერვატიზმი უძველესი დროიდან წარმოადგენს სლავური საზოგადოების სოციალურ წყობასა და მის ამსახველ იდეოლოგიას, რომელმაც რთული ტრანსფორმაციის გზა განვლო წარმართობიდან თანამედროვე კონსტრუქტებამდე.

**აქედან გამომდინარე, ევრაზიული მიმართულება უკვე "მოსკოვის რუსეთის" როგორც ევრაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროიდან იყო მისი კონსერვატიული ტრადიციის შემადგენელი ნაწილი. ამ თვალსაზრისით დოქტრინა "მოსკოვი – მესამე რომი" უნდა განვიხილოთ არამხოლოდ კონსერვატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ნიმუშად, არამედ**

**მართლმადიდებლურ ბაზისზე ჩამოყალიბებულ პირველ და ყველაზე სიცოცხლისუნარიან ევრაზიულ დოქტრინად. ევრაზიულობის იდეოლოგია ჩაისახა ევრაზიულ რუსეთთან ერთად XVI საუკუნეში.**

მისდევდა რა ბიზანტიის, როგორც ევრაზიული სახელმწიფოს ტრადიციებს, რუსეთის საეკლესიო იდეოლოგებმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეებმა ევრაზიული დოქტრინის ძირითადი დებულებები ჩამოაყალიბეს ჯერ კიდევ XV-XVI საუკუნეებში.

შესაბამისად, XX საუკუნის ევრაზიული სკოლა უნდა შევაფასოთრუსეთის საზოგადოებრივი აზრის ევრაზიული ტრადიციების გაგრძელებად, რომელიც განვითარდა XIX საუკუნის დასაწყისში დასავლური რაციონალიზმის საფუძველზე ჩამოყალიბებული სამეცნიერო ტრადიციის ფარგლებში. ყურადსაღებია აღნიშნული მიმართულების ჩამოყალიბების ხასიათი და პირობები, რომლებიც სტიმულირებული იყო 1917 წლის გიგანტური ისტორიული კატასტროფით. შესაბამისად, არც გნოსეოლოგიური და არც გეოგრაფიული თვალსაზრისით რუსეთის ემიგრაციულ გარემოში ჩამოყალიბებული ევრაზიული სკოლა არ შეფასდება რუსეთის ევრაზიული დოქტრინის საფუძვლად. რუსულმა ემიგრაციამ მხოლოდ განაგრძო ბევრად უფრო ადრე შემუშავებული ევრაზიული ტრადიციები, რომლებიც ასახულია მოსკოვის რუსეთის ევრაზიულ გეოპოლიტიკურ იმპერატივებსა და “მოსკოვი – მესამე რომის” იდეოლოგემაში.

**ამრიგად, ევრაზიული სკოლა შეგვიძლია განვიხილოთ რუსული პოლიტიკური აზრის ერთერთ უძველეს მიმართულებად, რომელიც დასაბამს იღებს მოსკოვის რუსეთის ევრაზიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ხანიდან. სწორედ დოქტრინამ “მოსკოვი – მესამე რომი” განაპირობა მოსკოვის რუსეთის გარდაქმნა ევრაზიულ ზესახელმწიფოდ.**

## §4. ლიბერალური კონსერვატიზმი

ლიბერალური კონსერვატიზმის ცნებით განისაზღვრება მიმართულება, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ სკოლაში ჩამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.

უშუალოდ რუსული ლიბერალიზმის ისტორიის ათვლის წერტილი XVIII საუკუნიდან იწყება, როდესაც მან რუსეთში დასავლეთიდან შეაღწია. რუსეთში

ლიბერალიზმის ჩასახვის ისტორია ამ მიმართულების სრულიად განსხვავებულ როლსა და ადგილზე მიუთითებს.

ღუსი და უცხოელი მკვლევარები ერთსულოვანნი არიან დასკვნაში, რომ ლიბერალიზმს რუსულ საზოგადოებაში არასოდეს არ გააჩნდა, არ გააჩნია და გააჩნდება არავითარი სოციალური ბაზა, რამეთუ რუსეთი თავდაპირველადვე ჩამოყალიბდა სოციუმის ყველა წევრის კოლექტიური სულიერი და პრაქტიკული ურთიერთქმედების საფუძველზე.

ნ.ა. ბარანოვი, მიმოიხილავს რა რუსეთის ლიბერალიზმის ისტორიულ გზას, აღიარებს, რომ ამ მიმართულებამ თავიდანვე მოიპოვა მხარდაჭერა მხოლოდ იმ წრეებში, რომლებიც იზიარებდნან არა რუსულ. არამედ დასავლურ ცივილიზაციურ ფასეულობებს (ბარანოვი 2011:73).

ლიბერალური იდეოლოგიის რუსული ფესვების არარსებობას ადასტურებს ა. ვინოგრადოვი, როდესაც პირდაპირ უკავშირებს მის გავრცელებას ეროვნული ორიენტირების უარყოფასა და საზოგადოების ვესტერნიზაციას (ვინოგრადოვი 2004:6).

რუსული საზოგადოების უმრავლესობის მიერ ლიბერალიზმისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას ხაზს უსვამს ე.ა. რევიაკინა, რომელიც ამ ფენომენს რუსული ტრადიციონალისტური მენტალიტეტით ხსნის. ლიბერალიზმი იმთავითვე განწირულია ისტორიულ მარცხისთვის, რადგან რუსული მენტალიტეტი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი თავისუფლების ცნებას მხოლოდ სახალხო კრების ფარგლებში განიხილავს და ყოველთვის მზად არის დათმოს ინდივიდუალური უფლებები სოციუმის ინტერესების სასარგებლოთ (რევიაკინა 2013:114).

გერმანელი მკვლევარი გ. რორმოზერი რუსეთში ავტონომიური პიროვნების არარსებობის დასკვნამდე მიდის. ასეთ პიროვნებას შეუძლია ჰარმონიულად შეათავსოს საკუთარი ინტერესები საზოგადოებრივ მოთხოვნებთან და ამ გზით მიაღწიოს ყველასათვის მისაღებ კონსენსუსს (რორმოზერი 1996ა:60). მაგრამ ეს დასკვნა უარყოფილია რუსეთის მთელი ისტორიული წარსულით. სოციუმის ინტერესებთან შეფარდებაში ინდივიდუალური თვითრეალიზაციის უნარის არარსებობა გამორიცხავს უზარმაზარი მრავალეროვნული ევრაზიული სახელმწიფოს შექმნას, სადაც ერთერთ შემაკავშირებელ ძალად წამყვანი ერის მკვეთრად გამოხატული ტოლერანტობა გამოდის. ნიშანდობლივია, რომ

რორმოზერი ლიბერალიზმის სოციალურ შეზღუდვას მის მშობელ დასავლურ საზოგადოებაშიც ხედავს. რეალურ საყრდენს ლიბერალიზმი პოულობს მხოლოდ სოციალური აყვავების პირობებში დამას არ ძალუძს ისტორიული კრიზისების ადეკვატური იდეოლოგიური დასაბუთება. შესაბამისად, ლიბერალიზმი ვერ იქცევა მოსახლეობის ფართო მასების მოტივაციად და მხოლოდ ხელს უწყობს სოციალური არასტაბილურობის ზრდას (რორმოზერი 1996ბ:84-87).

ლიბერალიზმის ურთიერთწინააღმდეგობრივი ბუნებით აიხსნება მისი დაკავშირების მცდელობა სხვა პოლიტიკურ მიმართულებებთან. ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს მისი სინთეზის მცდელობა კონსერვატიზმთან, რის შედეგად შექმნილმა ჰიბრიდმა “ლიბერალური კონსერვატიზმის” სახელწოდება მიიღო.

სამეცნიერო წრეებში მიღებულია აზრი, რომ ამ მიმართულებამ გამონახა ურთიერთ მისაღები და სასარგებლო კომპრომისი ლიბერალურ პრინციპებსა და კონსერვატიულ ფასეულობებს შორის (ტარუსინი 2004:18). ხაზგასმით აღინიშნება, რომ მხოლოდ ამგვარი სინთეზის საფუძველზე შესაძლებელია სტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოდელის რეალისტური კონცეფციის შემუშავება. პრინციპების ერთობლიობა ცხადდება ისტორიულად განპირობებულ მოვლენად (დინაევა 2005:151-153). ლიბერალური კონსერვატიზმის იდეოლოგების რიცხვს მიეკუთვნებიან რუსეთის პოლიტიკური აზრის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორიც არიან პ.ბ. სტრუვე (სტრუვე 2001:188), ს.ლ. ფრანკი (ფრანკი 1924:72), ს.ნ. ბულგაკოვი (ბულგაკოვი 2004:59).

მიგვაჩნია, რომ “ლიბერალური კონსერვატიზმის” ტერმინი გნოსეოლოგიური თვალსაზრისით ფრიად სადავო ცნებაა. კონსერვატიზმი და ლიბერალიზმი არსებითად არიან არამხოლოდ განსხვავებული, არამედ ანტაგონისტური იდეოლოგიები. კონსერვატიზმი მისდევს საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ეროვნული და სახელმწიფოებრივი ტრადიციების დაცვის პრინციპს, რაც რუსულ რეალობაში აისახა ცნობილ დიდმპყრობელურ ტრიადაში “მართლმადიდებლობა – თვითმპყრობელობა – ერი”. ლიბერალიზმი კი აღიარებს სრულ თავისუფლებას შემაკავებელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩარჩოებისაგან როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, ამ ორი იდეოლოგიის ელემენტების შეთავსების მცდელობა გამართლებულია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რამდენად დარჩება ეს სინთეზი ეროვნულ-კულტურულ

ჩარჩოებში. მაგრამ იდეოლოგიურ სინთეზში პროპორციულობის გამოვლენის მცდელობა აუცილებლად წააწყდება მათ იდეოლოგიურ შეუთავსებლობას, რაც იწვევს კიდევ უფრო მეტ გაურკვევლობას "ლიბერალური კონსერვატიზმის" შინაარსისა და ფორმების განსაზღვრაში (პონომარიოვა 2011:5).

რუსეთში ადგილი ჰქონდა განვითარების დასავლური მოდელის იდეალიზაციას, რომელმაც XX საუკუნის დასაწყისში ევროპული ქვეყნების (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემაში მხოლოდ გარეგნულად შეითავსა ლიბერალური და კონსერვატიული პრინციპები. რუსი თეორეტიკოსების ყურადღების მიღმა დარჩა ამ "კონსენსუსის" რეალური შინაარსი, რომელიც მდგომარეობდა კონსერვატიზმის ყველა ფუნდამენტალური ფასეულობების უარყოფასა და ლიბერალური პრინციპების ფარულ აპოლოგეტიკაში. ისტორიულმა პრაქტიკამ გვიჩვენა რომ რუსეთი, მისი სულიერი და სახელმწიფოებრივი საყრდენების, რუსი ხალხის აზროვნების ფორმისა და ხასიათის თვისებების გამო ორგანულად არ მიიღებს ისეთ ექსპერიმენტებს, რომლებიც მხოლოდ გეოპოლიტიკური კატასტროფით სრულდება.

სწორედ ამ კუთხით უნდა შევხედოთ პ. სტრუვეს მოსაზრებებს, რომელიც 1914 წელს აცხადებდა რომ "ეროვნული საფუძველი შეუკავებლად ჩაინერგება ლიბერალიზმში, რის გამოც ეს უკანასკნელი დაუახლოვდება ხალხის ისტორიული ცხოვრების სიღრმისეულ საწყისებს" (სტრუვე 1914:3). უკვე რევოლუციის შემდეგ სტრუვე კარდინალურად ცვლის საკუთარ პოზიციას და აღიარებს რუსეთში ლიბერალური მოდელის ისტორიულ მარცხს. ამასთანავე იგი ხაზგასმით აღნიშნავს საზოგადოებრივ სტაბილურობაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის გადამწყვეტ როლსა და ადგილს (სტრუვე 2000:129-137).

ანალოგიური ევოლუცია განიცადეს ს.ლ. ფრანკის შეხედულებებმაც, რომელიც მივიდა დასკვნამდე ლიბერალური ცნებებისა და რუსული საზოგადოების ტრადიციონალისტური ფასეულობების არსებით შეუთავსებლობაზე (ფრანკი 1967:81-88). მისი აზრით, ყველაზე დამანგრეველ ზეგავლენას სოციალურ სტაბილურობაზე ახდენს ლიბერალიზმის მიერ ინციირებული ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ზნეობრივი ფასეულობების ტრანსფორმაცია (ფრანკი 1924:47-55).

ამრიგად, ლიბერალური კონსერვატიზმის მკვლევარებმა უნდა გაითვალისწინონ ზემოაღნიშნული გარემოებები როგორც ამ მიმართულების კონცეპტუალური შეფასებისას, ასევე მისი ადგილის განსაზღვრისას თანამედროვე რუსეთის პოლიტიკურ სისტემაში. ნიშანდობლივია, რომ ეს მიმართულება რუსულ საზოგადოებაში დღემდე არ არის წარმოდგენილი რეალური პოლიტიკური ძალით კონკრეტული პარტიისა ან საზოგადოებრივი მოძრაობის სახით.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა ლიბერალიზმის იმ საკვანძო დებულებების ანალიზი, რომლებიც მკვლევარების მიერ განიხილება კონსერვატიზმთან სინთეზის საფუძვლებად.

უპირველეს ყოვლისა საუბარია პირადი თავისუფლების პრინციპზე, რომელსაც ლიბერალიზმი დეკლარირებს აქსიოლოგიურ დონეზე და მიიჩნევს საკუთარ ძირითად პოლიტიკურ მიღწევად.

თავისი არსით თავისუფლება გონებისა და გრძნობების ურთულესი შეფარდებაა, რომელიც ადამიანურ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ურთიერთობების ფარგლებს სცდება და მოიცავს მთელ ცოცხალ სამყაროს უმარტივესი ორგანიზმებიდან დაწყებული.

თავისუფლება ბიოსოციალურ კატეგორიათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც გააჩნია ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, მისი განვითარების დონის მიუხედავად. თავისუფლებისაკენ ლტოლვა მცენარეული და ცხოველური სამყაროს ბუნებრივი მდგომარეობაა, რომელიც აღმოცენდება მათი დაბადებისთანავე და უზენაეს გამოვლენას პოულობს ადამიანურ საზოგადოებაში. სრული დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ თავისუფლება ცოცხალი ორგანიზმის ფიზიკური არსებობის ერთერთი ძირითადი პირობაა დაწყებული მისი დაბადების მომენტიდან. მაგრამ ჭეშმარიტი თავისუფლება ყოველთვის შეზღუდულია როგორც კონკრეტული ცოცხალი არსების ფიზიოლოგიური და მენტალური შესაძლებლობებით, ასევე მისი არსებობის არეალის საზღვრებითა და პირობებით. ამის საფუძველზე ჩვენ დავასკვნით, რომ **პიროვნების ჭეშმარიტი თავისუფლება შედგება მისი ბუნებრივი სულიერ-ზნეობრივი და ფიზიკური თვისებების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში. სწორედ ამის გამო პიროვნების თავისუფლება აუცილებლად შეიზღუდება საზოგადოების ინტერესებით, ხოლო**

**საზოგადოების თავისუფლება – პიროვნების ინტერესებით**. ამრიგად რაიმე აბსტრაქტული უსაზღვრო თავისუფლება ფიზიკურად არ არსებობს, და მას ყოველთვის გააჩნია კონკრეტული ჩარჩოები. ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ამ სოციალური აქსიომის ყველაზე სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ კონსერვატიული ტრადიციონალისტური ფასეულობების საფუძველზე.

უძველესი დროიდან მოყოლებული თავისუფლების ინტერპრეტაცია ჩვენ გვხვდება ყველა რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემაში. ყოველი თეორიული კონსტრუქტი იძლევა თავისუფლების საკუთარ, ხშირად სხვებთან სრულიად საპირისპირო განმარტებას. აქედან გამომდინარე, ლიბერალიზმს არ შეუძლია განაცხადოს პრეტენზიები არც თავისუფლების ცნების ავტორობაზე და არც მისი განმარტების განსაკუთრებულ ჭეშმარიტებაზე.

ანალოგიური სურათი გვხვდება ლიბერალიზმის მიერ სახელმწიფომ მართველობისა და შიდა სოციალური ურთიერთობების სფეროში ფართოდ დეკლარირებული დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებში.

კერძოდ, ლიბერალიზმის მიერ შემოთავაზებული ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებად წარმოადგენს არა რაიმე ახალ მიდგომას, არამედ უკვე არსებული რეალობის განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ჩასახვის მომენტიდან დაწყებული სახეზეა ხელისუფლების სამივე შემადგენელი კომპონენტი ნებისმიერ სახელმწიფო მექანიზმში მისი სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად. ეს რეალობა გამომდინარეობს უშუალოდ სახელმწიფოს როგორც მკვეთრად შემოფარგლულ არეალში სოციალური ურთიერთობის რეგულატორის ბუნებიდან. რუსეთის ისტორიაში ხელისუფლების სამივე შტო სახეზეა უკვე წარმართობის ხანიდან. ამის პირდაპირი დასტურია იმ ხანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ძეგლები, რომლებიც თავმოყრილია “რუსულ კანონში”.

ამრიგად, ლიბერალიზმი გვთავაზობს არა ხელისუფლების დაყოფას ახალ სახეობებად, არამედ მის გადანაწილებას უკვე არსებულ სამ განშტოებათა სუბიექტებს შორის.

კონსერვატიული კონცეფციის მიხედვით მონარქისტულ სახელმწიფოში ხელისუფლების სამივე მიმართულების შეთავსებას ერთი თვითმპყრობელი მმართველის ხელში მთელი რიგი უპირატესობა გააჩნია:

- შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საქმეში მონარქი ერთადერთი უზენაესი არბიტრია, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს მართვაში უცხო პირთა ჩარევას;
- სახელმწიფო მმართველობის ნორმატიული აქტები შემუშავდება უშუალოდ მონარქის მონაწილეობით და სავალდებულოა საზოგადოების ყველა წევრისათვის, თვით მონარქის ჩათვლით. სწორედ ეს განაპირობებს საზოგადოების ყველა წევრის რეალურ თანასწორობას კანონის წინაშე.;
- ათასწლეულების მანძილზე რელიგიურ კულტში ასახული სულიერ-ზნეობრივი ფაქტორი შეადგენს საყოველთაო კონტროლის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. მონარქი სარწმუნოების, სიწმინდისა და ძლიერების სახელმწიფო გარანტია და პირველია ვალდებული დაიცვას მისი პრინციპები.

ანალოგიური მდგომარეობაა ლიბერალიზმის ყველა კონცეპტუალურ დებულებებთან მიმართებაში.

მაგალითად, ლიბერალიზმის მიერ გაცხადებული ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობებისა და ინდივიდის პირადი პასუხისმგებლობის პრიმატი რუსულ საზოგადოებში განმტკიცდა უკვე მისი დამოუკიდებელ თვითსაკმარის სოციუმად ჩამოყალიბების დროიდან. ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება ამ პრინციპებმა ჰპოვეს კონსერვატიული ფასეულობების ბატონობის ხანაში.

ლიბერალიზმის კიდევ ერთი პრინციპი, რომელიც მისი იდეოლოგების მიერ ცივილიზებული საზოგადოების განუყრელ ატრიბუტად ცხადდება არის პოლიტიკური და იდეოლოგიური პლურალიზმი. ისტორიული წარსული ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი კონსენსუსისა და სტაბილური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა პოლიტიკური თეორიების სიმრავლეს, არამედ მათ კონცეპტუალურ შინაარსს. მათი შერჩევის ყველაზე ეფექტური კრიტერიუმია სოციალური რეგულაციის ისტორიულად დაგროვილი გამოცდილება. ეს ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნებისმიერი ერის როგორც დამოუკიდებელი ეთნიკური ერთეულის ჩამოყალიბება მისი განსხვავებული მენტალიტეტით, დამწერლობით, ენითა და კულტურით, მკვეთრად განსაზღვრული არსებობის გეოგრაფიული არეალითა და

სახელმწიფო მართვის სისტემით მიმდინარეობდა ერთიანი მსოფლმხედველობისა და სულიერი ფასეულობების საფუძველზე. ისტორიული პირობებიდან გამომდინარე შეხედულებათა ეს ერთიანი სისტემა თავდაპირველადვე ჩამოყალიბდა ჯერ წარმართული პოლითეიზმის, ხოლო შემდეგ მონოთეისტური რელიგიების ტრანსცენდენტული მსოფლმხედველობის ჩარჩოში.

ამრიგად, ისტორიის ჟამთამსვლელობამ დაადასტურა რომ ყველა საზოგადოებრივი დაჯგუფების მთავარი ბიჰევიორისტული მოდელი და სულიერი ფასეულობების სისტემა შეადგენენ ეროვნული თვითშემეცნების ერთადერთ რეალურ საფუძველს. სწორედ ამ უნივერსალისტური იდეოლოგიური სისტემის ფარგლებში შესაძლოა სოციუმის სრულფასოვანი თავისუფალი განვითარება.

იგივე ისტორიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთიანი ეროვნული მენტალიტეტის მოშლა უცხო იდეოლოგიური მოდელების ჩანერგვის გზით აუცილებლად იწვევს საერთო დესტაბილიზაციას, რომელიც შემდგომში გადაიზრდება სოციალურ რევოლუციაში. ეს კატაკლიზმები ცივილიზაციურ კატასტროფად იქცევა და აყენებს ერის თვითგადარჩენის საკითხს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური და მორალურ-ზნეობრივი პლურალიზმის დანერგვას მოაქვს ერთნაირი დამანგრეველი შედეგები ნებისმიერ რეგიონში მისი ეროვნულ-რელიგიური სპეციფიკისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური დონის მიუხედავად.

ლიბერალიზმის ესოდენ წინააღმდეგობრივმა ბუნებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მისი გავრცელება რუსეთში. ამ სწავლებამ ვერ შესთავაზა საზოგადოებას ახალი ხედვა. მან შეძლო მხოლოდ ისტორიულად ჩამოყალიბებული სულიერი და ზნეობრივი სისტემისა და სოციალური რეგულაციის ნორმატიული პრინციპების სხვანაირი ინტერპრეტაცია.

ამგვარი ტენდენცია თვალნათლივ აღინიშნება ლიბერალური კონსერვატიზმის თანამედროვე თეორეტიკოსების ნაშრომებში.

პ. გვოზდევი რუსეთის უახლეს ისტორიას განიხილავს სხვადასხვა მითების თანმიმდევრობად, რომელთა შორის გამოარჩევს მითებს რევოლუციამდელი რუსეთის “ოქროს ხანის”, საბჭოთა ეპოქისა და პოსტსაბჭოური ლიბერალური რეფორმების შესახებ. ისტორიული გამოცდილების ამგვარი ინტერპრეტაცია თავდაპირველადვე სადავოა, რამეთუ ყოველი აღნიშნული პერიოდი, ნეგატიურ ტენდენციებთან ერთად ხასიათდება რუსეთის საზოგადოებაში ყველა სფეროს

რეალური პროგრესით. თანამედროვე რუსეთის პერსპექტიულ სოციალურ კლასად ავტორი მიიჩნევს ე.წ. “ჯინებს” – სწავლულ ხალხს, რომლებიც დასაქმებული არიან მატერიალური და საინფორმაციო წარმოების ყველა სფეროში. მათთვის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს ე.წ. “მერიტოკრატია”, რომელიც აღიარებს ყოფილი პარტიული ნომენკლატურის პრინციპებს და ამით ხელს უწყობს საზოგადოებაში კორუფციას, ბიუროკრატიასა და დაბალ თვითშეგნებას. მთავარ საფრთხედ მკვლევარი მიიჩნევს კოსმოპოლიტურ ლიბერალიზმს, რომელიც ხრწნის საზოგადოებრივ აზრსთავისუფალი მოხმარების კულტის აღმსარებლობით (გვოზდევი 2006:37). მაგრამ ყველა ჩამოთვლილი პრობლემა არ წარმოადგენს მხოლოდ ლიბერალური საზოგადოების მანკიერებას და ახასიათებს ხელისუფლების მმართველი საწყისების სისუტეს ნებისმიერ საზოგადოებრივ ფორმაციაში. შესაბამისად, ავტორის მიერ შემოყვანილი ახალი მწარმოებელი კლასის (“ჯინების”) ცნება სინამდვილეში წარმოადგენს ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში ჩამოყალიბებული სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული ინტელიგენციის კლასის განსაზღვრის განსხვავებულ ინტერპრეტაციას. აღნიშნული ტენდენცია გაგრძელებულ იქნა სტალინის მიერ, რომელმაც მისი ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად ჩამოაყალიბა საბჭოთა საზოგადოების სამი ძირითადი საყრდენი: მუშათა კლასი, საკოლმეურნეო გლეხობა და სამეცნიერო-კულტურული ინტელიგენცია. ამ სამი სოციალური კლასის ცოდნისა და გამოცდილების დონე აღმოჩნდა ისმთავარი ძალა, რომელმაც XX საუკუნის 30-50-იან წლებში უზრუნველყო საბჭოთა კავშირის გიგანტური ცივილიზაციური ნახტომი. სწორედ სტალინის მიერ გაზრდილი პარტიული ნომენკლატურა იყო სახელმწიფო იდეოლოგიის მატარებელი, საბჭოთა საზოგადოების მთავარი სახელმძღვანელო და წარმმართველი ძალა, რომელიც წარმართავდა მას რეალური პროგრესის გზაზე.

ნ.ა. ბარანოვი ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის სინთეზს არამხოლოდ შესაძლებლად თვლის, არამედ ისტორიული პროცესის პერმანენტულ თანამგზავრად მიიჩნევს. ამ სინთეზის წარუმატებლობის მიზეზს ავტორი ხედავს ლიბერალურ-კონსერვატიული დისკურსის ხელისშემშლელ პირობებში. მისი აზრით, რუსეთში ლიბერალურ პრინციპებს გააჩნიათ სოციალურ-ფილოსოფიური და იდეოლოგიურ-პრაქტიკული წინაპირობები (ბარანოვი 2010:91). მაგრამ ამ

თეზისს უარყოფენ თანამედროვე რუსეთში მიმდინარე ობიექტური პროცესები, რომელიც ადასტურებენ ლიბერალიზმის როგორც ფილოსოფიური სისტემისა და პოლიტიკური იდეოლოგიის სრულ მარცხს. ასევე ვერ დავეთანხმებით ავტორის მტკიცებულებას "ნებისმიერი საზოგადოების წარმატებული განვითარებისათვის ლიბერალური ფასეულობების აუცილებლობის" შესახებ (ბარანოვი 2010:92). თანამედროვე სამყაროში, რუსეთის გარდა არსებობენ სხვა ცივილიზაციური სისტემები, რომლებიც ეფუძნებიან რა რელიგიურ ფუნდამენტალიზმს ან ეროვნული ტრადიციებისა და სოციალური სწავლებების სინთეზს, ორგანულად ვერ ითვისებენ ლიბერალიზმს და განვითარდებიან დასავლური ფასეულობების სისტემის ფარგლების მიღმა.

ვ.თ. პუსტარნაკოვი, აღიარებს რა კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის "გენეტიკურად სხვადასხვა ფორმების შეჯვარების" შესაძლებლობასა და ურთიერთსარგებლობას, მაინც მიიჩნევს ამ პროცესს "ორი განსხვავებული სახეობის ორგანიზმის თანაცხოვრებად" (პუსტარნაკოვი 2001:13-14). სისტემური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამგვარი შეთავსება ხელოვნური ხასიათისაა და რუსეთში არსებობს მხოლოდ ლიბერალიზმისადმი საგარეო მხარდაჭერის შემთხვევაში. ამასთანავეამ თანაარსებობას არასოდეს გააჩნია თანასწორუფლებიანი ხასიათი. იგი წარმოადგენს ლიბერალური პრინციპების მიერ კონსერვატიული ფასეულობების ღია ან ფარული დათრგუნვის პერმანენტულ პროცესს.

ლიბერალიზმის ამ წინააღმდეგობრივმა შინაარსმა ზოგიერთ მკვლევარს საბაბი მისცა გამოეტანა დასკვნა თანამედროვე ეპოქაში მის პერმანენტული კრიზისის შესახებ. მათი აზრით, თანამედროვე სამყაროში მიმდინარე გლობალური ცვლილებების პირობებში, ლიბერალიზმმა ამოწურა ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური რესურსი (ხმელინინი 2014:46).

კიდევ უფრო კატეგორიულია აკადემიკოსი ე.მ. პრიმაკოვი, რომელიც რუსეთში არსებულ ლიბერალურ მიმართულებას "ფსევდოლიბერალურს" უწოდებს, რომელმაც პოსტსაბჭოურ ეპოქაში სრული დისკრედიტაცია და მარცხი განიცადა (პრიმაკოვი 2012). ამ დასკვნას პრიმაკოვი ასაბუთებს ლიბერალიზმის დაუსრულებელი და წინააღმდეგობრივი ბუნებით, რის გამოც მან რუსეთში ფეხი ვერ მოიკიდა. რუსეთში ძალადობრივი გზით დანერგილი ნეოლიბერალიზმი ორგანულად უცხოა რუსული საზოგადოების მდგომარეობის,

შესაძლებლობებისა და ფასეულობებისათვის, რამაც გარდაუვალი გახადა მისი ისტორიული მარცხი (პრიმაკოვი 2012).

ს.ს. სულაკშინი გამოარჩევს რა ლიბერალიზმის მიერ დეკლარირებული ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპს, მიდის დასკვნამდე, რომ რეალობაში იგი გარდაიქმნება პიროვნულ და ჯგუფურ ეგოცენტრიზმად. ინდივიდის უფლებების სხვა პრინციპებზე უსაზღვრო პრიმატი აუცილებლად შეზღუდავს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს და დაჰყავს ურთიერთობები სოციალ-დარვინიზმის დონემდე. ამით საფუძველი ეყრება ფეთქებად სოციალურ-პოლიტიკურ პოტენციალს, რომელიც იქცევა მძიმე კატაკლიზმების ნიადაგად (სულაკშინი 2014:25).

ამრიგად, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური სწავლება არ სთავაზობს საზოგადოებას არაფერს ახალს და განსხვავებულს კონსერვატიზმის მიერ დიდი ხნით ადრე შემუშავებულ ძირითად ცივილიზაციურ ფასეულობებთან შედარებით. მეტი ამისა, ლიბერალიზმი მიითვისებს ამ პრინციპებს და მათ საკუთარი პოლიტიკური პლატფორმისადმი სასარგებლო ინტერპრეტაციას აძლევს;
- მსოფლიო ისტორიული ასპარეზის გარკვეულ ეტაპზე ლიბერალიზმი შემუშავებულ იქნა საფინანსო-სამრეწველო კაპიტალის გარკვეული წრეების მიერ, რომლებსაც აღარ აწყობდათ მხოლოდ ეკონომიკური ძლიერება და პოლიტიკური ხელისუფლების კონცენტრაციისაკენ მიისწრაფოდნენ;
- რუსულ საზოგადოებაში ლიბერალიზმი შემოტანილია გარედან და იგი გაიზიარა მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილმა, რომელმაც უარყო ეროვნული პრინციპები დასავლური ლიბერალური დებულებების სასარგებლოდ;
- თანამედროვე რუსული ლიბერალიზმი ორგანულად ეწინააღმდეგება რუსული საზოგადოების მენტალურ და სულიერ ბუნებას. საგარეო მხარდაჭერის წყალობით იგი ქმედუნარიანი იყო მხოლოდ XX საუკუნის 90-იანი წლებში მიმდინარე სოციალური სისტემის რადიკალური ნგრევის პირობებში. სოციალურმა სტაბილიზაციამ საზოგადოებრივ მენტალიტეტში ისტორიული რუსული ფასეულობების აღორძინება გამოიწვია და განაპირობა ლიბერალიზმის ობიექტური მარცხი.

ამასთანავე თანამედროვე პოლიტიკური სისტემიდან ლიბერალიზმის სრულ განდევნაზე საუბარი ნაადრევია. იგი კვლავ რჩება დასავლეთზე ორიენტირებული გარკვეული სოციალური ჯგუფების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების იდეოლოგიურ პლატფორმად. უახლოეს პერსპექტივაში ეს პოლიტიკური მიმართულება შეინარჩუნებს გარკვეულ ზეგავლენას პოლიტიკურ პროცესზე და ძალუძს რეალური ოპოზიციის როლის შესრულება. ეს ოპოზიცია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პირობებში ხელისუფლების პოლიტიკური მრჩეველის როლსაც შეასრულებს.

* * *

მეორე თავში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ჩვენ მივიღეთ შემდეგი შედეგები:

- სისტემური მიდგომის საფუძველზე ჩატარებულია თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ანალიზი. სისტემურად გავაანალიზეთ თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ძირითადი მიმართულებების კონცეპტუალური შინაარსი, გნოსეოლოგიური ბაზისი, მეთოდოლოგია, მისი ისტორიული მემკვიდრეობისა და სოციალური ფესვები.
- შემუშავებულია თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რის საფუძველზე გამოვლენილია მისი მართლმადიდებლური, სახელმწიფო-პატრიოტული, ევრაზიული და ლიბერალური მიმართულებები.
- გამოკვლეულია მართლმადიდებლობის როლი და ადგილი რუსული ცივილიზაციის სულიერ-ზნეობრივი და გეოპოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბების პროცესში. შესწავლილია მართლმადიდებლური კონსერვატიზმის ზეგავლენა რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ტრადიციების განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე. გამოვლენილია რუსული მართლმადიდებლობის მაორგანიზებელი ბირთვის როლი კონსერვატიული ტრადიციაში.
- დასაბუთებულია მართლმადიდებლობის კონცეპტუალური ურთიერთ კავშირი რუსული კონსერვატიზმის სახელმწიფო-პატრიოტულ და ევრაზიულ სკოლებთან.

- სახელმწიფო-პატრიოტული მიმართულების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ სივრცეში მისი წამყვანი როლის შესახებ. სახელმწიფო პატრიოტიზმმა კონცეპტუალური ნაშრომების ფურცლებიდან უკვე გადაინაცვლა რუსული სახელმწიფოს რეალურ პოლიტიკაში.
- ევრაზიული სკოლის ცივილიზაციური კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მისი როგორც თანამედროვე რუსეთის გეოსტრატეგიული სივრცის ყველაზე მასშტაბური პროექტის ამოცანები და პერსპექტივები. გამოვლენილია ევრაზიული სკოლის თეორიული და ქრონოლოგიური სათავეები. დადასტურებულია რუსეთში ევრაზიული პოლიტიკური სკოლისა და ევრაზიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების ურთიერთ კავშირი და ერთდროულობა.
- ჩატარებულია ლიბერალური კონსერვატიზმის ცნებისა და პრინციპების ანალიზის გნოსეოლოგიური ანალიზი. სისტემური მიდგომის საფუძველზე გამოვლენილია კონსერვატიული და ლიბერალური პოსტულატების კონცეპტუალური შეუთავსებლობა. შესწავლილია რუსული ლიბერალიზმის წარმოშობა და ბუნება, გამოტანილია დასკვნები მის პოლიტიკურ პერსპექტივებზე.

## თავი III. ძირითადი ცივილიზაციური მიდგომები

რუსეთის ისტორიის თანამედროვე ეტაპის გარდამავალი ხასიათი განპირობებულია მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ცივილიზაციური არსითა და მასშტაბებით. რუსეთმა დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში განვლო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ისტორიოული წეს-წყობილების ძალადობრივი ნგრევისა და ისტორიაში ჯერ არნახული სოციალურ-ეკონომიკური ექსპერიმენტის ფარგლებში სრულიად ახალი ფორმაციის ჩამოყალიბების ურთულესი გზა.

ახალი საზოგადოებრივი წყობა შეიქმნა რუსეთის ისტორიული ტრადიციონალიზმისა და ეროვნული მენტალიტეტისათვის სრულიად უცხო პოლიტიკური მოძღვრების საფუძველზე. ამისდა მიუხედავად იგი უძლური

აღმოჩნდა გაენადგურებინა რუსეთის ცივილიზაციის ფუძემდებლური კონსერვატიული პრინციპები და თავად დაემორჩილა მათ მოთხოვნებს, შეინარჩუნა რა მხოლოდ კომუნისტური იდეოლოგიის გარეგნული ფორმა და ატრიბუტიკა.

ამის შედეგად ყოფილი რუსეთის იმპერიის გეოპოლიტიკურ ფარგლებში ჩამოყალიდა უნიკალური საბჭოთა სოციალისტური სამყარო-სისტემა, რომლის ცივილიზაციურმა სიმძლავრემ ბევრად გადააჭარბა არამხოლოდ საიმპერატორო რუსეთს, არამედ ყველა ცნობილი საზოგადოებრივი ფორმაციის ცივილიზაციურ პოტენციალს. სწორედ ამ სისტემამ აქცია რუსეთი მსოფლიოს აბსოლუტურ ლიდერად XX საუკუნეში. საბჭოთა სისტემის დაშლამ გამოიწვია რუსეთის გეოპოლიტიკური ძლიერების დაცემა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მისი, როგორც ცალკეული ცივილიზაციური ერთეულის არსებობა.

ამის შედეგად, რუსეთი კვლავ აღმოჩნდა ახალი ფორმაციული მოთხოვნების ისტორიულ გზაჯვარედინზე.

მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს ისტორიულ სარბიელზე შედარებით მოკლე პერიოდში განხორციელებული ესოდენ ფუნდამენტალური ცვლილებები უნიკალურ ფენომენს წარმოადგენენ. ამ ცვლილებების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მსოფლიო ისტორიაზე მათი კოლოსალური ზეგავლენის გამო.

აქედან გამომდინარე, ქვეყნის ისტორიული წარსულის კრიტიკული გააზრება წარმოადგენს თანამედროვე რუსული პოლიტიკური იდეოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას. კონსერვატიზმი რუსეთის ისტორიას იმთავითვე განიხილავს ევრაზიულ სოციუმებთან ურთიერთქმედების საფუძველზე ჩამოყალიბებული ერთიანი ცივილიზაციის კონტექსტში. მისთვისგადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია რუსეთის ისტორიული წარსულის ფილოსოფიურ გააზრებას. რუსეთის ისტორიისადმი გნოსეოლოგიური მიდგომის შინაარსი და ხასიათი განაპირობებს კონსერვატიზმის როგორც პოლიტიკური თეორიის მნიშვნეოლობას.

ამასთანავე, სწორედ აღნიშნული ფაქტორი შესაძლოა იქცეს ახალი რუსეთის იდეოლოგიური ბაზისის ჩამოყალიბების მამოძრავებელ ძალად. რუსეთის მრავალსაუკუნოვანმა კონსერვატიულმა პრინციპებმა გამოავლინეს რა უკიდურესი სიცოცხლისუნარიანობა გლობალური შიდა და საგარეო

კატაკლიზმების წინაშე, უზრუნველყვეს მისი გადარჩენა და შემდგომი განვითარება კრიტიკულ პირობებში. ამ თვალსაზრისით უდავოა რომ სწორედ კონსერვატიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა და რუსეთის ბუნებრივი ფენომენი იყო, არის და დარჩება იმ ფუნდამენტად, რომელზეც აღმოცენდება ყველა მომავალი რუსული სოციალური ფორმაცია.

## §1. რუსეთის ცივილიზაციის სათავეები

ქვეყნის ცივილიზაციის სათავეების ანალიზი მისი წარსულის ისტორიოსოფიული გააზრების, სხვა ცივილიზაციებს შორის როლისა და ადგილის განსაზღვრის, მისი გლობალურ ორიენრიტირებისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ სწორი შეხედულებების ჩამოყალიბების ქვაკუთხედია. აღნიშნული პროცესის მასშტაბურობა და კომპლექსური სირთულე თავდაპირველადვე განაპირობებს მათ კვლევას სისტემური მიდგომის საფუძველზე. ამ კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნიათ უკვე ჩამოყალიბებულ სკოლებსა და მიმართულებებს, რომლებიც პრობლემატიკის ისტორიოსოფიულ არგუმენტაციასა და განსხვავებულ კონცეპტუალურ ხედვას გვთავაზობენ.

XIX საუკუნიდან მოყოლებული, რუსეთის ცივილიზაციური სათავეების, გეოპოლიტიკური როლის, ისტორიული განვითარების გზებისა და ცივილიზაციური ორიენტირების კვლევაში შემუშავებულია გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომები.

**პირველი მიდგომა** მსოფლიო ისტორიულ პროცესს განიხილავს თვითმყოფადი ცივილიზაციების ერთობლივი განვითარების კონტექსტში. თითოეულ მათგანს გააჩნია დამოუკიდებელი სულიერ-ზნეობრივი და გეოპოლიტიკური პრიორიტეტები. თითოეული ცივილიზაციის ევოლუცია მიდის დამოუკიდებელი გზით, რომელზეც იგი ითვისებს მისთვის მისაღებ სხვა სოციუმების ფასეულობებს. ეს ურთიერთგავლენა, და გარკვეულწილად, ურთიერთშერწყმა მრავალსაფეხურიანია და მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, კულტუროლოგიურ და სულიერ-მენტალურ სფეროებს. აღნიშნული პროცესი ხშირად საბედისწერო ხასიათს იღებს და სოციუმის ისტორიის მსვლელობას

ძირფესვიანდ ცვლის. რუსეთის წარსულში ამგვარ საბედისწერო ისტორიულ მოვლენებს შორის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ შემდეგის გამორჩევა:

- სლოვენსკის (ნოვგოროდის), კიევისა და ვლადიმირ-სუზდალის რუსეთის სახით მრავალპოლარული წარმართული რუსული სამყაროს ჩამოყალიბება;
- ქრისტიანობის მიღება;
- მოსკოვის რუსეთის გარშემო ყველა რუსული მიწების გაერთიანება და ერთპოლარული რუსული სამყაროს ჩამოყალიბება;
- ბიზანტიის იმპერიის ისტორიული მარცხი და მსოფლიო მართლმადიდებლობის ბურჯის როლის გადასვლა მოსკოვის რუსეთში;
- მესამე რომის სამყაროს მსოფლმხედველობისა და თვითმპყრობელური მონარქიის ძირითადი საფუძვლების ჩამოყალიბება;
- არეულობის ხანა და სამეფო დინასტიის შეცვლა XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე;
- პეტრე პირველის რეფორმების სახით რუსული სამყაროს ისტორიული საფუძვლების ძალადობრივი გზით მოშლა და რუსეთში ევროპული ტიპის აბსოლუტიზმის განმტკიცება;
- ევროპული იდეურ-ზნეობრივი ფასეულობების რუსულ საზოგადოებაში ძალადობრივი დანერგვა და ამის შედეგად არისტოკრატიული ელიტის ნაწილის გადაგვარება;
- 1917 წლის გეოპოლიტიკური კატასტროფა და ისტორიული რუსეთის ნგრევა;
- 1917-1991 წლის კომუნისტური ექსპერიმენტი, რომელმაც ვერ გაანადგურა რუსეთის ცივილიზაციური ორიენტირები და თვითონ დაემორჩილა მათ კრიტერიუმებს;
- რუსეთის გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში და მსოფლიოს აბსოლუტური ლიდერის როლში განმტკიცება;
- საბჭოთა კავშირის დაშლა და ახალი ისტორიული კონსერვატიული პრინციპების საფუძველზე ახალი რუსეთის ჩამოყალიბება.

ამ მიმართულების ერთერთი წარჩინებული წარმომადგენელია ნ.ი. დანილევსკი, რომელმაც რუსული ცივილიზაციური ბაზისის საფუძველზე შეიმუშავა მრავალხაზოვანი ისტორიის კონცეფცია. კულტურულ-ისტორიულ

ტიპებს დანილევსკი ახარისხებს მის მიერ ჩამოყალიბებული ისტორიის განვითარების კანონების მიხედვით, რომელთაშორის გამოარჩევს ლინგვისტურ, სახელმწიფოებრივ-ტერიტორიულ, კულტურულ-ეთნოგრაფიულ და ქრონოლოგიურ იდენტურობას (დანილევსკი 2011:109-113). ამ კრიტერიუმების საფუძველზე დანილევსკის გამოაქვს დასკვნა სლავური კულტურულ-ისტორიული კოდის არსებობის შესახებ, რომელიც ყველაზე სრულფასოვნად რეალიზებულ იქნა რუს ხალხში (დანილევსკი 2011:151).

**მეორე მიდგომა** ემყარება ერთხაზოვანი მსოფლიო ისტორიის კონცეფციას. ამ სკოლის წარმომადგენლები უნივერსალურად მიიჩნევენ ისტორიული განვითარების ევროპულ გზას, რომლის გავლა ყველა ხალხს მოუწევს. სწორედ ევროპული პროცესების მასშტაბი და სიღრმე განიხილება სოციუმის განვითარების შეფასების კრიტერიუმად. ფაქტიურად ჩვენ საქმე გვაქვს კვლევის საგნისადმი კონცეპტუალური მიდგომის არამხოლოდ უნიფიკაციასთან, არამედ მის ხელოვნურ გამარტივებასთან. ეს მიდგომა ვერ გამოავლენს ცალკეული სოციუმის ცივილიზაციურ მრავალფეროვნებას, ხოლო მრავალ მათგანს საერთოდ უარყოფს ევროპული “ეტალონისადმი” შეუსაბამობის გამო. რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში ეს მიდგომა ჩამოყალიბდა ევროპულ რაციონალისტურ აზროვნების შემოსვლისთანავე და ყველაზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა ს.მ. სოლოვიოვის ნაშრომებში. მიიჩნევს რა აპრიორი რუსეთისა და ევროპის ისტორიული გზების იდენტურობას, სოლოვიოვს ადგენს რუსეთის “ჩამორჩენილობის” ფორმულას. ეს ჩამორჩენილობა, სოლოვიოვის აზრით, განპირობებულია რუსული საზოგადოების შიდა სისუსტით, რომელიც მდგომარეობს მის ეთნო-ფსიქოლოგიურ და სოციალურ-კულტურულ თვისებებში და ასევე უზარმაზარ ტერიტორიაში. ამის გამო მას არ ძალუძს ევროპული პროგრესის ფარვატერში სვლა (სოლოვიოვი 1984:18-22).

შინაარსობრივად ისტორიის სწორხაზოვნების პრინციპი სრულიად შეესაბამება ლიბერალიზმის ფილოსოფიურ კონცეფციას, რომელიც ევროპული სოციალურ-პოლიტიკური ფასეულობების აბსოლუტურ პრიმატს აღიარებს. რუსული კონსერვატიული სკოლის მიერ ეს მიდგომა თავიდანვე უარყოფილია. კერძოდ, ნ. ნაროჩნიცკაია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ “სწორედ ს. სოლოვიოვმა პირველად ჩაატარა რუსეთის ისტორიის მასშტაბური კვლევა არა რუსული, არამედ დასავლეთ ევროპული “ზოგადკაცობრიული” თვალსაზრისით. მისი

უზარმაზარი ფუნდამენტალური ნაშრომი ფილოსოფიური არსით ეწინააღმდეგება არამხოლოდ სლავიანოფილობას, რომელიც უპირველეს ყოვლისა რელიგიური მსოფლმხედველობაა. სოლოვიოვს ვერ უპოვით რაიმე დადებით წარმოდგენას რუსულ კულტურასა და დამოუკიდებელ ისტორიულ შემოქმედებაზე" (ნაროჩნიცკაია 2003:91-92).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი მიდგომა გახდა რუსეთის ისტორიული წარსულის ცალმხრივი ნეგატივისტური შეფასების საფუძველი და განიხილავს მას შეზღუდული ცივილიზაციური პოტენციალის ქვეყანად.

**მესამე მიდგომა** მსოფლიო ისტორიულ პროცესს მოიაზრებს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების უნივერსალურ სისტემად, რომელიც ეროვნულ ფორმებში გამოვლინდება სხვადასხვა ცივილიზაციაში. ფილოსოფიური არსით, მესამე მიდგომა ძალიან ახლოსაა ისტორიის ცალხაზოვან ლიბერალურ კონცეფციასთან, რამეთუ იგივე უნივერსალისტურ პრინციპებს აღიარებს. ზემოაღნიშნულ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტორებზე პროექციით დასტურდება ცალხაზოვანი და უნივერსალისტური ისტორიოსოფიული კონცეფციების ერთიანი ლიბერალური საფუძველი.

ჩვენი აზრით, მსოფლიო ისტორიული პროცესის მრავალფეროვნებისა და მასშტაბურობის მოთავსება მხოლოდ სამი კონცეფტუალური მიდგომის ფარგლებში, არასრულად ასახვას კვლევის საგნის შინაარსს, მიმართულებებსა და ამოცანებს. ეს მითუმეტეს ეხება რუსეთის ისტორიას, რომელიც წარმართობის ხანიდან ყალიბდებოდა რუსული ეროვნული ბირთვის გარშემო გაერთიანებული მრავალეროვნული ცივილიზაციის სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეთნიკურად ერთიანი რუსული სამყაროს ფარგლებშიც კი რუსეთის ცივილიზაცია წარმოდგენილი იყო რამდენიმე მსხვილი ცენტრით. უკიდეგანო ცივილიზაციურმა სივრცემ განაპირობა ყოფის, ლინგვისტიკის, სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მრავალსახეობა. რუსულ მრავალფეროვნებას ემატებოდა ჩრდილო-დასავლეთიდან სკანდინავური (ვარიაგული და ფინურ-უგრული), ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან თურქულ-მაჰმადიანური და კონფუციანურ-დაოსისტური ელემენტები. რუსების მიერ ევრაზიული სივრცის ათვისებისთანავე ისინი რუსეთის ცივილიზაციური კოდის შემადგენელი ნაწილი ხდებოდნენ. **აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია მრავალხაზოვანი ისტორიოსოფიული**

**კონცეფციის ფარგლებში ჩატარდეს მრავალხაზოვნობის ფაქტორის მკვეთრი გამიჯვნა საერთაშორისო (ცალკეულ ცივილიზაციებს შორის ურთიერთობები) და რეგიონალურ (ცალკეული ცივილიზაციების შიდა მულტიპოლარულობა) დონეებზე.**

ამასთანავე ტრადიციულად გამოარჩევენ გრძელვადიან ფაქტორებს, რომლებმაც გადამწყვეტი ზეგავლენა იქონიეს რუსეთის ისტორიულ განვითარებაზე:

- ბუნებრივ-კლიმატური;
- გეოპოლიტიკური;
- კონფესიური;
- სოციალური ორგანიზაციის ფორმა.

ყოველი ამ ისტორიული ფაქტორის აქტუალობა და მართებულება უდავოა. მათი უნივერსალისტური ბუნების მიუხედავად, ისინი სრულიად შეესაბამებიან რუსეთის ისტორიის კვლევის მიზნებსა და ამოცანებს.

**მიგვაჩნია, რომ ამ ფაქტორებთან ერთად აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორიც, რომელიც ცივილიზაციური იდენტურობის ერთერთი ძირითადი მაჩვენებელია. ეს მითუმეტეს ეხება რუსულ ცივილიზაციას, რომელსაც წარმართობის ხანიდან მოყოლებული დღემდე ახასიათებს მრავალეროვნულობა და მრავალკონფესიურობა. მსოფლიო ისტორიაში არ არსებობს რაიმე აბსტრაქტული ცივილიზაციის ეტალონი. ნებისმიერი ცივილიზაცია ჩაისახება და განვითარდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მჭიდრო კავშირში ცივილიზაციური სათავეების მატარებელი ნაციის ეთნოფსიქოლოგიურ წყობასთან. კონფესიური და სოციალური ფაქტორების თავისებურება პირდაპირ განპირობებულია კონკრეტული ხალხის ეროვნული და ფსიქოლოგიური თავისებურებებით.**

თუ რუსეთის ისტორიული განვითარების ფაქტორების კლასიფიკაციაში მკვლევარებს შორის არსებობს გარკვეული ერთსულოვნება, მათი განმარტებები და დასკვნები მკვეთრად განსხვავდება რუსეთის ისტორიაზე ამ ფაქტორების ზეგავლენის შეფასებაში.

მაგალითად, რუსეთის მკაცრი ბუნებრივ-კლიმატური პირობები მკვლევარების ნაწილის მიერ მოიაზრება რუსი ხალხის ეთნოფსიქოლოგიური

წყობის, აღწარმოების ფორმისა და სოციალური ორგანიზაციის ჩამოყალიბების გადამწყვეტ ფაქტორად.

კერძოდ, აკადემიკოსი ლ.ვ. მილოვი, საუბრობს რა მძიმე კლიმატურ პირობებზე, მიდის დასკვნამდე რუსეთში საზოგადოებრივი შრომის გზით მოპოვებული ეროვნული სიმდიდრის ქრონიკულ უკმარისობის შესახებ (მილოვი 2003:771-774). მისი აზრით, ასეთი ვითარება მოითხოვდა მაქსიმალურად ხისტ სახელმწიფო ორგანიზაციასა და საზოგადოებრივი შრომის მობილიზაციას, რაც გამოიხატა ბატონყმობის შემოღებაში. ამის შედეგად ჩამოყალიბდა “სახელმწიფო ხელისუფლების დესპოტური ფორმა – რუსეთის თვითმპყრობელობა” (მილოვი 2003:775).

რუსეთის დაბალი ცივილიზაციური პოტენციალის განმსაზღვრელ ნეგატიურ გეოპოლიტიკურ ფაქტორებს შორის ასევე ასახელებენ “ფართო და სუსტად დასახლებულ ტერიტორიებს” და “საუკუნეების მანძილზე ზღვებისაგან და საზღვაო ვაჭრობისაგან მოწყვეტილობას” (სოლოვიოვი 2001:12).

ამ გარემოებების ერთობლიობის საფუძველზე ვ.ო. კლიუჩევსკის გამოაქვს დასკვნა “ორმაგი” და “შეზღუდული” რუსული მენტალიტეტის შესახებ, რომელსაც არ ძალუძს გარე სამყაროს ადეკვატური აღქმა (კლიუჩევსკი 1993:105-106).

შრომის დაბალი ნაყოფიერებითა და მძიმე ბუნებრივ პირობებში კოლექტიური გადარჩენის აუცილებლობით ხსნის რუსული თემის ჩამოყალიბებას ე.ვ. მირონოვი (მირონოვი 2011:143-150). მისი აზრით, ევროპისაგან რუსეთის “მუდმივი ჩამორჩენა” აიხსნება ქვეყანაში სრულფასოვანი კერძო საკუთრების არასებობით XX საუკუნის დასაწყისამდე.

ისტორიული ფაქტების ანალიზი უარყოფს ამგვარ დასკვნებს.

მკაცრი კლიმატური პირობები არ იყო ფატალური რუსული საზოგადოებისათვის. ისტორიული წყაროები ადასტურებენ ძველი რუსეთის განვითარების მაღალ დონეს, რომელიც არამხოლოდ არ ჩამორჩებოდა ევროპასა და აზიას, არამედ ზოგიერთ მაჩვენებლით მათ აღემატებოდა.

ამ კუთხით ჩვენ უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გავამახვილოთ მემატიანე ბერი ნესტორის “გარდასულ წელთა ამბავზე”. სლავური ისტორიის დასაბამს ნესტორი ათარიღებს ბიბლიური ნოეს ხანით. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს მისი მოთხრობა სლავების ქვეყანაში

მოციქული ანდრია პირველწოდებულის მოგზაურობის შესახებ, როდესაც მან იწინასწარმეტყველა ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფოს - კიევის რუსეთის შექმნის დრო და ადგილი. ამ მისიონერული მოგზაურობის დროს ანდრია პირველწოდებულმა სლავების ძველ დედაქალაქს – სლოვენსკს (დღევანდელ დიდ ნოვგოროდს) მიაღწია, საიდანაც სკანდინავიაში გადავიდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სამოციქულო მოძრაობის მიზანი იყო ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება და მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის დაარსება. სამოციქულო მოძრაობის გეოგრაფია უპირველეს ყოვლისა ვრცელდება იმდროინდელი სამყაროს ძირითად ცივილიზაციურ ცენტრებზე – ძველ საბერძნეთსა და რომზე. ეს სავსებით გასაგებია რადგან ძველი სამყაროს წამყვანი რეგიონების გაქრისტიანება ახალი სარწმუნოების გლობალური გამარჯვების აუცილებელი წინაპირობა იყო. ამიტომ ანდრია პირველწოდებულის ინტერესი რუსეთისადმი ადასტურებს ანტიკური ხანის სლავური სამყაროს მაღალ ცივილიზაციურ დონეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ სლავების მაღალი ტოლერანტობა ახალი სარწმუნოებისადმი, რასაც უშუალოდ ანდრია პირველწოდებული ადასტურებს (თქმულება 1950:144-145).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირველწყაროა 904 წლით დათარიღებული რაფელშტეტენის საბაჟო წესდება, სადაც ცალკე არის გაწერილი რუსი ვაჭრების უფლება-მოვალეობანი (რაფელშტეტენი 1897:250-252). აღსანიშნავია, რომ მათ მიერ წარმოდგენილ საქონლის ნუსხაში ნახსენებია როგორც რუსეთისათვის ტრადიციული ფიჭა-სანთელი, თაფლი და ბეწვეული ასევე ხორბალი, მარილი და ცხენები. ამ ტიპის საქონლის გამომუშავება მოითხოვს სრულფასოვანი წარმოების ციკლს, ხოლო ვაჭრობისათვის განკუთვნილი მისი ჭარბი ნაწილი უკვე არამხოლოდ საწარმოო ძალების, არამედ სოციალური თვითორგანიზაციის მაღალ დონეს ადასტურებს. საზოგადოებაში ამ სახის დამატებითი პროდუქტის არსებობა მიუთითებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე. რუსი ვაჭრების ცალკე მოხსენიება საერთაშორისო საბაჟო წესდებაში მოწმობს რუსეთის სახელმწიფოს მაღალ საერთაშორისო სტატუსის შესახებ. ეს გარემოება ასევე ადასტურებს რუსეთში შიდა და საგარეო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მაღალ დონეს. რუსული საზოგადოების ფინანსებისა და ეკონომიკის განვითარებას უძლიერეს სტიმულს აძლევდა სავაჭრო გზა "ვარიაგებიდან ბერძნებში", რომელიც

აკავშირებდა ევროპას ბიზანტიასთან და ახლო აღმოსავლეთთან. ამ სავაჭრო გზის დიდი ნაწილი სწორედ რუსეთის ტერიტორიაზე გადიოდა, რის გამოც, ზღვებთან პირდაპირი გასასვლელის არქონის პირობებშიც კი რუსეთი მუდამ იმყოფებოდა მსოფლიო ვაჭრობის ცენტრში.

ასევე ვერ უძლებს კრიტიკას მტკიცებულება ძველი რუსეთის მცირე მოსახლეობის შესახებ. უკვე X საუკუნის მიწურულს რუსეთში 25 (ოცდახუთი) მსხვილი ქალაქი იყო აღრიცხული, ხოლო მონღოლთა შემოსევის წინა პერიოდში მათ რიცხვმა 300 (სამასს) მიაღწია (ბუროვსკი 2013:141). ქალაქის წარმოშობა და ქალაქების ქსელის ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ რაც სოციუმის ცივილიზაციური დონე გასცდება უბრალო მატერიალური აღწარმოების ფარგლებს და მოითხოვს ბევრად უფრო რთულ სოციალურ ორგანიზაციას. საუბარია ამ თვითორგანიზაციის სახელმწიფოებრივ, საფინანსო, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, კულტურულ ფუნქციონალურ სფეროებზე. მათი ინსტიტუციონალური ჩამოყალიბება შესაძლებელია მხოლოდ ქალაქების საზოგადოების მართვის ინტელექტუალურ მაორგანიზებელ ცენტრებად გამოყოფის შემთხვევაში. სწორედ ქალაქები არიან ნებისმიერი ერის სახელმწიფოებრიობის ბაზისისა და ცივილიზაციური სიმწიფის მაჩვენებელი.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ რუსეთში ქალაქები წარმოიშვა ეკონომიკური და სამხედრო კუთხით სტრატეგიულ წერტილებში და ჩამოყალიბდა რუსეთის ერთიანი გეოპოლიტიკური სივრცის ორგანულ შემადგენელ ნაწილად. რუსული ქალაქები არამხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრები, არამედ მრავალპოლარული რუსული სამყაროს ცენტრებიც იყვნენ (ფროიანოვი 1980:242-243). ამისაგან განსხვავებით, ევროპაში ქალაქების ჩამოყალიბება თავიდანვე არსებული წყობისადმი ოპოზიციურ ხასიათს ატარებდა.

ჩატარებული ანალიზი ადასტურებს ბატონყმობის ჩამოყალიბებისა და რუსული თვითმპყრობელური დესპოტიზმის ზემოაღნიშნული კონცეფციის უსაფუძვლობას. რუსეთში ბატონყმობის ფორმირება ძალზედ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც დასაბამს იღებს ძველი რუსული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალიბებიდან და სრულდება XVI საუკუნეში, რუსეთის თვითმპყრობელურ მონარქიად ჩამოყალიბებასთან ერთად. ამრიგად, ბატონყმობა ერთიანი რუსული გეოპოლიტიკური სივრცის ჩამოყალიბების პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. ამ სივრცის ეფექტური მართვა მისი უზარმაზარი

გეოგრაფიული ზომებიდან, მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური ხასიათიდან გამომდინარე მოითხოვდა საზოგადოების მკვეთრ წოდებრივ-წარმომადგენლობით დიფერენციაციასა და მტკიცე სახელმწიფო ხელისუფლების არსებობას.

გარდა ამისა რუსეთში ბატონყმობისადმი ხელშემწყობ ფაქტორებს შორის უნდა დავასახელოთ:

- სახელმწიფო ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი თვითმმართველობის საჯარო ხასიათი;
- მსხვილი საგვარეულო არისტოკრატიის ძალაუფლების ქვეშ საზოგადოების გაერთიანების აუცილებლობა შიდა და საგარეო საფრთხეებისაგან დასაცავად;
- მსხვილი ბოიარებზე გლეხობის ფინანსურ-ეკონომიკური დამოკიდებულება.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსული თვითმპყრობელობა არასოდეს ატარებდა დესპოტურ ხასიათს რამეთუ თავდაპირველადვე დამყარებული იყო უზენაესი სამეფო ხელისუფლების ყველა სოციალურ ჯგუფთან ინტერაქტიულ ურთიერთობებზე. ამ თვალსაზრისით მას არაფერი ჰქონდა საერთო ძველი ეგვიპტის, შუმერისა ან ჩინეთის კლასიკურ აღმოსავლურ დესპოტიებთან, რომლებიც აგებული იყო მბრძანებელის უკონტროლო პირად ძალაუფლებაზე და მის გაღმერთებაზე. დესპოტიზმი რუსეთში შემოვიდა XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც პეტრე პირველის რეფორმების შედეგად განმტკიცდა ევროპული ინსტიტუტებიდან გადმოღებული აბსოლუტიზმი. ნიშანდობლივია, რომ ეს დესპოტური რეჟიმი, იყო რა ორგანულად უცხო რუსული მენტალიტეტისათვის, მუდმივ საგარეო მხარდაჭერას საჭიროებდა და უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო ტრადიციულად რუსული თვითმპყრობელობის სათავეებთან დაბრუნება.

ერთიანი რუსული სივრცის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორად თავდაპირველადვე გამოდის ეთნოფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელიც გახდა რუსული თემის შექმნისა და განვითარების ქვაკუთხედი. სწორედ სლავების ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფსიქოლოგია გახდა მრავალპოლარული რუსული სამყაროს ერთობის საფუძველი.

ძველი რუსეთის სერიოზული ცივილიზაციური პოტენციალი დასტურდება მისი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დონით, და საერთაშორისო

სტატუსით, რაც დოკუმენტურად დაფიქსირებულია ლიტერატურულ ძეგლებში (დმიტრიევი ... 1969:326-327). ნოვგოროდის რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კულტურის მაღალ დონეს აღნიშნავს აკადემიკოსი ვ.ლ. იანინი (იანინი 2008:15-27). სლავური სამყაროს ჩასახვისა და განვითარების დეტალური კვლევა ჩატარებულია ს.ვ. ალექსეევის მიერ (ალექსეევი 2009:107-108). ფართო ფაქტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე ავტორი ასაბუთებს სლავურ სამყაროში სრულფასოვანი სოციალური თვითორგანიზაციისა და მკვეთრად გამოხატული სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობას. ამ ორი ფაქტორის ერთობლიობამ დასაბამი დაუდო სახალხო კრების პრინციპზე დაფუძნებულ მრავალპოლარულ რუსულ ცივილიზაციას.

ლ.ე. შაპოშნიკოვი ყურადღებას ამახვილებს რუსული ცივილიზაციის სულიერ მხარეზე, რომელიც განპირობებულია ეროვნული ფსიქოლოგიის თავისებურებებით. ავტორი არგუმენტირებულად ასაბუთებს რუსული სახალხო კრების საეკლესიო, სოციალური და ეთნიკური ფესვების როლსა და მნიშვნელობას. იგი განსაკუთრებულად გამოარჩევს საზოგადოებრივ აზრში სახელმწიფო ინსტიტუტების რელიგიურ აღქმას, რომელიც აბსოლუტურად დომინირებდა პოლიტიკურ და სამართლებრივ მხარეზე (ბელარუსი 2011:17). ეს ადასტურებს რუსული სახელმწიფოს, როგორც სოციუმის უმნიშვნელოვანი ინსტიტუტის ეროვნულ სტატუსს. სახელმწიფო თავიდანვე ასრულებდა მაორგანიზებელ როლს და სლავური ეთნიკური ფსიქოლოგიის განუყოფელი ნაწილი იყო, რომელიც მას აღიქვავდა არა ძალდატანების არამედ რუსული სახალხო კრების ფარგლებში მოქმედ აუცილებელ მაორგანიზებელ ძალად (ბელარუსი 2011:17-18).

ამრიგად, ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი:

- რუსული ცივილიზაციის სათავეები დასაბამს იღებს ანტიკურ ხანაში;
- რუსული ცივილიზაცია თავიდანვე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი თვითაღწარმოებადსოციუმად, რომელიც ორგანულად შეეწყო მეზობელ ხალხებსა და ქვეყნებს;
- უკვე ამ პერიოდში სლავებს გააჩნიათ საზოგადოებრივი თვითმმართველობის პრინციპებზე დამყარებული მაღალი დონის სოციალური თვითორგანიზაცია, რამაც საბოლოო ასახვა ჰპოვა რუსულ სახალხო კრებაში;
- წარმოადგენდა რა მრავალი ცივილიზაციური ცენტრების ერთობლიობას,

რუსული ცივილიზაცია იყო მრავალპოლარული ბუნებისა და თავდაპირველადვე გასცდა ცალკეული რეგიონის სახელმწიფო საზღვრებს;

- რუსეთის ცივილიზაციურ სათავეებს შეადგენს ობიექტური და სუბიექტური ცივილიზაციური ფაქტორების ერთობლიობა, რომელშიც გადამწყვეტი როლი შეასრულა ეთნიკური ფსიქოლოგიის ფაქტორმა;
- რუსული ცივილიზაციის სათავეები ინარჩუნებენ თვითმყოფადობასა და მდგრადობას რუსეთის მთელი ისტორიის განმავლობაში.

## §2. პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია

"გარდაქმნის" პოლიტიკის შედეგად შეიცვალა საზოგადოებრივი ფორმაცია არამხოლოდ რუსეთში, არამედ გლობალურ მასშტაბში. რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ე.წ. "პოსტსაბჭოურ პროცესებს" არ გააჩნიათ პრეცედენტი რუსეთის ისტორიაში და ბევრად აღემატებიან XVI-XVII და XX საუკუნის დასაწყისის მოვლენებს. ეს პროცესები საზოგადოებრივი წყობის საფუძვლებს შეეხება, მათ შორის ეკონომიკურ წყობას, სახელმწიფო-პოლიტიკურ სტრუქტურას, მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების სისტემასა და კულტურულ მემკვიდრეობას.

"პოსტსაბჭოური პროცესების" დომინირების შედეგად რუსეთში დროებით გაბატონდა ლიბერალიზმის თეორიული (მმართველი ელიტის იდეოლოგია) და პრაქტიკული (მმართველი ელიტის შიდა და საგარეო პოლიტიკა) პოზიციები. ამას მოჰყვა ქვეყნის ძირითადი ცივილიზაციური მაჩვენებლების კატასტროფული ვარდნა ეკონომიკაში, პოლიტიკაში, დემოგრაფიაში, კულტურაში, საკუთარი ეროვნული და კულტურული იდენტურობის გააზრებაში. ამასთანავე ლიბერალურმა რეფორმებმა საძირკველი ჩაუყარეს დასავლეთ ევროპული ტიპის მრავალპარტიულ სისტემასა და დემოკრატიულ ფასეულობებს.

რუსული საზოგადოების უმრავლესობამ უარყო ლიბერალიზმი, რომელსაც პირდაპირ უკავშირებს ქვეყნის გეოპოლიტიკური სტატუსის დაცემასა და ცხოვრების პირობების გაუარესებას. XXI საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, რუსეთის მმართველ წრეებსა და ფართო საზოგადოებრივ მასებში დომინირება მოიპოვა კონსერვატიზმმა. ხაზი უნდა გავუსვათ, რომ თანამედროვე რუსული კონსერვატიზმი ძირფესვიანად განსხვავდება დასავლეთ ევროპულისაგან. რუსული კონსერვატიზმი პირდაპირ მიმართავს რუსულ ეროვნულ ტრადიციებს,

რომელიც დანგრეული იყო ლიბერალიზმის მიერ. რუსი თეორეტიკოსები თავის კვლევებში მიმართავენ რუსული კონსერვატიზმის სრულ ისტორიულ პოტენციალს, რუსეთის სოციუმის ჩამოყალიბების დროიდან მოყოლებული. მათგან განსხვავებით, დასავლური კონსერვატიზმის ამოცანაა შეინარჩუნოს XVII-XVIII საუკუნეების ლიბერალური რევოლუციების შედეგად ჩამოყალიბებული სტატუსკვო. არსებითად თანამედროვე დასავლური კონსერვატიზმი გამოდის ევროპის ლიბერალური სისტემის დამცველად.

თანამედროვე რუსეთში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების სირთულე პირდაპირ განპირობებულია მიმდინარე ისტორიული მომენტის ხასიათითა და მასშტაბით. უკანასკნელი საუკუნის მეოთხედში რუსეთმა ყოვლისმომცველი ტრანსფორმაციის ურთულესი გზა განვლო. ეს პროცესი აღინიშნა საბჭოთა კავშირის დაშლით, ცივილიზაციური მოდელის ცვლილებით, გეოგრაფიული საზღვრების გადანაცვლებით, საერთაშორისო სამართლის ახალი სუბიექტების წარმოშობით, ევრაზიული და საერთაშორისო მასშტაბში გეოპოლიტიკური პრიორიტეტების გადახედვით. უნდა აღვნიშნოთ, რომ “გარდაქმნისა” და “პოსტსაბჭოური პროცესების” უარყოფითმა შედეგებმა ბევრად გადააჭარბეს ქვეყნის მიერ მთელი წინამორბედი ისტორიის დანაკარგებს. “პოსტსაბჭოური პროცესების” გაქანება და შინაარსი სისტემურ ხასიათს ატარებს, რის გამოც ისინი რუსეთის ცივილიზაციურ იერსახეს შექმნიან მიმდინარე საუკუნეში.

აღნიშნული მიზეზების გამო პოსტსაბჭოური პროცესები რჩება რუსული კონსერვატიზმის კვლევის უმნიშვნელოვანეს ობიექტად. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა გამოირჩევა მიდგომების ფართო სპექტრით, რომელიც განპირობებულია თანამედროვე რუსული კონსერვატიული სკოლის სახეობებითა და მიმართულებებით.

რუსული ნაციონალიზმის წარმომადგენლები ა.ი. სოლჟენიცინი (სოლჟენიცინი 1995), ვ.გ. რასპუტინი (რასპუტინი 1994), ი.რ. შაფარევიჩი (შაფარევიჩი 2009) რუსეთის სახელმწიფო ისტორიას განიხილავენ როგორც ეროვნული თვითმყოფადობის მუდმივ ბრძოლას მავნე გარე ზეგავლენის წინააღმდეგ. მათ თეორიულ კონსტრუქტების ბირთვს შეადგენს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციური ინსტიტუტების დამცველობის ფუნქცია. ნაციონალ-პატრიოტული სკოლის გნოსეოლოგიური ბაზისი არის

მართლმადიდებლობა. ისტორიული წარსულის, რუსული ეთნიკური და სულიერი ფაქტორის როლის შეფასებაში ნაციონალისტების მოსაზრებები პირდაპირ ემთხვევა რუსული მართლმადიდებლობის დებულებებს. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულების წარმომადგენლები რუსეთის რევოლუციამდელ ქარიზმატულ პიროვნებებთან ერთად პატივს მიაგებენ საბჭოთა ეპოქის მოღვაწეებს, რომლებმაც დიდი ღვაწლი შეიტანეს რუსეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში.

პოსტსაბჭოური პროცესების რელიგიური კონცეპტუალიზაცია კონცენტრირებულია ძირითადად ზემოთგანხილული თანამედროვე სასულიერო პირების ნაშრომებში. სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს შორის, ვინც შეისწავლის პრობლემატიკას რუსული ღვთისმეტყველების ფარგლებში, უნდა დავასახელოთ ვ.ე. ვალდენბერგი (ვალდენბერგი 2006), ა.ა. ვასილიევი (ვასილიევი 2011), ვ.ა. ტომსინოვი (ტომსინოვი 2003), ა.ს. უსაჩოვი (უსაჩოვი 2015), დ.ე. ლეტნიაკოვი (ლეტნიაკოვი 2012). მართლმადიდებლური დოგმატიკის საფუძველზე შეისწავლიან თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებს რუსეთში ო.ა. პლატონოვი (პლატონოვი 1997), ტ.ვ. გრაჩოვა (გრაჩოვა 2013), ა.მ. ვერხოვსკი (ვერხოვსკი 1995).

ავტორთა ჯგუფი ცდილობს მართლმადიდებლური კონსერვატიზმის დაყოფას პროგრამული პუნქტებისა და კონცეპტუალური შინაარსის მიხედვით ნაციონალ-კონსერვატორებად, მართლმადიდებლურ ნეოტრადიციონალისტებად და კონსერვატიულ მონარქისტებად (კონოვალოვი ... 2013:181-188). ჩვენი აზრით, ამგვარი დაყოფა მეტად ხელოვნურ ხასიათს ატარებს, რადგან ყველა მიმართულებას ერთიანი ფილოსოფიური ბაზისი გააჩნია და ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. იმის გათვალისწინებით, რომ სოციალური წყობის ნებისმიერი საღვთისმეტყველო მოდელი დაფუძნებულია ცნობილ ტრიადაზე “მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ერი”, ასეთი დაყოფის გაუმართლებლობა ნათელი ხდება.

პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია რუსული საზოგადოების ინტელექტუალური ელიტის კვლევის ერთერთი ცენტრალური საგანია. “ინტელექტუალური ელიტის” კატეგორია მოიცავს საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ სამეცნიერო-კულტურული ინტელიგენციის ფართო წრეებს, სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ჩინოვნიკებს, პარტიულ ნომენკლატურას. ინტელექტუალური ელიტა საბჭოთა საზოგადოების სრულფასოვანი სოციალური

კლასი იყო, რომელსაც გააჩნდა მტკიცე პოზიციები საბჭოთა წყობის სოციალურ იერარქიაში. პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩამოყალიბებული პარაზიტული ბიზნესისა და პოლიტიკური ელიტისაგან განსხვავებით, საბჭოთა ინტელექტუალური ელიტა აღზრდილი იყო მკაცრი სახელმწიფოებრივი ინტერესების, საზოგადოებრივი კეთილდღეობის პირად ინტერესებზე დომინირების ზნეობრივ-მენტალურ პრინციპებზე. სწორედ მან შეინარჩუნა რუსეთის სახელმწიფო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ძირითადი ინსტიტუტები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. რუსეთის ინტელექტუალური ელიტა კიდევ შეძლებდა საბჭოთა სისტემის მოშლასთან შეგუებას, მაგრამ იგი არასოდეს შეეგუება XX საუკუნის 90-იან წლებში გამოკვეთილი რუსული დიდმპყრობელობის სტატუსის დაკარგვას. რუსეთის ინტელექტუალური ელიტა კონსერვატიულია უკვე მორალურ-ზნეობრივი თვისებებისა და განათლების გამო, რომლებიც ემყარებიან რუსული სახელმწიფოებრიობის ხელშეუხებლობისა და დომინირების იდეას.

ინტელექტუალური ელიტის სახელმწიფო ინტერესების კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს “ნეოკონსერვატორების მანიფესტი” (მანიფესტი 2007). აცხადებენ რა “წმინდა დემოკრატიისადმი” ერთგულებას, მანიფესტის ავტორები სინამდვილეში იმეორებენ რუსული სახალხო კრების პრინციპებს, რომელიც პეტრე პირველის წინამდებარე ხანაში რუსეთის პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო და XIX საუკუნეში მისი ნაწილობრივი აღორძინება მოხდა. ფრიად საეჭვოა ნეოკონსერვატორების მიერ დასავლური პოლიტიკური გამოცდილების იდეალიზაცია, რადგან სწორედ დასავლურ სოციალურ მოდელზე ორიენტაცია XX საუკუნის რუსული კატასტროფის მთავარი კატალიზატორი გახდა. აღნიშნული დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსული ინტელექტუალური ელიტის მიერ ქვეცნობიერ დონეზე კონსერვატიული ფასეულობების აღმსარებლობას.

ამრიგად ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმში პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია მიმდინარეობს შემდეგი ფაქტორების ზეგავლენის ქვეშ:

- ღრმა სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე საზოგადოებრივი თვითმმართველობის წოდებრივ-წარმომადგენლობითი მოდელი რომელიც დამყარებულია ხელისუფლებისა და ხალხის მჭიდრო ინტერაქტიულ ურთიერქმედებაზე;

- კიევის რუსეთის ხანიდან მოყოლებული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიისა და საერო ხელისუფლების მოღვაწეების მიერ ნორმატიულ-სამართლებრივი ლიტერატურის სახით შექმნილი ფუნდამენტური კონსერვატიული ისტორიულ-ფილოსოფიური ბაზისი, რომელშიც ჩამოყალიბებულია სლავების ცივილიზაციური წყობის ძირითადი შინაარსი და ფორმები;

- საბჭოთა ტიპის სოციალური თვითორგანიზაციის ისტორიული გამოცდილება, როდესაც რუსული საზოგადოებისათვის სრულიად უცხო ხელისუფლების კოსმოპოლიტური კომუნისტური მოდელი გარდაიქმნა ავტორიტარულ მრავალეროვნულ სახელმწიფოდ მკვეთრად გამოხატული რუსული ცივილიზაციური ვექტორით.

რუსული კონსერვატიზმი ეყრდნობა შემდეგ ფუნდამენტურ თეორიულ და პრაქტიკულ პრინციპებს:

- იმპერიული ტიპის სახელმწიფო მართვის ერთიანი სისტემა. “დიდმპყრობელობა” რუსეთის სახელმწიფოებრიობის განუყოფელი ატრიბუტია, ისტორიული ეპოქისა და საზოგადოებრივი ფორმაციის მიუხედავად;

- ერთიანი ეროვნული თვითშეგნება, რომელიც დამყარებულია ისტორიულად ჩამოყალიბებულ რელიგიურ და საერო ფასეულობებზე;

- ერთიანი მრავალეროვნული რუსი ხალხი, რომელშიც რიცხოვნობისა და სახელმწიფო ტრადიციების გამო წამყვანი როლი ეკუთვნის რუს ერს;

- ერთიანი რუსული გეოპოლიტიკური სივრცე, რომელსაც ევრაზიის ძირითადი და საკვანძო ნაწილი უკავია;

- რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებისა და მსოფლიო ზესახელმწიფოს დაბრუნების მიზნით ევროპული და აზიური პოტენციალის ამოქმედება;

- სამყაროსა და საზოგადოების წყობის დასავლური მოდელის ყველა სახეობის უარყოფა.

თეორიული ბაზისისა და პოლიტიკური პარტიების მოღვაწეობის სინთეზის საფუძველზე კონსერვატიზმი უკვე განმტკიცდა დღევანდელ რუსეთში პოლიტიკურ ტრადიციად და მჭიდროდ დაიმკვიდრა ადგილი სახელმწიფო მართვის სისტემაში. პოლიტიკოსების მიერ კონკრეტული ისტორიული მოვლენებისადმი მიცემული შეფასება ყოველთვის ატარებს გარკვეულ

იდეოლოგიურ დატვირთვას და ამ პირების სოციალური სტატუსისა და ავტორიტეტიდან გამომდინარე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. შესაბამისად ეს პოლიტიკოსები გამოდიან რუსულ საზოგადოებაში კონსერვატიზმის თეორიული პოსტულატების ძირითად პოპულარიზატორებად, რადგან თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით გამოდიან მასების მენტალიტეტისათვის გასაგები განზოგადებული პროგრამებით.

თანამედროვე რუსულ კონსერვატიულ სკოლაში პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაცია მიმდინარეობს შემდეგი ოთხი ძირითადი მიმართულებით:

***პირველი მიმართულება*** შეისწავლის საბჭოთა ცივილიზაციურ მოდელს. საბჭოთა ეპოქის უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიჩნეულია საბჭოთა სახელმწიფოს მიერ რუსული ცივილიზაციური ბირთვის შენარჩუნება; ერთიანი რუსეთის იმპერიის ისტორიული შიდა და საგარეო იმპერატივების შემდგომი განვითარება.

***მეორე მიმართულება*** ისტორიულ-ფილოსოფიური კუთხით იკვლევს XX საუკუნის 90-იან წლებს. კვლევის ძირითად ასპექტებად განისაზღვრებიან:

- ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის ნგრევა და მისი ჩანაცვლება მმართველობის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელით;
- ცენტრიდანული პროცესები, ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისი, ერთიანი ეკონომიკური სივრცის დაშლა;
- სამოქალაქო ომი ჩეჩნეთში, ჩრდილო კავკასიისა და ზოგადად რუსეთის სამხრეთი რეგიონების დესტაბილიზაცია;
- ახალი კომპრადორული, ანტიეროვნული პოლიტიკური და ბიზნესის ელიტის ჩამოყალიბება;
- ნეგატიური პროცესები ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ მენტალიტეტში;
- საერთაშორისო პოზიციების დაკარგვა და რუსეთის გეოპოლიტიკური სივრცის დაშლა;
- დასავლური პოლიტიკური მოდელის საფუძველზე მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება და დემოკრატიული თავისუფლებების განმტკიცება.

***მესამე მიმართულება*** შეისწავლის 2000-2017 წლის ისტორიულ პერიოდს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა:

- სახელმწიფოს განვითარების ახალი ხედვის შემუშავებას; მსოფლიოს განვითარების გლობალური ტენდენციების ბუნებისა და გავლენის განსაზღვრას; თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის ადგილისა და როლის გააზრებას; სამომავლო პერპექტივების მონახაზის შემუშავებას;
- საპრეზიდენტო ხელისუფლების ერთიანი ხისტი ვერტიკალის შექმნას; რეგიონების ეკონომიკური და პოლიტიკური სეპარატიზმის ლიკვიდაციას;
- ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატიზმის პრობლემის ძალოვანი გზით გადაჭრას;
- თანამედროვე მაღალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მრავალპოლარული ეკონომიკის ჩამოყალიბებას;
- ყველა ცივილიზაციური მაჩვენებლების მქონე ზესახელმწიფოს სტატუსის ღია დეკლარაციას;
- რუსეთის საზოგადოების იდეოლოგიურ და სულიერ-ზნეობრივ დომინანტად კონსერვატიული ფასეულობების ოფიციალურ აღიარებას;
- ევრაზიული ცივილიზაციური მოდელის განსაზღვრა რუსეთის სამომავლო სახელმწიფო მოდელის საფუძვლად;
- აქტიური საგარეო პოლიტიკის ჩატარებასა და დაკარგული საერთაშორისო პოზიციების აღდგენას.

*მეოთხე მიმართულება* ორიენტირებულია რუსეთის სამომავლო საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი წყობის ფილოსოფიური კონცეფციის შემუშავებაზე; პოსტინდუსტრიულ და საინფორმაციო მსოფლიოში მისი გეოპოლიტიკური სტატუსის განსაზღვრაზე.

როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე რუსული კონსერვატიზმის იდეოლოგიის ჩამოყალიბება მიმდინარეობს ლიბერალურ პოლიტიკურ სკოლასთან მძაფრი ურთიერთბრძოლის პირობებში. რუსეთში კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის პერსპექტივების კომპარატივისტული ანალიზი გამოავლენს კონსერვატიზმის აბსოლუტურ უპირატესობას. რუსეთში კონსერვატიზმის ფუნდამენტურ ბაზად გამოდის ათასწლოვანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, ისტორიულ-ფილოსოფიური და კულტურული ტრადიცია. კონსერვატიზმი არამხოლოდ აღმოცენდა რუსეთის ისტორიულ სარბიელზე. თავისი არსით კონსერვატიზმი რუსი ხალხის ეროვნული იდენტურობის მაჩვენებელია. იგი, ასევე რუსული

მენტალიტეტისა და გლობალური რუსული იდეის საფუძველია. კონსერვატიზმი რუსული ცივილიზაციის ბუნებრივი მდგომარეობაა. კონსერვატიზმის იდეოლოგებმა მოახდინეს სახელმწიფოებრიობის ხანიდან ჩამოყალიბებული რუსული საზოგადოების ძირითადი მსოფლმხედველური პრინციპებისა და ფასეულობების სისტემატიზაცია და გაღრმავება. კონსერვატიზმი ყველაზე ნათლად გვიჩვენებს საზოგადოების ქვედა და ზედა ფენების ინტერაქტიურ ურთიერთობას, რაც ათასწლეულის მანძილზე სოციალური იერარქიის ერთიანობისა და სტაბილურობის გარანტია იყო. კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ რუსული კონსერვატიზმის მეცნიერული მიმართულების სახით ჩამოყალიბების პროცესის ქრონოლოგია ბევრად უსწრებს წინ ანალოგიურ მცდელობებს დასავლეთ ევროპაში (კალინინა 2004:47).

ლიბერალიზმის სახით ჩვენ სრულიად განსხვავებული სურათი წარმოგვიდგება. არის რა ორგანულად უცხო რუსეთის სოციალური ბაზისის, ეროვნული მენტალიტეტისა და კულტურული ტრადიციებისადმი, ლიბერალიზმი ვერასოდეს აღმოცენდებოდა რუსულ ეროვნულ ნიადაგზე. იგი შემოტანილია რუსეთში უცხოეთიდან და ამიტომ იმთავითვე განწირული იყო რუსეთის საზოგადოებაში გარიყულის სტატუსით. ის აღიარებული იყო მხოლოდ რუსული საზოგადოების ზედა ნაწილის მიერ, შესაბამისად, ლიბერალიზმმა განაპირობა ახალი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების ჩამოყალიბება, რომელიც მენტალურად გაუცხოვდა დანარჩენი საზოგადოებისაგან. ამის შედეგად ლიბერალიზმის გავრცელებამ საზოგადოებისადმი ძალადობრივი გზით უცხო იდეოლოგიის თავზე მოხვევის ხასიათი მიიღო, რამაც ცხოვრების პირობების გაუარესებასთან ერთად საბოლოოდ ჩამოაშორა ფართო მასები ლიბერალურ მოდელს. აღნიშნული დაპირისპირება შეურიგებელ ხასიათს ატარებს და ისტორიულ პერსპექტივაში შესაძლოა ძალიან მძაფრი სოციალური დაპირისპირების მიზეზი გახდეს.

თანამედროვე კონსერვატიული პოლიტიკური სკოლების მიერ ჩატარებული პოსტსაბჭოური პროცესების კონცეპტუალიზაციის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

- **საზოგადოებრივი პროცესების კვლევა და ისტორიული შეფასება სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან.** კონსერვატიული იდეოლოგია, არის რა ბუნებით ტრადიციონალისტური სათავეების დამცველი, საზოგადოების

განვითარების ერთერთ ფუძემდებლურ პრინციპად აღიარებს სახელმწიფოებრიობის ტრადიციას. სახელმწიფოებრიობა ის ერთადერთი სისტემის შემქმნელი ფორმაა, რომლის ჩარჩოებში შეიძლება მხოლოდ ძირითადი ცივილიზაციური მაჩვენებლების შენარჩუნება და სრულყოფა. ფუძემდებლურ ფაქტორებად აღიარებულია ეროვნული და დროებითი ჩარჩოების მიღმა მდგომი უნივერსალური ცნებები და ფასეულობები, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანური სოციუმის არსებობის ფუნდამენტურ წესებს. მრავალეროვნული და მრავალკონფესიური რუსეთისათვის ამ მიდგომას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

- **პოსტსაბჭოური პროცესების ცალმხრივად ნეგატიური შეფასება.** კონსერვატიზმი, მისი განშტოებების მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლასა და პოსტსაბჭოურ სივრცეში განვითარებულ პროცესებს განიხილავს როგორც უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფას არამხოლოდ რუსეთის, არამედ გლობალური მასშტაბით. ასეთი მიდგომის მთავარი საფუძველია საბჭოთა სისტემის ნგრევის შედეგები, რომელთა შორის ყველაზე მტკივნეულად აღიქმება რუსეთის საერთაშორისო გეოპოლიტიკური სტატუსის დაცემა. რუსულ მენტალიტეტში მსოფლიო ზესახელმწიფოს სტატუსი განუყრელად დაკავშირებულია ქვეყნის საერთო განვითარების დონესთან, მისი მოსახლეობის მატერიალურ და სულიერ კეთილდღეობასთან.

- **კონსერვატიული იდეოლოგიის უნივერსალისტური ხასიათი, რომელიც გამოვლინდება რუსეთის ერთიანი მძლავრი და იმავე დროს მრავალპოლარული ცივილიზაციური კოდის საფუძველზე რუსული საზოგადოების ყველა ეროვნული და კონფესიური კომპონენტების გაერთიანებაში.** რუსეთის სახელმწიფოს ევრაზიული ძლიერება დაფუძნებული იქნება ევროპულ რუსულ-სლავურ (ეთნიკური თვალსაზრისით) და მართლმადიდებლურ (სულიერ-ზნეობრივი თვალსაზრისით) ფაქტორებზე, რომელიც მჭიდრო კავშირშია აზიურ თურქულ-ისლამურ ფაქტორთან. აღნიშნული ცივილიზაციური მოდელის მთავარ კომპონენტებად გამოდის ორი მსოფლიო რელიგია – ქრისტიანობა და მაჰმადიანობა, რომლებსაც კონფესიური სხვაობების მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი ცხოვრების საკვანძო საკითხებისადმი ერთნაირი ფუნდამენტალისტური მიდგომა ახასიათებთ. ერთიანი ევრაზიული რუსეთის ფარგლებში სწორედ ეს გარემოება უნდა გახდეს

სლავური და თურქული მშვიდობიანი და ურთიერთ სასარგებლო თანაარსებობის იდეოლოგიური საფუძველი.

- **კონსერვატიზმის ფუნდამენტალური პრინციპების ისტორიული მემკვიდრეობითობა რევოლუციამდელი რუსეთისაგან საბჭოთა კავშირისთან და საბჭოთა კავშირისაგან – თანამედროვე რუსეთთან.** ამგვარი მიდგომა ერთგვარი პარადოქსულობის მიუხედავად, ემყარება ისტორიულ რეალიებს, რომლებიც რუსეთის ისტორიის განუყოფელი ნაწილია უკანასკნელი ასწლეულის მანძილზე. აღნიშნული მემკვიდრეობითობა განპირობებულია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლიობით, რომელთაშორის უნდა გამოვარჩიოთ შემდეგი:

- *რუსი ხალხის მენტალიტეტი.* ჩამოყალიბდა ათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციის საფუძველზე. რუსული მენტალიტეტი თავიდანვე დამყარებული იყო ორ ძირითად გარემოებაზე – სლავური რასის ბიოლოგიურ (გენეტიკურ) თვისებებზე, რომლებიც ხასიათდება უკიდურესი მდგრადობით უარყოფითი ბუნებრივი და საზოგადოებრივი პირობებისადმი და სულიერ-მენტალური თვისებებით, რომლებიც სრულყოფამდე მიიყვანეს მართლმადიდებლობის მკაცრმა ნორმებმა. სწორედ სლავური ეთნიკური ხასიათის ფსიქოლოგიური წყობითა და გენეტიკური თვისებებით აიხსნება რუსების მიერ მართლმადიდებლობის ასკეტური მოთხოვნების ათვისება და ათასწლეულის მანძილზე მათი უცვლელად შენახვა. საგულისხმოა, რომ დროის მსვლელობასთან ერთად სულიერი და ფიზიკური ფაქტორების ეს ერთობა მხოლოდ ძლიერდებოდა. ამის შედეგად რუსული ეროვნული მენტალიტეტი ურყევი დარჩა 1917 წელს ერთიანი რუსული გეოპოლიტიკური და სულიერი სივრცის დანგრევის შემდეგაც. რუსი ხალხი ცივილიზაციურ დონეზე იქნა მოწყვეტილი რუსული დიდმპყრობელობის კლასიკურ ტრიადას: მართლმადიდებლობას, თვითმპყრობელობასა და ეროვნულობას. ისტორიამ გვიჩვენა, რომ ამ პირობებშიც კი რუსების ბიოლოგიური (გენეტიკური) მეხსიერება ურყევი დარჩა. უპირველეს ყოვლისა ეს ეხება დიდმპყრობელობის შეგნებას.

- *სტალინის (რუსი სახელმწიფო მოღვაწეების) დაჯგუფების გამარჯვება ლენინელ-ტროცკისტების (კოსმოპოლიტი რევოლუციონერების) დაჯგუფებაზე.* ამის შედეგად შიდაპოლიტიკური ბრძოლის სუბიექტური ფაქტორი გარდაიქმნა ახალი საბჭოთა ცივილიზაციური მოდელის სახით რუსეთის სახელმწიფოებრივი

ძლიერების აღდგენის უმთავრეს ობიექტურ ფაქტორად. ესმოდა რა რუსეთის ისტორიული მომავლისათვის კომუნისტური სისტემის უტოპიურობა და დამღუპველობა, სტალინმა XX საუკუნის 30-იან წლებში ფარული სახელმწიფო გადატრიალება მოახდინა. სტალინმა ხელშეუხებლად შეინარჩუნა კომუნისტური იდეოლოგიისა და ხელისუფლების გარეგნული ატრიბუტები და მათი შინაარსი შეცვალა ისტორიული რუსული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სულიერ-ზნეობრივი ბაზისით. ამასთანავე სოციალურ-პოლიტიკურ პრაქტიკაში კავშირებისა და ყრილობების სახით ფართოდ იყო წარმოდგენილი ყველა სოციალური ჯგუფის, კლასისა და პროფესიის გაერთიანებები. ეს გაერთიანებები ფაქტობრივად, რუსული სახალხო კრების სახეშეცვლილ ფორმას წარმოადგენდა. ამის შედეგად საბჭოთა კავშირი, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო რუსეთის იმპერიაში ბინადარი რუსი და სხვა ხალხების ფიზიკური და სულიერი განადგურების იარაღად, გარდაიქმნა შემოქმედ სახელმწიფოდ, რომელშიც რუსი ხალხის ეგიდით სრულფასოვნად იყო უზრუნველყოფილი მასში მცხოვრები ყველა ერის პროგრესული განვითარების პირობები. ამ პროცესმა უკვე XX საუკუნის 40-იან წლებში დიად მიიღო დიდმპყრობელური ხასიათი, როდესაც სტალინმა აღადგინა რუსეთში საპატრიარქოს ინსტიტუტი და დაიწყო მზადება სახელმწიფო ხელისუფლების სათავეებისაგან პარაზიტული კოსმოპოლიტური პარტიული ნომენკლატურის ჩამოშორებისათვის, რადგან რუსეთის სახალხო კრების საფუძველზე გადაეცა იგი რუს ხალხს.

- *საბჭოთა კავშირის შიდა და საგარეო პოლიტიკაში იმპერიული რუსეთის გეოპოლიტიკური პრიორიტეტების შენარჩუნება.* აღნიშნული ტენდენცია სტალინის მთელი მმართველობის პერიოდს ახასიათებს დამის კულმინაციად იქცა საბჭოთა კავშირის გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში.

ამრიგად რუსეთის ისტორიული წარსულის, აწმყოსა და მომავალის გააზრების კონსერვატიული ტრადიცია ძირფესვიანად განსხვავდება სხვა ფილოსოფიური პარადიგმისაგან, რადგან რუსული ცივილიზაციური კოდის ძირძველ ფუნდამენტურ პრინციპებსეყრდნობა. ამ კუთხით სწორედ კონსერვატიზმი არის ისეთი პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება რუსეთის სახელმწიფოებრიობის ტრადიციებს და

საუკუნეების მანძილზე უზრუნველყოფს სხვადასხვა ხალხის თანაარსებობას უზარმაზარ ევრაზიულ სივრცეზე.

## §3. ძირითადი ცივილიზაციური მოდელები

XX საუკუნე რუსეთისათვის ბედის განმსაზღვრელი გამოდგა. დროის შედარებით მოკლე მონაკვეთში ქვეყანამ განვლო უმძიმესი განსაცდელის გზა, რომელმაც მისი ცივილიზაციური ბაზისი შეარყია. 1917 წელს ათასწლოვანი მართლმადიდებლური მონარქისტული ცივილიზაციის განადგურების შემდეგ, რუსეთმა განვლო უმძიმესი კომუნისტური სოციალური ექსპერიმენტის პერიოდი. ეს გარედან ძალდატანებით შემოსული სულიერებას მოკლებული უცხო სოციალური წყობა ორგანულად ეწინააღმდეგებოდა რუსულ გენეტიკურ კოდს, რაც გარდაუვალს ხდიდა მათ უსასტიკეს დაპირისპირებას. ამის შედეგად რუსეთმა უზარმაზარი მსხვერპლი გაიღო სამოქალაქო ომისა და შემდგომ ახალი სოციალური წყობის მშენებლობის პერიოდში. მაგრამ რუსეთის ცივილიზაციური პოტენციალი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ შეძლო მის ტერიტორიაზე დამყარებული უცხო სოციალური წყობის დამორჩილება, მისი სულიერად გარდაქმნა და საკუთარ სამსახურში ჩაყენება. ასე შეიქმნა სრულიად ახალი, ისტორიული ანალოგების არმქონე სტალინური საბჭოთა ცივილიზაცია. გარეგნული კომუნისტური ატრიბუტების მქონე, იგი სინამდვილეში წარმოადგენდა სახეშეცვლილ ისტორიულ რუსეთის იმპერიას, მისი ძირითადი გეოპოლიტიკური პრიორიტეტების შენარჩუნებითა და შემდგომი განმტკიცებით.

ამ თვალსაზრისით, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა XX საუკუნეში ისტორიული რუსეთის მეორე დაშლას წარმოადგენს. ამ გეოპოლიტიკური კატასტროფის შედეგებმა გამოიწვია ცივილიზაციური ცვლილებები გლობალური მასშტაბით, რომელთა ნეგატიური შედეგები დღემდე არ არის დაძლეული. რუსეთის ევრაზიული დომინირება შეირყა, რაც ნიშნავდა მსოფლიოში ჩამოყალიბებულ ძალთა ბალანსის დარღვევას და სხვა გეოპოლიტიკურ მოთამაშეებს შორის ბრძოლას ევრაზიულ სივრცეში გაბატონებისათვის. ეს იყო გლობალური კრიზისისაკენ პირდაპირი გზა, რომელიც შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა. ამგვარი საფრთხე დღესაც არსებობს.

ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ რუსეთის ამჟამინდელი ისტორიული ეტაპი გარდამტეხი ხასიათისაა და ხანგრძლივ პერსპექტივაში განაპირობებს ქვეყნის მომავალს. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რუსეთის ისტორიული პერსეპქტივების ფილოსოფიური გააზრება. რუსული კონსერვატიული სკოლისათვის ეს არის ცივილიზაციური მასშტაბის ამოცანა. ფუძემდებლურ კონსერვატიულ პრინციპებზე დაყრდნობით მას მოუწევს რუსული სამყაროს ახალი ხედვის ჩამოყალიბება, გლობალიზაციის პირობებში რუსეთის როლისა და ადგილის განსაზღვრა, მუდმივი გეოპოლიტიკური პრიორიტეტების შენარჩუნებით ქვეყნის განვითარების ახალი გზების გამოძებნა და თეორიული დასაბუთება.

ამრიგად, რუსულ კონსერვატიულ სკოლაში ცივილიზაციური მოდელების შემუშავებას გააჩნია სტრატეგიულ დატვირთვა და იგი სრულუფლებიანად შეიძლება განიხილებოდეს მოკლე და გრძელვადიანი თეორიული კვლევების პრიორიტეტად.

თანამედროვე რუსულ პოლიტიკურ იდეოლოგიაში გამოიკვეთა სამი ძირითადი მიმართულება, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ცივილიზაციური მოდელების შემუშავება:

- ხაზოვან-სტადიური;
- ლოკალური;
- დიალოგის.

**ხაზოვან-სტადიური მიმართულება** დამყარებულია ევროპულ რაციონალიზმზე და სოციუმის განვითარების დონის შეცვლას განიხილავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში. ფასეულობრივ კრიტერიუმად მიჩნეულია განვითარების ევროპული მოდელი, ხოლო ცივილიზაციური განვითარების დონე პირდაპირ შეფარდებაშია მატერიალური წარმოების საშუალებების დონესთან. ამ მეთოდოლოგიური მიდგომის საფუძველზე ყველა არაევროპული ცივილიზაციური ტიპი განიხილება არასრულფასოვან ბარბაროსულ წარმონაქმნად. ევროპული მოდელის აბსოლუტური სუპრემატიის დეკლარაცია პოტენციურად კონფლიქტური ბუნებისაა და გამორიცხავს სხვა სოციუმებთან თანასწორუფლებიან ურთიერთობებს. ხაზოვან-სტადიური მიმართულების ევროპოცენტრიზმი მნიშვნელოვნად ზღუდავს ისტორიულ ცოდნას, იწვევს მის დოგმატიზაციასა და სქემატიზაციას.

ნიშანდობლივია, რომ რაციონალიზმს, გარეგნული მიმზიდველობისა და მოთხოვნადობის მიუხედავად, რეალობაში ყველაფერი დაჰყავს მატერიალური სარგებელის პრაგმატულ გათვლამდე; აქედან გამომდინარე, ობიექტურად ეწინააღმდეგება სულიერებასა და ზნეობას. კერძოდ, “ცივილიზაციის პროცესის” თეორიის ავტორი ნორბერტ ელიასი კაცობრიობის ცივილიზაციას განიხილავს უნიკალური გაერთინების რაკურსში, სადაც დეტალურად კონტროლდება თითოეული წევრისა და მთელი სოციუმის ქცევა (ნორბერტი 2001:168-170).

ამასთან ერთად, რაციონალიზმი ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის რეგლამენტაციას, რომლის დაქვემდებარებაში მოაქცევს ობიექტური და სუბიექტური ურთიერთობების მთელ კომპლექსს. ეს იწვევს ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ბუნების შეზღუდვას და პრაგმატული გათვლისადმი მის დამორჩილებას. საბოლოო შედეგად ამას მოსდევს საზოგადოების სულიერი დეგრადაცია. ზნეობის სულიერი კატეგორია გარდაიქმნება რაციონალურ პრინციპად, მისი ფასეულობები კარგავენ აბსოლუტურ პრიორიტეტს და შერჩევით ხასიათის იძენენ. რაციონალური გათვლის ლოგიკა იწვევს ადამიანური საზოგადოების დეჰუმანიზაციას, ადამიანების ერთმანეთისაგან გაუცხოებას, ინდივიდუალიზმის უსაზღვრო ზრდას, ადამიანის სოციალური ბუნების დათრგუნვასა და უარყოფას.

როგორც ვხედავთ, ევროპოცენტრიოზმის მთავარი წინააღმდეგობა რუსულ კონსერვატიულ წყობასთან სწორედ სამყაროს რასობრივ, ეთნოფსიქოლოგიურ აღქმაშიმდგომარეობს. რაციონალიზმი, მისი ლიბერალური ბუნებისა და მოდერნიზმისაკენ პერმანენტული ლტოლვის გამო, უარყოფს ნებისმიერ პრინციპებსა და ფასეულობებს, რომელიც არ შეეფერება სამყაროს პრაგმატულ გააზრებას და “უვარგისია” მატერიალური ანგარების კუთხით. ამგვარი სტატუსკვო ყოვლად მიუღებელია რუსული საზოგადოებისათვის სწორედ მისი თემობრივი საჯარო ხასიათის გამო, რომელიც სლავების რასობრივი და ეთნიკური ფსიქოლოგიური თვისებებიდან გამომდინარეობს. ლიბერალური მოდელის შემოტანა ღია ან ფარული ძალადობის გზით რუსული ინდივიდუალური და სოციალური მენტალიტეტის გაორებას იწვევს,რაციონალურ აზროვნებას უპირისპირებს რუსების გენეტიკურ ეროვნულ და ფსიქოლოგიურ კოდს.

იმის გათვალისწინებით, რომ ლიბერალიზმის ღია დამკვიდრება ევროპაში დასაბამს XVI საუკუნის რეფორმაციასთან ერთად იღებს, ხაზოვან-სტადიური მიმართულება უნდა განვიხილოთ მსოფლიო მასშტაბით ევროპული ლიბერალური ჰეგემონიის თეორიულ დასაბუთებად.

შესაბამისად, რუსული ლიბერალური სკოლა ამ მიმართულების შემადგენელი ნაწილია და ლიბერალიზმის ფილოსოფიური ბუნების გამო რუსული ცივილიზაციის ისტორიულ პრიორიტეტებს უპირისპირდება.

ხაზოვან-სტადიური მიდგომის თანახმად, რუსეთი მუდამ განიხილება "მოწინავე" ევროპისაგან "ჩამორჩენილ" ქვეყანად, ხოლო სტრატეგიულ პრიორიტეტად მოიაზრება ქვეყნის მაქსიმალურად სწრაფი და სრულფასოვანი გარდაქმნა ევროპული მოდელის შესაბამისად. ამ სოციალურ ექსპერიმენტებს შორის პირველთა რიცხვს განეკუთვნება პეტრე პირველის რეფორმები, რომლებმაც რუსეთში გამოიწვიეს პერმანენტული ცივილიზაციური კრიზისი, დასრულებული 1917 წლის გეოპოლიტიკური კატასტროფით. ნიშანდობლივია, რომ ევროპოცენტრიზმი სხვა ცივილიზაციებისაგან ითხოვს მათი ისტორიული ფესვებისაგან მოწყვეტას, მაგრამ საკუთარ ცივილიზაციურ გარემოში არ დაუშვებს. ერთხელ ევროპულ მოდერნიზაციის გზას შემდგარი ადრე დამოუკიდებელი სოციუმი ამიერიდან პერმანენტულად "ჩამორჩენილის" როლში იმყოფება, და მოდერნიზაციის გზაზე თანმიმდევრულად კარგავს საკუთარ ცივილიზაციურ იდენტურობას. სწორედეს დაემართა რუსეთს, რომელიც პეტრე პირველიდან მოყოლებული სამასი წელი მიდიოდა ევროპული ლიბერალური მოდერნიზაციის გზით. როგორი მასშტაბურიც არ უნდა ყოფილიყო ევროპული ტიპის გარდაქმნები, მათ ყოველთვის ახასიათებდათ "უკმარისობა", "არასრულფასოვნება", "შეცდომები" და ა.შ. ამასთან ერთად მოხდა რუსული საზოგადოების გარკვეული ნაწილის სულიერი გადაგვარება. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, რუსულ არისტოკრატიაზე, რომელიც რუსული თვითმპყრობელობის მთავარი მაორგანიზებელი ინტელექტუალური და სამხედრო საყრდენი იყო. საბოლოო შედეგად, ეს ყველაფერი რუსული ისტორიული სოციუმის გეოპოლიტიკური მარცხით დასრულდა. საგულისხმოა რომ უცხოეთიდან 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების სახით ძალადობრივი გზით თავს მოხვეული რუსული წყობის ნგრევის თეორიულ ბაზისს ლიბერალურ და სოციალისტურ ფილოსოფიურ სისტემებში

ხორცშესხმული ევროპოცენტრიზმი შეადგენდა. ევროპოცენტრიზმის ეს დომინირება გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის პერიოდში და 1991 წელს მისი ნგრევის მთავარ იდეოლოგიურ ბაზისად იქცა.

მრიგად, რუსეთის ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობა უკანასკნელი სამასი წლის მანძილზე ადასტურებს ამ ქვეყნის ევროპოცენტრისტული ლიბერალური მოდელის ფარგლებში გარდაქმნის უპერსპექტივობას.

**ლოკალური ცივილიზაციების თეორია**რეგიონალურ პრინციპზე დაყრდნობით შეისწავლის ადამიანური საზოგადოების მრავალვექტორულ ევოლუციას. ერთმანეთისაგან განსხვავებული ეროვნულ-კულტურული სოციუმები თავდაპირველად განვითარდებიან დამოუკიდებელ ცივილიზაციურ ბაზისზე.ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთობა იწვევს ურთიერთშერწყმას, თუმცა ეს არ ცვლის საწყის ცივილიზაციურ კოდს. მსოფლიო ისტორია განიხილება ერთმანეთისაგან განსხვავებული და ქრონოლოგიურად დასრულებადი სოციუმების ერთობლიობად, რომლებიც წარმოიქმნებიან, განვითარდებიან და აღესრულებიან მხოლოდ საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული ცივილიზაციური კრიტერიუმების საფუძველზე. რუს თეორეტიკოსებს შორის ლოკალური სკოლის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია ნ.ი. დანილევსკი, რომელმაც მართლმადიდებლური იდეოლოგემის “მოსკოვი – მესამე რომი”-ის საფუძველზე შეიმუშავა რუსული სამყაროს გეოპოლიტიკური მოდელი. დანილევსკიმ გამოარჩია რამდენიმე მსოფლიო კულტურულ-ისტორიული ტიპი და მათი განვითარების კანონები ჩამოაყალიბა (დანილევსკი 2011:113-138). საკვანძო ცივილიზაციურ ფაქტორებს შორის, რომლებიც განაპირობებენ სოციუმის თვითმყოფადობას მისი არსებობის მთელ პერიოდში, დანილევსკი გამოარჩევს ლინგვისტურ, სახელმწიფო-პოლიტიკურ, კულტუროლოგიურ, ეთნიკურ და ქრონოლოგიურ მაჩვენებლებს. ფაქტობრივად ეს სისტემა შეაჯამებს რა საზოგადოების ცივილიზაციური კოდის ძირითად კრიტერიუმებს, იმავე დროს უტოვებს მას ახალი ფაქტორებით შევსების შესაძლებლობას, თუეს განპირობებული იქნება კონკრეტული ისტორიული გარემოებებით.

ლოკალური ცივილიზაციის თეორიის ანალიზი ადასტურებს, რომ მისი გნოსეოლოგიური ჩარჩოები ხაზოვან-სტადიურ სისტემაზე ბევრად ვრცელია. იგი უფრო სრულყოფილად ასახავს მსოფლიო ისტორიის მრავალვექტორობასა და

მრავალპოლარულობას. ამასთან ერთად არსებობის უფლების მქონე განსხვავებული ცივილიზაციური მოდელების აღიარება არ ნიშნავს რომელიმე მათაგანის წამყვანი როლის უარყოფას სხვა სოციუმებს შორის. სხვა საკითხია, რომ ყოველ ცივილიზაციურ განზომილებას ლიდერობის საკუთარი გაგება გააჩნია. ევროპოცენტრისტული მოდელი აღიარებს კომპარატივისტულ, კონკურენტულ ლიდერობას და მზად არის უზრუნველყოს იგი კონკურენტების ხარჯზე. სწორედ ამგვარი მიდგომა განაპირობებს ევროპაში უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე მიმდინარე შიდა და საგარეო პოლიტიკურ პროცესებს, რომლებსაც დასაბამი დაუდო რომის იმპერიის დაშლამ. **ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროპის კურსი მსოფლიო ლიდერობაზე ცალმხრივად კარნახობდა არამხოლოდ სხვა სოციუმებზე უპირატესობის განმტკიცებას, არამედ მათ უნიფიკაციასაც ევროპული სტანდარტების მიხედვით. სწორედ ამ ისტორიულ კანონზომიერებაში მდებარეობს თანამედროვე გლობალიზაციის სათავეები.** გლობალური ლიდერობის განმტკიცებაზე მიმართულ პროცესებს შორის უნდა გამოვარჩიოთ შემდეგი:

- მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის შემადგენლობიდან კათოლიციზმის ცალკე მიმართულებად გამოყოფა, რაც განპირობებული იყო დასავლური ქრისტიანული ეკლესიის რეფორმატული ხასიათით. ეს გამომდინარეობდა კათოლიციზმის მიერ საეკლესიო ხელისუფლების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და არა სასულიერო დომინირების პრინციპიდან;
- ჯვაროსნული ლაშქრობები და გლობალიზაციის პირველი ეტაპის დასაწყისი – კათოლიკური და ისლამური სამყაროს ცივილიზაციური ნორმების ძალადობრივი უნიფიკაცია;
- რეფორმაცია, როგორც ლიბერალურ პრინციპებზე აგებული ევროპული ცივილიზაციის ანთროპოცენტრიზმის პირველი ხილული გამოვლენა. გლობალიზაციის მეორე ეტაპის დასაწყისი;
- დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მსოფლიო მასშტაბით სხვა ცივილიზაციური ცენტრების ევროპის ზეგავლენისადმი ძალადობრივი (ფინანსურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური) გზით დამორჩილება. მსოფლიო კოლონიალური სისტემის ჩამოყალიბება და გლობალიზაციის მესამე ეტაპის დასაწყისი;

- ლიბერალურ-დემოკრატიული რევოლუციები ნიდერლანდებში, ინგლისსა და საფრანგეთში, როგორც ანთროპოცენტრიზმის გამარჯვება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრინციპებზე. ლიბერალური ფასეულობების მსოფლიო მასშტაბით გავრცელების ღია დეკლარაცია და გლობალიზაციის მეოთხე ეტაპის დასაწყისი;

- აშშ-ს, როგორც დამოუკიდებელი ანთროპოცენტრისტული სოციუმის შექმნა, რომელიც თავდაპირველადვე აგებულია ლიბერალურ პრინციპებზე და ცივილიზაციურ დონეზე არ იზიარებს ევროპის პრიორიტეტებს. გლობალიზაციის მეხუთე ეტაპის დასაწყისი;

- გლობალიზაციის თანამედროვე მეექვსე ეტაპი, რომელიც მიმდინარეობს ლიბერალური ევროპის ფინანსურ-ეკონომიკური, სახელმწიფო-პოლიტიკური, სულიერ-კულტურული და საინფორმაციო-კომუნიკაციური მიმართულებებით.

ევროპოცენტრიზმის გლობალისტური მისწრაფებები დასავლეთში საკმაოდ ვრცლად არის შესწავლილი. ამ მოვლენის ისტორიოსოფიული შეფასებების სპექტრი უაღრესად ვრცელია დაწყებული პირდაპირი აპოლოგიითა და დასრულებული კონცეპტუალური უარყოფით.

კერძოდ, უილიამ მაქნეილი თავის ვრცელ ნაშრომში ევროპული გლობალიზაციის “ბარბაროსულ ფესვებზე” საუბრობს. ევროპის მსოფლიო დომინირებისადმი ლტოლვა მკვლევარს მიაჩნია ისტორიულად გაუმართლებელ განზრახვად, რადგან იგი იწვევს არამხოლოდ სხვა რეგიონების ეროვნული თვითმყოფადობის მოშლას, არამედ უშუალოდ ევროპის ცივილიზაციურ იდენტურობას ემუქრება (მაკნეილი 1963:726-730). ავტორი ყურადღებას ამახვილებს სხვა ხალხებზე ევროპოცენტრიზმის უარყოფით ზეგავლენას სოციო-კულტურულ და ბიოლოგიურ დონეზე.

ანალოგიურ შეფასებებს იძლევა ჯ. დაიმონდი ისტორიულ გლობალისტიკის კონცეფციის შემუშავებისას. შეისწავლის რა მსოფლიო ცივილიზაციების ლოკალურ კერებს, ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ევროპოცენტრიზმის დომინირების განმსაზღვრელი გეოგრაფიული, ისტორიული და ბიოლოგიური ფაქტორების ერთობლიობას (დაიმონდი 1999:195-207). სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს აფრიკისა და წყნარი ოკეანის რეგიონების სამხედრო-ეკონომიკური მოწყვლადობა ევროპელების კოლონიზაციური შეტევის პირისპირ.

ჯ. ვალერსტაინის ნაშრომებში ძირითადი ყურადღება ეთმობა რამდენიმე სოციუმში გაერთიანებული ხალხებისა და კულტურების ცივილიზაციურ პოტენციალს. განიხილავს რა მსოფლიო ისტორიას ერთი გლობალური სოციუმის მრავალფეროვანი ფორმების გამოვლენად, ვალერსტაინი აყალიბებს "მსოფლსისტემის"მცნებას რომელშიც კვლევის ობიექტი არა ცალკეული სოციუმია, არამედ მათი ერთობლივი სისტემა (ვალერსტაინი 1984:147-150). როგორც ცალკეულ "მსოფლსისტემის" ფარგლებში, ასევე სხვადასხვა სისტემებს შორის გლობალურ დონეზე ურთიერთობების ხასიათი და სიღრმე განპირობებულია მათი მატერიალურ-ტექნიკური პოტენციალით.

იდეოლოგიური ფაქტორი მეორეხარისხოვან როლს ასრულებს, ხოლო გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა აბსტრაქტული სამართლიანობის პრინციპებს, არამედ კონკრეტული "მსოფლსისტემის" პრაქტიკულ ინტერესებს (ვალერსტაინი 1979:138-141). ამის შედეგად ყალიბდება გლობალური მსოფლიო წესრიგი, რომელშიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ძალოვანი კომპონენტი, ხოლო ცივილიზაციური ფასეულობები განისაზღვრება არა პიროვნებისა და სოციუმის სულიერ-ზნეობრივი სრულყოფილებით, არამედ კონკრეტული პირადი ან ჯგუფური ინტერესების რეალიზაციის პრაქტიკული მხარით (ვალერსტაინი 1976:229-233).

ლოკალური "მსოფლსისტემის" განსხვავებულ ხედვას გვთავაზობს პ. კენედი, რომელიც მსოფლიო ისტორიას განიხილავს ყველაზე განვითარებული ცივილიზაციების პერმანენტული ბრძოლის დისკურსში. სამხედრო ძალის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად კენედი მიიჩნევს ეკონომიკურ პოტენციალს. მისი აზრით, ეს გარემოება უდავოდ დომინირებს ბუნებრივ-კლიმატურ და ანთროპოგენულ ფაქტორებზე. ცივილიზაციური დაპირისპირების უკანასკნელ ათვლას კენედი იწყებს 1500 წლიდან, როდესაც აღინიშნებოდა მსოფლიო ცენტრების ძალების შედარებითი თანასწორობა. ამ ცენტრებად კენედი მიიჩნევს რუსულ, ევროპულ, ისლამურ, აფრიკულ და აზიურ სოციუმებს. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო ფინანსურ-ეკონომიკური ძლიერების გადასვლა მსხვილი საგვარეულო არისტოკრატიისა და სამხედრო-ლენური სისტემისგან ქალაქებში შუა სოციალური ფენის დონეზე კონცენტრირებული სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალის განკარგულებაში. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარების მომდევნო სისწრაფემ და ხასიათმა პირდაპირ განაპირობა

კონკრეტული რეგიონის განვითარება და მისი ზეგავლენა დანარჩენ სამყაროზე. როგორც ვხედავთ, კენედი ახალი ისტორიული ეტაპის ათვლის წერტილად ბიზანტიის იმპერიის დაშლას მიიჩნევს, მაგრამ მისი ყურადღების მიღმა დარჩა სხვა გარემოება. ინტერნაციონალური კაპიტალის – სავაჭრო-სამრეწველო ოლიგარქიის - მზარდი ძალის პირველი ნიშნები გამოვლინდა საფრანგეთში ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გენერალური შტატების შემოღების სახით. აქედან გამომდინარე, კენედის მიერ შემოთავაზებული ქრონოლოგიური კლასიფიკაცია საკმაოდ პირობითი ხასიათისაა.

რუსეთი (იაპონიასთან ერთად) მსოფლიო ისტორიული პროცესის “აუტსაიდერია”, ხოლო მისი განცალკევების მთავარი მიზეზია მართლმადიდებლობა, რომელიც უარყოფს ქვეყნის მოდერნიაზაციას ევროპულ ყაიდაზე. კენედის აზრით, მართლმადიდებლობა უზრუნველყოფდა რუსული თვითმპყრობელობის სახელმწიფო-პოლიტიკურ იდეოლოგიურ ბაზისს, რაც მის ეკონომიკურ ძლიერებასაც განაპირობებდა (კენედი 1989:14-16). მკვლევარის ყურადღების მიღმა დარჩა ის ისტორიული ფაქტი, რომ საერთაშორისო ინტერნაციონალური საფინანსო ოლიგარქიის პოზიციები რუსეთში მხოლოდ XX საუკუნის დამლევს განმტკიცდა და ამ გარემოებამ ვერ შეარყია ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც ათასწლოვანი დიდმპყრობელობის პირობებში მსოფლიო ძალის ერთერთ ცენტრად ჩამოყალიბდა.

თავის მხრივ, ს. ჰანტინგტონი გამოდის არაიმდენად ანტროპოცენტრიზმის, რამდენადაც ამერიკანიზმის სახით მისი ანგლოსაქსონური ბირთვის ღია აპოლოგეტად. ცივილიზაციების შეჯახება პერმანენტული ისტორიული პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის დროს ცივილიზაციური სიცოცხლისუნარიანობის კრიტერიუმების საფუძველზე მიმდინარეობს სოციუმების ბუნებრივი შერჩევა (ჰანტინგტონი 1993:40-47).

ლოკალური ცივილიზაციების თეორიული სისტემის ანალიზი ცალმხრივად მიასწავებს პოლიტიკური იდეოლოგიის აღნიშნული მიმართულების აქტუალობასა და მოთხოვნადობაზე. ჩვენი აზრით, თანამედროვე გლობალიზებული და არასტაბილური მსოფლიოს პირობებში განსხვავებული სოციუმების თანაარსებობის ძირითადი საკითხების გააზრება პირველხარისხოვან მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, ლოკალური

ცივილიზაციების თეორია კიდევ დიდ ხანს დარჩება თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ერთერთ წამყვან მიმართულებათ.

**ცივილიზაციის დიალოგის თეორიის** წარმოშობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ევროპოცენტრიზმის კრიზისით, რომელმაც, გეოპოლიტიკური უპირატესობების მიუხედავად, ვერ შეძლო თავისი ზეგავლენის ორბიტაში მთელი სამყაროს მოქცევა. საგულისხმოა, რომ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გლობალიზაციას დახვდა ევრაზიაში, რომელიც მისი ზემოქმედების მთავარი ობიექტი გახდა. ევროპულ ცივილიზაციებზე ბევრად ადრე აღმოცენებული ევრაზიის ისტორიული ძალის ცენტრების აღდგენა თანამედროვე ისტორიული პროცესის რეალობა გახდა. ამის გამო ევროპოცენტრიზმის გეოპოლიტიკური ვექტორი, რომელიც ორიენტირებულია ხელთარსებული (სამხედრო ძალის ჩათვლით) ყველა საშუალებების გამოყენებით მსოფლიო აბსოლუტური დომინირების მოპოვებაზე, შეიცვალა თანასწორუფლებიან ცივილიზაციურ პარტნიორებთან დიალოგით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ დიალოგის თეორიის მნიშვნელობა ბევრად სცდება ევროპოცენტრიზმის როლსა და ადგილს საერთაშორისო ისტორიულ სარბიელზე. რუსული ცივილიზაციის სხვა სოციუმებთან თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო თანაარსებობისა და დიალოგის საკითხები რუსეთის პოლიტიკურ სკოლაში შეისწავლებოდა უძველესი დროიდან. ყურადსაღებია, რომ ყველა თეორიული მოდელის მკაცრი კონსერვატიზმი ორგანულად შერწყმულია სხვა სოციუმებისადმი თანმიმდევრულ ტოლერანტობასთან. ფაქტიურად რუსული ცივილიზაციის ეს დიალოგური ხასიათი იქცა საწყის ბაზისად, რომელზეც აღმოცენდა მრავალპოლარული ძველი სლავური ცივილიზაცია, რომლის ისტორიული მემკვიდრე დღევანდელი რუსეთია.

ხაზოვან-სტადიური და ლოკალური თეორიული კონსტრუქტებისაგან განსხვავებით, ევროპულ პოლიტიკურ მეცნიერებაში დიალოგის მიმართულება ბევრად გვიან ჩამოყალიბდა, XX საუკუნის მეორე ნახევარში. ამის შედეგად, ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული დიალოგის მიმართულების ზოგადაღიარებული პრინციპები და მეთოდები. დასამუშავებელია დიალოგური მოდელის შეფასების ისტორიოსოფიული კრიტერიუმები. დიალოგის სკოლის თეორეტიკოსებს მოუწევთ როგორც ისტორიული წარსულის, ასევე გლობალიზაციის თანამედროვე პროცესების ანალიზი. ამასთანავე მიმდინარეობს

ცივილიზაციის როგორც თვითუზრუნველმყოფი სოციუმის ახალი კონცეპტუალური ხედვის შემუშავება.

ხანგრძლივი დიალოგის ტრადიციების მქონე რუსული პოლიტიკური სკოლისათვის აღნიშნული გარემოება არ ატარებს კრიტიკულ ხასიათს. სხვა სოციუმებთან დიალოგის თანაარსებობის პრინციპები რუსეთის ევრაზიულ სკოლაში შემუშავებულია ჯერ კიდევ XVI საუკუნიდან, "მოსკოვი – მესამე რომის" კონცეფციის ფარგლებში. სრული უფლებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზემოთ განხილული რუსული კონსერვატიზმის ყველა სკოლას გააჩნია დიალოგის ხასიათი. რუსული ისტორიული კონსერვატიზმის დამახასიათებელი თვისებაა მკაცრი ტრადიციონალიზმის მჭიდრო კავშირი სხვა თვითმყოფად სოციუმებთან. აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ გამომდინარეობს სლავების რასობრივი ტიპის ეთნოფსიქოლოგიური თვისებებიდან, რომელმაც ყველაზე ხილული ხორცშესხმა ჰპოვა რუსულ სახალხო კრებაში (შაპოშნიკოვი 2013:15-17). მართლმადიდებლობა გახდა სლავების ეთნოფსიქოლოგიური ტიპის თანმიმდევრული განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი. რუსი ხალხისთვის მართლმადიდებლობა იქცა საწყისი ცივილიზაციური კოდის განსახიერებათ, ხოლო მისი შენარჩუნება და განვითარება - ცივილიზაციური არსებობის მიზნად. საუბარია მართლმადიდებლობისა და ეროვნული მენტალიტეტის ურთიერთშემოქმედ პროცესზე, რის შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი გონებრივ-გრძნობითი სოციალური ფენომენი, რომელსაც რუსული ეროვნული ხასიათი ეწოდება (შაპოშნიკოვი 2015:163-165). ამრიგად სლავების ეთნოფსიქოლოგიურმა ტიპმა თავისი მაქსიმალური გამოხატვა ჰპოვა მართლმადიდებლობასთან დიალოგის კავშირში, რაც იქცა მისი ცივილიზაციური სიცოცხლისუნარიანობის ძლიერ საფუძველად. ამანვე განაპირობა ტოლერანტულობისა და თანასწორუფლებიანი დიალოგის საფუძველზე რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაში სხვა ხალხების მოქცევა.

აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსეთის პოლიტიკური აზრის განვითარების მთელ ისტორიულ მანძილზე ცივილიზაციური მიდგომები თავდაპირველადვე ეფუძნებოდა ლოკალურ და დიალოგის კონცეპტუალურ ბაზისს. ხაზოვან-სტადიური მიმართულება რუსულ პოლიტიკურ თეორიაში შემოდის XVIII საუკუნეში და პირდაპირ უკავშირდება რუსეთში დასავლური რაციონალისტური სკოლის შემოსვლას. მოკლე

ისტორიულ პერიოდში ამ მიმართულებამ განვლო სერიოზული ევოლუციის გზა. ლიბერალიზმის საფუძველზე აღმოცენდა ფაშიზმის ტიპის მემარჯვენე რადიკალიზმი და მარქსისტული ტიპის მემარცხენე რადიკალიზმი. ამგვარმა ტრანსფორმაციამ გამოიწვია გლობალური მასშტაბის კატაკლიზმები და მსოფლიო ისტორიის მსვლელობა შეცვალა. ყველაზე სერიოზული შედეგები ამ მოვლენებმა XX საუკუნეში გამოიღო რუსეთისათვის, დააყენა რა კითხვის ნიშნის ქვეშ მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, ფაქტობრივად – ცივილიზაციური იდენტურობა.

ეს ისტორიული გამოცდილება ფასდაუდებელია რუსული პოლიტიკური სკოლისათვის, რადგან კვლევის ჩატარების საშუალებას იძლევა არააბსტრაქტული თეორიული სქემების, არამედ რეალური ისტორიული გამოცდილების საფუძველზე.

აქედან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია თანამედროვე რუსული პოლიტიკური სკოლის ცივილიზაციური დოქტრინების განხილვა. პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ხაზოვან-სტადიური წარმომადგენლების კონსტრუქტები, რომლებიც კონსერვატიული ფასეულობების ოფიციალური პოზიციონირების მიუხედავად, კონცეპტუალურად ენათესავებიან ლიბერალიზმს.

ტ.ვ. კაშანინა სოციალური განვითარების ცივილიზაციურ ტიპებს ახასიათებს როგორც რეგიონალური (იგივე ლოკალური), ასევე ფორმაციული პრინციპით. კერძოდ, ცივილიზაციის აღმოსავლური ტიპი განიხილება როგორც "ციკლისებური", რომელიც "მტკიცე სპირალით შენელებულ აღმასვლას" გულისხმობს. ხაზგასმით აღნიშნულია საზოგადოების ცხოვრებაში სახელმწიფოს დესპოტური მართვისა და ძალდატანების არაეკონომიკური საშუალებების კოლოსალური როლი. დასავლური ცივილიზაციური ტიპი ხასიათდება როგორც "პროგრესული", რომლის მთავარი უპირატესობაა რაციონალური აზროვნება, კერძო საკუთრების სხვადასხვა ფორმები და ინდივიდუალიზმი (კაშანინა 2004:96).

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორის მიერ შემოთავაზებული აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების თვისობრივი ნიშნები ისტორიული დროისა და სივრცის განზომილებაში არ ატარებენ აბსოლუტურ ხასიათს. მრავალი თვისება, რომელიც ავტორის მიერ აპრიორი ცხადდება მხოლოდ ერთი ცივილიზაციის კუთვნილებად, სინამდვილეში

უნივერსალურია და ორივე ტიპს ახასიათებს. ეს შეეხება საზოგადოებრივი აღწარმოების ტიპსა და დონეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა აღმოსავლური ცივილიზაცია წინ უსწრებს დასავლურ ევროპულ მოდელს, როგორც ქრონოლოგიური, ასევე სოციალური განვითარების თვალსაზრისით. ისტორიული ფაქტია, რომ უკანასკნელი ხუთასი წლის მანძილზე ევროპულმა მოდელმა უზრუნველყო თავისი გლობალური დომინირება სწორედ აღმოსავლეთის საფინანსო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარულ-კულტურული პოტენციალის ხარჯზე.

რუსეთის ცივილიზაცია მიჩნეულია “ორი სამყაროს შერევის ნიმუშად”, მისი ისტორიული გზა კი მუდმივი ცივილიზაციური ორიენტირების ძიებად აღმოსავლეთსა და დასავლეთში (კაშანინა 2004:100). ფაქტობრივად ჩვენ საქმე გვაქვს რუსული სამყაროს ევრაზიულ სოციუმთან ურთიერთობების ჰიპერბოლიზაციასთან. უდავოა, რომ რუსეთის მთელი ისტორია წარმოადგენს ევრაზიის ხალხებსა და ქვეყნებთან მუდმივი ურთიერთობის პროცესს, მაგრამ იგი ყოველთვის მკვეთრად განსაზღვრულ ეროვნულ ვექტორს მისდევდა, რომელიც შიდა და საგარეო ასპარეზზე დამყარებული იყო მტკიცე კონსერვატიზმისა და ეროვნულ-კონფესიური ტოლერანტობის ორგანულ შეთავსებაზე. უფრო მეტიც, XVIII – XIX საუკუნეების ვესტერნიზაციისა და XX საუკუნის კომუნისტური ექსპერიმენტის პირობებშიც კი რუსეთი დარჩა დამოუკიდებელ ცივილიზაციურ ერთეულად, რომელმაც მოახერხა საკუთარი გეოპოლიტიკური პრინციპებისა და ინტერესებისადმი უცხო ფორმაციული მოდელების დამორჩილება. კაშანინა რუსეთს მიიჩნევს “განვითარებას დამწევ ცივილიზაციად” (“цивилизацию догоняющего развития”), ხოლო ეტალონად ასახელებს ევროპულ გზას (კაშანინა 2004:101). ავტორი არ ითვალისწინებს რუსეთის თვითმყოფადობის ფაქტორს, ხოლო ფუძემდებლურ ცივილიზაციურ კრიტერიუმად მიიჩნევს სოციუმის განვითარების რაციონალისტურ და მატერიალისტურ პრინციპებს, სულიერ-ზნეობრივი შემადგენლობის გარეშე. რუსეთის ისტორიულმა გზამ ცხადყო, რომ მისი სტაბილური თანმიმდევრული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებელი გზით, რომელიც ხასიათდება მკვეთრი ნაციონალურ-კულტურულ ვექტორის მჭიდრო ურთიერთობებით ევრაზიულ ისტორიულ სივრცესთან.

ზევრად მსგავსი პოზიცია უკავია ა.მ. კადიროვს, რომელიც რუსეთს აღმოსავლეთსა და რუსეთს შორის განლაგებულ “შუალედურ” ცივილიზაციად მიიჩნევს (კადიროვი 2011:222-234). მისი აზრით, სწორედ ეს უშლის ხელს რუსეთის ისტორიულ არჩევანს და უძველესი ხანიდან მის პერმანენტულ ცივილიზაციურ კრიზისს განაპირობებს. უშუალოდ რუსეთის ისტორიულ გზას ავტორი განიხილავს “ევროპული ქრისტიანული კულტურული ტრადიციის” დისკურსში (კადიროვი 2011:430-435).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული ტრადიცია არასოდეს ყოფილა ევროპის სულიერი პრეროგატივა და დღემდე მისი პირველყოფილი ხელუხლებელი სახით შემონახულია სწორედ აღმოსავლეთის ხალხების მიერ. ევროპული სოციალური მოდელის რაციონალისტური რეფორმიზმი ქრისტიანულ ეკლესიასაც შეეხო, რის გამოც კათოლიკურმა სულიერ-ზნეობრივმა ფასეულობებმა რაციონალისტური განმარტება მიიღო, რაც მისი თეორიული მოდერნიზაციის ბაზისად იქცა. ამ გზით ფუძემდებლური ქრისტიანული პრინციპები გარდაუვალი სულიერი ჭეშმარიტებიდან გაუთავებელი პრაგმატული თეორეტიზების საგნად იქცა. ამას მოჰყვა დასავლური ქრისტიანული ეკლესიის პერმანენტული კრიზისი, რაც გამოიხატა ჯერ კათოლიციზმის სულიერ დაცემაში, შემდეგ კი – რეფორმაციის მოძრაობაში, და ყველანაირი მისტიკური და გნოსეოლოგიური სკოლების ჩამოყალიბებაში. რაც შეეხება რუსეთს, იგი XVIII საუკუნემდე განვითარდა თვითმყოფადი კულტურული ტრადიციის ფარგლებში და ძალოვანი გზით იქნა გადაყვანილი ევროპულ გზაზე. მაგრამ ევროპისაგან განსხვავებით, სადაც ქრისტიანობის სულიერი შემადგენელი ჩანაცვლებული იქნა რაციონალიზმით, ევროპული მოდელის ჩარჩოებში მოქცეულმა რუსეთმა მაინც შეინარჩუნა მართლმადიდებლობის სულიერი საფუძველი.

ავტორის აზრით, რუსეთი და დასავლეთი ერთიან ცივილიზაციას შეადგენენ, თუმცა განვითარდებიან განსხვავებული მიმართულებებით (კადიროვი 2011:228).

რეალობაში ჩვენ ვხედავთ ძირითადი ცივილიზაციური კრიტერიუმების დიამეტრალურ დაპირისპირებას. მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ:

- სულიერ-ზნეობრივი კრიტერიუმები;
- რუსული სოციუმის პოლიეთნიკური და მრავალკონფესიური ბაზისის

შერწყმა ერთიან ეროვნულ გეოპოლიტიკურ პრიორიტეტებთან;

- ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ფსიქოლოგია;
- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობა;
- საზოგადოებრივი თვითორგანიზაციის ფორმები და სახეობები.

ავტორი რუსეთს მიიჩნევს არქაულ სახელმწიფოდ, რომელსაც ყოველთვის გააჩნდა მკვეთრი თვითორგანიზაციისა და სტაბილური ცენტრალური ხელისუფლების პრობლემა. მისი აზრით, სწორედ ამაშია რუსეთის ცივილიზაციური განხეთქილების შინაარსი, რომელიც მოსდევს მისი ისტორიის მთელ პერიოდს. შესაბამის მაგალითად მას მოჰყავს ბოლშევიკური დიქტატურა, რომელიც ცდილობდა რუსეთის ორგანიზებას ისტორიული “ვეჩეს” დემოკრატიის საფუძველზე და ამას ახორციელებდა საჯარო ფორმაციის ფარგლებში ისტორიულად ჩამოყალიბებული თვითმპყრობელური წყობის განადგურების გზით (კადიროვი 2011:432). ავტორი არ ითვალისწინებს, რომ თვითმპყრობელობის დაცემა რუსეთში მოხდა ლიბერალური სოციალურ-პოლიტიკური პრაქტიკის ზეწოლის ქვეშ. რაც შეეხება ბოლშევიკების მიერ რუსეთში ორგანიზებულ მართვად ქაოსს, როდესაც რევოლუციური ფრაზეოლოგიის გზით ხორციელდებოდა ფართო მასების პროვოცირება უკანონობასა და განუკითხაობაზე, მისი მთავარი ამოცანა იყო ისტორიულად ჩამოყალიბებული რუსული ეროვნულ-კულტურული ფორმაციის საბოლოო დანგრევა. საქმე ეხებოდა რუსეთის ისტორიული სახელმწიფოებრიობის სისტემურ ნგრევას და მისი მატარებელი სოციალური კლასებისა და ჯგუფების განადგურებას. არსებითად ამ პერიოდში მიმდინარეობდა რუსული სოციუმის, როგორც ცივილიზაციური ერთეულის განადგურება. როგორც კი ეს მიზანი მიღწეულ იქნა გარეგნულ არქაულ ფსევდოდემოკრატიას ბოლო მოეღო და საზოგადოებაში უსასტიკესი პარტიული დიქტატურა დამყარდა. მაგრამ მმართველობის ასეთი დაუნდობელი ფორმებიც კი უძლური აღმოჩნდა რუსეთის ცივილიზაციური პოტენციალის წინაშე და შემდგომში ისინი გარდაიქმნა რუსული სახალხო კრების ახალ, საბჭოურ ფორმად, რომელიც ისტორიაში სტალინური სოციალიზმის სახელით შევიდა.

უნდა აღვნიშნოთ ავტორის მიერ ჩატარებული 30-80-იანი წლების საბჭოთა ეპოქის ღრმა ანალიზი. ფაქტებისა და ლოგიკური დასკვნების საფუძველზე კადიროვი ადასტურებს სტალინური ცივილიზაციური მოდელის ყველა ძირითადი

პრინციპის შენარჩუნებას 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე (კადიროვი 2011:234-235).

ზოგიერთი მკვლევარის სამეცნიერო ნაშრომებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ცალკეული ინდივიდისა და მთელი საზოგადოების ცივილიზაციურ იდენტურობას, რომელიც ნარატიულ სიბრტყეში განიხილება და ძირითად განმსაზღვრელ თვისებად კონკრეტული ეთნიკური სოციუმის საინფორმაციო და კულტურული კოდია მიჩნეული. მაგალითად, ა.ვ. ლუბსკის ნაშრომებში ცივილიზაციური იდენტურობა წარდგება პიროვნული თვისებებისა და სოციალური სტერეოტიპების ერთობლიობად (ლუბსკი 2013:51).

კიდევ უფრო შორს მიდის ი.ვ. კონდაკოვი, რომლისთვისაც ცივილიზაციური იდენტურობა წარმოადგენს მენტალიტეტის, ლოკალიტეტის (სოციუმის ურთიერთობა შუამავალ და მონათესავე სოციუმებთან) და გლობალიტეტის (სოციუმის ურთიერთობა მთელ სამყაროსთან) ერთობლიობას (კონდაკოვი 2010:280). მკვლევარის აზრით, ამ სამ ცივილიზაციურ მაჩვენებელს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთი მოვლენის სამ გარეგნულ ფორმას წარმოადგენენ, ერთმანეთთან პრაქტიკული შეხება არ აქვთ. ამგვარი მტკიცებულება მეტად საკამათოა, რადგან ფუძემდებლურ ფაქტორებს შორის ურთიერთწინააღმდეგობები ემუქრებიან სოციუმის სიცოცხლისუნარიანობას და საერთოდ გამორიცხავენ სხვა ცივილიზაციებზე კულტურულ-ისტორიულ ზეგავლენას. ამასთან ერთად ავტორი კონკრეტული ცივილიზაციის გლობალიტეტის განმტკიცებას მის უსაზღვრო მსოფლიო-ისტორიული თვალთახედვის აუცილებლობაში ხედავს. ამგვარი დასკვნა სავსებით მისაღებია რუსეთისათვის, რადგან სწორედ რუსული საზოგადოების კულტურულ-ფსიქოლოგიური წყობის საფუძველზე მოხდა მისი ევრაზიულ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბება. მაგრამ ამ მიდგომას ვერ მივიჩნევთ უნივერსალურად. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ევროპული მოდელის თანამედროვე გლობალური დომინირება სხვა რეგიონებზე სამხედრო-ეკონომიკური ზეწოლის ხარჯზე ჩამოყალიბდა და არაფერი ჰქონდა საერთო ეროვნულ-კულტურულ ტოლერანტობასთან.

გლობალიტეტის კონცეპტუალური შეფასებისას ავტორი მთავარ ყურადღებას უთმობს მის ორიენტაციას ჰუმანიზმის, სოლიდარობისა და სამოქალაქო საზოგადოების ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე. რუსული

საზოგადოება თავდაპირველადვე აგებულია სახალხო კრების საფუძველზე, რომელიც მას თან სდევდა ცივილიზაციური ევოლუციის ყველა ისტორიულ ეტაპზე. ამასთანავე, რუსული სოციუმის მსოფლმხედველობრივი ფასეულობები განუყრელად უკავშირდება მართლმადიდებლობას, ამიტომ მათი იდენტიფიცირება ევროპულ რაციონალურ პრინციპებთან არაკორექტულად მიგვაჩნია. ცივილიზაციური იდენტურობის მთავარი თვისება ემყარება მის კულტურულ-ისტორიულ და ეთნოფსიქოლოგიურ ეროვნულ ბუნებას. რუსეთის ისტორიის მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, რომ ეს არამხოლოდ არ ეწინააღმდეგება სხვა სოციუმებთან ურთიერთობას, არამედ იქცა ერთობლივი თანმიმდევრული ურთიერთსასარგებლო განვითარების ბაზისად. Sწორედეს გარემოებაა მიჩნეული რუსული გლობალიტეტის საფუძვლად სლავური საზოგადოების ჩასახვიდან დღევანდელ დღემდე.

ცივილიზაციური იდენტურობის კრიზისის ძირითად გამოვლენად კონდაკოვი მიიჩნევს არეულობის ("смута") პროცესს, რომელიც განპირობებულია ფორმაციის ცვლილების აუცილებლობით. მკვლევარი "სმუტას" აძლევს "რუსული კულტურის განსაკუთრედბული მექანიზმის" განსაზღვრას, რომელსაც ერთადერთს ძალუძს უზრუნველყოს საზოგადოების გადასვლა თვისობრივად (ხარისხობრივად) ახალ მდგომარეობაში. "სმუტისადმი" რუსეთის მიდრეკილება, კონდაკოვის დასკვნით, განპირობებულია რუსეთის განლაგებით აღმოსავლეთსა და ევროპას შორის ევრაზიულ სივრცეში (კონდაკოვი 2010:292).

ჩვენ ამ დასკვნებს ვერ დავეთანხმებით. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ არეულობა ("სმუტა") ყოველთვის ტოტალური ქაოსისა და ნგრევის მომტანია. იგი საფრთხეს უქმნის საზოგადოების არამხოლოდ ფორმაციულ, არამედ ცივილიზაციურ სათავეებს. მსოფლიო ისტორიაში მრავალმა ცივილიზაციამ საერთოდ შეწყვიტა არსებობა შიდა არეულობის გამო. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია არეულობის ან რევოლუციის შეფასება საზოგადოების განახლების ბუნებრივ ფორმად. რაც შეეხება "სმუტისადმი" მიდრეკილებას იგი ყოველთვის განპირობებულია შიდა არასტაბილურობით. რუსეთის შემთხვევაში ეს დესტაბილიზაცია ყოველთვის იყო გამოწვეული საგარეო ზეგავლენით. საგულისხმოა, რომ სწორედ რუსეთის შიდა ეროვნულ-სულიერი მონოლითურობა იყო ის ძალა, რომელიც ანელებდა დამანგრეველ

ცენტრიდანულ პროცესებს. რუსეთის წარსულის ისტორიოსოფიული ანალიზი ადასტურებს, რომ რუსული სახალხო კრება და ეროვნული ფსიქოლოგია, რუსული ცივილიზაციის კონსერვატიული სათავეები თავდაპირველადვე განსაზღვრავდნენ მის შიდა მდგრადობას და ახშობდნენ ნეგატიურ საგარეო ზეგავლენას. რუსული სოციუმის კონსერვატიული ხასიათი ორგანულად შეუთავსებელია ნებისმიერ არასტაბილურობასთან. ამიტომ “სმუტა” ფიზიკურად ვერ იქნება რუსული ცივილიზაციური კოდის “შემადგენელი ნაწილი”, მითუმეტეს მისი რაიმე “კულტურული მექანიზმი”.

ასევე საკამათოა მკვლევარის დასკვნა რუსეთის განვითარების ცივილიზაციური და კულტურულ-ისტორიული განსხვავებული ტენდენციების შესახებ, რაც განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და რუსული თვითმპყრობელობის დესპოტური ხასიათით (კონდაკოვი 2010:293). რუსეთი გადავიდა წარმართობისაგან მართლმადიდებლურ ეპოქაში და ამის შემდეგ ქრისტიანული ცივილიზაციური ორიენტირები არ შეუცვლია. მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ხალხის მრავალფეროვანი კულტურულ-ეთნიკური თვითმყოფადობა ყოველთვის იყო მჭიდრო კავშირში რუსულ ცივილიზაციურ ნიადაგთან. რუსული თვითმპყრობელობა ყოველთვის იყო რუსული სახალხო კრების ინტერაქტიური ბუნების გამოვლინება. ეს სახალხო კრება ერთნაირად ვრცელდებოდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერზე. ამრიგად, რუსული საზოგადოების სტაბილურობა უზრუნველყოფილი იყო არა რუსი მეფის დესპოტური ხელისუფლებით, არამედ რუსული სოციუმის საჯარო წყობით.

მკვლევარი საზოგადოებრივ ქაოსს მიიჩნევს სტაგნაციიდან მოდერნიზაციაზე გადასვლისათვის აუცილებელ “კონსტრუქციულ პროცესად” და მის “ისტორიულ გარდაუვალობაზე” საუბრობს. მისი აზრით, “რუსეთის ისტორია განვითარდება მხოლოდ არეულობის წყალობით” (კონდაკოვი 2010:294).

ისტორიული პროცესის მიუკერძოებელი ანალიზი ადასტურებს, რომ რუსეთში არცერთი არეულობა არ იყო გამოწვეული შიდა სტაგნაციით და დაწყებული ქაოსი არასოდეს გადასულა მოდერნიზაციაში.

რუსული კულტურის ყველა თვალსაჩინო სულიერი და მატერიალური ძეგლი შექმნილ იქნა მხოლოდ მართლმადიდებლური კონსერვატიული ტრადიციის საფუძველზე და სწორედ არეულობა იწვევდა საზოგადოების

ვარდნას ცივილიზაციურ უფსკრულში, მისი სრული განადგურების პერსპექტივით. რუსული კონსერვატიული ტრიადა - "მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ერი" - იმ ერთადერთ ძალას წარმოადგენდა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის თანმიმდევრულ ისტორიულ პროგრესს და მის გადარჩენას ცივილიზაციური კრიზისების დროს. აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს ტრიადა სახეშეცვლილი ფორმით შენარჩუნებულ იქნა და მოქმედებდა კომუნისტური ექსპერიმენტის პერიოდშიც.

ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ რუსეთი მთელი მისი ისტორიის მანძილზე განვითარდებოდა სწორედ არეულობის ტენდენციების საპირისპიროდ. ამის დასტურია რუსეთის ისტორიული ბედის განმსაზღვრელი შემდეგი მოვლენები:

- მონღოლთა შემოსევებმა ვერ შეძლო მრავალპოლარული რუსული სამყაროს განადგურება, რომელიც აღსდგა მოსკოვის ძალაუფლების ქვეშ გაერთიანებული ერთპოლარული რუსული ცივილიზაციის სახით;
- XVI-XVII საუკუნეების მიჯნის არეულობის ჟამმა და უცხოურმა ინტერვენციამ ვერ შეძლო რუსული თვითმპყრობელობის როგორც სახელმწიფო ხელისუფლების, ხოლო ევრაზიული რუსეთის, როგორც გეოპოლიტიკური ერთეულის განადგურება;
- პეტრე პირველის რეფორმებმა და XVIII საუკუნის არეულობის ჟამმა ვერ გადააგვარა რუსული ცივილიზაციის კონსერვატიული ბუნება. ევროპული ტიპის რაციონალისტური კოსმოპოლიტური საზოგადოება რუსეთში ვერ განმტკიცდა;
- რუსული თვითმპყრობელობის ძალადობრივი გზით განადგურებამ და XX საუკუნის კომუნისტურმა ექსპერიმენტმა ვერ გაანადგურა რუსეთის ცივილიზაციური თვითმყოფადობის ისტორიული ბირთვი და თავად ჩადგა მის სამსახურში.

თ.მ. სელეზნიოვი სხვადასხვა ცივილიზაციების ურთიერთქმედებას მსოფლიო ისტორიული პროცესის ბირთვად მიიჩნევს. ავტორი ხაზოვან-სტადიური მიმართულების მომხრეა, მაგრამ რუსეთს განიხილავს დამოუკიდებელ ლოკალურ ცივილიზაციად. ამის დასტურად სელეზნიოვს მოჰყავს საზოგადოებრივი აღწარმოების საშუალებები, სოციალური თვითორგანიზაცია და რუსულ საზოგადოებაში არსებული მენტალურ ფასეულობათა დამოუკიდებელი სისტემა (სელეზნიოვი 2003:7).

ყურადსაღებია, რომ მენტალურ ფასეულობებს ზოგიერთი მკვლევარი პირდაპირ უკავშირებს ანტროპოგენულ ფაქტორს და სავსებით სამართლიანად ცივილიზაციის მთავარ კრიტერიუმად მიიჩნევს. სწორედ ადამიანის ფაქტორი განსაზღვრავს კონკრეტულ საზოგადოებაში ცივილიზაციური პრინციპების მემკვიდრეობითობას. ამ მემკვიდრეობითობის აღკვეთა საზოგადოების დაღუპვის ტოლფასია (ლისტვინა ... 2007:175). ცივილიზაციის ჩასახვის საკვანძო ფაქტორია მისი მატერიალური და სულიერი დამოუკიდებლობა, რაც განპირობებულია სოციალური თვითორგანიზაციის დონით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცივილიზაციური და ფორმაციული სათავეების შეფარდებას, მათ შორის ორგანულ კავშირს. მათი გაგებით, ფორმაციის არსი და როლი საზოგადოებრივი განვითარების დინამიკაში შედგება. ცივილიზაციური კომპონენტი კი საზოგადოების “სტატიკას”, მის ზოგად პოტენციალს შეადგენს(ლისტვინა ... 2007:176).

ამრიგად, თანამედროვე კონცეფციებისათვის ცივილიზაციის არსებობის საფუძვლად დამახასიათებელია მისი ფორმაციული ჩარჩოებისა და პოტენციალის განსაზღვრა.

**ჩვენი აზრით, ცნება “ცივილიზაცია” სივრცობრივ-დროებრივ განზომილებაში ფორმაციულ მიდგომაზე ბევრად ვრცელია. ერთი ცივილიზაციის ფარგლებში შესაძლოა რამდენიმე ფორმაცია შეიცვალოს. ეს პროცესი არ ეხება კონკრეტული სოციუმის (ან სოციუმების ჯგუფის) ცივილიზაციურ საფუძვლებს. ნებისმიერი ცივილიზაციის ისტორიული სარბიელის გადამწყვეტ ფაქტორად ყოველთვის რჩება ეროვნულ-კულტურული წყობა. სწორედ ეს წყობა გამოდის საფუძვლად, რომელსაც ემყარება ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური თვითორგანიზაციის პრინციპები. ცივილიზაცია წარმოადგენს გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული, მენტალური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობას. ფორმაცია კი წარმოადგენს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ამ ფაქტორების ურთიერთქმედების ფორმებსა და გზებს.**

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ყურადღება გავამახვილოთ რუსული იდენტურობის საკითხზე. ზოგიერთი მკვლევარი ამ პრობლემას რუსეთის აწმყოსა და წარსულის ისტორიოსოფიული ანალიზის საფუძველზე შეისწავლის.

კერძოდ, ა.ი. ვდოვინი “რუსულ იდეას” მიიჩნევს ეროვნული იდენტურობის განმსაზღვრელი ფაქტორების ერთობლიობად, რომელიც არ შემოიფარგლება ეთნიკურად რუსი მოსახლეობითა და სლავური სახალხო კრების ფარგლებით. ავტორის აზრით, ცნება “რუსი” მნიშვნელოვნად სცდება ეთნიკურ და კონფესიურ ჩარჩოებს, წარმოადგენს რა ცივილიზაციურ კატეგორიას, რომელიც განსაზღვრავს სოციუმის ევრაზიული ფასეულობათა სისტემისადმი კუთვნილებას, რომელიც გაერთიანებულია რუსული ცივილიზაციური ბირთვის გარშემო. ამ თვალსაზრისით “რუსული იდეა” ინტეგრაციული ხასიათისაა და შეუძლია ეთნიკური და კონფესიური ტოლერანტობის ბაზისზე თავის გარშემო სრულიად განსხვავებული სოციუმები გააერთიანოს (ვდოვინი 2008:90-93).

ამ აზრს იზიარებს ა.ი. შერშნევი, რომელიც რუსულ ეროვნულ-მენტალურ იდენტურობას რუსული ცივილიზაციური კოდის საფუძვლად მიიჩნევს. რაც შეეხება ცნებას “რუსი”, ავტორის აზრით, მას უპირველეს ყოვლისა ცივილიზაციური არსი გააჩნია, და მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია მივიჩნიოთ იგი ეთნიკურ განსაზღვრებად (შერშნიოვი 2008:71-73).

თანამედროვე რუსული იდენტურობის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორებად მიჩნეულია:

- გეოგრაფიული, რომელიც განპირობებულია რუსეთის ტერიტორიით, მასზე რუსული კულტურის ჩამოყალიბებისა და გავრცელების ისტორიული ტრადიციებით (ნემენსკი 2008:33-34);
- ეთნოგრაფიული, რომელიც განპირობებულია თანამედროვე რუსეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით, სადაც რუსები მოსახლეობის 80% აღემატებიან;
- მენტალური, რომელიც განპირობებულია თანამედროვე რუსული საზოგადოების ძირითადი სოციალური ჯგუფების მსოფლმხედველობით (ბარსენკოვი 2008:62-64).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რუსული იდენტურობის კონცეფცია თანამედროვე რუსულ კონსერვატიზმში ყველა ცივილიზაციური მიდგომების საფუძველია და იგი განიხილება რამოდენიმე განზომილებაში:

- “რუსული სამყაროს” ცნებას ცივილიზაციური დატვირთვა გააჩნია. იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ რუსეთის გეოგრაფიული არეალით და მოიცავს რუსული ენის, მენტალიტეტისა და კულტურის ყველა მატარებელს;

- “რუსული სამყაროს” ცივილიზაციური განზომილება არამხოლოდ ევრაზიულ, არამედ გლობალურ ხასიათს ატარებს;

- ცნება “რუსი” გამოხატავს უპირველეს ყოვლისა, სოციო-კულტურულ კუთვნილებას და მხოლოდ ამის შემდეგ არის ეთნიკური თვისებების განმსაზღვრელი;

- რუსეთის მთელი ტერიტორია, რომელზეც ჩამოყალიბდა რუსული კულტურის ისტორიული ტრადიციები, წარმოადგენს “რუსეთის მიწა-წყალს”;

- რუსი ეთნოსი არის სახელმწიფოს შემქმნელი და რუსეთის ისტორიულ სარბიელზე ეკუთვნის აბსოლუტური ლიდერის როლი;

- რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ხალხსგააჩნია საკუთარი კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის განვითარების სრულითავისუფლება. სწორედ რუსეთის ცივილიზაციური სივრცის მფარველობის ქვეშ შეძლეს მათ თვითგადარჩენა;

ამრიგად, ძირითადი ცივილიზაციური მიდგომების კონცეპტუალიზაცია შემდეგ საკვანძო ელემენტებს შეიცავს:

- მართლმადიდებლობა, როგორც რუსული იდენტურობის სულიერი და რელიგიურ-ფილოსოფიური საყრდენი (ჟურავლიოვი 2008:115-117);

- რუსული იდენტურობის მენტალური განზომილება, როგორც რუსული სამყაროს ცივილიზაციური საფუძველი;

- რუსული ცივილიზაციური მოდელი, რომელიც ეყრდნობა ტერიტორიული, ლინგვისტური, სულიერ-ზნეობრივი, ეროვნულ-კულტურული, დემოგრაფიული, ეთნოფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობასა და ურთიერთქმედებას;

- საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის ჩარჩოებშიც რუსული ცივილიზაცია განვითარდება კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე.

**ზემოაღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცივილიზაცია წარმოადგენს ისტორიულად ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ ეროვნულ-კულტურულ სოციუმს, რომელიც განვითარდება კონკრეტულ სივრცესა და დროში.**

ცივილიზაციის ამგვარი განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს გნოსეოლოგიის თვალსაზრისით გავაერთიანოთ დღეს არსებული როგორც

რუსული, ასევე საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა ცივილიზაციური სკოლების თეორულ-მეთოდოლოგიური ბაზისი.

ამ კუთხით ჩვენთვის ინტერესს წარმოადგენს ნ.პ. მოროზოვის მიერ შემოთავაზებული ცივილიზაციური კვლევების დაყოფა სამ ძირითად მაჩვენებლად:

- “ლოკალური ცივილიზაციის” ცნება, რომლის მიხედვითაც ცივილიზაცია განიხილება მსოფლიო ისტორიის დამოუკიდებელ სოციალურ სუბიექტად;
- “ლოკალური ცივილიზაციის” თეორია, როგორც ცივილიზაციური მოდელების მეცნიერული გააზრება;
- ცივილიზაციური მიდგომის პრინციპი, როგორც სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია (მოროზოვი 2014:14-15).

ანალოგიურ თავსებადობას ჩვენ ვხდებით ა.ნ. პოლიაკოვის თეორიულ მოდელში, რომელიც კონსტრუირებულია ცივილიზაციური პარამეტრების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპზე. ამ პარამეტრებს შორის მკვლევარი გამოარჩევს:

- სოციალურ ბირთვს, რომელშიც შედის აღნიშნული საზოგადოების ყველა სოციალური კლასი და ჯგუფი;
- სოციალურ-ეკონომიკური წყობას, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ცივილიზაციის სახეობას, შინაარსსა და დამოუკიდებლობის (თვითუზრუნველყოფის) დონეს, რაც მისი სიცოცხლისუნარიანობის მთავარი მაჩვენებელია;
- საბაზისო ცივილიზაციური ფასეულობები, რომლებიც სოციუმის არსებობის ფუძემდებლური მატერიალური და იდეურ-ზნეობრივი პრინციპების ერთობლიობას წარმოადგენენ;
- ცივილიზაციებს შორის ურთიერთობების მთავარი ფაქტორია სოციალურ-ეკონომიკური წყობისა და საბაზისო პრინციპების შერწყმა (პოლიაკოვი 2007:63).

ჩვენი აზრით, ბოლო მაჩვენებელს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცივილიზაციის ისტორიული პერსპექტივების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის. ყოველი ცივილიზაციის ისტორიული გზა წარმოადგენს მუდმივ ურთიერთქმედებას მისი ისტორიოულად ჩამოყალიბებული არსებობის არეალის ბუნებრივ პირობებთან და მეზობელ სოციუმებთან. კონკრეტული

ცივილიზაციის კონსერვატიული მდგრადობა, მისი ტრადიციონალისტური ფასეულობები განსაზღვრავენ მისი სიცოცხლისუნარიანობისა და თვითგადარჩენის შესაძლებლობებს. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოირჩევა რუსეთი, რადგან XX საუკუნეში ისტორიის შედარებით მოკლე მონაკვეთში მოხდა მისი საბაზისო ცივილიზაციური ფასეულობების უმძაფრესი დაპირისპირება გარედან ძალადობრივი გზით შემოტანილ ჯერ კომუნისტურ, შემდეგ კი ლიბერალურ-დემოკრატიულ წყობასთან. კომუნისტურ მოდელთან დაპირისპირება დასრულდა მისი დამორჩილებით რუსული სოციუმის სულიერ-ზნეობრივი პრინციპებისადმი და სტალინური ტიპის საჯარო საზოგადოებად გარდაქმნით. ანალოგიური სურათი ჩვენ გვხვდება XX საუკუნის დამლევს რუსეთში განხორციელებულ ლიბერალურ-დემოკრატიულ რევოლუციასთან დაკავშირებით. რუსეთში ლიბერალური მოდელის ძალადობრივი გზით დამყარების მცდელობა სრული ცივილზაციური მარცხით დასრულდა და რუსული საზოგადოების კონსერვატიული ტრადიციების არნახული აღზევების საფუძვლად იქცა.

ა.დ. ურსულის აზრით, თანამედროვე შიდაპოლიტიკური ტენდენციის მთავარ ამოცანასშეადგენს ახალი რუსული სოციუმის სტაბილური ცივილიზაციური მოდელის ჩამოყალიბება (ურსული 2016:32-37). ეს მოდელი ორიენტირებული იქნება ყველა ცივილიზაციური მაჩვენებლების მდგრად ხარისხობრივ ზრდაზე. ახალი რუსული ცივილიზაციის ფორმირების ერთერთ აუცილებელ ფაქტორთა შორის ავტორი სავსებით სამართლიანად განიხილავს გლობალურ სტაბილურობას, რომელიც დამყარებულია ყველა დაინტერესული მხარის თანასწორუფლებიან მონაწილეობაზე. თანამედროვე გლობალიზაციას იგი მიიჩნევს სტიქიურად მიმდინარე პროცესების ერთობლიობად, რომელიც განპირობებულია სოციალური და ტექნოგენური ფაქტორების ისტორიული დამთხვევით (ურსული 2016:50). ამგვარ მტკიცებულებას ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან თანამედროვე გლობალიზაციის მართვადი ხასიათი და ევროპოცენტრისტული შინაარსი ღიად არის აღიარებული დასავლეთის პოლიტიკურ მეცნიერებაში, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. თანამედროვე გლობალიზაციის განმსაზღვრელ ფაქტორებად გამოდიან ევროპული ქვეყნების ნაციონალური, ხოლო მათ ერთობლიობაში – ინტერნაციონალური ელიტების

ინტერესები და საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე სისტემა, რომელიც ორიენტირებულია ცალმხრივ გლობალურ დომინირებაზე.

მნიშვნელოვნად ვთვლით გავაანალიზოთ ნ.გ. კოზინის კონცეფცია, რომელშიც სისტემატიზირებულია რუსული იდენტურობის ძირითადი პრინციპები.

განიხილავს რა რუსულ იდენტურობას ცივილიზაციურ კატეგორიად, კოზინი საუბრობს მის მისიონერულ როლზე ევრაზიული მასშტაბით. რუსული იდენტურობა და ეროვნული თვითშეგნება არასოდეს არსებობდააბსტრაქტულ განცალკევებაში ევრაზიული ფაქტორისაგან. რუსეთს დასაბამიდანვე ეკუთვნოდა ევრაზიის გამაერთიანებელისა და ლიდერის როლი. რუსული სამყარო, იყო რა ათასწლეულის მანძილზე ევრაზიის ისტორიის ღერძი, ყოველთვის საზრდოობდა ურთიერთქმედებით მრავალ ცივილიზაციურ სოციუმებსა და ფორმაციულ ერთეულებთან. რუსული იდენტურობა, იყო და დამყარებული სლავური რასის ეთნოფსიქოლოგიურ წყობაზე, განსაკუთრებულად სიცოცხლისუნარიანი ფენომენი აღმოჩნდა, რომელმაც გაუძლო მავნე შიდა და საგარეო ზეგავლენას.

მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე რუსეთში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებზე, რომლებსაც მიიჩნევს რუსული ეროვნულ-კულტურული იდენტურობისადმი ერთერთ ყველაზე სერიოზულ ისტორიულ გამოწვევად. ამ პროცესებიდან იგი გამოარჩევს ორ მნიშვნელოვან გარემოებას, რომლებიც რუსეთის ისტორიის თანამედროვე ეტაპის სახესა და შინაარსს განსაზღვრავს:

- პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩამოყალიბებული ინტერნაციონალური საფინანსო-პოლიტიკური ელიტა არ მიისწრაფის ეროვნული ცივილიზაციური ინსტიტუტების შენარჩუნებისაკენ. პირიქით, ეს ანტიეროვნული ელიტა პირდაპირ დაინტერესებულია ნაციონალური ფესვების სრულ აღმოფხვრაში და ევროპოცენტრისტული კოსმოპოლიტიკური ფასეულობებით ჩანაცვლებაში;
- რუსულ საზოგადოებაში მასობრივი მენტალიტეტის დონეზე ჯერ კიდევ ძლიერია ეროვნული ფესვების უარყოფისა და ევროპოცენტრისტული სოციალური მოდელის უდავო აღიარების ტენდენცია, რომელსაც ინტერნაციონალური ელიტა მაქსიმალურად ახალისებს.

ავტორის აზრით, მეორე გარემოება საზოგადოების მმართველ წრეების გადაგვარებაზე ბევრად სახიფათოა, რამეთუ მოსახლეობის ფართო მასების

სახით რუსეთი კარგავს ყველაზე ფართო ცივილიზაციურ ბაზისს (კოზინი 2011:4-6).

